სკა (სკა, როგო, ფუკა C) (+ 2 დიოლოლ.[1] ZAa) ფუტკრის სახლი. წნელით წნულსა ეწოდების სკა, ხოლო როგო და ფუკა — ხის(ა) გამოთლილსა ZA.

სკა არს წნული, როგო და ფუკა — ხისა, ფუტკართ პურჭელი B. სკა არს ფუტკართა (ფუტკრისა D) გოდორი წნული; როგო არს ხე გამებული ამოთლილი და შეწყობილი ფუტკართათვისვე; ფუკა არს მრთელი გამოთლილი ხისა ფუტკართათვის CD. როგო, ფუკა E.

ნ. სასკე.

სკამი ბერძულია, რომელიც სკამი შეიკრვის (შეიკვრის Z) და გაიქსნების, სელი ეწოდების; სხვა კეთილ-ჭრელებულსა დასადგმელსა — სავარძელი; გრძელსა და მრავალთ სასხდომელსა — მერქი; მეფეთა და მღ(რ)დელ(თ)-მთავართ საჯდომელსა და ზედ გავალაკიანსა — საყდარი, ვიეთნი ტახტს უწოდენ ZA.

სკამი ბერძული. რომელიც სკამი შეიკრვის და გაიშლება, სელი ეწოდება ქართულად; სხვა კეთილჭრელებულს სკამსა — სავარძელი და გრძელსა და მრავალთ სასხდომელსა — მერქი; მეფეთა და ეპისკოპოსთ ხარისხ-კვარცხლბეკოანსა საჯდომსა, ზედით გავალაკიანსა — საყდარი, ვიეთნი ტახტს უწოდენ B. სკამი ბერძენთა ენით(ა) ეწოდების და ქართულადაც საქმარ(ი) (+ არს C); ხოლო ქართულად სელი ეწოდების სკამსა რკინისა(სა), გინა ოქროთა (ოქროსა D) და ვეცხლითა (ვეცხლისასა D) (+ შეჭედილსა C), რომელი განიშლების და შეიკვრის (გასაქსნელსა და შესაკრავსა D) სასუბუქით თან სადევნებელად (სადევნებელსა D); მერქი ეწოდების სკამსა გრძელსა (გრძელთა Cq) ხეთასა (ხეთაგან D), გინა კედელთასა (კედელთაგან D) მრავალთა საჯდომ(ე)ლად შემზადებულსა; სავარძელი ეწოდების სკამსა ხეთაგან შემზადებულსა, ერთისა კაცისა დასაჯდომელსა კეთილად ჭრელებულსა, გინა მოპეტალებულსა; საქარცხული ეწოდების მსგავსად სკამთასა დასაჯდომელსა და მისაყრდნობელსა რასამე მცირესა CD. (უქმ.) ესე სკამი ბერძულია, ხოლო ქართულად უწოდენ სავარძელსა და სელსა: სავარძელი არს სკამი ხისა მიერ შემზადებული ჭრელებული; ხოლო სელი არს სკამი რკინისა ოქროთი ანუ ვეცხლითა შემზადებული შესამკობგასაქსნელი E.

სკანთარი (მძრომ.) ZABC.

სკარა ესე არს ფეჭედი რკინა გაწყობილი მწვადთა შესაწვავი ZAB.

სკარა არს ფერჯიანი მწვადის საწვავი ლასტის მსგავსად, რომელსა ზედა შესწვევდენ მოწამეთა C. ფეჯიანი შამფური ლასტივით D. ლანძვია, სვინაქსარში ლანძვად იწერა სკარას მაგიერ: „განაჭურეს სკარა და დააწვინეს მას ზედა“ E.

სკარამანგი ესე არს ძვირფასად და ყვავილოვნად ნაკერი ოქრო(ა)ს თმითა და ჩიგინითა ZA.

ესე არს ძვირფასად ყვავილოვნად ნაკერი სირმითა და ჩიგინით B. სირმითა და ჩიგინით ნაკერი Cb. [ნაკერი სირმითა და ჩიგინითა] Ca. გრო-

[1] შდრ. A — 1103, 52 v., ხ 4.

გოლის სხოლიონში: „ვითარცა რიტორნი იისფერსა და მეწამულსა ჰმოსიედ (+ და Cq) ფილასოფოსთა შავი ასანიშნელად, ვითარცა პოლიტნი მოქალაქენი სკარამანგსა შეიმოსენ“ CqD. გრიგოლ ღ̃თის მეტყველის სხოლიონი: „ტრიონ უწოდიან თვისგანსა რასამე სამოსელსა სწავლულებათასა, ვითარ-იგი რიტორთა იისფერი და მეწამული ჰმოსიენდ და ფილოსოფოსთა შავი ასანიშნელად თითეულისა მათისა, ვითარ-ესე აწ პოლიტნი მოქალაქენი სკარამანგსა შეიმოსენ“ E.

შდრ. საკრამანგი, სუნდიკსი.

სკა, როგო, ფუკა ნ. სკა.

სკაროსი (თევზ.) თევზია აღმომცოხნელი ZAB.

[**სკვ** ნ. სკუ].

[**სკვენ** ნ. სკუენ 1, 2].

სკვილლი (+ კათილორია ZAa) უსიტყვ(ად) და უკვდავად უთქვამთ (+ ტყუილად ZAa) ZA.

კათილორია, განყოფილების თავში, სკვილლისათვის BCD.

სკვინჩა ნ. სკუნჩა.

სკვიტორი მეფის მოსამსახურე რამ არის (რამეა A) ZA.

მეფეთ მოსამსახურე რამეა B. რაცალა მეფის მოსამსახურეა, მნე C. რაცალა მოქელეა მეფისა მოსამსახურე D. რაღაც მოქელეა E.

სკივრი ZABCDE.

სკილისკანტური E.

სკიმატი მთავარანგელოზთ ქელთ რომ აქვსო მგრგვალიო ZA.

მთავარანგელოზთ რომ ქელთ აქვსთ მგრგვალი B.

სკინდაფსნი „სკინდაფსნი რამმე, გინა ვაც-ირემნი“ Z.

განუმარტავია B.

სკინტლი ფრინველის სკორე ZABCD.

ფრინველთ სკორე E.

ნ. სკორე.

სკიპტრა (+ 6, 13 ბარუქ ZA) ელლენთა ენაა, სამეფო ჯოხი, ქართულად ფაენი ჰქვიან ZAB.

ესე არს სამეფო კვერთხი (ჯოხი D) რომელსა თავსა ზედა არს ხვირი (+ და ჯვარი მცირე Cb) CD. სამეფო ჯოხი E.

ნ. ჯოხი.

სკირა[1] (+ 48, 31 იერემ. ZAa) თიქის კედელი (+ სხვას წიგნშია Ab) ZAB.

ნ. ყორე.

სკირადათა განზიცუზისათა (48, 31 იერემ). ესრე(თ) ითქმის თიქის კედელ(ნ)ი განქმობად(ნ)ი ZA.

(+ 48, 31 იერემ. B) ესრეთ ითქმის ვითარმედ თავნი მათნი აღპარსულ და წვერნი (+ მათნი C) დაყვნილ (+ სკირა — თიქის კედელი C) BC.

სკიფი ვეცხლის საჩხირე, გინა სატანტრაბეჩე ZA.

ვეცხლის საჩხირე თუ სატანტრაბეჩე B. ვეცხლის საჩხირე (+ ქალთა Cb) CD.

სკიჭი, სკიჯი (სკიჭი და სკიჯი DE) (+ 1 მეფ. 25, 18; 2 მეფ. 16, 1 ZA) ჩამიჩი ZAC.

(1 მეფ. 25, 18; 2 მეფ. 16, 1) ძიძიბო B. განუმარტავია DE.

ნ. ქიშმიში, შკიჭი, ჩამიჩი.

[**სკლატი** ნ. ვაკინთი].

სკმა დაკვრა ZA.

ცემა რამ B. ცემა CD. უსკვა, მის-

[1] წყაროშია: „სკირადათა“.

ავა, ცემა E.
ნ. მსკნელი.

[სკნა მტკიცება] B.
ნ. დასკუნა.

სკნელი (+ კიდურივით B). რამეთუ ვიტყვით: ზესკნელი, ქვესკნელი, გარესკნელი და უკანასკნელი, ესე არს ვითარცა დასასრული რამე კიდეთა(ნი) ZAB.

კიდესავით(ა). რამეთუ ვიტყვით: ზესკნელი, ქვესკნელი, გარესკნელი და უკანასკნელი, ვითარცა დასასრული კიდეთანი CD. განუმარტავია E.

სკნირიანი ექსსკეპტრობისა საქმე ეწერა ▮

სკნისკი ჩალის კალათა ZAB.

კალათა ჩალისა CD. მარიამ მეგვიპტელი:[1] „ადილო სკნისკი და შთაძვა ოსპი და ლეღვის ჩირი" E.

სკოპოსი პირი საქმისა ZABCD.

სკორე (5, 25 ესაია) განავალი. სკორე ზოგადი სახელი არს (+ ყოველთა ZA) განავალთა ცხო(ვ)ელისათა (ცხოველთა განავალთა B). ხოლო ფრინველთასა ეწოდებიან სკინტლი, თევზთასა — ტურტლი, მძრომთასა — ცურცლი, ცხოვართასა — დენგრა, თხათა და გარეთხათა(სა) (+ და მისთანათასა ZA) — კურკლი, (+ ზროხათა და AbB) კამბეშთასა — ნეხვი და კელი, ღორთასა — ჩხრინკელი, ცხენთა და ვირთასა — ჩონჩორიკი, ძაღლთა და მჴეცთასა (მჴეცთა B) (+ და ეგევითართა B) — მჩორე, კაცთასა — მძღნერი, ქმელს(ა) ნეხვსა — წივა და ფუნე, თხელს(ა) სკორესა — ტრაწ(ი) (+ ტრედის სკინტლსა — ნაედომი. 4 მეფ. 6, 25 ZA) ZAB.

განავალი ყოველთა. (+ სკორე ზოგადი სახელი არს ყოველთა სკორეთა. ხოლო სკორესა კაცისასა ეწოდების მძღნერი, ძაღლთა და მჴეცთასა — მჩორე, თხელსა სკორესა — ტრაწი, ზროხათა და კამბეშთა სკორესა — ნეხვი და კელი, ცხენთა, ვირთა და ჯორთასა — ჩონჩორიკი, ცხოვართასა — დენგრა, თხათა და გარეთხათა — კურკლი, ღორთასა — ჩხრინკელი, მძრომთასა — ცურცლი, ფრინველთასა — სკინტლი და ქმელთა ნეხვთა — წივა და ფუნეც ეწოდების Cab) C. განავალი D. განუმარტავია E.

სკრიბონი (+ სკრიბონი არს D) ქვრივთა და ობოლთ(ა) მსაჯული ZABCDE.

სკრინიარი ხარტოფილაქსი ZAB.
(+ სკრინიარი და C) დივანთა ზედა ქელმწიფე (+ სკრინიარი D; + და C) ექსსკეპტრობის მოქმედი იგინი არიან, რომელთა (რომელსა D) ბერძულად ხარტოფილაქსი ეწოდების. ხოლო სპარსულად მუსტოფი და დავთარტარუდა CD. დივანთა ზედა ქელმწიფეა, რომელ არს ხარტოფილაქსი[2] E.

[სკუ ნ. სკმა].

[სკუ(ამ) ნ. სკმა].

[სკუენ ნ. გამოსკუნილი, დასკუნა, მონასკუება, ნასკჳ, სკული; შდრ.

[1] შდრ. A — 272, 930, b. [2] ნუსხა აქ ურთავს: „ასე ეწერა".

განსაკუნება].
[სკუენ ნ. ამოსკუნა].
სკული გამოსკვნილი ZABC.
სკუნელი (ხე) ZABCDE.
[სკუპ ნ. ისკუპი].
სკუპა პატარა ქუდი ZACD.
პატარა ქუდივით B. განუმარტავია E.
სკჳლლი (აკვილლი ZABCD) (+ კათილორია[1] ZAa) უსიტყვ(ად) და უქცდავად უთქვამთ (+ ტყუილად ZAa) ZA.
კათილორია[1] განყოფილების თავში, სკვილლისათვის BCD.
სკჳნჩა (სკვინჩა ZABCE) (ფრინ.) ZABCDE.
სლბობა არევა B.
ნ. შესლბი, შესულიბნა.
სლვა (33, 2 რიცხ.) სიარულიცა მრავალ-სახე(ლ) არიან, რამეთუ სლვანი სხვადასხვაობით განიყოფებიან: ნებიერად კაცთ(ა) სლვასა უქმობენ ვიდოდასა და სლვასა, ეგრეთვე ნავთასა; ხოლო ჴმუნვათა განმაქარვებელად წალკოტთა ანუ მინდორთა მიმოვლასა — მოთხვასა და იმოთხვიდასა, რომელაა მსოფლიონი სეერნობას(ა) უქმობენ; ჩქარა სლვასა — გვალე; ზოგად მრავალთაგან სლვასა — ტრვა და ტარება; მალიადობასა — სრბა; შეშინებულის(ა) მიერ სრბასა — ლტოლვა; მაღლად კისკასად რეცა შეფრენასა — ხლდომა; უსაქმოდ ცუდად სიარულსა — ტანტალი; სნებოანთა მიერ უსუსურსა სიარულსა — ლოწლილი; ფერჴ-გადგმით სლვასა — ბაჯბაჯი; ჩჩვილთაგან ოთხზე სიარულს(ა) — ჩოჩვა და ბორდღვა; მუცლითა და თეძოთ სლვასა — ცოცვა; ჩჩვილთ ჴელ-მოკიდებით ტარებასა — ტაატი; მონადირეთაგან ნადირთ მისაპარა(ვა)დ მუცლით ცოცვასა — ცორვა; მოგზაურთაგან სიარულსა — იარე და ვარე; პირუტყვთ(ა) სლვასა — სიარული; მათსა მალიად სიარულსა — რბენა და ჭენება; პირუტყვთა ხლდომასა — ხლტომა; მათსავე ჰაერში გრძლად გახლტომასა — ლივლივი; მათს თამაშობით რბენასა — კუნტრუში და იბეკნ(ი); (+ მათსავე Z) ავად სიარულსა — ჩაქჩაქი; ცხენთა გოგმანით სიარულსა — თოხარიკობა; სხვარიგს კეთილსა სიარულსა — მერნობა; ავს სიარულს(ა) — ჯაგჯაგი; ფერჴი რომ ვერ ანდოს, კრთომით სიარულს(ა) — ბობვა; უბადო ცხენის ავს სიარულს(ა) — ჩანჩალი; ფრინველის კეთილად სიარულს — გოგვა; (+ მისავე Z) ავად სიარულს — ლახლახი; გველთაათა (გველთასა Ab) — გლინვა; მძრომთასა — ძრომა; ჭიაჭუათასა — ღოღვა; მელთასა — ცანცალი; სლვა-

[1] შდრ. A — 250, 117 r.

სა და სირბილის საშუალსა — ძუნძული; თევზთა და ზღვიერთასა — ცურვა ZA.

სიარული. სიარულიცა მრავალსახელ არიან, რამეთუ ალვანი სხვადასხვაობით განიყოფებიან: ნებიერად კაცთა სლვასა უქმობენ ვიდოდასა და სლვასა, ეგრეთვე ნავთასა; ხოლო ქმუნვათა განმაქარვებელად წალკოტთა შინა ანუ მინდორთი მიმოვლასა — მოთხვა და იმოთხვიდა, რომელსა მსოფლიონი სეირნობას უქმობენ; ჩქარა სლვასა — გვალე; ზოგად მრავალთაგან სლვასა — ტრვა და ტარება; მალიადობას — სრბა; შეშინებულისა მიერ სრბასა — ლტოლვა; მაღალს კისკასად რეცა შეფრენას — ხლდომა; უსაქმოდ ცუდად სიარულსა — ტანტალი; სნებოანთა მიერ უსუსურთა სიარულთა — ლონდილი; ფერხგადგმით სლვასა — ბაჯბაჯი; ჩჩვილთაგან ოთხზედ სიარულს — ჩოჩვა და ბორდღვა; მუცლით და თეძოთ სლვასა — ცოცვა; ჩჩვილთ ჴელით ტარებასა — სიალა და ტაატი; მონადირეთაგან მუცლით ცოცვასა მისაპარად — ცორვა; მოგზაურთაგან სიარულად იარე და ქარეც ითქმის; პირუტყვეთა სლვასა — სიარული; მათს მალიად სიარულსა — რბენა და ჭენება; პირუტყვეთ ხლდომასა ხლტომა; მათსავ ჰაერში გრძლად გახელტასა — ლივლივი; მათს თამაშობით რბენასა — კუნტრუში და იბეკნ; მათს ავად სიარულს — ჩაქჩაქი; ცხენთა გოგმანით სიარულსა — თოხარიკობა; სხვარიგს კეთილს სიარულს — მერნობა; ავს სიარულსა — ჯაგჯაგი; ფერჴი რომ ვერ ანდოს, კრთომით სიარულსა — ზობვა; უბადო ცხენის ავს სიარულსა — ჩანჩალი; ფრინველის კეთილად სიარულს — გოგვა და ავად სიარულს — ლახლახი; გველთასა — გლინვა; მძრომთასა — ძრომა; ჭიაჭუათასა — ლოდვა; მელთაჲა — ცანცალი; სირბილისა და სლვის საშუალსა — ძუნძული, თევზთა და ზღვიერთასა — ცურვა B. განუმარტავია Cb.

ნ. ბანდალი, ბზაკუნი, ბორტყუა, გამოსლვა, წიაღმოსლვა; შდრ. ვალ, სლვა, სიარული.

ხლოკინი ZABCDE.

ხლუკ-ხლუკი ტირილთან ნახე ZAB.

ტირილში ნახე Cb.

[ხმ. ნ. სემ, სმენა].

ხმა (+ 1, 5 იობ ZAa) სასმელთან ნახე ZAB.

სმად ითქმის ყოვლისავე სასმელისა სმა, არამედ უფროსად ღვინისა, ხოლო სახარებისა მიერ თქმული იგი ერთი სასმელი სიკვდილი არს სჯულისა სიმართლისათვის Cab. განუმარტავია CqDE.

ნ. ვსუამ, მოსმურნი, მსმელი, ნასუამი, სამოსმურო, სასმელი, სასმისი, სასუამადი, სვა, სმული, სუ.

სმენა (+ 51, 46 იერემ. Z) ყურით შეტყობა ZAB.

ყურით მოსმენა Cab. განუმარტავია CqDE.

ნ. დასმენა, ვსმენელობ, ისმენდა, ისმინე, ისმოდა, სასმენელი (საგრძნობელ’თანაც), ესმი, შეისმინე, შემსმენელი, შესმენა, შესმენითი, წარსმენა; შდრ. სემ.

სმნიერი ZABCE (მსნიერი CaqE, სმნიერი, მსნიერი D) (+ 1 მეფ. 1, 24 ZABCab) სამწლისა ZABCD.

გვრიტისა და ეკლესიასთვის: „დიაკეული ერთი სმნიერი, ვაცი ერთი სმნიერი და ვერძი ერთი სმნიერი". 1 მეფ. 1, 24: „ზვარაკი მსნიერი ერთი" E.

სმული ნასვამი; სმული — დასობილი; სმული — მჯდარი ZA.

ნასვამი B.

სნატი სუზანი საფენი ZA.

სუზანი BCb.

ნ. დასნატული.

სნება სნეულება ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. სვრინდება.

სნეკვა კვნესა ZABCDE.

სნეულება (42, 5 დაბად.) სენთ დართვა ZA.

სნეული (+ 2 მეფ. 13, 2 ZA) სენის მქონებელი ZAB.

ნ. დასნეულდა.

სოგმანი ქვასა ანუ ფიცარს(ა) მცირე აკლდეს, მისი გამოსაწყობ(ელ)ი ZAB.

ფიცრის ნაკლების გამოსაწყობი CD. ფიცარში გამოსაწყობი E.

[**სოდომის ნალეწი** ნ. გოხი (კლდე'სთან, ქვა'სთან)].

[**სოდომის ნამსხვრევი** ნ. გოხი].

[**სოდომური ნამსხვრევი** ნ. გოხი]

[**სოველი** ნ. დასოვლება].

სოთი კვთილი ცხვირი ZA.

კარგი ცხვირი B. კაი ცხვირი CDE.

სოინარი სტვირნი შეწყობით შეწებულნი ZA.

სტვირნი წყობილნი B. სტვირნი შეწყობილ(ნ)ი Cab.

შდრ. სოლინარი.

სოი-სოი ბატთ გადე(ვ)ნა კმა ZA

ბატთ გადევნა BE. ბატის გა(ნ)დევნა CD.

სოკო ZABCDE.

სოკო სენია ერთი ZA.

სენი(ა) BCD.

ნ. ბავასირი, ბუასილი.

[**სოკოს სენი** ნ. ბავასირი, ბუასილი].

სოკოფიჩხა ხის ხმელი სოკო ZAB.

ხმელი სოკოა ხისა Cb. განუმარტავია CaqDE.

[**სოკოწითელი** ნ. ნიყვ].

სოლი ძელთ გასაპობი ZAB

ხეთა და ქვათა გა(ნ)საპები C განუმარტავია DE.

შდრ. მანა.

სოლინარი წყალთ მილი ZA.

წყლის მილი BCD. მილი E.

ნ. მილი; შდრ. სოინარი.

სოლინჯი (ბალ.) ლეალოსა ქვიანი Z.

(ბალ.) ABCD. (ბალ.) ულბო E.

შდრ. სონიჯი.

სომეხი [1] (37, 38 ესაია) ჰაოსიანი ZAa.

სომი [2] (1 ნეშტ. 29, 2) საკამრე ქვა მოხრილი ZAB.

საკამრე ქვა (+ რადად გათლილი Cb) CD.

სომი ხუთი აბაზი, მინალთუნი Z.

მინალთუნი, ხუთი აბაზი Aa

სომინი დიდი პური C.

სონდასობა შრომისაგან განსვენება ZABC.

შრომისაგან განსვენება D.

სონიჯი (+ 28, 25 ესაია ZAa) სოლინჯი ZAB.

რომელსა ბერძულად ეწოდების

[1] წყაროშია: „სომხეთად". [2] წყაროშია: „სოომი".

მელა(ნ)ტიონ, პილპილის მაგიერ იჭმარებენ C.

ნ. გოლისარეველი.

სონლული (ფრინ.) ZABCDE.

სორგა ხეზის დასახვევი (დასახვეველი B) ხე ZAB.

წერის სიჯიმის ხე CD.

სორეტი სრუტი წყალთა ZA.

წყალთ სრუტი B.

სორო (48, 28 იერემ.) მჴეცთ ჩასაძრომელი. სოროდ ითქმის საფლავი ZA.

მჴეცთ ჩასაძრომელი, სორო — საფლავი B. ფოთორო. საფლავი, გინა ჩასაძრომელი Cb. საფლავი CaqD. განუმარტავია E.

სორსალი დასორსალებული ZABC.

განუმარტავია E.

ნ. დასორსალება, წასორსალება.

სოსანი (ბალ.) ZABCDE.

სოუდა (ბალ.) ZABCDE.

სოფელი სამ სახედ ითქმის: საუკუნო იგი სოფელი და წუთისსოფელი და კაცის ბუნებაც სოფლად ითქმის ZA.

კაცრიელი. სოფელი ეწოდების სრულიად საწუთროსა; ხოლო დაბა — მცირესა შენობასა B. კაცრიელი C. განუმარტავია DE.

ნ. მსოფლელი, მსოფლიო, ნასოფლარი, საშუალო.

სოფერი 1 ნეშტ. 29, 4 B.

სოფირი[1] (13, 12 ესაია) ახალს ქვეყანას არის ZAa.

13, 12 ესაია Ab.

სოფირი ლურჯი იაგუნდი ZAB.

(იობ 22, 24[2]; ესაია 13, 12[3]) ლურჯი იაგუნდი Cb. (+ იობ 22, 24[2] Ca) ესაია 13, 12[3]; „ბადენი და სოფირი" CaqD. ბადენთან ნახე E.

შდრ. საფირონი.

სოფისტინი (სოფისტენი D) სოფისტიკა, ლვიკოსი, ლოგიკა, დიალოგიკა, დრამატიკოსი, ექსოთერიკა, აქსომათიკა, (აქსომატიკა Ab), ისალოგია, ანალვიტიკა პერიერმინაი, სეფისტინი, პროტოლოროს, ფედრონი — საფილასოფო(სო) წიგნები არიან Z.

სოფისტიკა, ლვიკოსი, ლოგიკა, დიალოგიკა, დრამატიკოსი, ექსოთერიკა, აქსომატიკა, აკრომატიკა, ისალოგია, ანალვიტიკა, პერიერმინია, სეფისტინი, პროტალოროს — საფილოსოფო წიგნები არიან B. სოფისტიკა, ლვიკოსი, ლოგიკა, დიალოგიკა, დრამატიკოსი, ექსოთერიკა, აქსომატიკა, აკრომატიკა, ისალოგია, ანალვიტიკა — საფილასოფო(სო) წიგნები არიან CD.

სოქალი სპეკალი ZAB.

ნაქსოვია C.

სოღდა (ბალ.) ყვავილია მრავალფერი ZAB.

სოღო (ფრინ.) დიდი ქათამი ZABCDE.

სოყილი რაცაღა სენია ZABCD.

სოჭვა მკედის ხეწა B.

ნ. დასოჭვა.

სოჭი (ხე) (+ 31, 8 ეზეკ. ZA) ZABCDE.

სოხანო სძხანო ZAa.

ნ. სახანო.

სოხასტ[ე]რთა ეფთვიმის ცხოვრებაში B.

---

[1] წყაროშია: „სოფირული". [2] წყაროშია: „ქვესა სოფირისასა". [3] წყაროშია: „ქვა სოფირული".

სპა მჴედარი ZAB.

მჴედრობა C. განუმარტავია DE.

სპათარი (დიოლოლო[ნ]ში [1]) ZAa.

სპათარ-კოვკლარი (სპათარ-კოვოკლარი BDE, სპათარ-კოვოკოლარი C) მჴედრობათ აღმწერელი ZAB.

რაცაღ(ა) მოჴელეა C. რაღაც (+ დიდი E) მოჴელეა DE.

[**სპათი** ნ. მრავალსახელი].

სპანი მჴედრობანი ZA.

მჴედარნი B.

სპანქერი ს ვ ი მ ე ო ნ ს ა ლ ო ს ი ს ა: „დაუქცია ტაბლები მსყიდ(ვ)ელთა სპანქერისათა" ZABCD.

სპანძელი (სპაძელი Cb) (ბალ.) ZABCD.

ნ. ისპანალი.

სპარაზენი (4 მეფ. 9, 25) სამდგომი ZAB.

ესე არს ყოვლითა საჭურველითა შეჭურვილი და მჴნე (+ მჴედარი CD) CDE.

სპარი E.

სპასალარი სპარსულია, ქართულად ს პ ა ს პ ე ტ ი ჰქვიან Z. სპარსულია, სპასპეტსა ჰქვიან A.

მჴედართმთავარი BC. განუმარტავია DE.

ნ. ამირბარი.

სპასიაკი სამეფო წამოსასხამი(ა) ZABCD.

(1 მეფ....) კ თ ავგისტოს ნეტაფრასმა ს პ ა ს ი ა კ ი სამეფო წამოსასხმლად თქვა: „რამეთუ მეფესა მას სპასიაკნი ესხნეს და შემკულ იყო იგი სიმდიდრითა სამეფოთა" E.

სპასპეტი (3, 3 დანიელ) მჴედართ მთავარი ZA.

მჴედართ უხუცესი (3, 3 დანიელ) B. მჴედართ მჴვანებელი C. სპათ მთავარი DE.

ნ. ამირბარი, სპასალარი, სპეტი 2.

[**სპაძელი** ნ. სპანძელი].

სპეკალი ყო(ვ)ელი თვალი პატიოსანი ZABCb.

ქვა(ა) მნათობი (+ „გინა ჯავაირი" Ca) CaqD. ქვა არს მნათობი E.

ნ. ალრალების ქვა, ქვა.

[**სპენდ** ნ. ისპენდვის; შდრ. სპონდი].

სპერე სარკმელი შესადებელი ZAB.

სარკმელი CD.

სპერიმური სპილენძ-ჭური ZAB Cab.

(ქართლის ცხ. [2]) ნალარასაეთ რამ არი(ს) CqDE.

სპეტაკი (+ 9, 2 მარკ. ZAa) თეთრი ZACD.

თეთრი (30, 35 დაბად.) B. განუმარტავია E.

სპეტი უმარილი ZA.

უმარული B. ტყვი(ვ)ის უმარილი CDE.

სპეტი (სპეტი, შპეტი D) მრავალთა ზედამდეგი ZA.

ზედამდეგი მრავალთა B. ზედამდეგი CDE.

შდრ. შპეტი.

სპილენძი ZABCDE.

ნ. თითბერი, პილენძი, რვალი.

სპილენძ-ჭური დიდი ნალარა ZA BC

განუმარტავია DE.

ნ. ქოსი 2; შდრ. სპერიმური.

---

[1] შდრ. A — 1103, 83 r, b 23. [2] ქართლის ცხ-ბა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., II წიგნი, გვ. 27, 4.

სპილენე სალბუნი ZABC.

[**სპილო** ნ. პილო].

სპინთირა ესე (რომელ C) არს საღ˝თო სურვილი(ს) ცეცხლი ჩვენ შორის ძალისა მიერ სულის(ა) წმიდისა ZABC.

სპირა სფერო ZAB.

მომრგვალებული CDE.

შდრ. სფერო.

სპოლვა არღარა ყოფა B.

ნ. მომსპოლველი (აბადდონ'თან), მოსპოლვა.

სპონგინი ოსტრიდ(ს)თან ნახე ZAB.

ოსტრიადსა თანა ნახე Cb.

სპონდი შესაწირავი ZABC.

შდრ. სპენდ.

სპონდიო ქვასთან ნახე ZA.

ქვა(ა) წყალთაგან ქმნილი BCD. განუმარტავია E.

ნ. კლდე.

სპოტვა წმედა B.

ნ. მოსპოტვა.

[**სრ** სარ 1, 2].

[**სრ** ნ. დაჭსრენით].

სრა სახლი ZAB.

სახლები CD. განუმარტავია E.

სრავალი საფენი ხვარბალი (ხვარბალთა B) ZAB.

ხვარბალი ფენილი CD. განფენილი ხვარბალი E.

შდრ. ცრავალი.

სრბა (+ 2 მეფ. 18, 22 ZAa) სირბილი ZABCb.

ნ. სასრბო, სლვა.

სრბოლა რბენა ZAB.

ნ. მსრბოლი, წინამსრბოლი.

[**სრეც** ნ. სასრევი].

სრევა გასროლა ZABCDE.

ნ. მსრეველი, ნასრევი, სარ 2; შდრ. სისრა.

სრელა პირუტყვთ(ა), რომელსაც(ა) ზურგზედ გრძლად სხვა ფერი წასდევს ZAB.

სრესა ქელით და თითებით დაჭყვლემა (დაჭყვლება B) ZABCb.

განუმარტავია CaqDE.

ნ. გასრესა, მოასრისე.

სრვა (სვრა D) (2, 20 ესაია) ძენი მომსრველი ZAB.

მომსრველი სენი (+ ესაია, 2, 20 Cb) CD. ავი ჟამი E.

ნ. სვრინდება, სარ 1.

სროლა შეტყორცა ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. ისროლა, ნასროლი, სასროლი, შდრ. სარ 2, სრევა.

სრსვილი (2 ტიმოთ. 2, 17) კორცთ მძოარი ZAB.

განუმარტავია CDE.

სრულებისა (29, 34 გამოსლ.) შეწირვისა ZAB.

შეწირვას ეწოდების (გამოსლ. 29, 34) Cab.

სრული (2, 1 დაბად.) (+ სრული Aa) გასრულებულს ჰქვიან უნაკლულოსა ZAa.

წარმატებული (+ 2, 1 დაბად. Ab) AbBCD. სრული. კავშირმა[1] წარმატებულად თქვა E.

ნ. აღსასრული, აღსრულება, გაასრულა, განსრულება, დასასრული, თამამი, მოსრულება, უსრული, უუსრულეს, ღსრულება, შემასრულებელი, შესრულება.

---

[1] იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება (წიგნი II, გვ. 14, 16).

[სრული კაცი ნ. კაცი].

სრულიად (+ 23, 3 იობ ZAa) უნაკლულოდ ZABCab.
განუმარტავია CqDE.

ნ. სრ͠ლ.

სრუტი (სრუტი და სორეტი C) ესე არს, სადა ზღვა დავიწროვდება (დავიწროვდების B) და ჴმელეთი ახლო-ახლო მოიწევის; მდინარის სივიწროეცა ZAB.
მდინარე იწრო(დ) და ჩქარა მიდგინილი C.

ნ. სორეტი, წყარო.

სრუტნა ამოწოვებსავით ZA.
ამოწევასავით B.

ნ. ამოსრუტვნა, მოსრუტვა.

სტაგი რუს სათავე ZABCb.
ქართლის ცხოვრება: „გამოიღო რუ და დასხნა კაცნი მერუ(ვ)ენი და სტაგითა რუსითა და რქვიან ადგილსა მას ნასტაგისი" Caq[1].

[სტადი ნ. სტადიონი].

სტადიონი უტევანი ZAB.
ერთი სტადიონ(ი) ორასი მჴარი არს (მჴარია D) და ექვსი სტადიონი და ნახევარი ერთი მილია (მილიონია CqD) ერთ(ს) წიგნში შვიდი და ნახევარი ეწერა CD. ექვსი სტადიონი და ნახევარი ერთი მილიონია. ერთს წიგნში შვიდი და ნახევარი ენახე E.

ნ. ასპარეზი; შდრ. უტევანი.

სტავრა სირმის ნაქსოვი ZA.
ნაქსოვია სირმისა BC. განუმარტავია DE.

სტაკტოს „რომელსა-ეგე ქალწულებრივი მაგის მენუგეობისა — წმიდის ღმთისმშობლის მობის საკითხავში B

სტამბა ესე არს დასაბეჭდავი წერილთა, რომელ არს თეგი ZAB.
დაბეჭდული, გინა ციკად დადალულივით Cb.

ნ. დასტამბა.

სტამნი (7, 4 მარკ.) სარწყული (+ არს B) პირ-ფართო ZAB.
სარწყულია პირ-ფართო (+ მარკ. 7, 4 Cb) C. სარწყული D. სარწყული, პურჭელი E.

სტანაგი ქალთ სამკლავე B.

ნ. დასტანაგები.

სტაფილი (სტაფილო D) (ბალ.) ZABCDE.

სტაქანი მოღრმო თასი ZAB.

სტევი აქლემის მატყლი ZABCDE.

ნ. თმა.

სტევოედი სტევ-ნარევი ZABC.

სტერეონ ქვეყნის მზომელობათა ნიშანი არს ⳩ ამგვარი ZA.
ქვეყნის მზომელთა ნიშანია ⳩ ამგვარი [და მყარადაც ეწერა] B. ⳩ ამ ნიშანს ეწოდების Cab.

სტერი შტერი, რომელ არს მოკლებული ZA.
შტერი BCb. განუმარტავია Ca.

სტერი (სტერისნი E) მოკლებული, იგივე B. მოკლებანი CD. სტერისნი, რომელ არიან მოკლებანი E[2].

სტეჭობა სხვა კათიდ[3].: „გზ(ა)ჩენის(ა) ლოცვისა მზრძანე-

---

[1] დასახელებული წყარო და მოწმობა გადახაზულია BCb-ში. მოწმობა აღებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲდან" (ნ. ე. თაყაიშვილი Описание., II წიგნი, გვ 703).
[2] E-ში განსამარტი სიტყვა განმარტებიანად აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (წიგნი II, გვ. 125, 14 — 15). [3] შდრ. A — 250, 80 v 3.

ბ(ე)ლობისა სტეჰობისანი და სხვანიც(ა) არიან, უკეთუ მწვლილებით განვიხილოთ“[1] ZABCD.

სტვანვა ნ. სტუანვა.

სტვენა ნ. სტუენა.

სტვირი ნ. სტვრი.

სტვიქოლ ნ. სტვქოლ.

სტივა ცხედარი ZABCD.

ესე სახელი ცხედრისა, რომელ არს სტივა: მოილებვის (!) პინაკებსა მასცა და ლოდაკებსა ოქროსასა და ვეცხლისასა, სამსახურებელთა მეფეთასა E.

ნ. ცხედარი.

[**სტილი** ნ. ლიტრა].

სტირიო ნ. სტრიო.

სტილმა წერტილი ZABCab.

სტიხარი სამღ(რ)დელო კვართი ZA.

სამღვდელო კვართი B მღვ(რ)დლის კვართი C. განუმარტავია DE.

ნ. კოლობი.

სტიხონი სტრიქონი ZABCD.

ნ. ტრიქონი.

[**სტოვ (სტუ)** ნ. სასტუარი, სასტური; შდრ. მსტოვარი, სტუანვა].

სტოვა (+ 35, 11 გამოსლ. ZA) კამარა ZABCDE.

ნ. სახლი.

სტოლარი (4 ფებერვლის სვინაქსარი) მოქელე რამ არი D.

სტოლი მრავალი ნავი საბრძოლველი ZA.

საბრძოლველი ნავი მრავალი B. საბრძოლველს ნავს(ა) სტოლი ეწოდების (ეწოდებიან D) CD. მრავალ ნავთა ზოგად სტოლი ეწოდებიან E.

ნ. ნავი.

სტომანი ამპოლი ZAB.

სტომანი და ამპოლი ორივ(ე) საზეთე(ს) რქას ეწოდების (ეწოდებიან D) CD.

სტომატეოს წიგნია ერთი კლიმისა ZAB.

ნ. სტრომატოს.

სტომაქი 1 ტიმოთ. 5, 23 ZAB.

საჭმლის მოსადნობი შიგნიერი Cab. განუმარტავია CqDE.

ნ. პირის-მბრძოლი.

სტომი და **წენტილი** (სტომი CD) სხეულთა შორის ყო(ვ)ელთა უმცირეს და ურაოდენო არიან ZAB.

„სტომი, წენტილი სხეულსა შორის ყოველთა უმსწრაფლეს და უჟამო არიან“[2] CD. სტომი და ნეინი E.

სტრაპეტი[3] (+ 3, 2 დანიელ AB) სტრაპი ZAB.

სტრაპი ქალდეულის ენით თ ა ვ ა დ ი და ხაზარულად მ ო უ რ ა ვ ი ZA.

ქალდეურთ ენით თ ა ვ ა დ ი, ხაზარულად მ ო უ რ ა ვ ი B. სტრაპსა ქალდეველნი თ ა ვ ა დ ს ა უწოდენ, ხოლო ხაზარნი მ ო უ რ ა ვ ს ა CD. სტრაპსა ქალდეველთ ენითა თ ა ვ ა დ ს უწოდენ, ხოლო ხაზართა ენითა მ ო უ რ ა ვ ს ა E.

სტრატიკოსი ბერძულად მჴედართ მყვანებელი ZAB.

მჴედართ მყვანებელი CD. რაღაც

---

[1] აღებულია ამონიოს ერმისის წიგნიდან „მოსაჴსენებელი ხუთთა ჴმათადმი“ (A—230, 80 v). [2] აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (წიგ՚ი II, გვ. 114, 22—23). [3] წყაროშია: „სატრაპეზთა“.

მოქელეა: „მთავართა და ყოელთა სტრატიკოსთა“ E.

სტრატილატი ბერძულ(ად) მ ჴ ე-დ ა რ თ მ თ ა ვ ა რ ი ZAB.

მჴედართ მთავარი (+ ბერძულად E) CDE.

ნ. ამირბარი.

სტრატიოტი ბერძულ(ად) მ ჴ ე-დ ა რ ი ZAB.

მჴედარი CDE.

სტრატილოსი ბერძულ(ად) ე რ ი ს-თ ა ვ ი ZAB.

ერისთავი CD.

სტრატული (42 ითიკა[1]) ჯორთ შვიდეული ZAa.

ჯორთ შვიდეული, რომელ არს ყ ა თ ა რ ი B.

ნ. ყათარი.

[**სტრიდია** ნ. ოსტრაკუ, ოსტრია].

სტრიო (სტირიო ZAa) ტრიობის მჴნელი ZA.

ტრიობის მჴრელი, ბოზური ტრფი-ალი B. ტრიობა Cab.

სტრიქონი წერილის ნაწერთ რიგი C.

განუმარტავია DE.

ნ. ტრიქონი, სტიხონი.

სტრომატოს სტომატეოს ZAB.

ერთი წიგნია კლიმისა C.

სტრომი (თევზ.) კეცტყაოვანია ZAB.

(თევზ) CDE.

სტრუკი (სტრუკ D) ესე (სტრუკი B) არს რეცა არარა, გინა მდარე, ღნიოში, ნაკლულევანი, მკოდოვანი (მკოდოვი B), გინა სახლის ნაშვი, შეურაცხი რამე ZAB.

სტრუკი არს არარა, გინა მდარე, გინა ღნიოში, (ფინთი D), გინა მაკ-ლულევანი, გინა ოჲ?ად გლახაკი ? ანუ სახლისა ხ?მიჲი C) CD. მ ე-ლ ე ტ ი ს შ ე ს ხ მ ა შ ი ნ ო ს ე-ლ ი ს ა გ ა ნ[2] „ყოველნივე ანზორ-თაგანი შობილნი და არავინ არს, ამათგანი სტრუკ, არცა განგდებული ბუში მგონია E.

სტუანვა[3] გა(ჰ)მსტრობა ZABC DE.

ნ. ვოსტუანვი, მიმოსტუანვა, მოსტუანვა; შდრ. მსტოვარი, სტოვ.

სტუენა[4] (+ 22, 14 იერემ. ZAa) ბაგით წვილი ZAB.

განუმარტავია CDE.

ნ. ვისტუნავ, ვსტუენ, ვსტუენ-დი, ისტვნიდა, სასტვნელი; შდრ. სულელვა.

სტულობა (+ 4, 2 მალაქ. ZAa) ხლტომა ZABC.

სტუმარი ZABCDE.

ნ. გასტუმრება, ესტუმრა, ის-ტუმრა, მესტუმრე.

სტურაკი საკმეველია, გუნდრუკს ჰგავს ZAB.

(+ სტურაკი C) გუნდრუკს(ა) ჰგავს, ხის რძეა სუ(ლ)ნელი CD.

სტუქო (სტუქო და სტვიქო C, სტუქო, სტვიქო D) ესე არს (სტუქონი B) ოთხთა კავშირთა ანაქსვნი, ალსლვა და მოხრა(ნი) (+ არიან B), რამეთუ ჴ ვ ე ყ ა-ნ ა გრილი და ჴმელი არს; წ ყ ა-ლ ი — გრილი და ნოტიო. წყალი სიგრილით ეზიარების ქვეყანასა

შდრ. A — 100, 408 v, a 5. [2] შდრ. A — 55, 319 r, b 5. [3] ნუსხებშია: „სტვან-ვა“. [4] ნუსხებშია: „სტვენა“.

და ნოტიობით(ა) ჰაერსა; ჰ ა ე რ ი ნოტიო და მქურვალი არს, ნოტიობითა ეზიარების წყალსა და სიმქურვალითა ცეცხლსა; ც ე ც ხ ლ ი მქურვალი და ჴმელი არს, სიმქურვალითა ეზიარების ჰაერსა და სიჴმელითა ქვეყანასა ZAB.

სტუქო (+ თუ C) სტვიქო, რომელ არიან ასონი პირველ შედგმულნი. ოთხნი ნივთნი. ეს ასონი არიან CD. ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ.[1]: „სხვად რამცა ოთხ სტუქოსგან დამჴირვად სული სახლსა შინა“ თ ა მ ა რ ი ს ა მ ბ ა ვ შ ი E.

ნ. სტჳქოდ.

[**სტჳნ** ნ. სტუენა].

სტჳნ ნ. ისტჳნვიდა; შდრ. ვისტუენე].

სტჳრი[2] (18, 22 გამოცხ.) სასტვირავი ZA.

18, 22 გამოცხ. B. განუმარტავია CDE.

ნ. ასოსრა, ზურნა, მესტჳრე, ნესტჳ, ყჳროსტჳრი; შდრ. ფსტჳ-რ.

სჳქოდ[3] სტუქოსთან ნახე ZAB.

ნ. გასტჳქებულად.

სუ (9, 1 ესაია) სვი ZAB.

ნ. სმა.

[**სუავთ** შდრ. ფსოუი].

[**სუ(ამ)** ნ. სმა]

[**სუ(ამ)** ნ. ა) დაასო, დასობა; ბ) დასმა, ესუა, მოუსვი].

[**სუარ** ნ. დასუარვა, შესუარე, შესუარვა, შესუარული].

სუარი უქამო ZABCab.

[**სუარი** ნ. ლელუსუარი].

სუბუქი (19, 1 ესაია) მომჩატე. ს უ ბ უ ქ ი არს ლრუბელი, ქარი, სული და მისთანა; მ ჩ ა ტ ე არს ქვა სუბუქი და აგური და მისთანანი; ქ ო ი ე ტ ი არს ნოტიონი, რაც უსუბუქესი იყოს ZAa.

მჩატე (+ 19, 1 ესაია Ab) AbB. მჩატე (+ გინა მალე C) CD. განუმარტავია E.

ნ. აასუბუქე.

სუბუქი (5, 26 ესაია) მალი, სწრაფი ZA.

სწრაფიერით (5, 26 ესაია) B.

სუდა (ბალ.) შვრია ZB.

სუდარი (20, 7 იოანე) მკვდართ სახვეველი ZA.

მკვდართ სამოსი B. მკვდრის სამოსელი C. განუმარტავია DE.

ნ. ვსუდრავ, ვსუდრევდი, ზეწარი, მანშური, მსუდრავი.

სუე[4] [+ უმეცარნი (+ და წარმართნი ZA) იტყვიან ZAB]: სვე არსო მაიძულებელი ძალიო, რათა იძულებული მის მიერ აღესრულებოდეს(ო) ვარსკვლავთა ზედა შობისა მიერ (რა იშვას კაცი B) ZAB.

სვე არსო მაიძულებელი ძალიო, რათა იძულებული მის მიერ აღესრულებოდესო, მაგრამ (+ ტყუილი არს სიტყვა ესე Caq). სვისათვის ნემესიოსის წიგნის 24, 25, 26, 27 თავ-

---

[1] შდრ. ქართლის ცხ-ბა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., II ტ, გვ 23, 2 (სტვქოª).
[2] წყაროშია: „მესტჳრე“, ხოლო ნუსხებში: „სტვირი“. [3] ნუსხებშია: „სტვიქოდ“.
[4] ნუსხებშია: „სვე“.

სა შინა ჰპო(ე)ო C[1]. სვე არს მაიძულებელი ძალი, რათა იძულებული მის მიერ აღესრულებოდეს, ხოლო ბედი შემთხვევითი არს. (+ უკეთუ გინდეს E) სვისათვის ნემესიოსის 24, 25, 26, 27 თავში იძიე (ჰპოო D) DE[1].

ნ. მარმენიო.

სუელი[2] დალტობილი ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. მოუსუელე.

[**სუენ** ნ. სუენება].

სუენება[3] მცირედ დაყოვნება სლვათა, ლაპარაკთა თუ მუშაკობათა ZA.

დაყოვნებ. კხინი სლვათა, ლაპარაკთა თუ მუშაკობათა B. სლვის დაყოვნება, გინა თქმისა (+ გინა მუშაკობისა Cb) C. განუმარტავია DE.

ნ. აასუენე, განსუენება (შაბათ'თანაც), ესუენა, ისუენა, მესასუენებლე, მიისუენა, მოისუენა, მოუსუენე, მუუსუენე, სასუენებელი.

სუეტი[4] (+ 13, 22 გამოსლ. ZA) ბოძი ZABCDE.

ნ. მესუეტე.

სუთი გავის ქონი ანაძრობი ZAB.

გავის ქონი CDE.

ნ. ცხიმი.

სუკი ზურგის ძვლის კორცი ZAB.

ზურგის ძვლის აქათ-იქით კორცი Cb. განუმარტავია CaqDE.

სულა (ბალ.) შაქრის ლერწამი ZABCD

სულადი საზრდო ZAB.

ნ. უსულადი.

სულგრძელება (+ 15, 15 იერემ. ZAa) აუჩქარებლობა ZA.

სულგრძელი (სულგძელი DE) აუჩქარებელი B. აუჩქარებლად მყოფი C. განუმარტავია DE.

ნ. ისულგრძელა.

[**სულეიმანი** ნ. აკატი].

სულელვა ცხენთ დასამშვიდებელი სტვენა ZA.

ცხენთათვის სტვენა დასამშვიდებლად B. სულელვა არს, რომელ-იგი მჭედარნი ბაგეთა წივილებითა ლოქნიდიან ცხენთა, რომელ არს სტვენაები (სტვენა D) CD.

სულელი (25, 2 მათე) გიჟთან ნახე ZAB.

ჰკუა-მოკლე CD. განუმარტავია E.

ნ. მოროს, ლელუსულელი.

სულება[5] ძაღლთაგან წვნის სმა ZAB.

ძაღლისაგან წყლის სმა C. განუმარტავია DE.

სულთამდის სულამდის ZA.

სულამდისინ B.

სულთა-მხუთავი მსოფლიონი სულის ამომქდელს უწოდენ ZA.

გლეხნი სულის ამომრთმეველს უწოდენ B.

სულთქმა (+ 6, 5 გამოსლ. ZA) ამოკვნეშა ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. ისულთქმა, სულის-კუეთა.

სული (+ 2, 7 დაბად. ZA) ნერგნიცა სულიერად ითქმიან (ითქმის B), რამეთუ აქვს მათ მოძრაობისა და აღორძინებითისა და თესლოვ(ა)ნებისა ძალი. ხოლო

[1] ნემესიოსის გამოცემაში დასახელებული თავები უდრიან: 35, 36, 37 და 38-ა.
[2] ნუსხებში: „სველი". [3] ნუსხებში: „სვენება". [4] ნუსხებში: „სვეტი". [5] ნუსხებში: „სვლება".

ს უ ლ ი პ ი რ უ ტ ყ ვ თ ა, რომელ არს სამშვინველი, სისხლისაობითი (სისხლისაობითა AbB) და სიცოცხლით(ი) განმატფელობითი, (+ და AB) მოძრაობითი ნივთიერისა ძალისა მოქმედება და გრძნობის ქონება; ხოლო კ ა ც თ ა ს უ ლ ი — სიტყვიერი, არსება-გონიერი, უსხეულო, უცნაური, სიტყვიერი და უკვდავი, არსება-წვლილი, უსახო, ხატი და მსგავსი ღ~თისა; ს უ ლ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი—(+ ეგრეთვე B) სიტყვიერი და გონიერი (+ არს ZA) და მეორე ნათელი; და ეშმაკნიცა, რომელთა(ცა) თვით დაიბნელეს თავ(ნ)ი თვის(ნ)ი ამპარტავ(ა)ნებითა; და სული—ს უ ლ ი წ მ ი დ ა — დამბადებელი ამათ ყო(ვ)ელთა, პირველი ნათელი და მიუწდომელი; (+ ვიეთთა B) ქარ(ნ)იცა სულად უთქვამთ (ითქმის Ab, აღუწერიათ B) ZAB.

სული გულისხმა-იყოფების (გულისკმა-იყოფების CqDE) ოთხგვარად ს უ ლ ი — სული-წმიდა; ს უ ლ ი — ანგელოზი, სახიერი; ს უ ლ ი — ეშმაკი; (+ და E) ს უ ლ ი — სულიცა ჩვენი. ხოლო არს, (+ სული Cb) ოდესმე გონებაცა სულად ითქვის (+ სული CaqDE) ქარისა, ხოლო განეყოფვის სული სიტყვიერი სულსა პირუტყვთასა: არს ს უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი არსება-გონიერი, უსხეულო და უცხოური, სიტყვიერი კორცთა ცხო(ვ)ელსმყოფელობითი და მდგომარეობისა მიმცემ(ე)ლობითი; სული არს არსება-წვლილი უნივთო, უსახო, ხატი და მსგავსი (მგზავსი E) ღ~თისა; ხოლო პ ი რ უ ტ ყ ვ თ ა ს უ ლ ი არს სისხლისაობითი (+ და C) სიცოცხლითი და განმატფობელობითი და მოძრაობითი ნივთიერისა სულისა მიერ მოქმედება და ძალი ნივთიერი მოქმედებითი და გრძნობითი და კორცთ. შემამტკიცებელობითი CDE.

ნ. დასულავს, დასულება, ვასულე, ვსულგრძელებ, ისულა, მასულა, სასულე, სახლი სულმწარისა, წმიდა სული; შდრ. შევსლბი.

[**სული ანგელოზი** ნ. სული].

სულიერი (+ 1 კორინ. 10, 3 Z) სულიანი ZAB.

ნ. ნათესავი.

[**სულიერი სარგებელი** ნ. სარგებელი.].

[**სული პირუტყვთა** ნ. სული].

სულის დადება სულის გაწირვა ZAB.

სულის დალება დაჩუმება ZABCDE.

სული სიბრძნისა 1, 6 სიბრძნე ZA.

[**სული სიტყვიერი** ნ. სული].

სულის-კუეთა (სულის-კვეთა ZA DE, სულის კუწთა BCab). (+ სულის-კვეთა B, სულის-კვეთაცა CDE) სულისავე (სულთავე D) საქმე არს მოქმედება(ლ), რამეთუ თაგვნი მყესნი არიან გა(ნ)მლებელ მკე(რ)დის(ა) თავთა საკუთართა (საკვითართა D) სულის-კვეთისა(თა) ორღანოთა(სა) და იჩქითი და სულ(ის)-თქმითი სულის-კვეთა დიდთა ზედა წუხილთა ქმნილი აჩვენებს სულთა

მოქმედებასა.[1] [(+ ესეცა განიყოფებიან, რამეთუ ს უ ლ თ ქ მ ა არს შეცოდებულთა მიერ სინანულით სულის-კვეთა; კ ვ ნ ე ს ა არს სნეულისაგან ლმობით სულის-კვეთა; ქ ო შ ი ნ ი არს სირბილით სულის-კვეთა; ე ქ ვ ა არს დიდად მაშვრალისა(ა, მიერ სულის-კვეთა; ა ხ ი ო ს და ო ხ რ ა არს გამწყრალის(ა) მიერი მოუთმენლად სულის-კვეთა ZAa; (+ სულთქმა Ab) ოხრა, ახიოს, ამოჰკვნეშა სულის-კვეთისა ნაწილ(ნ)ი არიან, ხოლო ექვა ქშინვა, ქოშინი დაშრომისაგანი სულის-კვეთანი არიან ZA]. (+ 27 ნემესიოსის თავში ვრცელად იძიე CD; + ვრცელად 27 თავში ნემესიოსის ფილასოფოსობაში იძიე E) ZABCDE.

სული წმიდა (2 ეზრა 9, 30 ZAa; 3, 22 ლუკა Ab) სული წმიდა სული ღ~თისა, რომელი მოგვეცემის ძისა მიერ ალთქმა იგი მამისა, ხოლო წმიდა სული არს სული ანგელოზი და ყო(ვ)ელთა წმიდა(ნ)თა სულნი ZA.

სული წმიდა არს სული ღ~თისა, რომელი მოგვცა ძემან ალთქმა იგი მამისა, ხოლო წმიდა სული არს სული ანგელოზი და ყოველთა წმიდათა სულნი B.

ნ. სული.

სულმოკლე რომელმა(ნ) ვერარა მოითმინოს და მყის შეწუხდეს ZA.

ესე არს, ვერარა თავს-იდვას, მყის შეწუხდეს B. ვერა მოითმინოს რა, გინა ადრე შეწუხდეს Cb. ვერა მოითმინოს რა, გინა ვერა დაიტიოს რა გულში Ca. სწრაფისა Cq. განუმარტავია DE.

ნ. ისულმოკლა.

სულმცირე სულმოკლესავით ZA Cab.

სულმოკლე B.

ნ. ისულმცირა.

სულნელი კეთილი სული უდიოდეს Caq.

შდრ. სუნნელი.

სულტანი დიდს მეფედ ითქმის ZA.

დიდს მეფედ გამოითარგმანება B. განუმარტავია D.

სულუგუნი გარდაზელილი ბრტყელი ყველი ZA.

ბრტყელი ყველი გარდაზელილი B. ბრტყელი ყველი ნაზელი CD. განუმარტავია E.

სულ-შემოსილი (სულ-შემოსილობა C) (+ 9, 7 ოსე ZAa) სულით აღსავსე ZABC.

სუმბული (ბალ.) სხვათა ენაა, ქართულად ნ ა რ დ ი (+ ჰქვიან ZAbB) ZAB.

(ბალ.) სუმბული არაბთა ენაა ქართულად ნ ა რ დ ი ეწოდების (ეწოდება Cq) C. (ბალ.) DE.

ნ. ნარდი 2.

სუმპერაზმა (1 კავშ.[2]) (+ ესე არს CDE) თან(ა)გა(ნ)სავალი გვართა (გვარად CDE) ურთიერთ(ი)ს(ა) კიდურისა(სა) (კიდურთა DE) ZABCDE.

ნ. სუმპერაზმა.

სუნად-სუნნელად 1, 13 ლევიტ ZA.

[1] აქამდის განმარტება აღებულია ნემესიოსიდან (B 120, 3-8). [2] იგულისხმება იოანე პეტრიწის „თარგმანება“ (წიგნი II, 11, 5 — 6).

სუნგალი ფშვინვა და არ(ა)-ძრვა ZABC.

ესე არს ცხოველისა მიერ ფშვინვა და არა-ძრვა D

სუნდიქსი გ უ ჯ ა რ შ ი[1]: „ფილონი 1 სუნდიქსი(სა), 1 ოქსინო(სა), 1 საკარმანგისა (სკარიმანგისა D)" ZABCD.

სუნება ყნოსა ZAB.

იყნოსოს Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. დასუნება.

სუნელი ნ. სუნნელი.

სუნთქვა (სუნთქუა Cb) სულისქვეთა ZAB.

უკუსუნთქვა CDE.

სუნი სუნ(ნ)ელთან ნახე ZAB.

ყნოსა ფშვისა თუ სიმყრალისა Cb.

ნ. ძნელსუნობა.

[**სუნიდისი** ნ. სვნიდისი].

სუნნელი (სუნელი BCb) (+ კეთილი სუნი აქვნდეს. სუნელი Cb) მრავალთა (+ სუნნელი B) ს უ ლ ნ ე ლ ა დ ალუწერიათ, არამედ არა ეწოდების (ეწოდებიან BCb) სულნელი, არამედ სუნ(ნ)ელი, ვინათგან სული ეწოდების სულსა კაცისასა, ხოლო სახელი სუნ(ნ)ელისა არს სუნი, ვინათგან უსუნებთ და ვისუნებთ საყნოს(ე)ლითა, რომელსამე ავი სუნი უვა (+ და ZA), რომელსამე კეთილი სუნი და ნელი ZABCb.

შდრ. სურნელი.

სუნტაქსვა (აუნტაქსვაა B[2]) სვინტაქსვა. (+ ერთი ოთხთა თავთაგანისა ღრამმატიკისა მესამე, რომლისა მიერ გვესწავებიან სიტყვისა შეთხზით წყობილობანი Z) ZAa.

განუმარტავია Ab. ესე არს 3 თავი ღრამმატიკისა და ამის მიერ ვისწავებთ სიტყვის დაწყებით შეკრებასა B. ს ხ ვ ა კ ა თ ი ლ.[3]: „ვითარ სახელ(ა)ცა დასასუნტაქსებელად. მერმე ვითარცა ჩვენდა მომართ პირველობა (პირველება BCD) არიან თანადმდებარენი განსაზღვრებისა მიერ შესწავებულნი, ვინაჲ ღალა(ცა)თუ არა სხვებრ (ხვედრებ CD) ასუნტაქს(ვ)ა" ZABCD.

ნ. ასვნტაქსვა.

[**სურ** ნ. გსურიან, გსურის, ვისურვო, მამასურვა, მოისურვა, მოსურნე, სასურველი].

სურა ილექროს საღვინე ZAB.

ვეცხლის საღვინე C. განუმარტავია DE.

[**სურა** ნ. დევსურა].

სურავანდი ZABCD.

[**სურგრძელი** ნ. სული].

სურდო (6 ნემეს.[4]) საყნოსელის სენი ZAa.

განუმარტავია AbBCD.

ნ. კატარა.

სურეულნი ბეგარი ZAa.

სურვა (ხე) ZABCDE.

სურვიელი (15 სიბრძნე) ZAa.

სურვილი შეყრის წადილი ZAB.

ნდომა შეყრისა C. ნახვის ნდომა DE.

---

[1] D-ში წყარო დასახელებული არ არის. [2] B-შიც თავდაპირველად განსამარტი ყოფილა: „სუნტაქსვა", რაც მერმე გადაუსწორებიათ. [3] შდრ. A — 260, 77 r, 10. [4] იგულისხმება ნემესიოსის „ბუნებისათჳს კაცისა" (გვ. 74, 3).

ნ. სასურველი.

სურმა სხვათა ენაა, მოსაქდომს სურმას ქართულად ს ა ო ლ ა-ვ ი ეწოდების (ეწოდება B) და სამკურნალო საოლავს — კ ო ლ-ლ უ რ(ი)ო ZAB.

სურნელი მხალნი სუ(ნ)ნელნი შენაყილნი ZAB.

კეთილსაყნოსელი Cab. განუმარტავია CqDE.

შდრ. სუნნელი.

სურო (ხე) ელიანდრე, ზმილაკი ZAaCD.

(ხე) ელიანდრე AbBE.

შდრ. სურვა.

სურსუტი შეურაცხი (1 მეფ. 1, 16) Ca.

სურწყუნისა ფებერვალი ZABC DE

ნ. ფებერვალი (თთუე'სთანაც).

სუსტი[1] (+ 8, 27 დანიელ ZAa) უსუსური ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. დასუსტება.

სუსუნატი ავმუცელი ZAB.

მალმომშევი CD. განუმარტავია E.

სუსხი მცირე(დ) დაზრობა ZAB CD.

დაზრობა E.

ნ. მოსუსხვა, სიცივე, ცივი.

სუსხუნი გატყორცის ჴმა ZAB.

გატყორცილის ჴმა C. განუმარტავია DE.

სუფევა (+ 3 მეფ. 6, 1 ZAa) მაღალი მეფობა ZA.

მეფობა მაღალი B. მეფობა დიდი CD. განუმარტავია E.

ნ. სასუფეველი.

სუფთა განწმედილსავით ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. წმიდა.

სუფრა სპარსთა ენაა, ქართულად ტ ა ბ ლ ა ჰქვიან ZA.

სპარსთა ენითა არს, ქართულად დ ა ს ტ ა ხ ა ნ ი ჰქვიან B. ტაბლა CD. ესე სუფრაც ითქმის ქართულად. არამედ სხვა ენად ჰგავს და ქართულთა ენა ტ ა ბ ლ ა ს ა უწოდს E.

[**სუქ** ნ. მსუქანა, მსუქანი, ნასუქარი].

სუქური (ქართლის ცხ.) საჩრდილობელი შესაკეცელი ZAa.

საჩრდილობელი შესაკეცელი, ქოლგა Ab. თავს-სადგმელი ქოლგა სამეფო (ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო რ ე ბ ა: ლ ა შ ა ს შ ვ ი ლ ი ს დ ა ვ ი თ ი ს) B.[2]

ნ. სატები.

სუჭი ნახშირი ZABCab.

სუხსური (ფრინ.) დიდი იხვი ZAB.

(ფრინ.) CDE.

სჳინემზა ნ. სჳნემზა.

სჳლლოგგიზმოსანი[3] ესე შესიტყვა რამე არს, ვითარმედ შეყრა სიტყვათანი ZAB.

(+ 2 კავშ. Cb [4]) სჳილლოგგიზმოსანი და სჳილოგიზმოსი შესიტყვა არის, ვითარმედ შეყრა რამე არს სიტყვათა CD. სჳილლოგგიზმოსანი რომელ არს თანაშესიტყვა E.

---

[1] წყაროშია: „დავსუსტენ", [2] წყაროს დასახელება A-ში გადახაზულია, შდრ. ქართლის ცხ-ბა, II, გვ. 222, 71; 230, 13. [3] ნუსხებშია: „სჳილლოგგიზმოსანი". [4] იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება (წიგნი II, გვ. 22, 5); წყაროშია: „სჳლლოგიზმოსანი".

სჳლოგიზმოს[1] იგივე ZAB.

სჳმპერაზმა სუმპერაზმა ZA.

სუმპერაზმა'სთან ნახე B.

სჳნაქსარი[2] შეკრება ZABCD.

რომელ არს კრება E.

[**სჳნაღორი** ნ. დასჳნაღრება].

სჳნაღროსი[3] ვაქილი, (+ სჳინოღროსი ბერძულია ZAa) ZAB.

სჳინაღროსი არაბულად თ ა ნ ა მ ო ს ა რ ჩ ლ ე დ გამოითარგმანების, რომელსა მესხნი ვ ა ქ ი ლ ა დ (ვაქირად D) უწოდენ CD[4].

სჳნგელოზი[5] მოწესეთ მოციქული ZABCa.

განუმარტავია Cbq.

სჳნდიკოზანი[6] მომნათლავი ZAB CD.

ნათლია თუ სჳინაა E.

სჳნდიმოს[7] (სჳინდიმოს ZAB, სჳინდიმო CDE) სუნდიმო(ს) 4 ნ ე მ ე ს.: „(+ რამეთუ CD) ტუნონ(ნ)ი ორთაგან არს: სჳინდიმო(ი)საგან (სჳინდიმოსისაგან Cb) და ძარღვებრივთა ინოთაგან“[8] ZABCD.

[4] ნ ე მ ე ს ი ო ს: „ტუნონი სჳინდიმოსაგან არს“[7] E.

სჳნემბა[9] ქვეშეთას ღრამმსა უწოდენ —, ესევითარსა B.

სჳნიდისი[10] (+ 1, 4 ზირაქ ZAa) სუნიდისი. (48 კათილ.[11]) მამხილებელი გონება ZA.

მამხილებელი გონება, სჳინიდისი (48 კათილ.) B. მამხილებელი გონება CD. ს ჳ ი ნ ი დ ი ს მამხილებელი გონება არს E.

სჳნქელი[12] სჳინგელოზივე ZAB.

სჳინგელოზივით Cb. ი ო ვ ა ნ ე მ ო წ ყ ა ლ ე: [13] „სჳინქელი თუ ვისი აქვნდეს თანა-მლოცველად“ CaqD[14].

სჳნკლიტიკოსი (სჳინკლიტიკოსი ZABCD, სჳინკლიტიკოსი და სჳინკლიტობა E) ტაძრეული, დარბაზის ერი Z.

ტაძრეული, დარბაისერი AB. სჳინკლიტიკოსი და სჳინკლიტობა არიან ტაძრეულნი, რომელ არიან დ ა რ ბ ა ზ ი ს ე რ ნ ი, (დარბაისელნი D) გინა მთავარნი CD. რჩევის მოქმედნი; ტაძრეული, რომელ არს დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი E.

სჳნკლიტობა[15] ტაძრეულობა ZAB.

[**სჳნტაქსვა** ნ. სუნტაქსვა].

სჳნღარი[16] ზღვით ქეთილ გზათა მსინჯავი B.

სჳრინგება[17] (13, 30 ლევიტ.) უკეთუ კაცსა, რომელსა ზედა იქმნას მათ შორის ნიშები, იგი ქ ე თ რ ო ვ (ა) ნ ე ბ ი ს ა ჲ არს, ხოლო რომელსამე ზედა ტყავისა შინა მისსა წყლული კორცი დამწვარი ცეცხლითა, იგი ს ჳ ი რ ი ნ გ ე ბ ა ჲ არს ZA.

---

[1] ნუსხებშია. „სჳილოგიზმოს“. [2] ნუსხებშია: „სჳინაქსარი“. [3] ნუსხებშია: „სჳინაღროსი“. [4] გამოკრებილია ეფრემ მცირის „სამოციქულოს თარგმანებიდან“ (იერუს. № 16). [5] ნუსხებშია: „სჳინგელოზი“. [6] ნუსხებშია: „სჳინდიკოზანი“. [7] წყაროშია: „სუნდისმოძსაგან“. [8] იგულისხმება ნემესიოსის „ბუნებისათჳს კაცისა“ (გვ. 59, 16—17). [9] ნუსხაშია: „სჳინემბა“. [10] ნუსხებშია: „სჳინიდისი“. [11] შდრ. S — 1453, 99 r. [12] ნუსხებშია: „სჳინქელი“. [13] შდრ. A — 199, 33 v. a 1. [14] Cb-ში წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია. [15] ნუსხებშია: „სჳნკლიტობა“. [16] ნუსხაშია: „სჳინღარი“. [17] ნუსხებშია: „სჳირინგება“.

სჳრინდება[1] ესე არს სამოსელთა ანუ კედელთა სხვა ფერი ალმოჩნდეს, რომელსა მსოფლიონი ზ ა ყ ა მ ს უქმობენ, ვითნი ლ ა ქ ა ს B. (+ სჳრინდებისა მრავალი გამოცემი D). ლათინურს ლექსიკონში ლ ა ქ ა დ გამოითარგმანა, ხოლო ელლენურს ლექსიკონში გ ა (ნ) რ ყ ვ ნ ა, განა ს ნ ე ბ ა, გინა ს რ ვ ა, რომლისათვის დავით ილოცა და დაეყენა(ო), (+ მაგრამ ლათინური უფრო მემართლება C) CD. სიქაჩლე E.

სჳსტატიკოსი[2] სამოწმო უსტარი ბეჭდებიანი ZA.

მოწმებიანი უსტარი B. [მოწმობის წიგნი, თუ გეჯარლამა] (!) Cb.

ნ. წერილი.

სფარი ტაგარი ZABCDE.

ნ. მენა.

სფარღტიიგსა შინა ესე იგი არს, მსაჯულთა წიგნსა შინა B.

სფერო (სფერო და სპირა D) ესე არს სიმგრგვლე ცათა და მსგავსი მისი, რომელი ყოელთ (ყოვლით A) კერ'ო მრგვალ იყოს, არა მხოლოდ ზედით, არამედ ქვედათაცა, რომელი იყოს მიზეზი ერთიმეორისა: სადა იწყოს, მუნვე დასრულდეს და, სადა დასრულდეს, მუნვე იწყოს ZA.

სფერო ეწოდების სიმგრგვლესა ცის მსგავსსა, რომელი ყოვლით კერძო მრგვალ იყოს არა მხოლოდ ზედათ, არამედ ქვედათაც, რომელი იყოს მიზეზი ერთიმეორისა: სადა იწყოს, მუნვე დასრულდეს და, სადა დასრულდეს, მუნვე იწყოს B. სპირა. ს ფ ე რ ო ეწოდების სიმგრგვ(ა)ლესა ცის(ა) მსგავსსა, რომელი იყოს მიზეზი ერთიმეორისა: სადა იწყოს, მუნვე დასრულდეს (+ და სადა დასრულდეს C), მუნით იწყოს. ს ფ ე რ ო (+ მას D) ეწოდების, რომელი ყოვლით კერძო მგრგვალი იყოს, არა მხოლოდ ზედათ, არამედ ქვედათ(ა)ცა CD. ს ფ ე რ ო ეწოდების სიმგრგვლესა ცის მგზავსსა, რომელი იყოს მიზეზი ერთიმეორისა: სადა იწყოს, მუნვე დასრულდეს და სადა დასრულდეს, მუნით იწყოს, ვითარმედ ს ფ ე რ ო უწოდიან მერძელებ ესევითართა ქმნულებასა კუმბათისა და კამარისასა, რომელი ყოვლით კერძო მრგვალ იყოს, არა მხოლოდ ზედათ, არამედ ქვედათაცა E.

ნ. ისფერებს, ისფეროებს, სპირა, უკუნისფრა.

სფინლო (სფინლოს Caq) უგვამო რამ არს (რამეა ABCb) ვითარცა კენტავროსი ZABCb.

უგვამოა, ვითარცა კენტავროს(ი) Caq.

ნ. ტრიხონი.

სფირიდი (+ 15, 37 მათე ZA) ჭურჭელთან ნახე ZAB.

სფირიდი არს ჭურჭელი ნართხაზი ჭილთაგან და ბაიასა(გან) და ხის ქერქისაგან; ზამბილი, ზმილაკი და ყოველივე თხზული Cab. ზამბილი CqD. ხისა E.

სფირმიგლოსი (ეკატერინას მეტაფრასი[3] (+ სფირმიგლოსი E) ფილასოფოსსა(ვით) და რიტორსავით (რიტორივით CbD) რამ არის, შეამოწმე(თ) ZABCDE.

სქდა დასქდა ZA.

განს(თ)ქდა BCab. განუზიარდაგა CqDE.

---

[1] ნუსხებშია: „სჯერინდება“. [2] ნუსხებშია: „სვისტატიკოსი“. [3] შდრ. H—1347, 435 v, ხ 6.

ხქდება Cb.
ხქდომა ფრეწა B.
ხქელი (+ ესე ZA) სქელი ითქმის ნოტიოთა (+ და ZA) სისხლთა და წვენთათვის, ხოლო ზრქელი ყოვლისა სხეულიანისათვის და გაუმჭვირვალისათვის (გაუმჭვირვალთათვის B) ZAB.
განუმარტავია CDE.
ნ. ზრქელი, მუასქელე.
ხქესი (+ სქესი B) რომელ არს თანა-მინახეთქი, ანუ თანა-მიეგრობა. სქესი არს ვითარცა კიბე რამე, გინა ნიშანი რამ(ე) გამყოფელი, ვითარცა განეყოფ(ვ)ის ალსავალი შთასავალსა სქესითა, უკეთუ ჭელოვნებისა მიერ, ვითარ-იგი მოძღვრისაჲ მოწაფისა მიმართ, ანუ (+ თუ B) ბედისა მიერ, ვითარ-იგი მეფისაჲ მონისა მიმართ, ანუ წინა-ალრჩევისა მიერ, ვითარ-იგი მოყვსისაჲ მოყვსისა მიმართ, ანუ ბუნებით, ვითარ-იგი მამისაჲ ძისა მიმართ; ხოლო აწ თქმულთა ამათ სქესი ბუნება არს [1] ZAB.
სქესი რომელ არს თანა-მინახეთქი ანუ თანა-მიეგრობა, ხოლო თუ თანა-მიეგროს, თანა-იქცეს და თანა-ივხოს. ხოლო სათანადო არს ცნობად, ვითარმედ სქესი ითქმის ანუ ჭელოვნებისა მიერ, ვითარ-იგი მოძღვრისაჲ მოწაფისა მიმართ; ანუ ბედისა (ნებისა D) მიერ, ვითარ-იგი მეფისაჲ მონისა მიმართ; ანუ წინა-ალრჩევისა მიერ, ვითარ-იგი მოყვსისა მიმართ; ანუ ბუნებითი, ვითარ-იგი მამისაჲ ძისა მიმართ. ხოლო აწ თქმულთა ამათ სქესი ბუნება არს (+ სქესი ნიშანი რამე არს განყოფათა Cab), ხოლო განეყოფვის ალსავალი შთასავალსა სქესითა მხოლოთა[2] CD. სქესი რომელ არს თანა-მინახეთქი, ანუ თანა-მიეგრეობა. ხოლო თუ თანა-მიეგროს, თანა-იქცეს და თანა-ივნოს. სქესი სულისა, რომელ არს დანახეთქი E[3].
ხქეტი (სქეტი, ასქეტო CD) (8 კავშ.[4]) დაუპყრობელი ZAB.
[(8 კავშ.[4] Cb; 3 კავშ[5].) ასქეტოსთან ნახე C]. „არცა ვითარ რიცხვთა შორის, არამედ ოდენ გვარ და (გვარად C) მხოლო და ბუნება, რამეთუ უსქეტო არს, ხოლო ხუთი რიცხვსა შორის იხილვების სქესსა და მწყობრსა სათვალავთასა (სათვალავისასა C)". CDE.
ნ. ასქეტო, უსქეტო.
ხქიდიანობა კავშირის ბოლოს[6]: „შეპყრობანი მრავალ-სქიდიანობისა ნივთთასა" ZAB CE.
ახვა კითილორია: „შეპყრობანი მრავალ-სქიდიანობისა ნივთისა" D.
ხქიმა (სქიმაჲ E) ბერძულია, ნაკვეთს ჰქვიან ZAB.
ნაკვეთი. სქიმა ეწოდების ნაკვეთსა, ხოლო მონაზონნი რა შეიმოსენ სქიმასა (სქემასა Cn), ჯერ-

---

[1] შდრ. A — 250, 85 r-v, [2] უმთავრესად ეს განმარტება აღებულია ი. პეტრიწის „თარგმანებიდან" (წ. II, გვ. 161, 16-17) და ამონიოსის წიგნიდან „მოსაჴსენებელი ხუთთა ჴმათადმი" (A — 250, 85 r-v). [3] ამოღებულია ი. პეტრიწის „თარგმანებიდან" (წ. II, გვ. 161, 16-17 და 214, 20-21). [4] ეხება ასქეტოს. ნ. იოანე პეტრიწის „თარგმანება" (წიგნი II, 35, 10). [5] იქვე (გვ. 24, 18 — 20). [6] შდრ. ი. პეტრიწის თარგმანება. (წიგნი II, გვ. 212, 10).

არს განიკვეთოს მსოფლიოთა საქმე-
თაგან CD. სქიმაჲ, რომელ არს ნაკ-
ვეთი E[1].

სქოვილე[2] (გამოსლ. 36, [35—37]) CaqDE.

[**სქოლასტიკოსი** შდრ. ქოლასტი-
კოსი; ნ. სხოლასტიკოსი].

სყიდვა მოსყიდვა (+ და Ca) გას-
ყიდვა ZABCa.

განუმარტავია CqDE.

ნ. განმსყიდელი, მსყიდველი,
ნასყიდი, სასყიდელი, უსასყიდ-
ლო; შდრ. ყიდ.

სყიდული ნასყიდი ZAB.

სჩმახავს ცუდს უბნობს ZAB.

სცა მისცა; ს ც ა — სცემა. (+
ს ც ა — ჰფარა ZAa) ZAB.

სცავს ჰფარავს ZAB.

ჰფარავსავით Cab. განუმარტავია CqDE.

სცარავს Cb.

სცბოდიან ემცდენელებოდიან ZAB.

ემეცთუნლებოდიან Cb. განუმარტა-
ვია Caq.

სცდილობს Cb.

სცევდა Cb.

სცემდა Cb.

სცემდეს Cb.

სცემდი Cb.

სცეხუავს[3] Cb.

სცოები Cb.

სცლავაგ Cb.

სცნობ Cb.

სცნობდიან იცნობდიან, გინა აგრ-
ძნობდიან Z.

სცნობენ აგრძნობენ, გინ[ა] [იცნო]ბენ Z.

სცნობს იცნობს, გინ[ა] აგრძნობ[ს] Z

სცოხნი Cb.

სცრის Cb.

სძალი (38, 24 დაბად.) ძის ცო[ლი];
ს ძ ლ ა დ ვ ე ითქმის მაზ[ლ]...
გან ძმის ცოლი; ს ძ ა ლ ი [არს]
ქორწილოსანი ქალი; ს ძ ლ[ად]
ქრისტესა ითქმის უბიწონი სუ[ლ]-
ნი ქალწულთანი (+ 25, 1 მათ.
ZAa). ს ძ ლ ა დ იწოდებ[ის] [ე]-
ლესია ქება-ქებათა შინა; ს[ო]-
ბიძის ცოლსა არა ეწოდ[ების]
სძალი, არამედ ნ უ ს ა დ ი ა ZA

ძის ცოლი. ს ძ ა ლ ი არს [ქორწი]-
ლი; ს ძ ლ ა დ ითქმის მა[ზლ]...
ძმის ცოლი; ს ძ ა ლ ი არს ქ[ორწი]-
ლოსანი ქალი; ს ძ ლ ა დ ...
ქრისტესი უბიწონი სულნი ქალწულ-
თანი; ს ძ ლ ა დ იწოდების ეკლ[ესია]
ქება-ქებათასა შინა; ხოლო ბი[ძის]
ცოლსა არა ეწოდების სძალი, ა[რა]-
მედ ნ უ ს ა დ ი ა B. ძის ცოლი C[b].
რძალი CaqD. განუმარტავია E.

შდრ. მძლიოხნი, რძალი; [ნ.]
უსძლოო.

სძგერებია Cb.

სძე (+ 1 კორინ. 9, 7 Z) ეწოდე-
ბის ცხო(ვ)ელთა ძუძუთა ნადი-
ნებთა, ხოლო რ ძ ე—მისსა მსგა-
ვსსა ლელვისა და რძიანისა და
მისთანანათასა ნაწვეთსა ZA.

ს ძ ე ეწოდების ცხოველთა ძუძუთ
ნადინებსა, ხოლო რ ძ ე—მისა მსგავ-
სსა ლელვთა და რძიანთა და მის-
თანათა, ხეთა და ბალახთა ნოტიოთა

---

[1] E-ს განმარტება ამოღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (წიგნი II,
გვ. 11, 3). [2] წყაროში (36-ე თავში) მხოლოდ „ქსოვით“ სიტყვა გვხვდება, „სქოვილე
შეცდომა ჩანს. [3] ნუსხაშია: „სცეხვავს“.

ნაწყეთთა B. რძე CD. განუმარტავია E.

ნ. განსძეება, განსძეებული; შდრ. რძე.

სძინავს Cb.

სძლის და რძლის და Cb.

სძმობს Cb.

სძრახავს Cb.

სძულს Cb.

სძულხარ Cb.

სწავლა არს, რაჲ(ც) არა იცოდეს, უთხრას და სწვართოს (+ 13, 9 ეზეკ. ZAa). ს წ ა ვ ლ ა არს ქადაგება, ხოლო სხვა ს წ ა ვ ლ ა არს საკანონოდ შოლტის მიღება, ვითარცა წერილ არს 2, 12 ფსალმ.; 23, 16-22 ლუკა: „ვსწავლო ეგე და განუტეო" ZA.

სწავლა არს, რაჲ არა იცოდეს, უთხრა და სწვართო. ს წ ა ვ ლ ა არს ქადაგება, ხოლო სხვა ს წ ა ვ ლ ა არს შოლტის მიღება, ვითარცა 2, 12 ფსალმუნში, გინა 23, 16-22 ლუკას: „ვსწავლო ეგე და განუტეო" B. სწავლა არს, რომელი არ იცოდეს და ასწაოს საქმე რამე, გინა ქადაგება Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. ასწავა, ასწავლა, დაასწავლა, დღესასწაული, ესწავა, ესწავლა, ვსწავლი, ვსწავლიდი, ვსწავლო, ისწავა 1, მოასწავა, მოსასწავებელი, მოსწავება, წინასწარ მოსწავება (ხრიზმო'სთან), მცნება, ნასწავები, სასწაული, შესწავება, შესწავებული. შესწავლა.

სწავლობს Cb.

სწამლობს Cb.

სწამობს ეწამება რასმე ZA.

ავს რასმე ეწამები B.

[სწარ ნ. დასწრება, დასწრობა, სწრობილი, უსწრო, შეუსწარ, წარუსწრო, წასწრება].

სწევს Cb.

სწერია Cb.

სწვები Cb.

სწირავ Cb.

სწკუნპლავს Cb.

სწმახნი Cb.

სწნეხს Cb.

სწოვს Cb.

სწონს Cb.

[სწორ-გვერდი ნ. კუოდ].

სწორე არა-მრუდი ZAB.

ნ. წრფელი.

სწორი მისთანა ZABCa.

მისთანა, გინა უმრუდო Cb. განუმარტავია CqDE.

ნ. სასწორი (ზოდიაქო'სთანაც), სასწორიო, სიტყუა, შეუსწორე, წამი სასწორისა, წრფელი.

[სწორ-წვივედი ნ. გუერდი 4].

[სწორ-წყვილედი ნ. გუერდი].

სწრაფა (15, 8 იერემ.) სიმალე ZAa.

[სწრაფად ნ. ფიცხლავ].

სწრაფი სიცქაფის მოქმედი ZA.

ცქაფობის მოქმედი B. მყისობითი Cab. განუმარტავია CqDE.

ნ. ანაზდი, ასწრაფა, ასწრაფება, ასწრაფებდა, ესწრაფა, ისწრაფა, მოსწრაფე, მსწრაფლ.

სწრახნი Cb.

სწრობილი დასწრობილი ZAB.

სწუნობ Cb.

სწუნობს ნაკლებად უჩნს ZAB.

სწუხხარ Cb.

სწყალობ Cb.

სწყევლი Cb.

სწყევლის Cb.

სწყინობ Cb.

სჭამ Cb.

სჭამე Cb.

სჭამს Cb.

სჭედ Cb.

სჭვირს ნ. სჭჳრს.

სჭიდავობ Cb.

სჭიმავ Cb.
სჭირს ზნედ აქუს ZAB.
 განუმარტავია CaqDE.
სჭმუნავ Cb.
სჭორავ Cb.
სჭორავს ჭორს ამბობს ZAB.
სჭრის Cb.
სჭურეტს უმზერს ZAB.
სჭვრს[1] Cb.
სჭყრტიალებ Cb.
სჭყუნავ Cb.
[**სხ** ნ. ა) გამოვისხენით, განასხა, დაასხა, დასხმა, დასხნა, კილოს დასხმა, მოსხმა, მსხმელი, ნასხამი, რუსხმული, სხმა 2, 3, ჩამოსხმა, წ[illegible]ხმა, ქელის დაასხმა; ბ) სხმა 1, 4; გ) შემასხმელი, შესხმა].
[**სხალ** ნ. სხლვა].
სხალი (ხე) ZABCDE.
სხამი შხამი ZAB.
 შდრ. შხამი.
სხაპა-სხუპი ჩქარა(დ) და ზედიზედ თქმა, გინა (თუ Ab) წვიმაჲ ZA
 ჩქარად და ზედაზედ B. განუმარტავია CDE
სხარტი სამწყერათ ჯოხი კაპედი ZAB.
 განუმარტავია CDE.
სხდა (3 ეზრა 9, 45) იჯდენ ZAa.
სხდებიან Cb.
სხდებით Cb.
სხდომა მრავალთ ჯდომა ZAB.
 განუმარტავია CDE.
 ნ. ნასხდომი, სხდა, სხენან.
სხენან სხედან ZAB.
სხეპა გარდაკაფვა ZAB.
 წაკაფვა (+ სხლვა Cb) CDE.
 ნ. ვსხეპ, ვსხეპდი, ჩანასხეპი.

სხეპლა (39, 3 გამოსლ.) ესე არს ოქროსა და ვეცხლის თმა გაბრტყელებული, რომელსა სპარსნი მ უ ყ ა ი შ ს უწოდენ ZAB
 ოქროს თმასავით ბრტყელი (ბრტყელი მუყაიში D) CD
 ნ. ოქროს-თმა.
[**სხერკ** ნ. სხირკ].
[**სხერტ** ნ. ისხერტი, სასხრტოჲ. შდრ. სხლეტა].
[**სხეულეანი** უსხეულო ნ. ნათესავი].
სხეული (+ 12, 4 ლევიტ. ZA) საჯმარ არს ცნობად, ვითარმედ წ ე რ ტ ი ლ ი ურაოდენო არს, რამეთუ არა აღირიცხვის (აღირაცხვის C) (+ და ZAB) არცა განიზომების, ვინადგან არა აქუს არცა ერთი განფენილობაჲ; ხოლო ღ რ ა მ (მ) ს ა, რომელ (ღრამმი C) არს ხ ა ზ ი, აქვს ერთი განფენილობაჲ, რამეთუ არს იგი სიგრძე უსივრცოჲ და ესე შერწყმითად (შერწყმულად ZAB) რაოდენობად აღიყვანების, რამეთუ ერთობისა (ერთისა ZAB) მქონებელი განიზომების; ხოლო ე პ ი ფ ა ნ ი ა (ჲ), რომელ (ეპიფანია C) არს ს ი ფ რ ი ფ ა ნ ა, არს გარეგნით(ი) კერძი (კერძო ZAB) სხეულისაჲ და საჩინოჲ და აქვს ორ კერძო(ვე) განფენილობაჲ: სიგრძედ მიმართ და სივრცედ; ხოლო ს ხ ე უ ლ ს ა ჰქონან სამ(ნ)ი განფენანი: სიგრძე(დ), სივრცე(დ) და სიღრმე(დ),

[1] ნუსხაშია: „სჭვირს“.

რომელ. არს სიზრქე, და ერთობისა მქონებელი განიზომების. და კერძოთა მისთა აქვს ზოგადად საზღვარი შემარწყმელად მათ(დ)ა ეპიფანიაჲ. ხოლო უსხეულო არს, რომელსა არარა აქვნდეს ამათგანი არცა ერთი საზომი და სიზრქე და რაჲც-რავე. სრულიად (+ გენეზოს C) კათიღორიას 33 თავში იძიე რაოდენობისათვის (განყოფილებისათვის ZAB) თქმულში (თქმულები Cab[1]) ZABC.

სხეული არს შემზადებული და ყოელი (ყოვლად D) განფენილი სამკერძო(ვე), ესე იგი არს, რომელსა აქვნდეს სიგრძე, სივრცე და სიღრმე (+ რომელ არს სიზრქე D) CD.

ნ. რაოდენობა, უსხეულო, უსხეულსაქმეთ.

სხეულის-მცველი (სხეულის-მცუელი B, სხეული-მცუელი Ca. სხეულის-მცველნი D, სხეულისა-მცველი E) ესე არიან კაცნი შეჭურვილ(ნ)ი მეფისა (მეფესა B) თანა მარადის მყოფნი, რათა ბოროტი ვერ(ა)ვინ იკადროს ZAB.

ესენი არიან კაცნი შეჭურვილნი მარადის თანამყოფნი მეფეთა და მეპატრონეთა თანა, რათა არავინ იკადროს ბოროტი უფალთა ზედა CD. თავსმდევნი მარადის შეჭურვილნი E.

სხვა ნ. სხუა.

[**სხვა ღომორი** ნ. ღომორი].

სხვენი ნ. სხუენი.

სხვეპა ნ. სხუეპა.

სხვილბარკალი ნ. სხვლბარკალი.

სხვილი ნ. სხვლი.

სხვირპლა ნ. სხჳრპლა.

სხივი (+ ესე არს B) მზისა, ვარსკვლავთა (+ და ZA) მნათობთა გარშემო განფენილი ბრწყინვალება(ჲ) ZAB.

სხივი არს მზისა და მნათობთა და ვარსკვლავთა გარეშემო განფენილი ბრწყინვალება CD. მზისა და ვარსკვლავთა და მნათობთა განფენილს ბრწყინვალებას ეწოდებიან E.

ნ. დასხივება, შესხივებული.

სხივილი შხივილი ZAB.

[**სხირკ** ნ. შესხირკვა].

სხირპვა გაჭიმვა თუ დაჭირება ZAB.

გაჭიმა, გინა დაჭირება C. განუმარტავია DE.

ნ. განსხირპვა, დასხირპვა, მსხირპანე.

სხირტლი შტოების წვრილი წანაკაფი ZAa.

სხლეტა დასხლეტა არს, რა ერთი რამ უნებურ(ად) გაეარდნასავით რამ იქნას, გინა თვით სასხლეტი დასხლიტოს; ასხლეტა არს, რა ნასროლი ადგილს (რასც B) მოხვდეს, (+ და ZA) იქიდამ გაექანოს და სხვაგნით წავიდეს; მოსხლეტა არს ფერჴი თუ რაჲც(ა) რაზედაც მოუცორდეს ZAB.

სხლეტად ითქმის ყინულთა ანუ თიკათა (თიკათა Cg) ზედა ანუ სველთა კორდთა ზედა ფერჴის(ა) მოსხლეტა და მოცორება, გინა მარტაცთა და

[1] იგულისხმება იოანე დამასკელის შრომის I ნაწილი, ე. წ. კათიღორია ანუ დიალექტიკა (S — 1463, 48 v).

რველისა მაგავსთა ზედა რისაცა მო-
ცორვება C. განუმარტავია DE.

ნ. ასხლეტა, გასხლეტა, დასხ-
ლეტა, ისხლეტდა, მესხლეტი, მო-
სხლეტა, ნასხლეტი; შდრ. სხერტ.

სხლვა (2, 12 ქება) რტოთ მოკვე-
თა ZAB.

განუმარტავია Cb.

ნ. გასხლვა, ნასხლევი, სასხლე-
ვი (დანა'სთანაც).

სხმა ხილთ მრავლად ბმა ZAB.

ხილის ბმანი (+ გინა წყლის დასხ-
მა Cb) C. განუმარტავია DE.

ნ. მოსხმა, მსხმელი. მსხმო.

სხმა შვილთ ყოლა ZAB.

ნ. [illegible], მსხმელი; შდრ.
ესუ[illegible]

სხმა წყლით დასხმა ZAB.

სხმა საკუხთა და წამოსასხამთ წა-
მოსხმა ZAB.


[1] აქედან Cq ხელნაწერს აკლია ფურცელი.

მრავალგზის სახითა რათამე წინა განგებისა(დ)თა[1] ZABCDE.

ნ. აქმა, აქმნია, აღმოქმნა, აღმ-ქმნელი, გაკუეთილის შექმნა, გა-ნიქმნა, ემოქმედა, ეუქმა, ვაქმნიე, ვაქნევინე, ვიქ, ვიქმენ, ვიქნები, ვმოქმედობ, ვსაქმობ, ვსაქმობდი, იმოქმედა, იუქმა, იქ 1, იქმნა, იქ-ნა, იქნება, იქნებოდა, მექმე, მიქ, მიქმ, მიქმნა, მოსაქმე, მოუქნელი, მოქმედება, მოქმედებითი 1, 2 (ძა-ლით'თანაც), მოქმედი, მოქნა, მუ-ცელქმნული, მქმნელი, მქნელი, ნასაქმი, ნაქმარი, ნაქნარი, საქმე (საშუალო'სთანაც), უკუიმოქმე-დოს, უსხეულსაქმეთ, უუქმეს, უქველისმოქმედე, უქმელი, უქმი, უქმნოდ, უქმობა, ქველისმოქმედი, ქველის-საქმე, შემოქმედებითი, შემოქმედი, შემქნელი (მამა'ს-თან), ძვრის-მოქმედი, ჴელთ-მოქ-მედება, ჴელით-ქმნული; შდრ. ქნა.

ქ~ნ ქარაგმით ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ ZA.

ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ ქარაგმით B.

ქნა ქმნა ZAB.

ქმნასავით C. განუმარტავია DE.

ნ. ქმნა.

ქნარი (5, 12 ესაია) ჩანგი ZAB.

მეგრული ჩანგი CDE.

ქნართ ✱ ვარსკვლავი ZABC.

ქნევა არ დაჰკრას და საშიშრად მოუქნიოს, გინა მარაოთ უგრი-ლებდეს, გინა საქმე აქნევინოს ZA.

ესე არს, არც დაკვრა ენებოს და საშიშრად აქანებდეს, გინა საქმე აქმ-ნიოს B. ქნევა(ა) მახვილისა, გინა კვერთხისა კრვა ენებოს და ვერა შე-ამთხვიოს და მან სხვამან მოიცილ-ვოს კრვად განმზადებული Cab. დაკ-რვის ლამუნი და არდაკვრა Cq. განუმარტავია DE.

შდრ. ქანება.

ქობა სამოსლის კიდურის (კი-დურთ B) სადები ZAB.

განუმარტავია CDE.

ქობარო ერთი სოკო E.

ქობინი კარავთა სვეტის თავთა ზედა, გინა ეტლისა კამარათა ზე-და, ანუ გავალაკთა და დორი-ულთა ზედა ოქროცურვილთა ვაშლისა ანუ ყვავილის სახეთა და ეგევითართა ჩამოაცმენ ZA.

კარავთა სვეტის თავთა ზედა ანუ გავალაგთა და ეტლთა ზედა, გინა დორიულთა ზედა ოქროცურვილი ვაშლის სახე ანუ ყვავილედი და მის-თანა B. კარვის სვეტის თავზედ ოქროცურვილი ბუშტიეთ რომ იქ(მ)ნება, მას ეწოდების (ეწოდება D) CD. კარვის სვეტის თავზე ოქრო-ცურვილი ბუშტები რომ იქმნება, მას უწოდენ ქობინთა E.

ქოგური ხის ბურთი ZACDE.

ხის ბურთივით B.

ქოთანი (11, 8 რიცხვ.) სადუღარი ZA.

ქეცის სადუღარი (+ 11, 8 რიცხვ. B) BCab. კეცის სახარში Cq. განუ-მარტავია DE.

ნ. მექოთნე.

ქოთანკაველონი (ქოთანკაკლონი ZA) დიდი ქვაბ-ქოთანი ZA.

---

[1] ნაწილობრივ ამოღებულია იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან“ [S — 1463, 74 v).

ქვაბ-ქოთანა B. ქვაბი(ა) ქოთნის მსგავსი C. ქოთნის სახე ქვაბი D. ი ო ს ი პ ო ს:[1] „ხოლო ამაში ქმნა ქოთანქალონიცა ითნი, რომელთაგანი შთაიტევდა ორმეოცთა ხოისთა“ E.

ქოთაო ცხენის (ცხენთ B) ყელ(ს) ჭირება ZABC.

განუმარტავია DE.

ქოთარეთი (2 ნეშტ. 4, 12) სვეტის თავზე მგრგვალი ZAB.

ქოთება ხეთქება ZABCD.

„იჩემა სახე ეშმაკეულებისა და იწყო ქოთებად და მიმოკვეთებად“ E.

[ქოიეტი ნ. სუბუქი, ქიეტი].

ქოიჭი ქოიჭი არის ვირის საკიდარი ხარაკები E.

ნ. ქოჭი.

ქოლასტიკოსი მოწაფეთაგანი ZA BCb.

რაცალა მოჭელეი, ალლაია (ალლადია CqD) იყო[2] CaqD. რაიცა მოჭელეა: „ალლადია ქოლასტიკოსი“ E.

შდრ. სხოლასტიკოსი.

ქოლეული ნ. ქლოველი.

ქოლვა ქვის დაკრება ZAB.

დაქვა(ვ)ება, ქვის დაკრება CD. განუმარტავია E.

ნ. დაქოლვა.

ქოლიკი (ოთხფ.) ურქო ცხოვარი ZABCD.

[ქოლოხი, ქოლოხია ნ. მასარიკა].

[ქონ ნ. ქონება].

ქონდა ადგილი დაუფენელი ZA BC.

ქონდა აქვნდა, გინა ჰქონდა ZAa.

ქონდარი (ბალ.) ZABCD.

ნ. უსუპი.

ქონდაქარი (39, 10 იერემ.) მკვლელობის მოჭელე ZA.

ესე არს მკვლელობის მოჭელე კაცთა თუ საკლავთა B. ქონდაქარი არს მკვლელობის მოქმედი, რომელსა თურქნი ჯალათს უჭმობენ Cab. ქორცის მკაფელი (+ ქონდაქარად ითქმის ჭორცის მკაფელნი, არამედ უფროისად კაცთა მკვლელობისა მოქმედნი, რომელსა თურქნი ჯ ა ლ ა თ ს უჭმობენ Cq) CqD. მზარეული; ქონდაქარი მზარ[ა]ულია თუ კასაბი E.

ნ. მზარეული, საქონდაქრე.

ქონება უსულო საქონელი ანუ სიბრძნე, სწავლა და მისთანანი ქ ო ნ ე ბ ა დ ითქმის; ხოლო სულიერთა არა ქონებას ვიტყვით. არამედ ყოლასა ZA.

ქონებად ვიტყვით უსულოთა საქონელთა, კვალად სიბრძნეთა, სწავლათა, მეცნიერებათა და მისთანათა. გინა ასოთა; ხოლო სულიერთა არა ვიტყვით ქონასა, არამედ ყ ო ლ ა ს ა B. ქონებაა არს არსებაა (არსებისაა E) არსებისაგან, ხოლო ცხადჰყოფს გარე-შეცულსა ანუ გარე-შემცველსა და ვითარმედ არა არს კერძოა რამე საქმისაა და გარე-შეიცავს უკვე შესამოსელი (+ და CabE) საჭურველი და ეგევითარ(ნ)ი, [+ ხოლო გარე-შეიცვის ზექედი (+ და E) რაჲც (რაცა E) რაჲმე სხვა(ჲ) ეგევითარი CE] მცირე. ჯერ-არს უკვე, რათა გარე-შემცველიცა და გარე-შეცული არსება იყვნენ, რამეთუ უკეთუ ერთი ვიღრემე არსებაჲ იყოს, ხოლო მეორე შემთხვევითი, ვითარცა მიწთომილი და მიწთომილებაჲ, არლარა ქონებისა მიმართ აღიყვანებიან, ხოლო ვანყოფილებანი ქონები-

---

[1] შდრ. A — 675; 139 r, 28. [2] Cb-ში Ca-ს მსგავსი განმარტება გადახაზულია.

სანი იქმნებიან განყოფილებისაებრ მყოფთასა (მყოფისა DE), რამეთუ ანუ სულიერი არს, ანუ უსულოდ; და სულიერისა ვიდრემე ყოლასა ვიტყვით, ვითარ მონისა, ცხენისა და ეგევითართასა (ეგევითარისა D), ხოლო ითქმის ქონება(დ) სხვათაცა მრავალთა დანიშნისაებ(რ) სახელ-მოდგამობით[1] CDE.

ნ. აქონიო, აქონიოს, თანამექონებით, მაქო, მაქუსიერი, მექონე, მქონებელი, ნაქონები, საქონელი, უქონო 2, ქონდა.

ქონი (+ 15, 27 იობ ZAa) კორც(თ) სიპოხე ZABCab.

კორცთ სიმსუქნე Cq. განუმარტავია D. გარდამდნარი E.

ნ. მექონე, უქონო, ცხიმი.

ქონიერი (2 დიოლოღ.[2]) მქონებელი ZAa.

ქორაკანდელი საკიდარი კომლი ZAB.

ქორაკანდელი არს მაღლა საკიდარი სასანთლენი მრავალ-ქერნი და სხვადასხვა რიგად შემზადებულნი და მისთანანი Cab. სანთლის კომლი და მისთანა Cq. კომლი და მისთანა DE.

ქორაკი ავშარი ZABCD.

ქორანიკონი წლის რიცხვი ZABC.

განუმარტავია DE.

ქორაფი (ბალ.) ZABCDE.

ნ. ტეგანი.

ქორაფი (ხე) კორაფი ZAB.

ქორედი ერთმანერთზე სახლი სახლზე მრავლად B.

[ქორედ-ქორედი ნ. ქორი].

ქორეპისკოპოსი უმეცარსა მწერალსა ქართლის ცხოვრებაში გაურყვნია ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოზი (ქორეფისკოპოზი A) (შ)გონებია. ქორეპისკოპოზი უსამწყსო ეპისკოპო(ზ)ს ეწოდების ბერძულად (ბერძულად ეწოდების A) და ქორიკოზი მეფის მონაცვ(ა)ლეს ჰქვიან ZA.

უმეცარს მწერალთ სხვებრ გაურყვნიათ, ბერძულად ხორებისკოპოსი ეწოდების ეპისკოპოსსა უსამწყსოსა, ხოლო ქართლის ცხოვრების მწერალთა ქარაგმის გამო მოცთუნებულთა ქორიკოზი ქორეპისკოპოზად აღუწერიათ B. ქორეპისკოპოსი არს ერთსა სამთავროსა ადგილსა მთავარი არა ჯდეს და (+ მისდა CqD) მონაცვლედ ქორეპისკოპოსი ჯდეს, რათა თემთა მოურნეობდეს (მოურნეობა ყოს CqD), არამედ (ხოლო D) მთავრობისა სახელი ვერ იკადროს CD.

ქორი (ფრინ.) 11, 15 ლევიტ. ZAB.

(ფრინ.) CDE.

ნ. ბაზი, ძერქორი.

ქორი[3] (1 ნეშტ. 28, 20) სახლზედ სახლი აგებული; ქორედ-ქორედი ოთხ(ი)-ხუთი სახლი სახლზედ შენებული ZA.

(1 ნეშტ. 28, 20) ქორი არს სახლის ერდოზე სახლი; ხოლო ქორედ-ქორედი ერთმანეთზე სახლი სახლზე მრავლად B. ქორი არს სახლსა ზედა(ნ) სახლი დგმული კამაროსანი ანუ სართულოსანი (სართულითა Cq), გინა (ანუ Cq) ფიცართა (ფიცრითა Cq), ხოლო ქორედ-ქორედი სამი (+ და Cab) ოთხი სახლი ზექვემო-

---

[1] ამოღებულია იოანე დამასკელის შრომიდან „კათიღორიაი“ (S — 1463, 51 r-v).
[2] შდრ. A — 1103: 55 r, h 18. [3] აქედან გრძელდება Cq ხელნაწერი.

ობითა C. ქორი არს სახლსა ზედა(ნ) (+ სხვა E) სახლი დგმული კამ(ა)როსანი, გინა (ანუ D) ხით (სართულით D) ანუ ფიცრით DE.

ნ. სახლი.

ქორიკოზი მონაცვლე მეფისა, რომელმან ვერ იკადროს მეფედ სახელის-დება, არამედ გამოითარგმანების მ წ ყ ე მ ს ა დ ZA.

ესე არს მონაცვლე მეფეთა, რომელთა ვერ იკადრონ სახელი მეფობისა, რომელი ითქმის მ წ ყ ე მ ს ი B. მწყემსი C. [მეფის მონაცვლე, მ წ ყ ე მ ს ა დ გამოითარგმნება]. მ ი რ ქ მ ი ს ნ ე ტ ა ფ რ. ე ვ ს ე ბ ი ხ უ ც ი ს თ ქ მ უ ლ ი: „უკეთუ ქორიკოზი იყო უმეცარი, მიეცემ ბეთლემად“. მწყემსი მგონია D. მ ი გ ე ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ე ვ ს ე ბ ი ხ უ ც ი ს თ ქ მ უ ლ ი: „უკეთუ ვინმე ქორიკოზი იყოს უმეცარი, მოეიდეს ბეთლემად და ისწავ[ოს]“. მწყემსსა ჰგავს E.

[**ქორონიკონი** ნ. ქორანიკონი].

ქორწილი (+ 29, 22 დაბად. ZAB) სძლის მოყვანა ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. დუგუნი, იქორწინა, მექორწილე, საქორწილე, საქორწილო.

ქორწინება 1, 5 ესთერ ZAa.

ქოსა (უკმ.) სხვათა ენაა, ქართულად პ ო პ ლ ი კ ა ჰქვიან (+ და კ ო ს ა კ ი ZAa) ZAB.

(უკმ.) ქოსა არა არს ქართული, არამედ (და უქმარც Cab) ჟამთა ვითარებისაგან (ვითარებათაგან Cq) შემოღებულია, ქართულად პ ო პ ლ ი კ ე ეწოდების (ეწოდება Cq) C. ქოსა არა არს ქართული, ჟამთა ვითარებით შემოღებულია, ქართულად პ ო პ ლ ი კ ე ეწოდება D. (უკმ.) ქოსა არა არს ქართული, არამედ პ ო ლ ი კ ი E.

ნ. კოსაკი.

ქოსი ჩხირებით სამღერელი(ა) ZABCD.

სამღერელი E.

ქოსი სხვათა ენაა, ქართულად ს პ ი ლ ე ნ ძ-ჭ უ რ ი ა ZA.

(უკმ.) სხვათა ენაა, ქართულად ს პ ი ლ ე ნ ძ-ჭ უ რ ი ჰქვიან B (უკმ.) თურქთაა, ქართულად ს პ ი ლ ე ნ ძ-ჭ უ რ ი Cb. (უკმ.) თურქთაა, ს პ ი ლ ე ნ ძ-ჭ უ რ ი ქართული Ca. (უკმ.) თათრულია, ს პ ი ლ ე ნ ძ-ჭ უ რ ს ა ჰქვიან Cq. (უკმ.) სპილენძ-ჭური DE.

ქოსმენი (ოთხთ.) სასუქი(ს) ღორი ZABCDE.

ნ. ღორი.

[**ქოქ** ნ. დაქოქვა].

ქოქანიკი ნ. ქოქონაკი.

ქოქი (ქოქი, აქოქ Cab) (ხე) ეკალი ჩირგვიანი ZAB.

ეკალი C. (ხე) ე ლ ი ა ნ ო ს ი: „უბრძანა ქოქითა ცემა“, „ვითარცა ქოქითა იგვემებოდა (იცემებოდა D) გონება ავაზაკისა და ვითარცა (+ სახვეტელითა E) იხვეტებოდა ზრახვამისი“ DE.[1]

ქოქი გვარსავით Cb.

ქოქი, აქოქ ნ. ქოქი 1.

ქოქონაკი (ქოქანიკი BCDE) ღრუდის გამომთხრელი და ქელოვნებით წყლის გამომყვანებელი ZA.

ესე არს ქელოვნებით წყალთ გამომყვანელი ღრუდის გამოთხრით B. წყლის გამომთხრელი (+ ორმოთ·

---

[1] წყაროს დასახელება და მოწმობა Cq-ში გადახაზულია.

Cab) CD. განუმარტავია E.

ქოში (ოთხფ.) ვაცაკი, წლის ბოტი ZABCD.

(ოთხფ.) წლის ბოტი E.

ნ. თხა.

ქოშინი დამაშვრალის სულის-კვეთა ZA.

დამაშვრალის (დაშრომილის Cq) სულთქმა BC. განუმარტავია DE.

ნ. სულის-კუეთა, ქშენა.

ქოჩაბანდი რა მებრძოლთა ციხე-ქალაქნი გარე-მოიცვან, არცა ვინ შეუშვან (და A) არცა ვინ გამოუშვან ZA.

ესე არს მებრძოლნი ციხე-ქალაქთანი, რათა გარეშემო მოიცვან მუნით კაცთ გაუპარველობისათვის B. ესე(ნი) არიან კაცნი მებრძოლნი ციხეთა გარეგან წყობით მდგარნი, რათა ციხით კაცნი (კაცი Cq) ვერსადით (ვერსადა CqD) წარვიდ(ნ)ენ (წარვიდეს D) CD.

ქოჩი (ხე) შებარდული ხე(ნი) ZABCD.

(ხე) მაყვლის ბარდი E.

ქოჩორი მგრგვლად (შე)მოკვეცილი თმა ZA.

მგრგვლად ნაკვეცი თმა BCD. განუმარტავია E.

ნ. თმა.

ქოცო მცირე (მომცრო D) ჭური ZABCD.

ნ. ჭური.

ქოჭი ხეთაგან (ძელთაგან A) შემზადებული ვირის საკიდარი, კოკის ჩასადგმელი წყალთ საზიდავად ZA.

ძელთაგან შემზადებული ვირთ საკიდარი კოკათ შთასადგმელი B. ესე არს ხითაგან შემზადებული ჯორთა და ვირთა საკიდ(ა)რად, რათა მით ქვანი და აგურნი ზიდნეს C. ესე არს ძელთა და ჯორთა საკიდარი ხეთამიერი შემზადებული, რათა მით ქვანი და აგურნი ზიდნეს D. ვირის ხარაჯია E.

შდრ. ქოიჭი.

ქოხი ფოთელთა და ჩალათ(ა)გან სახლაკი Z.

ფოთლის სახლი (+ გინა ბელტისა C) CD. განუმარტავია E.

ნ. სახლი.

ქრევა წვლილი ლეწა B.

ნ. ნქრევა.

ქრთამი (5, 23 ესაია) საცოდავი ძღვენი ZAB.

ნაქადები ძღვენიეთ, საცოდავი Cb განუმარტავია CaqDE.

ნ. ექრთამა, ექრთამებინა, იქრთამა, ნაქრთამევი.

ქრთილი (ბალ.) (9, 21 გამოსლ.) ქერთან ნახე ZAB.

(ბალ.) შემოდგომური ქერი CDE.

ქრისტე (4, 20 გოდება; 9, 25 დანიელ) ცხებული უფლისა, გინა ღმერთი და კაცი სრული ZA.

(4, 20 გოდება; 9, 25 დანიელ) ცხებული უფლისა, გინა სრული ღმერთი და სრული კაცი B. ქრისტე გამოითარგმანების (გამოითარგმანება DE) ცხებული უფლისა; ქრისტე(დ) ითქმის სრული ღმერთი და სრული კაცი CDE.

ნ. ანტექრისტე, ქ͠ე, ქრისტენა, ქრისტიანი.

[**ქრისტემან** ნ. ქ͠ნ].

[**ქრისტეს** ნ. ქ͠ს].

[**ქრისტესა** ნ. ქ͠ა].

ქრისტეს-მეჭედა (ბალ.) ZABCDE.

ქრისტეს-სისხლა (ბალ.) ZABCDE.

ქრისტეს-ქელა (ბალ.) ZABCDE.

ქრისტვნა (ქრისტენა D) მირონისცხება (+ უემბაზოდ Cq) ZABC.

ქრისტენა არს მირონის-ცხება უემბაზოდ ვითარცა დაწინდვა D.

ქრისტიანი ქრისტეს მოსავი ZABC.

ნ. საქრისტიანო.

ქრმიელი ქრმოსანი Z.

ქმროსანი A. ქრმიანი BCD.

ქროლა (+ 7, 27 მათე ZA) ქართ მობერვა ZABC.

ქართა ბერვა D. განუმარტავია E.

ქრცვინი ნ. ქრცვნი.

[**ქრცუენ** ნ. ნაქრცუენი; შდრ. ქურცენ].

ქრცვნი[1] (ოთხთ.) 11, 30 ლევიტ. ZAB.

(ოთხფ.) CDE.

ნ. დედალოსი, დედალუბი.

ქრცხემლი (ხე) კეთილ-ფურცლო(ვ)ანი შავქრცხილა ZA.

(ხე) კეთილ-ფურცლოსანი B. (ხე) CDE.

ნ. ქრცხილი.

ქრცხილი (ხე) თეთრქრცხილა ZA.

(ხე) უკეთილ-ფურცლო B. (ხე) ქ რ ც ხ ი ლ ი არს ხე უთეთრესი და ვერა კეთილ-ჩრდილოვანი, ქ რ ც ხ ე მ ლ ი — მობნელო (+ და C) კეთილ-ჩრდილოვანი ხე CD. (ხე) E.

ნ. ქრცხემლი.

ქ̄ს ქარაგმით ქ რ ი ს ტ ე ს ZA.

ქ რ ი ს ტ ე ს ქარაგმით B.

ქსანი ერთი (ორი Ab) თუხტი და თუხტის ნათხალი (მეოთხედი CD) ZACD.

ერთი თუხტი და ნათხალი თუხტისა B. ორ თუხტ-ნახევარი E.

ნ. ლიტრა.

[**ქსაქს** ნ. დაქსაქსვა].

ქსელი (+ 2, 20 ტობია ZAa) საქსოვარი ZA.

საქსვალი B. განუმარტავია CDE.

ქსენდოქსი ბერძულია, უ ც ხ ო თ ს ა დ გ უ რ ი ZAB.

ქსენდუქსი (ქსენდუქსი, ქსენდოქსი CD) იგივე (+ ბერძულ B) ZAB.

ესე არს უცხოთ(ა) სადგური მონასტერსა (მონასტერთა D) შინა CD. სნეულთ სადგომი თუ უცხოთ სადგური მონასტრისა E.

ქსენონი სასნეულო სახლი ZABCDE.

ქსერქსი (ხე) ZABCab.

ქსესტი 2 ძველი ლიტრა და ნახევარი ZAaB.

ორი ლიტრა და ნახევარი Cab. ორ ლიტრა-ნახევარი CqD. (ფქმ.) ორი ლიტრა. პირველი. ეს ქსესტი სომხურია, ორ ლიტრა-ნახევარს შთაიტევს E.

ნ. საწყავი, საწყაული, ლომორი.

ქსირიანი (ქსირია CD) წამალი(ა). რომელი წყლულსა გააქმობს და მოამშრალებს ZAB.

ქსირიანი წამალნი არიან, რომელ(ნ)ი წყლულსა (წყლულთა D) განაქმობს და მოამშრალებს CD.

ქსიროზინ მირონის სუნ(ნ)ელი ZAB.

მირონის სუ(ლ)ნელი(ა) CDE.

ქსიფენი (თევზ.) ZABCDE.

[**ქსიფოხ** ნ. მრავალსახელი].

---

[1] ნუსხებშია: „ქრცვინი"; წყაროშია: „ქურცინი".

ქსოვა (ქსოი ZA) ქსელის ზედით შეძერწვა ZA.

ქსელი ზედით შეძერწო B. განუმარტავია CDE.

ნ. ანაქსვ, განაქსუა, ექსოვა, ვქსოვ, ვქსოვდი, მიქსოვა, მქსოვე-ლი, ნაქსოვი, ნაქსვ, საგსვალი, საქუსალი, უქსოვა, ქუსავს, შეექსოვა, წარმონაქსვ.

[ქსოვილი ნ. ოქროქსოვილი].

ქსუვი ფრინველი შეუჩვეველი ZAB.

კსუ (სკუ Ca), ფრინველი გაუწვრთელი CD. (ფრინ). კსუ, მფრინველი მოუმშვიდებელი E.

ნ. უმწყსი, კსუ.

[ქუ ნ. ქონება].

ქუ ნ. აიქუა, ამქმელი, აქმა, მიიქუა, მიქმა, საქუმელი, ქუმული; შდრ. რქუ].

ქუაბი[1] (1 მეფ. 2, 14) სპილენძისაგან სადუღარი ZA.

სპილენძის სადუღარი B. სიაგი, სპილენძის სახარში C. სიავი DE.

ქუაბი[1] (2, 19 ესაია) კლდე გამონაკაფი ZAB.

კლდე გამოკვეთილი (+ ესაია 2, 19 Cb) Cab. კლდე გამოკაფული CqDE.

ნ. სახლი.

ქუაბის-ყური[2] კარბა ZAB.

ქუბი (ოთხფ.) ლორი დედალი ZAB.

(ოთხფ.) ბურვაკი CDE.

ნ. ლორი.

ქუბი (ბალ.) ჭვავი ZABCDE.

ქუდი კაცის თავსახურავი ZAB Cab.

განუმარტავია CqDE.

ნ. მექუდე; შდრ. თალფაქი.

ქუდუნა (ბალ.) ZABCDE.

ქუე (ქუჱ ZAB, ქვე CDE) (5, 30 ესაია) ქვეით(ი) კერძო ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. ვექუევე, კი, ქუეყანა, შთამომაქუეებელი.

ქუებუდანი[3] ჩუმი ვერაგი ZAB DC.

განუმარტავია E.

ქუებურობა[4] სიწმიდის (ა) წინააღმდეგი არს უძლებება, ხოლო უძლებებისა—ოდესმე სიწმიდე, ოდესმე ქვებურობა; ხოლო ქვებურობა არს აღუძრველობა ვნებათა; უძლებება უკვე არს მოკლება სიწმიდისა, ხოლო ქვებურობა—გარდამატება ZAB.

სიწმიდის(ა) წინააღმდგომ(ი) არს უძლებება, ხოლო უძლებებისა წინა-აღმდგომ(ი) ოდესმე სიწმიდე, ოდესმე ქვებურობა; ხოლო ქვებურობა არს აღუძრველობა ვნებათა; (+ ხოლო D) აწ უკვე უძლებება მოკლება არს (არს მოკლება D) სიწმიდისა, ხოლო ქვებურობა — გარდამატება მოკლებისა; ქვებურობა უკვე არს მოკლებით მოძრავი, ხოლო ლირწი უფროსობით და უწესოდ მოძრავი CD. სიწმიდისა წინააღმდგომ არს უძლებება, ხოლო უძლებებისა — ოდესმე სიწმიდე და ოდესმე ქვებურობა; ხოლო ქვებურობა არს აღუძვრელობა ვნებათა. აწ უკვე უძლებება მოკლება არს სიწმიდისა, ხოლო

[1] ნუსხებში: „ქვაბი“. [2] ნუსხებშია. „ქვაბის-ყური“. [3] ნუსხებშია: „ქვებუდანი“.
[4] ნუსხებშია: „ქვებურობა“.

ქ ვ ე ბ უ რ ო ბ ა — გარდამატება მოკ-ლებისა ვითარცა მგზავსი ქვისა E.
ნ. ლირწი.

ქუეგანხედვა (ქუჱგანხედვა ZAB, ქვეგანხედვა CD [1]) (+ 1 მეფ. 18, 9 ZAa) ავის (ავად C) გულის დადგმა ZABC.
გულის დადგმა ავად D.

ქუევრი [2] კეცის ჭური ZABC.
ჭური D. განუმარტავია E.
ნ. ჭური.

ქუეით [3] ქვეშეთ ZAB.

ქუეითი (ქუჱითი ZAB, ქვეითი CD) ფრჴივ მავალი ZAB.
ფერჴით თვისით მოარული (მავა-ლი Cb) C. განუმარტავია D.
ნ. მკვრცხლ.

ქუეითკენ [4] ქვედა კერძო ZA.
[**ქუეკერძო** ნ. უქუეკერძო].

ქუემდებარე (ქუჱმდებარე ZAB, ქვემდებარე CDE) ორხ (ვითარ-მედ ორ CDE) სახედ ითქმის ქვემდებარე: ერთი ვიდრემე მყოფობით, ხოლო სხვა(ჲ) იგი შესმენით. მყოფობით უკვე ვი-თარ-იგი ქვე(დ)-უც არსება(ჲ) შემთხვევითთა და მის შორის მქონებელ არიან ყოფისა და თჳნიერ მისსა ვერ წარმოიჩინე-ბიან. ხოლო შესმენისა მიმართ ქვე(დ)მდებარე არს კერძობითი, რამეთუ ქვე(დ)-უც(ს) კერძობი-თი უსაყო(ვ)ელთაოეს(ს)ა შესას-მენელად, ვინათგან (ვინადგან CbqDE) უკვე უსაყო(ვ)ელთაო-ესი შეისმინების კერძო(ო)ბით-სად, ვითარ-იგი ცხო(ვ)ელი შე-ისმინების კაცისად (კაცად BCab) და ეწოდების საყო(ვ)ელ-თაოეს (საყოელთაოსა E) უკვე საქვე(დ)მდებარ(ე)ოდ. ხოლო კერძობითსა ქვე(დ)მდებარე შე-სასმენელად. ძვალად ითქმის შემთხვევითიცა (შემთხვევითისა Ca) ქვემდებარის(ა) შიდა (ში-ნად DE) არსებისად, ხოლო არ-სებაჲ ქვე(დ)მდებარედ მყოფისა მიმართ (+ სრულიად კათიღო-რიაში იძიე [5] CD) ZABCDE.

ქუემეხი [6] ზარბაზანი ZAa.
თოფი Ca.
ნ. მექუემეხე.

ქუემო [7] (2, 5 ბარუქ) ქვეითი კერ-ძო ZAa.

ქუემკურვალი (ქუჱმკურვალი ZAB, ქვემკურვალი CD) მიწის (მიწით B) სიმკურვალის ზე ა(ღ)-მოზევა ZAB.
განუმარტავია CDE.
ნ. ზემკურვალი.

[**ქუერე** ნ. ზერე-ქუერე].

ქუესკნელი (ქუჱსკნელი ZAB, ქვესკნელი CDE) (+ 2, 10 ფი-ლიპელ. ZA) ჯოჯოხეთი ZAB CD.
განუმარტავია E.
ნ. სკნელი.

ქუეყანა (ქუჱყანა ZAB, ქვეყანა CqE) (1, 1 დაბად.) ქვეყანა ერ-

---

[1] წყაროშია: „ქუჱგამხედველ", [2] ნუსხებშია: „ქვევრი". [3] ნუსხებშია: „ქუჱით". [4] ნუსხებშია: „ქუჱითკენ". [5] გამოკრებილია, შდრ. A — 250: 162 r, 6. [6] ნუსხებშია: „ქვემეხი". [7] ნუსხებშია: „ქუჱმო".

ვი არს ოთხთა კავშირთაგანი, ჴმელი და გრილი, მძიმე და უძ-რავი, არამყოფობისაგან ყოფად პირველსა დღესა მოყვანებული ღ~თისაგან; ხოლო ქვეყანისა ში-ნა კერძო არს ჯოჯოხეთი და ქვეყანა გარე-შეცულ არს ჰაე-რისაგან (ჰაერისა მიერ B); ხო-ლო ჰაერი შეცულ არს (შეცული B) ეთერისა მიერ და ეთერი შე-ცულ არს (შეცული B) ცათა-გან ZAB



ქვეყანა ერთი არს ოთხთა ნივთთა-განი ჴმელი და გრილი (+ და CabD) მძიმე და უძრავი არა(მ)ყოფობისაგან ყოფად პირველსა დღესა მოყვანებუ-ლი ღ~თისაგან, რამეთუ დასაბამად ჰქმნა ღ~თან ცა და ქვეყანა. ხოლო ქვეყანისა შინა კერძო(სა) არს ჯოჯოხეთი და იგი შეზღუდვილ არს ცვლდეთა და მიწათა მიერ, ხოლო (და D) ზედა კერძო (+ მისსა C) არს სა-დამე ჴმელი, (+ და D) სადამე ზღვა. (+ და C) უმრავლესთა ადგილთა ჴმელთა რა თხარონ სიღრმისა მი-მართ, აღმოეცენებიან წყალნი, გამო-

წოვნებისა მიერ ზღვათაგან ჴმელნი მიიზიდვენ (მოიზიდვენ CqD), ხოლო ქვეყანა მგრგვალ არს ზღვითურთ და გარე-შეცულ(ი) ჰაერისა მიერ და ჰაერი შეცულ(ი) (+ არს CqD) ეთერისა მიერ. და არს სრულიად ზღვისა და ჴმელისა (ჴმელეთისა CqD) სიმგრგვლე ორი ბევრის-ბევრი (ბევრი CqD) და ათას ექვსასი ეჯი, ხოლო სიგრძე მისი არს ერთი ბევრის-ბევრი (ბევრი CqD) და რვაასი ეჯი; სივრცე მისი არს ექვსი ათას რვაას ოცდაორი ეჯი; სიღ(რ)მე მისი არს ათას ოთხას ოცდაათექვსმეტი ეჯი. (+ [ქვეყანა შეცული აერისაგან, აერი გარე-შეცული ეთერისა მიერ და ეთერი მთოვარისა ცისა მიერ, რომლისა სახელი არს ჷ ი რ ა ნ ო; და მერმე ერმის ცა, რომელსა ეწოდების ც ო რ ა ნ ო, და მერმე აფროდიტის ცა, რომელსი ეწოდების მ ე ლ ა ტ ა რ ო, მერმე მზის ცა, რომელსა ეწოდების ქ ო ჷ ი მ ე ლ ი, მერმე არიას ცა, რომელსა ეწოდების ჷ ი მ ჷ ი მ ე ლ ი, მერმე დიას ცა, რომელსა ეწოდების ქ ი მ ქ ი მ ე ლ ი, მერმე კრონოსის ცა — ა რ ბ ა ს ტ რ ო, მერვე ვარსკვლავთ ცა, რომელიცა აღმოსავალით დასავალად მიიქცევის, მერმე მეორე მძვრელი ცა და მერმე პირველი მძვრელი ცა, რომელი ყოველთა ცათა აღმოსავალით დასავალად გარდააბრუნებს და მსგავსი არს ბროლისა. ხოლო გარეგანი ცა არს სამყარო, რომელი შეცულ არს სასუფეველისაგან] D). აჰა მაგალითიცა ქვეყნისა და ზღვისა, ესრეთ მგრგვალ არს და არა რასა ზედა(ნ) (რაზედ Cq) მდგომარე, არამედ თვით თავით თვისით მდგომარე ბრძანებითა ღ˜თისათა (ღ˜თისითა Cq) და ჰაერ(ი)თა (მიერ D) გარე-შეცული. ესრეთცა (ასეცა D) იტყვიან, ვითარმედ ერთსა ანგელოზთაგანსა (ანგელოზსა D), ეპყრას ძალითა (ჴელითა D) CD. ქვეყანა ერთი არს ოთხთა ნივთთაგანი. ჴმელი და გრილი და მძიმე და უძრავი. არამყოფობისაგან ყოფად პირველსა დღესა მოყვანებული ღ˜თისაგან. რამეთუ დისაბამად იტყვიან: ქმნა ღ˜თნ ცა და ქვეყანა, რომელნიმე იტყვიან ჰაერ(თ)ა შინა მდგომარესა, რომელნიმე წყალთა ზედა დამტკიცებასა. ესე არა წინააღუდგებიან ურთიერთსა, რამეთუ ჯოჯოხეთი არს შუაკერძოსა ქვეყანისასა და იგი შეზღუდვილ არს კლდითა და მიწითა და გარე-შეცულ არიან წყალთა მიერ და მას ზედან არს რომელთამე ადგილთა ზღვა და რომელსამე ადგილსა ჴმელი. ვინადგან ბრძანა ღ˜თნ: შეკრბ წყალი ესე შესაკრებელსა ადგილსა თვისსა და გამოჩნდინ ჴმელი. ხოლო ქვეყანა ზღვითურთ მრგვალ არს და გარე-შეცული ჰაერითა სიმრგვლე მისი. და ჰაერი შეცულ არს ეთერისა მიერ. არს სრულიად ზღვისა და ჴმელეთისა სიმგრგვლე მილიონი ორ ბევრი და ათას ექვსასი, სიგრძე მისი არს ერთი ბევრი და რვაასი მილიონი, სივრცე მისი არს ექვსი ათას რვაას ოცდაორი მილიონი, სიღრმე მისი არს სამი ათას ოცდათექვსმეტი მილიონი. აჰა მაგალითი ქვეყნისა ზღვითურთ, ესრე მრგვალ არს და არა რასა ზედა მდგომარე, არამედ ჰაერისა მიერ გარე-შეცული და მდგომარე თვით თავით თვისით ბრძანებითა ღ˜თისითა შორის ჰაერთასა. ქვეყანა ზღვისა და ჴმელეთსა ორსავე ჰქვიან E.

ნ. ასო 2, დაქუეყნა, მექუეყანენი, საქუეყნო, სტუქო, ქუეყნიერი, წყალი.

ჭუეყნიერი[1] ქვეყანაზე(დ) მყოფ(ნ)ი ZAB.

[1] ნუსხებშია: „ჭუჭყნიერი“.

ქუეყნით-მკმობელი[1] (ესაია 19, 3) მისანი Ca. ესაია 19, 3 Cq.
ნ. ქუეყნის-მკმობელი.

ქუეყნის-გული (ქუჱყნის-გული ZAB, ქვეყნის-გული CDE) სოკოა, წამალი ZABCD.
ერთი სოკოა, წამალი E.

ქუეყნის-მზომელი[2] გეომეტრი ZAB.

ქუეყნის-მკმობელი[3] (ქუჱყნის-მკმობელი ZAB, ქვეყნის-მკმობელი Cb) (19, 3 ესაია) მისან(ნ)ი ZABCb.
ნ. ქუეყნით-მკმობელი.

ქუეშ (ქუჱშ ZAB. ქვეშ CDE) ძირსავით ZAB.
ძირს, განა ძირში C. ძირში D. განუმარტავია E.

ქუეშე[4] (1, 9 დაბად.) დაბლა ZAB.

ქუეშეთ (ქუჱშეთ ZAB, ქვეშეთ CD) ბოლოს კერძო ZABCD.

ქუეშნიგუზისა (ქუჱშნიგვზისა ZAB, ქვეშნიგუზისა Cab, ქვეშნიგვზისა CqDE) (ბალ). ZAB CDE.

ქუეშსაგები (ქუჱშსაგები ZAB, ქვეშაგები Cb) საფენელ-საგებელი ZAB.
განუმარტავია Cb.

ქუეწარ (ქუჱწარ ZAB) ქვეით კერძო ZABCD.

ქუეწარმავალი (ქუჱწარმავალი ZAB) (+ 1, 21 დაბად. ZA) მიწაზე მავალი ZAB.
ყოველი ცხოველი Cab.

ქუეწარმძრომელი (ქუჱწარმძრომელი ZAB) (მძრომ.) (15, 9 ესაია) გველ(ნ)ი და ჳუანი ZAB.
(მძრომ.) გველნი და ჳიანი, მხელივნი და მსგავსნი მათნი Cab.

ქუჱ ნ. ქუე.

ქუჱგანხედვა ნ. ქუეგანხედვა.

ქუჱით ნ. ქუეით.

ქუჱითი ნ. ქუეითი.

ქუჱითკენ ნ. ქუეითკენ.

ქუჱმდებარე ნ. ქუემდებარე.

ქუჱმო ნ. ქუემო.

ქუჱმკურვალი ნ. ქუემკურვალი.

ქუჱსკნელი ნ. ქუესკნელი.

ქუჱყანა ნ. ქუეყანა.

ქუჱყნიერი ნ. ქუეყნიერი.

ქუჱყნის-გული ნ. ქუეყნის-გული.

ქუჱყნის-მზომელი ნ. ქუეყნის-მზომელი.

ქუჱყნის-მკმობელი ნ. ქუეყნის-მკმობელი.

ქუჱშ ნ. ქუეშ.

ქუჱშე ნ. ქუეშე.

ქუჱშეთ ნ. ქუეშეთ.

ქუჱშნიგვზისა ნ. ქუეშნიგუზისა.

ქუჱშსაგები ნ. ქუეშსაგები.

ქუჱწარ ნ. ქუეწარ.

ქუჱწარმავალი ნ. ქუეწარმავალი.

ქუჱწარმძრომელი ნ. ქუეწარმძრომელი.

ქუთუთო თვალის (თვალთ B) საფარი ZAB.
თვალთ საფარი, წამწამთ სადგური C. განუმარტავია DE.

ქულა მართველთან ნახე ZA.

---

[1] ნუსხებში: „ქვეყნით-მკმობელი“. [2] ნუსხებში: „ქუჱყნის-მზომელი“. [3] წყაროში: „ქუეყნით მკმობელთა“. [4] ნუსხებში: „ქუჱშე“.

(ფრინ.) მართვეთან ნახე B. (ფრინ.) ქორთა, შავარდენთა, მიმინოთა და ჴანგიანთა (ფრინველთა Cb) მართვეთა ეწოდების C. (ფრინ.) ქორთა, შავარდენთა, მიმინოთა და ეგვევითართა მართვეთა ეწოდების D. (ფრინ.) შავარდენთა, ქორთა, მიმინოთა და ეგევითართა მართვი E.

ქულბაქი სხვათა ენაა, ბ ა ზ ა რ ს ჰქვიან ZAB.

(უქმ.) C. განუმარტავია DE.

ნ. საქულბაქე.

[**ქულიჩა** ნ. ზაპები].

ქუმელი ქალის ფქვილი ZABC.

მოქალული ფქვილი D. განუმარტავია E.

ქუმეჯაკი (39, 22 გამოსლ.) ქვართი ZAB.

(36 გამოსლ.) შთასაცმელი რამეა CD. გამოსლ. 36 E.

ქუმული 2 1, 2 2 გ ა მ ო ს ლ. „უქეთუ იბრძოდეს ორნი კაცნი და დასცეს დედაკაცი მუცელ-ქუმული" B.

ქუნთა ბოჰკოიანი ქსოვილი, საგებელი ZA.

ბოჰკოიანი ქსოვილი B. მატყლისაგ(ან) ბოჰკოიანად ქსოვილი Cab. ბოჰკოიანი მატყლისაგან ქსოვილი Cq. განუმარტავია DE.

ნ. გაბა, ტერი.

ქუნთრუში სენია, წითელას(ა) ჰგავს (მსგავსი Cab) ZABCab.

სენია წითელასაებით Cq. განუმარტავია DE.

ნ. ვარდკოხა.

ქურანი (ოთხფ.) წაბლის ფერი ცხენი ZAB.

(ოთხფ.) წაბლის ფერი (ხზედი Cab) CD. (ოთხფ.) ცხენი წაბლის ფერი E.

ქურდი (უქმ.) მპარავი (+ გლეხურად ZAB) ZABCDE.

ნ. გქურდავ, ნაქურდალი.

ქურდუცი 2 ეფრემ ZAa.

ქურთენი (ქურთენი, ქურთლი C) ქერქთან ნახე ZAB

ხის ქერქს შიგნით(ი) აფსკი CD. ხის შინა აფსკია, ქერქი E.

ნ. ნაქურთენი.

[**ქურთი**] E.

ქურთლი ქერქთან ნახე ZA.

ქურთენი B.

ქურივა ქალი მეუღლე-მკვდარი ZAa.

ქურივი (ქვრივი CDE) (2, 37, ლუკა) ვაჟი მეუღლე-მკვდარი ZAa.

(+ 2, 37 ლუკა Ab) მეუღლე-მკვდარი AbBCD. განუმარტავია E.

ნ. ქურივა.

ქურიმა[1] (ბალ.) (+ ვეფხის-ტყ.[2] ZAa) ლომს(ა) ჰგავს, ფეტვია ZABCab.

(ბალ.) CqDE.

ნ. კარწუმელი.

ქურო არს ორთავე ჴელთა შესაყოფელი ფართო ბეწვიანი სითბოსათვის; ს ა ბ უ ქ ა რ ი არს ჯირისა ცალის ჴელის გაწყობილი, თითებიანი, ხოლო თ ა თ მ ა ნ ი — წინდურად ნაქსოვი, საბუქრის მსგავსი ZA.

ქ უ რ ო არს ფართო ბეწვიანი სითბობად ორთავე ჴელთა შესაყოფელი; ს ა ბ უ ქ ა რ ი — ჯირისა ცალის ჴელისა გაწყობილი თითებიანი; ხოლო თ ა თ მ ა ნ ი — წინდურად მოქსოვილი საბუქრის მსგავსი B. საქელური. ქ უ რ ო მას ეწოდების, სა-

[1] ნუსხებშია: „ქვრიმა". [2] შდრ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 1219, 3 („ქვრიმი").

ზამთროდ იქმენ ქელთა საშურეელსა ბეწვიანთა სითბოსათვის, არა საბუ ჭრის მსგავსთა, არამედ ორთა ქელთა შესაყოფ(ე)ლად ნამზადსა რასამე Cab საქელური CqD.

ქურუმი (3 მეფ. 22. 10) კერპთ მღდელი, მისანი ZAB.

მღდელი კერპთა, მისანი CD. მღდელი კერპთა E.

ნ. არგოლეო.

ქურუსა წარბ-შეჭუხვილი ZABD.

ქურუხა, წარბ-შეჭუხვილი Cab.

ქურუხა (ქურუხი Ca; ქურუხა, ჭურუსა Cq) იგივე ZAB.

ქურუსასავით Cab. წარბ-შეჭუხვილი Cq.

ქურქუმა (4, 14 ქება) ყვავილია, სუნ(ნ)ელი, ყვითელი (+ და ZA) ორტაბახი ZAB.

(+ ქურქუმა CqD) ყვავილია ყვითელი(ა), სუ(ლ)ნელი და ორტაბახი CD. ყვავილია სულნელი და ორტაბახი; გრიგოლის 12 ქებსთა დღე: „რამეთუ განყვითლებული ფერი შეწუხებულისა, ქურქუმისა სახე იქმნების" E.

[**ქურჩ** ნ. ნაქურჩალი (ქერქ'თანაც)].

[**ქურცენ** ნ. ნაქურცუენი; შდრ. ქრცუენ].

ქურციკი (ოთხფ.) (+ 2, 9 ქება ZAB) გარეთხა ZABC.

(ოთხფ.) შველი DE

ნ. ჯერანი; შდრ. ლიკლიკა.

ქურჯვა მძილის (მჯილის BCabD) წაკვრა ZABCD.

გრიგოლი ღ̃თისმეტყველში კურთის ცემა არისო E.

ნ. მუჭი, კურთი.

ქუსავს (+ 11 კავშ.[1] ZABCb) ქსოვს ZABCD.

ქსოვა. 3 ეფრემ ასური; 11 კავშ.:[1] „რომელიმე ქუსავს იმართა, არამედ არსთა თანა წარმოდგომილი"... E.

ნ. საქუსალი.

ქუსბორია ქარია ერთი ეთიოპიისა ZA.

ქარია ეთიოპიისა B. ეთიოპი(ი)ს ქარი(ა) Cab.

ნ. ქარი, ქუს.

ქუსეტი (+ 3, 3 ლევიტ. ZAB) გრძელი ნაწლევი ZABC.

გრძელი წელი D. ენტერა E.

ნ. იქუანჩი.

ქუსლი (+ 13, 22 იერემ. ZA) ფერჴის უკანა კერძო (კერძი BC) ZABC.

განუმარტავია DE.

ნ. გაქუსლვა, საქუსლე.

[**ქუფთ** ნ. საქუფთე].

ქუქუნაკი (ქუქუნიკი CDE) მოკლე ტოლამა ZABCD.

განუმარტავია E.

ქუქუნი (23, 20 ეზეკ.) ესე არს ცხო(ვ)ელთა მამალ-დედლობისა აღრევათა შინა ძრვა, რომელსა გლეხნი ქაქუნს(ა) უწოდენ ZA.

(23, 20 ეზეკ.) ქუქუნი ეწოდებიან ცხოველთა მამალ-დედლობის აღრევათა შინა ძრვასა, რომელსა გლეხნი ქაქუნს უწოდენ B. (ეზეკ. 23, 20) (+ ქუქუნი Cb) ეწოდების ცხოველთა მამალ-დედლობათა (მამალ-დედალთ Cb) აღრევათა შინა ძრვასა, რომელსა მსოფლიონი ქუქუნს(ა)

[1] იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება (წიგნი II, გვ. 40, 3-4).

უქმობენ Cab. ეზეკ. 23, 20· „რომელთა ჴორცნი იყვნეს ვითარცა ვირთა ჴორცნი და ქუქუნი ცხენთანი — ქუქუნი მათნი“ Cq.[1]
ნ. ქაქუნი.

ქუქუნიკი ნ. ქუქუნაკი.

ქუშად ქუშობით მყოფად ZAB.
ქუშობით მყოფად. ესე არს მწყრალის მსგავსობა, რათა ადვილ სიტყვა ვერ შეჰკადროს კაცმან Cb. მრუდმწყრალად CaqD. მწყრალად E.

ქუში ძველი ქვევლა ZABCD.
გრძელი ქველა E.

ქუშობა (+ ესე არს B) მწყრალის მსგავსობა, რათა ადვილ(ად) სიტყვა ვერ შეჰკადროს კაცმან ZAB.

[**ქუჩ** ნ. შექუჩება].

ქუჩუბო მარცვალთ(ა) ჴერქი ZAB.
ჴერქი მარცვალთა Cb. ცუდი ანაძრობი CaqDE.
ნ. ქერქი.

ქუჩულა ყვავთ დამათრობელი წამალი ZABCb.
(უკმ.) CaqDE.

ქუჩ-ქუჩი ერთს ძირზე(დ) მრავლად ა(ღ)ყვა(ვ)ებული ZABCb.
(უკმ.) CaqDE.

[**ქუცვნ** ნ. გამოქუცვნის].

ქუხილი (9, 23 გამოსლ.) ქუხილი იქმნების (იქმნებიან B) ქართა მიერ ღრუბელთა კვეთებათათა, რამეთუ ჰაერთა სიკშოთა შინა არიან ტატანნი მრავალნი; ხოლო ჰაერთა შინა რა ურთიერთს წინააღმდგომნი ქარნი იწყებენ კვეთებასა (+ და B) რომელიმე ტფილნი, რომელიმე ცივნი ეკვეთებიან, ტატან(ნ)ი (+ და B) ღრუბელთა (ღრუბელნი B) თანაჰყვებიან და ღრუბელთა სიღრუვისა და ტატანთა შემუსრვისაგან გამოვლენ ჴმანი ქუხილისანი (+ და ZA) უკეთუ ქარმან ერთის(ა) კიდით(ა) სძლო, გაივლტის ტატანი იგი განხეთქილი და მისგან გამო(ჰ)კრთებიან ელვანი ZAB.
ქუხილი იქმნებიან ქართა და ღრუბელთა კვეთებათა მიერ, რამეთუ შარავანდედი მზისა(ნი) აღილებ(ე)ნ ორთქლსა ქვეყანისაგან (ქვეყანათაგან D) და აღიხვამს ჰაერთა შინა, ეთერისა და მზისა სიცხეთა (სიცხისა D) მიერ ორთქლი იგი შეგვამდების და შეიქმნების ვითარცა ცეცხლი და მნათობი, და სადაცა უზრქელე(სი) ჰაერია, მუნ დაადგრების (დადგების D); ესევითარნი მრავალ(ნი) არიან ჰაერთა შინა, ხოლო ქარნი ქრიან (არიან D) ჰაერთა შინა ურთიერთ(ა)ს წინააღმდგომნი, რომელიმე ტფილნი, (+ და C) რომელიმე ცივნი; თდეს იწყებენ კვეთებად, ორთქლ(ნ)ა იგი გვამქმნილ(ნ)ი თანა-ჰყვებიან ქართა და ღრუბელთა კვეთებასა, ხოლო რა განძლიერდების (განძლიერდეს D) კვეთება(ჲ) ქართა, განსთქ(რ)დებიან ორთქლი იგი განცეცხლებული და მის მიერ გამოვლენ, ჴმანი ქუხილისანი; უკეთუ ქარნი სასტიკნი ეკვეთნეს კიდესა ერთსა და განხეთქა გვამქნილი (შეგვამებული D) იგი ცეცხლი, განვლის სივრცესა (სივრცედ CqD) ჰაერისა(სა) და გამო(ჰ)კრთებიან მისგან ელვანი; ხოლო ქვეყანთა

[1] მოწმობა წყაროდან Ca-ში გადახაზულია.

ქუხილის ჟამმდე არს ეჯი ოცდაოთხი, ხოლო ღამესა შინა მრავალგზის (მრავალ-მრავალგზას Cq) ვიხილავთ მსგავსთა (მსგავსსა CqD) ვარსკვლავთასა განფრენილთა, ანუ გრძლად ცეცხლებ(რ) წარვლილსა ჰაერთა შინა. უმეცარნი მათსა ვარსკვლაობასა ჰგონებენ, არა ვარსკვლავი არს იგი, არამედ შეგვამებული ორთქლი იგი ცეცხლებრი, რომელსა სახელად ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ-მ ო რ ბ ე დ ა დ ეწოდების წერილთა მიერ, ღლისითაც (ღღეაცა D) განფრინდების (განფრინდებიან D) CD. ქუხილი იქმნებიან ქართა და ღრუბელთა კვეთებათა მიერ, რამეთუ შარავანდედნი მზისანი აღიღებენ ორთქლსა ქვეყანათაგან და აღიხვამს ჰაერთა შინა და ეთერისა და მზისა სიცხისა მიერ ორთქლი იგი შეგვამდების და შეიქმნების ვითარცა ცეცხლი. ესევითარნი მრავალნი დაიწვსებიან ჰაერთა შინა. ხოლო ქარნი არიან ჰაერთა შინა ურთიერთს წინააღმდგომნი, რომელნიმე ტფილნი და რომელიმე მყინვარნი, ოდეს იწყებენ კვეთებად, ღრუბელნი შესცვენ ჰაერთა და ქართა და ღრუბელთა კვეთებისა თანა-ჰყვებს ორთქლი იგი გვამქმნილი ცეცხლის მსგავსი. ოდეს რა განძლიერდეს კვეთება ქართა, ვერლარა თავს-იდებს, ორთქლი იგი განსქდების და გამოვალს ქუხილთა ჟამსა მის მიერ. უკეთუ ქარნი სასტიკნი ეკვეთონ კიდესა ერთსა და განხეთქა, გვამი იგი განვლის სივრცედ ჰაერისა და გამოკრთებიან მისგან ელვანი. ხოლო აქათ ქუხილის ჟამმდე არს მილიონი ოცდაოთხი. ხოლო ღამეთა შინა მრავალგზის ვიხილავთ ვარსკვლავისა სახეთა განფრენილთა ანუ გრძლად ცეცხლებრ წარვლილსა ჰაერთა შინა. უმეცარნი მათსა ვარსკვლაობასა ჰგონებენ, არა ვარსკვლავი არს იგი, არამედ ორთქლი იგი შეგვამებული ცეცხლებრი E.

ნ. მქუხარე, ცისიერი.

ქუჯო ფქვილის მოსაგველი ZAB.

საგველი პურისა Cab.

ქჳთინი (ქვითინი ZABCqD; ქვითინი, კოკოცება; კაკანება Cab) ტირილთან ნახე ZAB.

ესე იგი არიან გულ-მწუხარემან მოტირალმან მაღლითა ჟმითა დაივაიოს Cab. კოკოცება, გინა კაკანება Cq. ქვითბა, კოკოცება D.

ქჳრდემლი ZAB (ქვირდემლი ZABC) (+ ქვირდემლი ZA) მყარი, გინა მაგარი ZABC.

შდრ. გრდემლი.

ქჳრითა[1] თევზის (თევზთ B) კვერცხი ZABCD.

განუმარტავია E.

ქჳსლი[2] ორთა დათა ქმარნი ქ ვ ი ს ლ ნ ი არიან და ორთა ძმათა ცოლნი შ ი ლ ნ ი არიან Z.

ცოლის დის ქმარი (+ ორ დათა ქმარნი ქ ვ ი ს ლ ნ ი არიან, ორ ძმათა ცოლნი შ ი ლ ნ ი არიან Aa) ABCD. განუმარტავია E.

ქჳქჳრი (ქვიქვირი ZABCD, ქვიქვირი და კვიკვირი E) კისრის მიდამო ZAB.

კვიკვირი, კისრის მიდამო CD. მკარზე ჯდომა E.

ქჳშა ZA (ქვიშა ZABCDE) (7, 26 მათე) ქვიშა. ქვასთან ნახე ZAB.

ქვა მსგავს(ი) ფეტვთა და ხვარბალთა C. განუმარტავია DE.

---

[1] ნუსხებშია: „ქვირითა". [2] ნუსხებშია: „ქვისლი".

ქჳშარი[1] ნარდის პაიკის მარტო ჯდომა ZA.

ნარდში მარტო პაიკის ჯდომა B. ნარდის მღერაშია, (+ ერთი პაიკი Cab) C. ნარდის მღერისა D. განუმარტავია E.

ქჳშნა (ქვიშნა ZABC) (ბალ.) (+ ქვიშნა ZA), უგრეხელი ZAB.

უგრეხელი. ქვიშნა თესლთაგანი, რომელ არს მარჯვე საზრდელად ზროხათა C.

ქჳჯა[2] მცირე როდინი ZABCD.

ქშენა (ქშინვა CDE) ესე (ქშენა B) არს ჩნეულისაგან საძნელო სულის-კვეთა, რომელი მკართა ატანებინებდეს; ე ქ ვ ა არს დამაშვრალისა და ნარბენის(.) ცხო(ვ)ელისაგან სულის-კვეთა(ჲ), რომელსა მსოფლიონი ქ ო შ ი ნ ს უწოდენ; ქ ა ქ ა ნ ი არს მაშვრალის ძაღლისაგან (ძაღლისა B), გინა ძუსა ზედა ქოშინი; ფ შ ვ ი ნ ვ ა (+ არს მძინარისაგან სულის-ბერვა ZA) ZAB.

ჩნეულთ სულის-კვეთა C. განუმარტავია DE.

ნ. სულის-კუეთა.

ქში-ქში ქათმის (ქათამთ B) შერისხვა ZAB.

ქცევა (+ ქცევა B) არს კაცი კეთილის(ა) ყოფა-ქცევითა, გინა (ანუ B) ბოროტითა იქცეოდეს; ქ ც ევ ა არს მგალობელი და ქმოანი (ქმოსანი B), რა სხვასა და სხვასა (სხვადასხვა B) კილოთა აბრუნებდეს (აქცევდეს B); ქ ც ე ვ ა არს მენავე ნავსა, ანუ ინიოხი ეტლსა, ანუ რაინდი ცხენთა (ცხენსა B) კეთილად ავლინებდეს მიმობრუნებასა შინა; ქ ც ევ ა დ ითქმიან (ითქმის B) ნაშვნებთ(ა) დარღვევა ZAB.

ქცევა არს ნაშენების დარღვევა, გინა კაცი კეთილად იქცეოდეს (+ გინა კალოს გარდაბრუნება Cb)Cab. კეთილი საქციელი Cq. კეთილად ქცევა D. განუმარტავია E.

ნ. აიქციე, აქცევდა, ალ-თავსიქცა, გააქცივა, გაქცევა, დააქცია, დაქცევა, ეზოსა შინა მქცეველი, ვიქცევი, იქცა, იქცევა, იქცევისა, მაქციენ, მზის-მოქცევი, მთოვარის-მოქცევი, მიმაქცეველი, მიქცევა, მოქცევა, მოქცევი, მოქცეული, საქცევი, საქციელი, საქცოდ, უკმოქცევა, ყოფა-ქცევა, შეაქცია, შექცევა (თამაშობა'სთანაც), წარქცევა.

ქცევა რაისაც დაქცევა D. განუმარტავია E



[ღ ნ. ღება].

ღა ესე ღ ა (ჲ) არს ბოლოდ ართრონი, საქმეთა ზედა გვარიანმყოფელი სიტყვათა. რამეთუ ოდეს საქმვი (+ რამე B) ვიკითხნეთ, დაურთავთ ღ ა ს ა და ვიტყვით წამსვლელთათვის: „წავ ა-ღ ა?“ (+ ანუ ZA) წარსულთათვის: „მ ო ვ ა ლ ს-ღ ა?“ გინა (ანუ B) ყოფისათვის: „არის ღა?“ ანუ ქ(მ)ნისათვის „იქ(მ)ნების-ღა?“ ესრეთ ყო(ვ)ელთა საქმეთა დასასრულად და ბოლოდ ZAB.

[1] ნუსხებშია: „ქვიშარი“. [2] ნუსხებშია: „ქვიჯი“.

ესე ლაჲ არს სიტყვისა დასასრულთა რომელთამე საქცევთა (~საქცევთა რომელთამე D) გვარიან-მყოფელი, რამეთუ ლათა მიერ გვარიან-იქმნებიან სიტყვა კითხული, ოდეს ოდენ საეჭვი რამე იყვის, ვიკითხავთ: „საკითხავად წარსრული მოვალს-ლა?“ გინა. „საიჭვი რაჲმე არის-ლა?“ ანუ: „საქმე იჭვიანი იქმნების-ლა?“ და ესევითართა დასასრულთა სხვათასა CD. ესე ლაჲ არს სიტყვისა დასასრულთა საქცევთა რაჲმე გვარიან-მყოფელი, რამეთუ ლათა მიერ გვარიან იქმნებიან სიტყვა კითხული ოდენ, ოდეს საიჭვი რამე იყვის, ვიკითხავთ: „საკითხავად წასრული მოვა-ლა?“ გინა: „საიჭვი რაიმე არის-ლა?“ ანუ: „საქმე იჭვიანი იქმნების-ლა?“ და ესევითართა დასასრულთა სხვანიცა E.

ნ. დალა, დალათუ, დალაცათუ.

ლ̃ა ქარაგმით ლმერთსა ZA.

ლმერთსა ქარაგმით B.

ლაბაბი ყელის ჩამონაშვები ZAB.

ყელი ჩამოშვებული (ჩამოშვერილი Cb) CD. განუმარტავია E.

ლაბუა (ფრინ.) ქათამი ულვაშიანი ZABCD.

(ფრინ.) ქათმის ულვაში E.

ლადარა (ლადარი CDE) წვრილი (წვლილი BCDE) ნაკვერცხალი ZABCDE.

ნ. ცეცხლი; შდრ. ნალუერდალი.

ლადარი კაცი დაუნდობელი ZA.

დაუნდობელი კაცი B. დაუნდობელი CD.

ნ. ლადრობა.

ლადარი ნ. ლადარა.

ლადა-ლუდა კაპან ავი სავალი ZAa.

განუმარტავია D.

ლადირი ქედი გორაკათა წარზიდული ZA.

ქედი გორაკ(ა)თაგან BCD. ლადალუდა თუ პორინტალი და ლადო E.

ლადო, ზღვის ღელვის ნჩქრევა ZABCD

განუმარტავია E.

ლადრობა დაუნდობლობა ZACaq DE.

დაუნდობრობა BCb.

ლავლავი შეთქმულობა უბრალოთა (უბრალოსა Ca) ზედა ZABCab.

ქართლის ცხოვრება[1] CqDE.

ლაზარინელი (ლაზარენელი, გაზარენელი Cq) (+ 5, 15 დანიელ ZA) სიზმრის ამხსნელი, გინა ვარსკვლავთ-მრიცხველი ZAB.

ლაზარინელი და გაზარონელი მესიზმრენი არიან, რომელნი ალქსნიან Cab. მესიზმრენი Cq. შდრ. ზალარინელთა.

ლაზირი (ლარიზი D) კარაბადი: „შე(ე)ქმნას (შეიქმნას CaqD) მისსა ბუნებასა ლაზირისასა და შეექმნას (შეიქმნას BCD; + იგი BCD) საზრდელად მისთვის“; ოთხ(ი)თა ძარღვთა (ძალითა BCD) ლაზირისათა“ ZABCD.

ლაზლა მატყლის მქედი ძაფი სხვილი ZABCD.

მატყლის მქედი E.

ნ. ძაფი.

ლაზო შურთან ნახე ZAB.

---

[1] შდრ. ქართლის ცხ-ბა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქც., წიგნი I, გვ. 349, 12.

შურით ალსავსე CD. მეშურნე გული E.

[**ლაზობა** ნ. შური; შდრ. ლაზო].

[**ლალ** ნ. დალალვა].

ლალა ყანის ბეგარა ZA.

პურის ბეგარა B. ლალა არს რა აგარაკისა უფალი სხვისა ნამუშაკევსა ზედა თვისსა განწესებულსა სარგოსა აღილებდეს Cab. განუმარტავია CqDE.

შდრ. კულუხი.

ლალანგარი (ლალანგა CDE) მირონის სუნ(ნ)ელია ZAB.

მირონის სუ(ლ)ნელი(ა) CDE.

[**ლალანოს** ნ. ნაზუქი].

ლალატი მუხთლად მოკლვა ZAB.

მუხთლად სიკვდილი C. განუმარტავია DE.

ნ. მოღალატე.

ლალეოდი (თევზ.) ZABCD.

„ლალეოდი და სულაპი“ E.

ლალვა სვლით შეპირვება B.

ლალვაჲ (ლალვაი C) (51, 33 იერემ.) სამკალი ZABC.

ლალია სუ(ნ)ნელი ზეთი ZAB.

სუ(ლ)ნელი ზეთი CD. განუმარტავია E.

ლალოსი (ლალლოსა C) 20 იოსიპოს[1] ZABC.

ლალფირა (ლალფვირა C) წიგნია წმიდის კვირილეს თქმული ZAB.

წიგნია კვირილესი (+ თქმული Cb) C.

ლალლა (ფრინ.) ZABCDE.

ლალლაცობა ეკლესიასტის 4 თავის მიზეზში Aa.

ლამე (1, 5 დაბად.) ღამე ეწოდების მწუხრიდამ ვიდრე განთენება(დ)მდე; ხოლო მწუხრი — დასლვასა მზისასა და შერიჟვება — მცირედღა მოღამებასა; ხოლო ბინდი ეწოდების უსინათლობასა, სადა ძვილ ჩნდეს რამე დილას(ა) თუ საღამოს; (+ და Z) წყვდიადი — ფრიად ბნელსა, სლვა-შეუძლებელსა, და უკუნი — მისგან უბნელესსა, ხოლო ქაქაჩი — მთოვარიანს ღამესა ZA.

(1, 5 დაბად.; 15, 1 ესაია) ღამე ეწოდების მწუხრიდამ ვიდრე განთენებამდე, ხოლო მწუხრი — დასვლასა მზისასა; შერიძვება — მცირედრე მოღამებასა; ხოლო ბინდი — ღამის მოწევნასა, გინა დილის განთიადობასა; ბნელი ეწოდების უსინათლობასა, სადა ძვილ ჩნდეს რა ღამით თუ დღისით; წყვდიადი — ფრიად ბნელსა, სლვა-შეუძლებელსა და უკუნი — მისგან უბნელესსა; ქაქაჩი — მთოვარიანს ღამესა B. ღამე ეწოდების მწუხრითგან ვიდრე განთენება(დ)მდე; ხოლო მწუხრი — დასლვასა მზისასა; შერიჟვება — მცირესა რას(ა)მე მოღამებასა; ხოლო ბინდი — ღამისა მოწევნასა, გინა დილისა განთიადობასა, რომელ მცირედღა საჩინობა იყოს; ბნელი ეწოდების ღამესა უსინათლოსა, გინა სახლსა და მისთანათასა, სადა სინათლე არცად იპოებოდეს; წყვდიადი ეწოდების ფრიად ბნელსა სლვა-შეუძლებელსა, ხოლო უკუნი — უდიდესსა მისგან Cab. განუმარტავია CqDE.

ნ. აღების ღამე, მარადღამე, მღამიობი, ნაღამევი, ნაღამური, საღამური, სიღამე, უღამდება, შეღამება, შუაღამე.

[1] შდრ. A — 675; 68 v, 27.

ღამის-თევა ღამე გაათენოს ZAB.

ღამის-მქმობელი (ღამის-მქმობა-რი B) (ფრინ.) 11, 16 ლევიტ. ZAB.

ღამორი (ფრინ.) (+ 11, 19 ლე-ვიტ. ZA) ღამურა ZAB.

(ფრინ.) (2 სჯულ. 14) ღამურა Cab. (ფრინ.) (2 სჯულ. 14) რაცაღა ფრინველია Cq. (ფრინ.) (გამოსვლა-თაში) რაღაც მფრინველია D. (ფრინ.) E.

ღამურა ღამის ფრინველი(ა), გუ-გულს(ა) ჰგავს ZAB.

(ფრინ.) გუგულს გავს, ღამის ფრინველია Cb. (ფრინ.). CaqDE.

ნ. ასიღამა.

ღანუქობა გაზაფხულის დრო ZA[1].

თამარის ამბავი[2] B.

ღანძილი სომხურია, ქართულად ჯ ი შ კ ი ლ ა ჰქვიან ZAB.

(ბალ.) ჯიშკილა Cab. (ბალ.) ღან-ძილი სომხურია, ქართულად ჯ ი შ-კ ი ლ ა ჰქვიან (+ ღანძილიც ჰქვიან Cq) CqD. (ბალ.) ღანძილი სომხუ-რია, ქართულად ჯ ი შ კ ი ლ ა ეწო-დება E.

ღაპა-ღუპი ქშირი წვეთი (წვეთა AbB) ZAB.

ქშირად ცრემლის დენა CDE.

ღაჟო (ფრინ.) ჯინჯვა ZABCbqDE. (ფრინ.) ჯიმჯვა Ca.

ღაჟღაჟა ფურცელთ ფერადობა ZABCab.

ნ. ხაზალი.

[**ღარ** ნ. ნაღარი].

ღართი საწვიმარი ნაბადი ZABCD.

განუმარტავია E.

[**ღარი** ნ. ბელღარი].

ღარიბი გარეშე წერილში სწე-რია, უ ც ხ ო ს (ა) ჰქვიან ZA.

(უქმ.) უცხო, გარეშე წერილში B. უცხო C. განუმარტავია DE.

ნ. საღარიბოდ.

ღარიზი ნ. ღაზირი.

ღარღილი მცირე რამ ჰაზრი ZAB.

ჰაზრი რამე მცირე Cb. ჩამი-ჩუმი, გინა (ჰ)აზრი Caq. ჩამი-ჩუმი DE.

ღატაკი უსირცხვილო გლახაკი ZA.

გლახაკი უსირცხვილო B. მეტად გლახაკი (+ და უნამუსო Cb) CD. მეტად გლახა E.

ღაფალი არს ღ ა ფ ლ ო ბ ა კაცი დიდად გაკრძალული, ანუ თვით მოსცდეს, ანუ სხვამან მოაცთუ-ნოს და განუკრძალველად იპოოს ZA.

ღ ა ფ ლ ო ბ ა არს კაცი გაკრძალუ-ლი, ანუ თვით მოსცთეს განკრძალვა-სა, ანუ სხვამან მოაცთუნოს და გა-ნუკრძალველად იპოოს; მ ო ღ ა ლ-ფ ე ბ ა — მოცთუნებასავით B. მოც-თუნვებულივით Cb. ღონემოლებული CaqDE.

ნ. მოღაფლება.

ღაფიტი მირონის სუხ(ნ)ელია ZAB.

მირონის სუ(ლ)ნელი(ა) CDE.

ღაღადება (3, 8 გამოსლ.) ესე ითქმის ყო(ვ)ელივე ქმამაღლო-ბით ქმა-ყოფა, ხოლო ღაღადე-ბაცა ესრეთ განიყოფების: შო-რით ერთისა კაცისა მაღალსა უკაფიოსა ქმასა ეწოდების კ ი-

---

[1] A-ში წერებულა წყარო. „ქართლის ცხოვრებაში, თამარის ამბავში“, რაც გა-დაუხაზავთ. [2] შდრ. ქართლის ცხ-ბა, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქც., წიგნი II, გვ. 24, 1.

ვ ი ლ ი, ხოლო ჭმიანითა სიტყვითა ღაღადისსა — ყ ი ვ ი ლ ი; დიაცთა კივილსა ეწოდების კ რ ჩ ხ ი ა ლ ი; მრავალთა ერთა უსმინართა ლაპარაკთა — ყ ა ყ ა ნ ი; დიაცთა ყაყანსა — ძ ი ძ გ ი ნ ი და ჯ ი ჯ გ ი ნ ი; ომთა შინა ღაღადებასა — კ ი ჟ ი ნ ა; მტერთა განრომილთა კაცთაგან სასიხარულო ჭმა-ყოფით ღაღადებასა — ზ რ ი ნ ვ ა; შეწუხებულთ(ა) საგლოელს ღაღადისსა — ზ რ ი ა ლ ი; უვვანსა მაღალსა ჭმიანობასა — ყ ვ ი რ ი ლ ი; ქათმისა და მისთანათა ზახილსაცა ყ ი ვ ი ლ ა დ იტყვიან ZA.

(3, 8 გამოსლ.) ღაღადებად ითქმის ყოველივე ჭმამაღლობით ჭმა-ყოფა(ა), ხოლო ღაღადებაცა ესრეთ განიყოფებიან: შორით ერთის კაცისა მაღალს უკაფიოსა ღაღადებასა ეწოდება კ ი ვ ი ლ ი; ხოლო ჭმიანითა სიტყვითა — ყ ი ვ ი ლ ი; დიაცთა კივილსა ეწოდება კ რ ჩ ხ ი ა ლ ი; ერთა მრავალთა უსმინრად ლაპარაკსა — ყ ა ყ ა ნ ი; დიაცთა ყაყანსა — ძ ი ძ გ ი ნ ი, გინა ჯ ი ჯ გ ი ნ ი; ომთა შინა ღაღადისსა — კ ი ჟ ი ნ ა; მტერ-განრომილის კაცთაგან სასიხარულო ჭმა-ყოფით ღაღადებასა — ზ რ ი ნ ვ ა, შეწუხებულთ საგლოველს ღაღადისსა — ზ რ ი ა ლ ი; უვვანს მაღალს ჭმიანობასა — ყ ვ ი რ ი ლ ი; ქათმის ზახილსაც ყ ი ვ ი ლ ა დ იტყვიან B. ღაღადებად ითქმის ყოველივე ჭმამაღლობით თქმული; ხოლო ესე ღაღადება განიყოფების: რამეთუ შორით კაცისა ერთისა ღაღადებასა მაღლიადსა ეწოდების კივილი; ხოლო სხვარიგსა ზახილსა — ყ ი ვ ი ლ ი, გინა ქათამთა ზახილსა; დედაკაცისა კივილსა ეწოდების კ რ ჩ ხ ი ა ლ ი; ერთა მრავალთა სახლთა შინა მყოფთა ურთიერთას მრავალ ლაპარაკთა და არაჩუმობით ყოფასა ეწოდების ყ ა ყ ა ნ ი; აგრეთვე დედაკაცთასა მრავალთ საუბართა — ჯ ი ჯ გ ი ნ ი და ძ ი ძ გ ი ნ ი; ომთა შინა ღაღადებას(ა) — კ ი ჟ ი ნ ა; ომთაგან განრომილთა კაცთა სასიხარულო ღაღადების(ა) ჭმასა — ზ რ ი ნ ვ ა; შეწუხებულთ საგლო(ვ)ელს ღაღადებასა — ზ რ ი ა ლ ი; უვვანსა მაღალსა ჭმიანობასა — ყ ვ ი რ ი ლ ი Cab. დიდი ზახილი CqE. ზახილი დიდი D.

ნ. ილალადა, მღალადებელი. უღალოდა.

ღაღად-ყო (7, 37 იოანე) ღაღადება ქმნა ZA.

განუმარტავია B.

ლაწჳ[1] (+ 5, 13 ქება ZAB) ლოყა ZABCD.

განუმარტავია E.

ნ. კლიტე ლაწუთა.

ლაშა-ღუში ცოხნის ჭმა(ნი) ZAB CD.

განუმარტავია E.

ლაჭუნი იგივე ZAB.

განუმარტავია CDE.

ლაჭლაჭი (27 ნემეს.)[2] ვრონოხო ZAB.

(27 ნემეს.)[2] არს კორჴთა[3] ნაწყობი, რომელ არს ვ რ ო ნ ო ხ ო Cb. Гესე არს ჭორჴთა ნაწყობი, რომელ არს ვ რ ო ნ ო ხ ო] Ca. განუმარტავია CqD.

ნ. კრონოხო; შდრ. ღრაჭა.

---

[1] ნუსხებშია: „ლაწვი". [2] იგულისხმება ნემესიოსის „ბუნებისათჳს კაცისა" (გვ. 122, 15—16). [3] ნუსხაშია: ჭორცთა".

ლება გალება, მოლება ZABCb.
განუმარტავია CaqDE.

ნ. ალება, ალებანი, ალების ლამე, ბავთის მომლები, გამოლება, გამოლებული, განალო, გალება, დალება, თუალთ-ლება, თუალლება, თუალლებული, ილო, მიილე, მიილო, მიმლებელი, მილება, მოულე, პოულო, მოლება, მუცლადლება, ნალბლი, ნალები, სახის-შემოლება, ყურადლება, შეელო, შემოლება, წალება.

ლებვა დაფერადება ZABCD.
განუმარტავია E.

ნ. დალებვა, ვლებავ, ვლებევდი, მლებავი, მლებარი, ნალებვი, სალებავი, ლებილი, შეულებე.

ლებილი (1, 18 ესაია) შელებული (შელებილი B) ZAB.
ცუდი წითელი (ესაია 1, 18) C.

ლელაღუნტა (ბალ.) ZAB.
(ბალ.) ძირხვენა CDE.
ნ. ძირხუენა.

ლელე (69, 7 ფსალმ. Z; 59, 7 ფსალმ. A) ლელედ ითქმის ქევი მცირე; (+ ხოლო ღულე მისი უდიდესი ZAa); ხოლო ჭევი უდიდეს და ულრმეს და წყლოვანებითაცა მეტი ლელეთასა და ნაღვარევი — ლელე ჴმელი თვინიერ ღვართასა; ხოლო ხრამი — უდიდე და ულრმე და ფრიად კლდოვან(ი) ZA.
ლელედ ითქმის ჴევი მცირე; ხოლო ჴევი მისა უდიდეს და ულრმეს და წყლოვანებითაცა მეტ და ნაღვარევი — ლელე ჴმელი თვინიერ ღვართასა; ხრამი — უდიდე და ულრმე და ფრიად კლდოვანი დიდი ხ. ლელე არს ქევი მცირე; ხოლო ქევი უდიდეს მისაა სიღ(რ)მითაცა და ჸყლოვანებითა; ხოლო ნაღვარევი ქევი ჴმელი და ურწყული თვინიერ ღვართასა; ხოლო ხრამი ქევთაგან ულრმესი და ფრიიდ კლდოვანი და დიდი C. განუმარტავია DE.

ლელვა (+ 27, 14 საქმე ZA) ზღვის აღშფოთება ZAB.
აღძრულის ზღვის ხეთქება Cb. განუმარტავია CaqDE.

ნ. აალელვე; აღელვება, ილელვებოდა, ნალელვები.

ლელვა-გუემული (ლელვა-გვემული Z) ლელვისაგან შეიწრებული ZAB.

ლელვილი ლელვისაგან გატანჯული ZAB.

ლეო (ბალ.) ძნა მდგარი ხუთეულით ოცეულამდე ZAB.
(ბალ.) ლეო არს ძნა მდგარი ათეული ანუ ოცეული, მეტი ანუ ნაკლები, ნამკალთა შინა ყო(ვ)ელთა ერთბამად (+ ძნეულად Cab) ეწოდების (უწოდენ CqD) CD. (ბალ.) ლეო არს ათეული თუ ოცეული ანუ მეტ-ნაკლები ძნა, ნამკალსა შინა მდგარი E.
ნ. ზვნი.

ლეპეპი ფრთის ლერო ZABCDE.
[ლერ ნ. მოლერება; შდრ. ლირება 2].

ლერი (25, 31 გამოსლ.) სასანთლის შტოები ZA.
(ბალ.) ჩალის ლერო, გინა სასანთლისა (25, 31 გამოსლ.) B. (ბალ.) ჩალის ლერო C. განუმარტავია E.

ლერო (ბალ.) ჩალის ლერი ZA.
განუმარტავია D.

ლერო მხალთა და ბალახთ გვამი ZAB.

(ბიბლ.) გვამი მხალთა (+ და C) ბალახთა CD. განუმარტავია E.

ღერო ბეჭდის გრგოლი ZAB.

ღეროვის აღერო(ვ)ებულა ZAB CD.

განუმარტავია E.

[**ღერღ** ნ. დაღერღლა, იღერღლება, მოღერღლა, ღერღილი].

ღერღედი (ღერღეტი E) (ფრინ.) ბატი ZABCDE.

ნ. ბატი.

ღერღილი (2, 14 ლევიტ.) ღ ე რ ღ ი ლ ი არს მარცვალნი ცერცვთა და მისთანათანი, საფქველზედ ხოშრად დალეწილი; ღ ე რ ღ ი ლ ი ითქმის მჭეცთა და ძაღლთა კბენილი; ღ ე რ ღ ი ლ ს უწოდენ მცირეთა კიტრთა ZA.

(2, 14 ლევიტ.) ღერღილი არს ცერცვი და მარცვლები საფქველზედ ხოშრად დალეწილი; ღ ე რ ღ ი ლ ს იტყვიან მჭეცთა და ძაღლთა კბენილთა; ღ ე რ ღ ი ლ ს უწოდენ მცირეთა კიტრთა B. ღ ე რ ღ ი ლ ი ეწოდების, ცერცვი რომელიმე ქელსაფქვავთა ზედა ხოშრად დალეწო, ვიეთნი მ უ კ ა შ ა რ ს უქმობენ, კვალად კალი რამე მარცვალთა დაღერღლო, კვალად ძაღლთა და მჭეცთა ნაკბენსაცა დ ა ღ ე რ ღ ი ლ ა დ ვიტყვით და მცირესა კიტრსაცა ღ ე რ ღ ი ლ ი ეწოდების Cab. დაღერღილი (+ გინა მუკაშარი Cq) CqDE. ღ ე რ ღ ი ლ ი (ბიბლ.) ჩჩვილი კიტრი CqDE.

ნ. დაღერღლა.

ღერძი (14, 25 გამოსლ.) საბრუნავ(თ) გასაყარი ZAB.

ურმის თვალთ გასაყარი და მისთანათა (მისთანანი Cb) Cab. ურმის თვალთა და საბრუნავთ გასაყარი Cq. განუმარტავია DE.

ღიღა შიშვლება B.

ნ. გარდაღეღა.

ღეჭა მცირე ცოხნა ZAB.

ცოხნა მცირედ Cab. ცოხნასავით Cq. განუმარტავია DE

[**ღვ** ნ. შთაღვა].

ღვალო ნ. ღუალო.

ღვალოშმაგა ნ. ღუალოშმაგა.

ღვარი ნ. ღუარი.

ღვარძლი ნ. ღუარძლი.

ღვაფი ნ. ღუაფი.

ღვაწლი ნ. ღუაწლი.

ღვაწლისა-მძლე ნ. ღუაწლისა-მძლე.

ღვედი ნ. ღუედი.

ღვედკეცი ნ. ღუედკეცი.

ღველფი ნ. ღუელფი.

ღველფური, ღველფურნი ნ. ღუელფურნი.

ღვერფი ნ. ღუერფი.

ღვეძილი ნ. ღუეძილი.

ღვია, ღვივა ნ. ღვვა.

ღვივება ნ. ღვვება.

ღვივის ნ. ღვვის.

ღვინიო ნ. იღუნიო.

ღვინო ნ. ღვნო.

ღვინჭა ნ. ღვნჭა.

ღვინჭილა ნ. ღვნჭილა.

ღვიძილი ნ. ღვძილი.

ღვიძლი ნ. ღვძლი.

ღვლარჭნილი ნ. ღულარჭნილი.

ღვლერჭი ნ. ღულერჭი.

ღვწა; ღვწა, ღვწოლა ნ. ღუწა.

ღვწოლა ნ. ღუწოლა.

ღ͠ი ქარაგმით ითქმის ღმერთი. უკეთუ დამბადებელსა ღ͠თსა ქარაგმა დაუსვა, ზედეთ ჯამს დასმა, ხოლო ცრუსა და ამაოსა ღ͠თსა კერპთასა ქვეშეთ ჯამს

დასმა ქარაგმისა. რათა გარჩი-ოდეს ZA.

ღ˜თი ქარაგმითა. ღ˜თი — ჩვენი, ღ˜თი — კერპი B.

ღია არდაჭმული ZABC.

განუმარტავია DE

ნ. ფარღია.

[**ღივ** ნ. აღივება, გაშლივარი].

ღილი (26, 10 გამოსლ.) ღ ი ლ ი არს მრგვალი და კილო-გარდა-საცმელი შესაკინძველი; გ უ გ უ-მ ა არს დიდი ღილი და ბოლო-გრძელი, დასაკერებელი; უტუ-რა — მოგრძე-თა(ვ)ოანი და მო-ბრტყე, ბოლო-დასაკერებიანი, ნახევარი მრგვალი და ნახევარი ბრტყელი ღილი ZA.

მრგვალი შესაკრავი: უტურა, გუ-გუმა (26, 10 გამოსლ.) B. განუმარტა-ვია CDE.

ღიმი (ბალ.) ZABCE.

(ფრინ.) D.

ღიმი ღიმილის ნაკვეთი ZA.

მცირე სიცილი BCab.

ღიმილი (ღიმილი, ღიმი, ღიმღიმი CqD) (+ 21 ზირაქ ZAa) სი-ცილში ნახე ZAB.

იგივე მცირე სიცილი Cab. მცირე სიცილი CqDE.

ღიმ-ღიმი პირის შეცინილი ZAB.

პირის შეცინილი უჭმოდ Cab.

ღინცილი უბადო(დ) სიცილი ZABCDE.

ნ. ეღინცილება, სიცილი.

ღინწი დანა მცირე და წვლილი (წვრილი AB) ZAB.

⌈ყალამთრაში⌉ Cb.

ნ. დანა.

ღირება ფასის დადება ZAB.

ფასის დებულობა C. განუმარტა-ვია D. მართებულობა E.

ნ. მიღირს, უღირს; შდრ. ღირ-სება, ღირსი.

ღირება დასაკრავად დაქანება ZABCab.

ნ. დაღირება; შდრ. ღერ.

ღირებული E.

ღირსება მართებულის გება ZABC.

განუმარტავია D.

ნ. ეღირსა, ეღირსება, ღირსი; შდრ. ღირება 1.

ღირსეული მართებულიანივით ZAB.

ღირსი (+ 3, 87 დანიელ ZAB) მართებულივით ZABCab.

მართებული CqD. განუმარტავია E.

ნ. ვღირსვარ, უღირსი, ღირსე-ული; შდრ. ღირება 1.

ღირღალი ღელე-ღულე ადგილი ZAB.

აღრინტალი CDE.

[**ღირღვილო(ვ)ანება, ღრიღვილო-ბა** ნ. ღირღვლოვანი].

ღირღვილოვანი, ღირღილოვანი ნ. ღირღვლოვანი.

ღირღიტი მცირე გოგორა ZAB.

პატარა გოგორა CD.

ღირღიტი ბაზთაგან დაცქერა და თავის ქანება ZAB.

ფრინველთაგან დაცქერა Cab. ფრინვლის ჩაცქერა CqDE.

ნ. ეღირღიტება.

ღირღოვანი (ღირღოიანი D) (40, 4 ესაია) ღირღვილოვანი ZA.

(40, 4 ესაია) მრადი-მრუდი, გინა დამშხალული B. ღ ი რ ღ ო ვ ა ნ ი და ღ ი რ ღ ო ა ნ ი მრადი-მრუდი, გი-ნა დამშხალული C. დამშხალული. ღ ი რ ღ ო ა ნ ი და ღ ი რ ღ ო ვ ა ნ ი

მრადი-მრუდი, დამშხალული D. მრადი-მრუდი E.

ნ. ღირღვლოვანი.

ღირღვლოვანი (ღირღვილოვანი ZABCaq, ღირღილოვანი Cb) (+ 7 ნემეს.[1] ZAa) დამშხალული. რა სიფიცხე უწყნარობასა შეერთოს, ღირღვილო(ვ)ანებასა (ღირღვილოვანობასა B) შეიქმს; ხოლო წყნარობა სიმტკიცესა რა შეერთოს, წყლტუობასა შეიქმს ZAB.

ოდეს რა სიფიცხე უწყნარო(ო)ბას(ა) შეერთოს, ღრიღვილობასა (ღრიღვილონობასა Cq) შეიქმს; ხოლო წყნარობა სიმტკიცესა რა შეერთოს, წყლტუობასა შეიქმს, რომელ არს ღირღოვანი გინა დამშხალული C.

ნ. ღირღლოვანი.

ღიტინი ხიჩინი ZA.

განუმარტავია BCaqDE.

თითო ხლება ეხიჩაოს Cb.

ღიღველი (ღიღველა E) ფრინველი ნაკრტენ-დაცვივნული ZAB.

(ფრინ.) ღიღეელი არს დიდი ფრინველი ნაკრტენ-დაცვივნული Cab. (ფრინ.) (+ ღიღეელი არს CqD) დიდი (მ)ფრინველი უნაკრტენო CqDE.

ნ. შიშუელი.

ღიღინი საამო (ამო B) ჴმის თქმა ZAB.

ამო ჴმათა თქმა Cb. ამო ჴმა CaqDE.

ღიჯა (ბალ.) ZABCDE.

ღიჯი (ხე) ბრწამლი ZAB.

(ხე) ბურწუმელი CDE.

ნ. ეკალა.

ღიჯინი უგვანი ვედრება ZABCD.

განუმარტავია E.

ღლაბუტა (თევზ.) პატარა ლოქო ZA.

ღლავი (ღლავი, ღლანი CD) (თევზ.) ლოქო ZAB.

(თევზ.) ლოქო სომხურია, ქართულად ღლავი და ღლანი ჰქვიან Cab. (თევზ.) ლოქო სომხურია, ღლავი და ღლანი ქართული(ა) CqD. (თევზ.) E.

ნ. ლოქო, ღლანი.

ღლაგკოხი (ფრინ.) (2 მჯულ.) ZAa.

ღლაკნა (ღლანკა Cab, ღლარკნა CqE, ღლანკნა D) კლაკნა ZABCDE.

ღლანი (თევზ.) ლოქო ZA.

(თევზ.) იგივე ლოქო B. (თევზ.) ლოქო სომხურია და ღლანი — ქართული, პატარას ლოქოს ღლავი ეწოდების E.

ნ. ღლავი.

ღლანკა, ღლანკნა ნ. ღლაკნა.

ღლაპი (ოთხფ.) თაგვთ შვილი ZAB.

(ოთხფ.) თაგვთა და მისთან(ა)თა(ა) შვილი CD. (ოთხფ.) თაგვთა და მყვართ შვილი E.

[**ღლაპუტა** ნ. ღლაბუტა].

ღლარკნა ნ. ღლაკნა.

ღლეტა კიდებით კოდა B.

ნ. დაღლეტა, დაღლეტილი.

ღლია[2] (+ 38, 12 იერემ. ZA) მკრის ძირი ZABCD.

განუმარტავია E.

ღლოფო წვიმასთან ნახე ZAB

---

[1] იგულისხმება ნემესიოსის „ბუნებისათვს კაცისა“ (გვ 79, 4 — 5). [2] წყაროში: „ღლიათა“.

მეტად დიდი წვიმა CDE.

ღმერთი (3, 6 გამოსლ.) ღ˜თი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყო(ვ)ელთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყო(ვ)ელთა; ღ˜თი გამოითარგმანების ხედვა და წვა ZAB.

ღმრთაება ითქმის ყოველთა მხედველი(სა) წინაგანმგებელობისათვის და ყოვლად სრულისა სახიერებისათვის, ვითარ ყოველსავე მოიხილავს და შემოკრებით იპყრობს და თავისა მიერ თვისისა ალავსებს (+ და C) ზეშთა მათ ყო(ვ)ელთა გარდა-რაეფინების, რაოდენიცა არიან მიმღებელ(ნი) წინაგანგებულებისა მისისა; (+ კვალად ითქმის ღმერთი ყოველთა მიზეზი და შემოქმედი და უხილავი Cab; + ღმერთი გამოითარგმანების ხედვად და წვად C) CD. განუმარტავია E.

ნ. გაღმრთობა, მამა, სამღრთო წერილი (წერილ'თან), უღმრთო, უღმრთოდ, ღ˜ი.

[ღმერთმან ნ. ღ˜ნ].

[ღმერთსა ნ. ღ˜ა].

[ღმერთო ნ. ღ˜ო].

ღმეჭა სახის ქცნობა B.

ნ. დაღმეჭა, დაღმეჭილი.

ღმრთაება (+ ღთ˜აება B) ითქმის ყო(ვ)ელთა მხედველი წინაგამგებელობისათვის, ვითარ ყო(ვ)ელსავე მოიხილავს და შემოკრებით აღავსებს თვისითა მოწყალებითა და იპყრობს ZAB.

[ღმრთისაჲ ნ. ღ˜ჲ].

ღ˜ნ (1, 1 დაბად.) ქარაგმით ღმერთმან ZA.

ღ˜ნ ღმერთმან ქარაგმით (1, I დაბად.) B.

[ღნავ ნ. მღნავი].

ღნიოში ფინთი ZABCD.

ფინთი რამეა, სიღნიოშე რა არის E.

ღნიშვა ავსახეობა B.

ნ. მოღნიშული.

ღ˜ჲ (5, 34 მათე) ქარაგმით ღმრთისა ZA.

ღმთისა ქარაგმით B.

ღ˜ო ქარაგმით ღმერთო Z.

ღმერთო ქარაგმით AB.

ღობე (5, 5 ესაია) ზღუდესთან ნახე ZAB.

ჯალჯის ზღუდე C. განუმარტავია DE.

ნ. მოუღობე, საღობავი.

ღობე დაჭენებული 61 ფსალმ. ZAa.

ღოლოშმაგა (ბალ.) CDE.

ღომენარხი ბერძულ(ად) ადგილის-მთავარი ZAB.

ადგილის-მთავარი Cab. რაცაღა (რაღაც D) მოქელეა CqD. განუმარტავია E.

ღომი (ბალ.) ZABCDE.

ღომინტარი უცხოთ მოსამსახურედ დადგინებული ZAB.

(+ ესე CD) არს უცხოთ(ა) მსახურებისათვის დადგინებული CDE.

ღომორი (16, 16 გამოსლ.) ღომორი არს მანანას ტაკუკიცა, რომელი შთაიტევდა სამთა (+ და ნახევართა B) კოტვილთა; ხოლო მცირე ღომორი არს მოდი ათი და დიდი ღომორი—მოდი ათხუთმეტი; (+ ხოლო ZAa) სხვა ღომორი არს მეათედი დიდისა საწყავისა, რომელ არს არტავი, ესე იქმნების შვიდი ქსესტი და ქსესტის ნახუთალი; სხვა ათი კოტვი-

ცახე რა მზის შუქი სახლად შედგეს, მას შინა იხილვებიან ვითარცა მტვერი აღმავალი, მას მცირესა ეწოდების (ეწოდებიან A) ZA.

ც ა ხ ე არს რა მზის შუქი სახლთა შედგეს, მას შინა იხილვებიან ვითარცა მტვერი აღმავალი, — მას მცირეს ეწოდება B. ც ა ხ ე არს რომელსა სახლსა შინა შეადგეს შუქი მზისა, რომელსა შინა იხილვების ვითარცა მტვერი (+ ხოლო ც ა ხ ი — კონად კაჰაჰთა Cab) CD.

ცახი ჩახი ZABCb.

ნ. ჩახი, ცახე.

ცბა მოცთუნება ZABCD.

ნ. მცბიერი, სიცბილი, სცბოდიან, ცბის, ცბოდიან, ცბოლა; შდრ. ცბუნ.

ცბის (+ 4 მეფ. 18, 32 ZAa) მაცთენელობს ZAB.

ცბოდიან მაცთენელობდიან ZAB.

ცბოლა მაცთენელობა ZA.

მაცთუნებლობა B.

[**ცბუნ** ნ. შევსცბუნდი. შეცბუნება; შდრ. ცბა].

[**ცდ** ნ. ცად 2, 3, 4].

ცდა საქმის შებმა: ც დ ა არს რაჲ არა იცოდეს და მის სწავლას ეცადოს ანუ რაი არა აქვნდეს შოება, მოიჭირვოს და ეგევითარნი ZAa.

საქმის შებმა AhB. ცდილობა საქმეთა C. განუმარტავია D.

ცდენა მართალი შეაცთუნოს ZAB

მართლის საქმისაგან შეცთენა (შესცთეს Cq) C. განუმარტავია D.

ნ. სიშემცდრე, ცდუნება.

[**ცდენა** ნ. დაცდენა. ნაცდენი; შდრ. ცთენა].

ცდილი სინჯული გინა წმენდილ· B.

ნ. ცად 3.

ცდუნება მართლის შეცთუნება ZA.

მართლის შეცთომა D

ნ. ცდენა.

ცებნა (+ 2, 78 დიონოსი[2] ZAa) ცნობა ZABCD.

[**ცევ** ნ. ცვა].

[**ცეთ** ნ. ცთენა. ცთომა, ცთუნე-

---

[1] „ცელის“ ZA. [2] შდრ A — 163: 38 კიდეზე („ძებნაჲ“)

ბა; შდრ. ცდენა].

ცეკვა ფერხის თითებით როკვა ZAB.

როკვა ფერხის თითებითა CD.

ცეკუანა (ცეკვანა ZA) (მძრომ.) ელვანა. წყალზედ რომ შავი მრავალ(ნ)ი ჭუა რბიან ZA.

ელვანა B.

ცელი (1 მეფ. 13, 20) ბუნგრძელი სათიბი (სათიბელი B) ZAB.

სათიბელი(ა) C. განუმარტავია D.

ნ. მცელავი.

[**ცელ**-**მანგალა** ნ. მერცხლის-მდევარი].

ცელქი ყრმა დაუწყნარებელი ZAB.

ყრმა დაუმდგარი C. ყრმა დაუდეგარი D.

[**ცემ** ნ. ც 4].

ცემა არგნით გვემა, ც ე მ ა — საბოძვრის ბოძება ZA.

ც ე მ ა არს არგნით გვემა, ც ე მ ა არს საბოძვრის მიცემა, ც ე მ ა არს გველთა და მისთანათაგან კბენა B. არგნის კრვა (კვრა Cab) CD.

ცემა მიცემა CD.

ცემლი[1] (+ 66, 3 ესაია ZAa) მოცემული ZAB.

ცენდარი ნაკაფი ბლაგვი Z.

შდრ. ცანდარი.

ცენება აღმოცენება ZACD.

აღმოცენება, ამოსვლა B.

ნ. აღმოცენება, მიკონის-მცენარე, მცენარე.

[**ცერ** ნ. ცრა 1].

ცერეცო (ბალ.) (+ 23, 23 მათე ZAB) ZABCD.

ცერი უსხო თითი(ა) (თითთა A'ɔ) ZAB

ახვილი თითი C. განუმარტავია D

ნ. საცერე.

ცერცველა ნ. ცერცუელა.

ცერცვი ნ. ცერცუ.

ცერცუელა (ცერ კველა ZABCb₁D) (ბალ.) ცუდცერცვა ZA.

(ბალ.) ცერცვცუდა B. (ბალ.) CD.

ცერცუ[2] (ბალ.) (+ 4, 9 ეზეკ. ZAa) ZABCD.

ნ. არაკი 2.

[**ცეტრი** სახე ტყავისა ფარისა] Cb.

ცეცება ბრმის (ბრმა Cb) პირუტყვის (პირუტყვთ Cq) სლვა ZABC.

განუმარტავია D.

ცეცქა (ბალ.) ცერცვი ინდოთ საჭმელი ZAB.

(ბალ.) ცერცვია, (+ მაშა Cab' ინდოთა საჭმელი C. (ბალ.) D.

ნ. მაშა.

ცეცხლი (+ 148, 8 ფსალმ. ZA) ცეცხლი არს ერთი ოთხთა კავშირთაგანი, სუბუქი და უზეალმავალეს(ნ)ი სხვათა, მწველობითი და განმანათლებელობითი, მკურვალი და ჭმელი პირველსა დღესა დაბადებული შემოქმედისა მიერ. ხოლო ცეცხლი რა (+ პირველ B) ტალკვესისაგან იშვების, ეწოდების წ ი ნ წ კ ა ლ ი; ხოლო რა ცეცხლი (+ ნივთსა ZA) აღედვას, ანადენსა ეწოდების ა ლ ი და ზე აღნადენს(ა) წინწკალს(ა) — ნ ა ბ ე რ წ ყ ა ლ ი; უკეთუ ცეცხლით მრავა-

---

[1] წყაროშია: „მცემლი“. [2] ნუსხებშია: „ცერცვი“.

ლ(ი) (მრავლად B) ნაზერწყალი გამო(ჰ)კრთა, ეწოდების ბურჯღული; ერთს(ა) ნაკვეთს(ა) ცეცხლისა(სა) — ნაკვერცხალი; ხოლო მრავალ ნაკვერცხალსა — ღველფი; ნაკვერცხალსა და ნაცარსა (ნაცართა B) აღრეულსა (აღრეულთა B) — ლადარი (ლადარა B); მცირესა ნაკვერცხალსა — დაკვლი, ნაკიდებთა შეშათა (შეშათა ნაკიდებთა B) — მუგუზი; უკეთუ მთათა და ველთა ცეცხლი აეგზნა — ხანძარი ZAB.

ცეცხლი არს ერთი ოთხთა ნივთთაგანი, სუბუქი და უზეაღმავალესი (უზიაღმავალესი Cb) სხვათა, მწველობითი (+ და C) განმანათლე(ბე)ლობითი, პირველსა დღესა დაბადებულ(ი) შემოქმედისა (ღ~თისა Cb) მიერ, მქურვალე და ჭმვილი, ხოლო ცეცხლთაცა ესრეთ განყოფილად სძეს სახელი: პირველად ოდეს გამოჰკდების (გამოჰკდეს CqD) კვესისა და კაჟისა (+ მიერ Cab) კვეთებითა, მას ეწოდების წინწკალი; ხოლო ოა(დ) ცეცხლი აღედვას და ზე აღმა წინწკალი ადიოდეს, ეწოდების ნაპერწყალი; უკეთუ ნაზერწყალი მრავალი გამო(ჰ)კრთეს ცეცხლისაგან (ცეცხლთაგან CqD), მას ეწოდების ბურჯღული და ერთსა ცეცხლთაგანსა — ნაკვერცხალი (+ ეწოდების CqD); ხოლო მრავალ ნაკვერცხალსა — ღველფი; ნაკვერცხალსა და ნაცართა (ნაცარ D) აღრეულთა (ნარევსა CqD) — ლადარი; (+ ხოლო C) მცირესა ნაკვერცხალსა — დაკვლი: ზე აღმავალსა ცეცხლსა — ალი: ხოლო შეშათა ნაკიდებსა (ნაკიდებთა Cb) — მუგუზი, (+ და C) უკეთუ მთათა და ველ-

თა ცეცხლი აღეტყინა (აღეტყინოს CqD) — ხანძარი CD

ნ. ასო, კავშირი 2, ნარცეცხლა, ნივთი, საცეცხლე, საცეცხლური, სტუქო, შავცეცხლი, წყალი.

ცეხვა (ცეხუა Cab) ცემით მარცვლის ქერქის შეძრობა ZAB.

მარცვალთ (მარცვლის D) ქერქის შეძრობა ცემით(ა) CD.

ნ. საცეხველი, სცეხუავს.

[**ცვ** ნ. ცუ].

ცვა დაფარვასავით ZABCD.

ნ. ბეჭდის მცველი, გრძნობის საცავი, დაცვა, ვსცავ, ვსცევდ, თავის-საცო, მოიცვა, მოცული, მსხუერპლის საცავი, მცველი, სამცველო, საცავი, საცო, სცა, სცავს, სცევდა, სხეულისმცველი, უცვავი, ფასის-საცავი, შეცული, წიგნის-საცავი, წინამცველი, წისსაცავი, ჰაერის-მცველი.

[**ცვალ** ნ. ანაცვალებდა, გამოცვლა, გამოცვლილი, დედინაცვალი, ეცვალა, ვანაცვალე, იცვალა, მამინაცვალი, მანაცვალა, მცვალებელი, ნაცვალი, უცვალებელი, უცვლის, ცვალება, ცვლა].

ცვალება გამოცვლა ZAB.

გამოცვლასავით CD.

ნ. ცვალ.

[**ცვარი** ნ. ცუარი].

ცვილი თაფლის სანთელი ZABC

განუმარტავია D.

ცვიფრი ნ. ცვფრი.

ცვლა გამოცვლა ZA.

სხვისმიერობა B. გაცვლა CD.

ცვრევა ნ. ცურევა.

ცთენა ცთომასავით ZA.

განუმარტავია B.

ნ. მაცთენელი, მაცთური, საცთენი, საცთური.

ცთომა (+ 48. 11 ეზეკ. ZAa) გზის გამრუდება ZAB.

წესის გამრუდება C. განუმარტავია D.

ნ. დასცთა. მცთარი, მცთომარე, მცთომი, ნაცთი, ნაცთომი, საცთომელი, სცთები, უცთომელი, შემცთარი. შეუცთენია, შეცთომილი; შდრ. დასთომილი, ცდენა, ცდუნება, ცთენა. ცთუნება.

ცთომილი (+ 5, 6 იგავ. ZAa) შეცთომილი ZAB.

ცთომილნი (ცთომილი CD)* შვიდნი იგი ვარსკვლავნი უკვე ითქმიან ცთომილად, რომელნი შვიდთა მათ ცათა შინა თ(ვ)ითოეულნი არიან, რომელთა სახელები მათი ესე არს (არიან B) ქართულად და არაბულად (+ და ნიშანნიცა მათნი B):

✱	მთოვარე:	ყამარ:
✱	ერმი:	ოტარიდ:
✱	აფროდიტი:	აპიროზ:
✱	მზე:	შამს:
✱	არია:	მარიხი:
✱	დია:	მუშთარი:
✱	კრონოსი:	ზუალ:

ესენი არიან რომელნიმე განმანათლებელად ქვეყანისა, რომელ(ნ)იმე დარებთა სასწაულებად. რამეთუ რომელსამე (რომელსაცა B) გაუპირდაპირდების (გაუპირისპირდების B) მთოვარე, (მით იქმნებიან AbB) გვალვა, წვიმა, (წვიმა, გვალვა B) სეტყვა, ქარნი და ყო(ვ)ელივე

დარი. ხოლო ათოთხმეტისა დღისა მთოვარე ოდეს გაივსების, პირისპირ უჭვირობს მზესა. და სრბასა შინა უკეთუ ორთავე შორის დაეპყრა ქვეყანა და (+ ქვეყანისა ZA) ზედა(თ) იყოს მთოვარე და ქვეშე (ქვედათ B) ქვეყანისა მზე (+ და B) ვერღარა იხილავს მზე პირსა (იხილოს მზემან პირი B) მთოვარისა(სა) და მოაკლდების მთოვარეს(ა) ნათელი. რამეთუ აჩრდილი ქვეყანისა დააბნელებს, ვინათგან (რამეთუ B) მთოვარესა თავით თვისით არა აქვს (არა აქვს თავით თვისით B) ნათელი. არამედ ვითარცასარკე არს ქმნულება მისი და რაოდენსა ხედავს მზე, ეგოდენი (ეგოდენსა AbB) აქვს ნათელი. ხოლო ოცდაცხრისა მთოვარე ვე-

☾	ლუნა:	ZAa
♀	ვენერე:	ZAa
☿	მერკურიო:	ZAa
☉	სოლე:	ZAa
♂	მარტე:	ZAa
♃	ჯოვე:	ZAa
♄	სატურნო:	ZAa

რა (ჰ)ხედავს მზესა. ამისთვის უნათლო არს, და უკეთუ სრბასა შინა უნათლო მთოვარემან განვლო ქვეშე სისწორ მზისა, დაჰფარავს ნათელსა მზისასა და მოაკლდების მზესა (+ ნათელი ZA) და დაბნელდების ZAB.

ცთომილად უკვე ითქმიან (ითქმის Cb) შვიდნი იგი ვარსკვლავნი, რო-

მელნი არიან შვიდთა მათ ცეთა შინა, რომელთა სახელები ესე არს ქართულებ და არაბულად (+ და ჩიშნებიცა მათი C):

მთოვარე, ყამარ ☾

ერმი, ოტარიდ(ი) ☿

აფროდიტი, ასპიროზ ♀

მზე, შამს ☉

არეა (არია CaqD), მარიხ(ი) ♂

დია, მუშთარ(ი) ♃

კრონოს, ზოჰალი ♄

ესენი არიან რომელიმე განმანათლებელად ქვეყანისა (+ და CaqD) რომელიმე წვიმათა და თოვლთა და დართა სასწაულად, რამეთუ გაპირისპირებითა მათითა იქმნებიან დარნი და წვიმანი. ხოლო ათოთხმეტისა დღისა მთოვარე ოდეს გაივსების, პირისპირ უპყრებს მზესა, უკეთუ ორთა(ვე) შორის დავმთხვა(ს) ქვეყანა და ზედათ იყოს მთოვარე და ქვეშე ქვეყანისა მზე და ვე(რ)ღარა იხილოს (+ მზემან C) პირი მთოვარისა, მოაკლდების მთოვარესა ნათელი, რამეთუ აჩრდილი ქვეყანისა დააბნელებს, რამეთუ მთოვარესა არა აქვს თავით თვისით ნათელი, არამედ ვითარცა სარკე არს ქმნულებაა (ქმნილება CqD) მისი და რაოდენსა ხედავს მზე, ეგ(ე)ოდენსა აქვს ნათელი (სინათლე Cq), ხოლო ოცდაცხრისა მთოვარე ვერა ჰხედავს მზეს(ა) და უნათლო არს, უკეთუ სრბასა შინა უნათლო(მან) მთოვარემ(ან) განვლო სისწორით ქვეშე მზისა, დაჰფარავს ნათელსა მზისასა (+ და Cq) მოაკლდების და დაბნელდების მზე CD.

ციაგი მზის სხივი ZABCD.

ციალი მცირე რამ · ელვარება ZABCD.

ციბა (ციბა და ჩიბა Cab; ციბა, ჩიბა CqD) (ოთხფ.) ასაკმცირე ძაღლი ZABCD.

ნ. ჩიბა, ძაღლი.

ციბაკი (ოთხფ.) ციბაცუდა ZAB.

(ოთხფ.) წვლილი ცუდი ძაღლი CD

ნ. ძაღლი.

ციბრუტი ფიცართ საქვრეტელი (საქვრეტი BCab) ZABCab.

განუმარტავია CqD.

ციგა მცირე მარჯილი ZAB

მანჯიკი, მცირე მარჯილი CD

ნ. მარჯილი, ურემი.

ციდა (2 ნეშტ. 4, 5) ZAa.

განუმარტავია AbBCD.

ნ. გოჯეული.

ციდამტკაველი (ოთხფ) მაიმუნ ZAB.

(ოთხფ.) ც ი დ ა მ ტ კ ა ვ ე ლ ი, ყ ა პ უ ზ უ ხ ა, ქ ი ა (+ ყველაკა Cab) მაიმუნს(ა) ჰქვიან (+ ყველა Cq, + ყვალა D) CD.

ნ. მაიმუნი, ქია.

ციერი (ციერნი BCb) ვარსკვლავ(ნ)ი ZAB.

ცის ვარსკვლავნი Cb.

ცივი სიცივეცა განიყოფებიან (+ ექვსად B): სიოდ, სიგრილედ, სუსხად, ტეხვრად (+ ხვატად A), ნეფხვად და ყინელად: ს ი ო არს სიცხესა (სიცხეთა B) შინა მცირედი რამ სიგრილე; ხოლო ს ი გ რ ი ლ ე — საამოვნო მცირე, სიცივის მსგავსი; ს უ ს ხ ი არს სიცივის(აგან) ნაწილი რამ(ე) დამწველი და დამაკ(ც)ნობელი; ტ ე ხ ვ რ ა არს ზამთარ თოვლში სიცივე; ხ ვ ა ტ ი (+ არს A) მისგან უკლიერესი სიცივე; ნ ე ფ ხ ვ ა (+ არს A) ზამთარ ქმელი (+ და A) მოუთმინარი სიცივე (სიცივე მოუთმენელი B); ხოლო ყ ი ნ ე ლ ი ესე-

თი სიცივე (სიცივე ესეთი B), ლბილნი წყალნი (წყალნი ლბილნი B) ქვებრ შექმნას და ქირხლი შეაყინოს AB[1]. სიცივეცა განიყოფებიან ხუთად: სიოდ, სიგრილედ, ტეხვრად, ნეფხვად, და ყინვლად: სიო არს სიცხესა შინა მცირედ რამე წყლის პირთა მიერ(ი) ანუ შიგან (შინაგან CqD) სახლისა რასამე სიგრილე იცის; ხოლო სიგრილე არს დღეთა ზაფხულისათა მცირე (არა დიდი Cb) სიცივე საამებელი კაცთათვის წყალთა ანუ ჩრდილთა, ანუ სახლთა შინა, ანუ ღამით, წამალ(ნ)იცა და ნივთნი ცივისა ბუნებისა(ნი) ითქმიან (იქმნებიან Ca, ითქმის D) გრილად (+ და C) ეგრეთვე სენნი; (+ ხოლო C) ტეხვრა არს ზამთარ სიცივე დი(ა)დი; ხოლო ნეფხვა არს ზამთარ სიცივე ქმელი (+ და CbD) მოუთმენელი: ყინვად (+ არს Cb) სიცივე ესეთი, წყალნი და ნოტიონი ლბილნი ქვათაებრ შექმნას (+ და C) ქირხლნი შეაყინნეს CD.

ნ. მცივანი, სიცივე.

[**ცილ** ნ. დასცილდა, მოსცილდა, მოცილვება, შესცილდა].

[**ცილ** ნ. ეცილება, ვეცილები, ვსცილობ, ვცილობ, იცილება, მაცილებელი, მოცილე, მცილებელი, ნაცილი, საცილობელი, უსაცილო, უსაცილოდ (უღონიოდ'თან), შეეცილა, შემოცილება, შესცილდენ, ზეცილება, ცილება].

ცილა კვერცხის თეთრი გული, გინა ხის ქერქის შიგნითი კანი ZA.

ცილა არს კვერცხის თეთრი, გინა ხეთ ქერქს შიგნითი B. ცილა არს კვერცხის გულს გარეთ თეთრი, გინა ხის ქერქს შიგანი (შინაგანი Cq) C. განუმარტავია D.

ცილება (18, 16 გამოსლ.) ორნი რომელ ირჩოდენ ZAB.

ორნი რომ ერთზე ირჩოდენ C. განუმარტავია D.

ცილი (+ 10, 14 იერემ. ZAa) ტყუილთაგანი ZA.

ტყუვილი რამე B. ტყუ(ვ)ილსავით (+ გინა საცილებელი Cb) C. განუმარტავია D.

ნ. ნაცილი, ტყუვილი.

ცილის-შეწამება ტყუ(ვ)ილის დაწამება ZA.

ტყუვილად დასწამოს რამე B

ცილის-წამება ტყუ(ვ)ილი(ს) მოწმობა ZAB.

ტყუ(ვ)ილი(ს) შეწამება CD.

ციმციმი მცირე წყალთ ჩამქევლება ZA.

მცირე წყალთ ჩამქ:ლევა B. მცირე(დ) წყალთ ჩამღერა CD.

[**ცინ** ნ. ეცინა, ეცინის, [ვეცინი.] იცინის, საცინელი, სიცილი].

ცინგლი თხელი წვ: ნტლი ZABCD.

ნ. იცინგლება, წვნტლი.

ცინტალი კატის კნოტი მოდიდო ZA.

(ოთხფ) კატის მართვე B. (ოთხფ.) კატის კნოტი C. (ოთხფ.) კნოტი კატისა D.

ცირცელი (ხე) ZAB

(ხე) ხილია Cb.

ცისად-ცისად (4, 24 მათე) მთოვარესა და მთოვარეზედ დაპნედა ეშმაკეულებათა ZA.

(4, 24 მათე) ესე არს მთოვარესა და მთოვარეზედ დასენება ეშმაკეულებათა B. ცისად-ცისად (მათეს თავ-

[1] Aa-ში ამ სიტყვასთან შენიშვნაა: „სიცივესთან დაწერე“.

ში 4, 24) მთვარესა და მთვარეზედ, გინა სხვადასხვა რიგად Cab. მთვარესა და მთვარეზე(დ) (+ გინა სხვადასხვა რიგად Cq) CqD.

ცისარტყელა (ცისარტყელი BC) ცის მშვილდი ZAB.

ცის მშვილდი. რა ნისლი ამაღლდების და ღრუბლამდისინ მიიწევის, ცვარნი ნისლთანი განზრქელდებიან და მზის(ა) შარავანდედისა მიერ შეიმკობიან (+ და მზისა მიერ CaqD) ფერად-ფერადად სახილველ იქმნებიან. კეთილი ნიშანია მრავალგზის მისი გამოჩინება [(ჯგამოჩინება მისი CqD) CD.

ნ. ირისე, ცის-მშვლდი.

ცისიერი ესე არს ჰაერთა შინა რაიცა იქმნების: ელვა, ქუხილი, მეხი, ტატანი, ვარსკვლავკუდედი, სეტყვა, და რაიცა შუქი და ნიშანი ვამოჩნდების ZA.

ესე არს ჰაერთა შინა რაიცა იქმნებიან: წვიმა, თოვლი, სეტყვა, ელვა, ქუხილი, ტატანი, ვარსკვლავკუდედი, და რაიც შუქნი და ნიშანი ჰაერთა შინა გამოჩნდებიან B. ესე არს (ჰ)აერთა შინა რაიცა იქმნებიან: წვიმა, თოვლი, სეტყვა, ქუხილი, ელვა, მეხი, ვარსკვლავმრბედი, ვარსკვლავკუდედი და რაიცა შუქნი და ნიშანი ჰაერთა შინა გამოჩნდა (ვამოჩნდებიან Cb), რომელსა ვიეთნი ტატანად უწოდენ Cab.

ცისკარი (5, 21 საქმე) მოწევნა განთიადისა ZA.

(5, 21 საქმე) ცისკარი ეწოდება მოწევნასა განთიადისასა[1], და შემდგომად მისა — განთიადი და შემდგომად — რიჟურაჟი; ხოლო აღმოსვლასა მზისასა — დილა და შემდგომად მწუხრამდე — დღე B. (+ ცისკარი Cb) ეწოდების მოწევნასა განთიადისასა, ხოლო შემდგომად ცისკრისა ვიდრე ნათლებამდე განთიადი ეწოდების, ხოლო რიჟურაჟ(ი) — ოდეს (ოდენ Ca) განთიადი მცირედ აღმოჩნდეს, ხოლო დილა — მზე აღმოსასვლელად იყოს და შემდგომად — დღე ვიდრე მწუხრამდე Cab. განთიადად იტქმის CqD[2].

ნ. გაცისკრება, იცისკრა.

ცისკრის-ვარსკულავი (ცისკრის-ვარსკვლავი Cq) მთიები ZAC.

მთიები, რომელ არს აფროდიტი B.

ნ. აფროდიტი.

[**ცისმზომელობა** ნ. მათემატიკა]

ცის-მშვლდი (ცის-მშვილდი AB) + დაბად. A) რა ნისლი ამაღლდების და ღრუბელთამდე მიიწევის, მზის შარავანდედისაგან ნისლთა ცვარნი გაზრქელდებიან და შეიმკობიან (+ და ფერად-ფერადად გამოჩნდებიან Ab) კეთილი ნიშანია მრავალგზის მისი გამოჩინება ZA.

რა ნისლი ამაღლდების და ღრუბელთამდე მიიწევის, მზის შარავანდედისაგან ცვარნი ნისლთანი განზრქელდებიან და შეიმკობიან და ფერად-ფერადად საჩინო იქმნებიან. და კეთილი ნიშანია მრავალგზის მისი გამოჩინება B.

ნ. ირისე, ცისარტყელა.

ცის-ნატეხა (ცის-ნატეხი Cb) (5,

[1] B-ში ამის შემდეგ განმარტება გადახაზულია. [2] Ca-ში მსგავსი განმარტება გადახაზულია.

2 ისო) ქვა(ა) შავი, ჭიქის მსგავსი ZABCb.
[ცის-ნატეხარა ნ. ქვა; შდრ. ცის-ნატეხა].
ცის-ნატეხი ნ. ცის-ნატეზა.
ცის-ფერი ლურჯი ZAB.
ცისხეული (+ 35, 7 გამოსლ. ZAB) ლურჯი ZABC.
    შავი D.
ციქუა ოხა, გინა მოციქულობა B.
    ნ. ვმოციქულობ, ვსციქუ, მციქუ, იმოციქულა, მოციქული, (მანა'სთანაც), სამოციქულო, საციქუელი.
ცილვ [1] დანა მოსაკეცი ZAB.
    ნ. დანა.
[ციუკ ნ. მციუკ].
[ციცა ნ. კატა].
ციცა ნიგოზთა და თხილთ მჭადა ZAB.
    ნიგვზისა და თხილის ყვავილი CD.
ციცაბი დალმართთან ნახე ZAB.
    ფრიალო გვერდი ამართული C. ფრიალო D.
ციცი (ოთხფ.) კატა ZAB.
    (ოთხფ.) კატა, გინა კატის ხადილი Cab. კატის ხადილი (+ გინა კატა Cq) CqD.
    ნ. კატა.
ციცინათელა (მწერ.) ZABCD.
ციცქნა (ციცხნა Ab) მცირე მონატეხი ZABCD.
ციცხვი ნ. ციცხვ.
ციცხნა ნ. ციცქნა.
ციცხვ [2] (+ 4, 7 რიცხვ. ZAB) დიდი კოვზი ZABC.

    განუმარტავია D.
    შდრ. ლაპოტი.
ციხე სიმაგრე ნაშენები ZA.
    სიმაგრე ნაგები BC. განუმარტავია D.
ციხოვანი ციხის მქონებელი ZAa.
    ციხის მცველი AbB.
[ცლ ნ. ცალ].
ცლა მოცლა, დაცლა ZAB.
    მოცლა, გინა დაცლა C. განუმარტავია D.
ცლაგვა (ცლაგუა Cab) ერთს სიტყვაზე(დ) დაუდგ(რ)ომლობა (დაუდგომელობა B) ZAB.
    სიტყვაზე დაუდგ(რ)ომლობა CD.
    ნ. მცლაგავი, სცლაგავ.
ცლევინება საქმე ადროოს ZAB.
    საქმე დააცალოს, ადროოს C. განუმარტავია D.
    ნ. ცალ.
ცლილი მოცლილი, დაცლილი ZA.
    დაცლილი, მოცლილი B.
ცმა შემოსასავით ZABC.
    განუმარტავია D.
    ნ. ცუ.
ცმა ლუსმრით მიკრვა (მიკვრა A) ZA.
    ნ. ცუ.
ცმაღირობა (მაქსიმესი) ZAB.
ცმაცური ოდენ რყევა ZAB.
ცმელი (16, 10 ფსალმ.) ცხიმთან ნახე ZAB.
    ქონი გარდ(ა)უმდნარი CD.
ცმორი (თევზ.) ZABCD.
ცმუტვა ადგომას ლამოდეს და იძროდეს ZAB.
[ცნ ნ. ცან].

[1] ნუსხეშია: „ცილვი". [2] ნუსხეშია: „ციცხვი".

ცნდალი[1] სალბუნი ZABCb.

კარაბადი: „ზეთებითა ლბილითა და ც(ა)ნდლებითა ლბილითა" CaqD[2]

ცნება ცნობის ნაწილი(ა) ZABC.

განუმარტავია D.

ცნობა (1, 4 იგავ. ZAa) სულის გულისხმის-ყოფასავით ZABCab.

სულის გულისჴმასავით Cq. ცებნა D.

ნ. ცან.

ცნობილი ცნობიანი ZAB

ცობა დანახეთქი ამოვსა B.

ნ. დაცობა.

ცოდა (+ 9, 2 იოანე ZA) ცოდვა ქნა ZAB.

ცოდვა (+ 12, 31 მათე ZA) ავის ქნა (+ 2 კორინთ. 5, 21 Z) ZAB.

ბოროტი, გინა უშჯულოება C. განუმარტავია D.

ნ. აცოდვა, გცოდავ, გცოდე, ვცოდე, ვცოდევ, იცოდვა, მცოდველი, საცოდავი, უმცოდველ, უცოდველი, შემცოდე, შესცოდა, შეცოდება, ცოდვილი.

ცოდვა ხუნების-გარეგანი (+ ესე ცოდვა B) სოდომური და პირუტყვთან(ა) ZAB.

ცოდვა მომაკუდინებელი (ცოდვა მომაკვდინებელი Ab) ყო(ვ)ელი(ვე) დიდი ცოდვა ZAB.

ცოდვა შემთხუევითი (ცოდვა შემთხუწევითი Z, ცოდვა შემთხვევითი AB) ანაზდეულ ქმნილი და არა ჩვეულებითი ZA.

ესე ცოდვა ანაზდ მოჰნდეს და არა ჩვეულებითა B.

ცოდვა შესანდობელი (+ ესე ცოდვა B) მცირე და არა მომაკვდინებელი ZAB.

ცოდვა ჩუეულებითი (ცოდვა ჩვეულებითი Z, ცოდვა ჩუწულებითი A) შეჩვეული და მრავალგზის ნაქმარი ZA.

ესე ცოდვა შეჩვეული და მრავალგზის ქმნილი B.

ცოდვილი (7, 37 ლუკა) ცოდვის მოქმედი. ც ო დ ვ ი ლ ი ეწოდების ქრისტიანესა შემცოდესა, ხოლო უ შ ჯ უ ლ ო (უსჯულო A) წარმართთა და ქრისტეს ურწმუნოთა, რომელთა არა იციან ცოდვა, თუ რაი არს ZA.

ცოდვის მოქმედი. ც ო დ ვ ი ლ ი ეწოდება ქრისტიანესა შემცოდესა, ხოლო უ ს ჯ უ ლ ო წარმართთა, რომელთა არა აქვსთ შჯული და არცა იციან ცოდვა, თუ რაი არს B. ცოდვის მოქმედი Cab. განუმარტავია CqD.

ცოდნა ესე არს უწყება, გინა თქმისა და ქ(მ)ნის სწავლების შეძლება ZA.

ცოდნა არს უწყება, გინა თქმისა და ქნის და სწავლულების შეძლება B. ცოდნა არს უწყება, გინა თქმისა და ქნისა (~ქმნისა და თქმის Cq) შეძლება (შემძლებელობა Cq), გინა სწავლულება C. განუმარტავია D.

ნ. აცოდინა, ვაცოდინე, მცოდინარე, მცოდინი, მცოდნელთ; შდრ. ც 3.

ცოთი სასწორის შესასწორებელი

[1] შდრ. Q — 916: 156, 30 [„ცანდალი"). [2] წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია Cb-ში.

რომელსა თურქნი ა ბ რ ა ს უწო-დენ ZA.

სასწორის შესასწორებელი, რომელსა თათარნი უწოდენ ა ბ რ ა ს ა B. განუმარტავია CD.

ცოლეულნი ცოლის მოძმენი ZAB.

ცოლი (+ 2, 23 დაბად. ZAB) ქრმოსანი ZABCaq.

ქმროსანი Cb. განუმარტავია D.

ნ. იცოლა, კაცი, ნაცოლარი.

ცოლოსანი ცოლიანი ZAB.

ცომი (12, 15 გამოსლ.) თბესთან ნახე ZAB.

ფქვილი მოზელილი C. განუმარტავია D.

ნ. დაცომილი, დღესასწაული უცომოობისა, უცომო, უცომოობის დღესასწაული.

ცომიანი (12, 19 გამოსლ.) ცომიანი ZAB.

ცონვა დაზარება ZABCD.

ნ. გცონნ, მცონარება (შიშ'-თანაც), მცონარი, სიცონილი, უცონველი.

ცორანი ერმის ცა(ა) ZAB.

ნ. ერმი, ცა.

ცორვა თოვლსა და მოლზე ჩაგლინ(ვ)ება ZAB.

თოვლსა ანუ მწვანეზე(დ) დაღმა დაგლინდეს C. განუმარტავია D.

ნ. აცორდა, აცორვება, დაცორვება, სიარული, სლვა.

ცოტა უმცროსთან ნახე ZAB.

მცირესავით C. განუმარტავია D.

ნ. მოუცოტავე.

ცოფი (5, 22 მათე) გიჟთან ნახე ZAB.

(+ ცოფი არს D) გონება და ცნობა მოშარცული CD.

ნ. განცოფება, გიჟი, ლგნცოფა, სიცოფე.

ცოცვა სლვაში ნახე ZAB.

ბარკლითა და თეძოთ სლვა C. ბარკლითა სლვა D.

ნ. სიარული, სლვა.

ცოცხალი სულდგმული (სულდგმური Aa) ZABC.

განუმარტავია D.

ნ. სიცოცხლე.

ცოცხი მოსაგველი ZABCab.

განუმარტავია CqD.

ცოცხობა (ბალ.) ZABCD.

ცოხნა კბილით დაწვლილება ZABC.

განუმარტავია D.

ნ. აღმოცოხნა, ნაცოხნი, სცოხნი.

ცოხნილი დაცოხნილი ZAB.

ცრა საცერში ფქვილის გადენა ZAB.

საცერში გავლინება ფქვილისა C. განუმარტავია D.

ნ. აღცრა, გაცრა, საცერი, სცრის; შდრ. ანაცარი.

[ცრა ნ. აცრა].

ცრავალი საფქ(ვ)ავის საფენი ZB შდრ. სრავალი.

ცრემლი (+ 9, 1 იერემ. ZA) თვალის წყალი ZACab.

თვალის წვეთი (9, 1 იერემ) BCq. განუმარტავია D.

ნ. ვცრემლოი, ტირილი.

[ცრემლოა ნ. ტირილი].

ცრიატი დღე ღრუბელ-აშლილი, ცივი ZAC.

ღრუბელ-აშლილი დღე ცივი B ესე არს დღე ღრუბლიანი, აშლილი, ცივი D.

ცრინტილა მცირე რამ გარდამდე-ბი სენი ZA.

მცირე რამ სენი გარდამდები B. მცირე სურდო CD.

ცრუ (+ 26, 59 მათე ZA) დიდად მტყუანი ZABCab.

განუმარტავია CqD.

ნ. ვეცრუვე, მოუცრუე, სიც-რუე, ტყუვილი.

ცრული კავშირის ბოლოს: „მე კაცი დავხვდი ლმობასა შო-რის ჩემსა მმადღ ტკივილთა შო-რის გონებისათა (გონებათა BCb) არ(ა)ვე ცრული სარეცელ-თა მომდორვებისა“ ZABCb.[1]

ცრუმოწამე (+ 26, 60 მათე ZA) მტყუანი მოწამე ZABCqD.

ტყუვილი მოწამე Cab.

ცრუტი მჟავით ნამზადი ჭარხალი ZAB.

ჭარხლის მჟავის (ღეროს CbqD) მჟავე CD.

[ცუ (ცვ) ნ. ააცვ, აცმა, აცუეს, განაცუნა, განცმა, გარდაცმა, გა-ცმული, დაცმა, ეცუა, მარჯუე-ნით-საცმელი; მეცვა. მცმელი, საცუმელი, ფერჴსაცმელი, ჩა-მოცმა, ჩაცმა, ცმა, წჳვსაცმელი, ჯუარცმა, ჯუარცმული].

[ცუალ ნ. ცვალ].

ცუარი ZAB (ცვარი ZABCD) ღამის ნოტიო მდგარი ZA.

(5, 2 ქება) წვიმასთან ნახე ZAB. ღამის ნოტიო B. დილის ტენი ფურ-ცელზე (ფურცელთა Cq) მდგარი C. განუმარტავია D.

ნ. წვმა; შდრ. ცურევა.

ცუდად უსარგებლოდ ZA.

განუმარტავია B.

ცუდდიდება მოგონებული დიდე-ბა ZAB.

ნ. ვიცუდდიდებ.

ცუდვა გაკერვა რამ ZAB.

გაკერვა CD.

ცუდი (+ 21, 11 გამოსლ. ZAB) ამაო, გინა ბედითი ZABCab.

ამაო CqD.

ნ. აცუდოს, მარტივი, შადა-ვათი, ქელცუდად.

ცუდმავალა უსაქმოდ მოარული ZAB.

[ცუდმოუბარი ნ. ლაყაფი].

ცუდყუავილა (ცუდყვავილა ZABCqD) სენია ყვავილივით ZABC.

სენია D.

[ცუედანი ნ. მცუედანი].

[ცუეთ ნ. დაცუეთა, იცვთება, მო-ცუეთილი, წინადაცუეთა].

ცუვა მავნეთ მიშვებლობა B.

ცულ-თოჴი (+ ეფრემ. ZAa) ცალგნით სათხროლი, ცალგნით საჭერი ჰქონდეს ZA.

ესე (ცულ-თოჴი Cab) არს ცალ-გნით სათხროლი, ცალგნით საჭერი BCab.

ცუილი ქვეშეთ ბერვა ZABC.

განუმარტავია D.

ცული (+ 10, 15 ესაია ZAB) ხეთ საჭერი (საჭრელი Aa) ZABCab.

განუმარტავია CqD.

ცულის-პირა (ბალ.) ცერცვია მრუდი ZAB.

---

[1] აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (წიგნი II, გვ. 220, 20—21); B-ში წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია.

ცუნდრუკი[1] (40, 8 ფსალმ.) ესე არს ჩურჩნით და თვალის დაწამწამებით მოყვსის ბოროტის ზრახვა და ვერა პირისპირ თქმა ZAB.

(+ ფსალმ. 40, 8 Cb) ცუნდრუკება არს ჩურჩნა და თვალით დაწამწამება, მოყვსისა ბოროტისათვის ზრახვა(დ) და ვერა პირისპირ თქმა (+ გინა რომელსა მსოფლიონი ტუტუნობად სახელ-სდებენ Cab) CD.

ნ. სიტყუა.

ცუნცული მელის სლვა ZABCD.

ნ. ვსცუნცულებ, სიარული.

ცურევა[2] ნასთვლევის მოკუფხლვა ZAB.

ნასთვლევის მოხილვა (+ მოკუფხლვა Cab) CD.

შდრ. მცურევა.

ცურვა (27, 43 საქმე) წყალში გლინვით გავლა ZA.

წყალ-გავლა გლინვით B. წყალში გა(ნ)ვლა უდგომლად CD.

ნ. ვცურავ, თანამცურვალი, მცურავი. სლვა, წინამცურვალი (შიჭრიკ'თანაც).

ცური ძუძუს ძირი ZABCD.

ცურცლვა[3] (4 დარეჯან. 4) ესე არს შეღონებულისაგან ღონისძიება რამე ZAB.

დაჭირებაში შეღონებულისაგან (დაღონებულისაგან Cb) მორჩენისათვის (მორჩენის Cb) ღონისძიება C. 2 დარეჯან.: „მან ცურცვლა რამე დაიწყო“[5]. CqD.

ცურცლვა[3] მძრომთაგან მოსკორვა ZA.

ცურცლი მძრომთ (მძრომის CD) სკორე ZABCD.

ნ. სკორე.

ცუცუნა მეტად პატარა ZAB.

მეტად მცირე CD.

ცუცურა ჩჩვილთ ჰუჰუა ZB.

ჩჩვილთ ეაქთ ჰუჰუა Aa.

ცუცურაგი მჭცო(ვ)ანი ცელქი ZABCD.

ცუცქილი კუკილით ჯდომა ZAB.

კუკზე(დ) ჯდომა CD.

ნ. დააცუცქე, ჩაცუცქება.

[**ცჳვ** ნ. გარდმოცვენა].

ცჳფრი[6] შიში დიდი B.

ნ. განცვფრება (შიშ'თანაც).

ცქაფი (+ ვეფხის-ტყ. ZA) კელფერკსწრაფი ZABC.

ქელსწრაფი, ფერქითაც D.

ნ. სიცქაფე; შდრ. გარდაცქაფა.

ცქერა თვალის შეშტერება ZABCD.

ნ. დაცქერა, მზერა, ჩაცქერა.

ცქეტა დანახვის ნდომა ZAB.

ნ. დაცქეტა.

[**ცქვიტი** ნ. მკვრცხლ].

ცქვრინა ნ. ცქურინა.

ცქიმურა (თევზ.) წვრილი (წვლილი Cq) თევზი ZABC.

(თევზ.) D.

ცქიტი (+ არს B) კარაკენის(ა)

---

[1] წყაროშია: „ცუნდრუკობდეს“, [2] ნუსხებშია: „ცვრევა“. [3] ნუსხებშია: „ცურცვლა“. [4] შდრ. ამირან-დარეჯანიანი, ს. ყუბანეიშვილის რედაქც. (ლიტ. ქრესტ.), გვ. 8. 7 (კარი 11). [5] წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია Ca-ში. [6] ნუსხაში: „ცჳფრი“.

საშუალი ადგილი ZAB.

ნ. იცქიტება.

[ცქმუტვა ნ. ცმუტვა].

ცქნაფვა ადგილზე ნაბვა B.

ნ. გაცქნაფვა (ჩბუნვა'სთანაც) დაცქნაფვა, ჩაცქნაფვა.

ცქრიალი თაგვთა და ჭუათა ჩქარი სირბილი ZA.

თაგვთა და მისთანათ(ა) სწრაფი სირბილი BCb. განუმარტავია CaqD.

ცქურინა[1] (თევზ.) პატარა ზუთხი ZABCD.

[ცხ ნ. ცხება].

ცხადი (19, 2 გამოსლ.) არა სიზმრივ ZA.

ჩენილი, არა სიზმრით (10, 2 გამოსლ.) B. გამოჩინებული, გინა არა სიზმრივ C. განუმარტავია D.

ნ. გაცხადა, გამოცხადება, გამოცხადებული, განცხადება, საცხადო, უუცხადოესი, უცხადესი.

ცხავი მიწის გასაცარი ZABCb.

მიწათ გასაცერი Ca. განუმარტავია CqD.

ცხარი (+ 9, 13 იგავ. ZAa) მწვავესავით ZABCb.

მწვავე CaqD.

ნ. ცხარი (დენთ'თან).

ცხება (+ 9, 24 დანიელ ZA) ცხება არს წმიდა ზეთი, ანუ მირონი, ანუ სუნ(ნ)ელი ზეთი, ანუ წამალი რამ(ე) შესცხონ (სცხო B) ZAB.

ნაკურთხის ზეთის და მირონის წასმა (ცხება Cq) C. განუმარტავია D.

ნ. ნაცხები, ნელსაცხებელი, ოქროცხებული, საკხებელი, ცხებული.

ცხებული (2, 26 ლუკა) მეფე, გინა ქრისტე, გინა კურთხეული ZA.

ცხედარი (3 მეფ. 21, 4) ც ხ ე დ ა რ ი ითქმის შიშველი საგებელთაგან; ხოლო ს ა რ ე ც (ე)- ლ ა დ — დაგებული და გარდაგებული; ხოლო ს ტ ი ვ ა — უმცროსთა კაცთა დასაწოლთა (დასაწოლსა B; + უმცროსი მისი B) და თეემ — პატიოსანი უფროსთა (+ კაცთა ZA) ZAB.

ც ხ ე დ ა რ ი ითქმის შიშველი საგებელთაგან; ხოლო ს ა რ ე ც ე- ლ ა დ — დაგებული და გარდაგებული; ხოლო ლ ო გ ი ნ ი — მსგავსი ცხედრისა და ადგილობ (ადგილობრივ Cq) მყარი და უძრავი; ხოლო ს ტ ი ვ ა — უმცირეს(ი) ლოგინისა დასაწოლი კაცთა C. ც ხ ე დ რ ი ითქმის შიშველი საგებელთაგან, ხოლო ს ა რ ე ც ლ ა დ — დაგებული და გარდაგებული D.

ნ. თანამეცხედრე.

ცხელება ქურვება ZAB.

განუმარტავია Cb.

ნ. სიცხე; შდრ. ცხობა.

ცხელი გაქურვებულივით ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. უნჯუფა.

ცხემლები ე პ ი ტ ა ფ ი ა შ ი: „(+ ყოველთა საჭურველი იყო თვითეულისათა, რომელი ქელთა დახვდათ, ნუუკვე სხვისასა ჟამისათვისცა მოპოვნებული ZABD; ცხემლები, ქელთ(ა) ქვე-

[1] ნუსხებშია: „ცქვრინა".

ბი მომზადებული, კვერთხები განმზადებული“ ZABCD.

[ცხენთ-სარბიელი ნ. იპოდრომი].

ცხენი (ოთხფ.) (+ 31, [9] ფსალმ. ZA) მამალსა ცხენსა ეწოდების ახტა და დედალსა — ჭრდალი და ჭაკი; შვილთა მათთა კიცვი, რომელსა მსოფლიონი ქვიცად უწოდენ; ხოლო კიცვსა ახტასა ურა და ჭრდალს(ა) ფაშატი ეწოდების (ეწოდება AB), სარემაესა კურატსა — აჯილდა; გამოყვერულსა (გამოყვერილსა B) — ტაიჭი; აღსაჯდომელსა ცხენსა — საჭედარი (+ და AbB), გვარიანსა და კეთილსა (+ ცხენსა Z) — ჰუნე და ჯინიბი, რომელ არს მარქაფა; უმწყსა ცხენსა — რემა; ასაკმცირესა (+ ცხენსა Z) — გერგე; ვირთა და კერძოვირთა, რომელ არს ჯორი, — ახტა და ჭრდლობა (ახტა-ჭაკობა B) ითქმის; ხოლო კიცვთა მათთა (მისთა B) — მუტრუკი (+ და ZA) აღსაჯდომელსა ვირსა — კარაული ZAB.

(ოთხფ.) ცხენნიცა სახელებითა განიყოფებიან; რამეთუ მამალსა ეწოდებიან (ეწოდების Cb) ახტა; ხოლო დედალსა — ჭრდალი და ჭაკი; ხოლო შვილთა მათთა — კიცვი, ვიეთნი ქვიცად აჴსენებენ; ხოლო კიცვსა ახტასა ულაყი ეწოდების და ჭრდალსა — ფაშატი; არამედ სარემაესა კურატსა აჯილდად სახელ-სდებენ; ვირთა და კერძოვირთა, რომელ არს ჯორი, აგრეთვე ახტა-ჭრდ(ა)ლობას(ა) ვიტყვით და შვილთა (შვილსა D) მათთა (მათსა CqD) მუტრუკად სახელ-ვსდებთ; აღსაჯდომელსა ვირსა კარაულსა უწოდთ და აღსაჯდომელსა ცხენსა — საჭედარსა; ხოლო (+ ცხენსა D) კეთილსა და გვარიანსა (+ ცხენსა C) — ჰუნესა; (+ კვალად გვარიანსა და საკეთილო ცხენსა — ჯინიბსა, რომელ არს მარქაფა C); უმწყსსა ცხენსა რემასა და უმწყსსა კიცვსა ურასა უწოდთ; ხოლო ასაკ-მცირესა (ასაკ-მცირეთა CqD) ცხენსა (ცხენთა D), აქლემსა (აქლემთა D) და პილოსა (პილოთა D) და ყოველსა (ყოველთა CqD) მისთანათა (ოთხფერჴთა D) გერგე ეწოდების (ეწოდებიან Cq) CD.

ნ. ამლაკი, ბექანია, ნათესავი, რემაკი, სინიბი.

ცხენის-კბილა (ბალ.) ძაღლის-ენორა ZABCD.

ცხენის-წაბლა (ხე) სხვარიგი წაბლია, ხე შვენიერი, კაი ყვავილი და ხილი მწარე ZA.

(ხე) სხვარიგი წაბლია. შვენიერი ხე, კაი ყვავილი, ხილი მწარე B. (ხე) სხვარიგი წაბლია C. (ხე) D.

ცხენ-კაცი (პავლე თებაელის ძიებაში[1]) ცხენ-კაცის მსგავსი მაცთური ნახა წმიდა დიდმა ანტონი ZA.

ცხენ-კაცის მსგავსი მაცთური ნახა წმიდა ანტონიმ B. ცხენ-კაცის მსგავსი მაცთური ნახა მამა ანტონი(მ) (პავლე თებაელის ძებნაში), რომელ არს კენტავროს (ცხენ-კენტავროს Cb) C. ცხენ-კაცის მსგავ-

[1] შდრ. A — ფა: 318 b, 25.

ნი მაცთური ნახა (პავლე თებაელის ქებნაში) ანტონიმ D.

ცხენოდინ აღცხენდინ (1, 8 ამბაკ.) ZAa.

ცხენოსანი (+ 26, 7 ეზეკ. ZAa) ცხენიანი ZABC.
განუმარტავია D.
ნ. აღცხენოსნება. აღცხენოსნებული.

[**ცხენტ** ნ. ნაცხენტალი]

[**ცხერ** ნ. ცხრომა].

[**ცხვ** ნ. ცხობა].

ცხვირ-გლარჯა ნ. ცხვრგლარჯა].

ცხვირი ნ. ცხვრი 1, 2.

ცხვირ-სატეხელა ნ. ცხვრ-სატეხელა.

ცხვირსაჭოლცი ნ. ცხვრსაჭოლცი.

ცხვირს-ცემა ნ. ცხვრს-ცემა.

ცხიკვა ცხვირცემა B.
ნ. დაცხიკუება.

ცხიმი (+ ესე ZA; + ცხიმი ZB) ზოგადი სახელი არს ყო(ვ)ელთა კაიმიანთა, ხოლო ცხიმიანნი განიყოფებიან ცხრად: კარაქად, ერბოდ, ჩუმად, ქონად, ცმელად, დუმად, ჭენჭად, ზიპად და ზეთად: კ ა რ ა ქ ი არს ცხიმი ახალი, ერბო დაუმარილებელი, და ოდეს კარაქი დაიმარილოს (დაიმარილა B), უწოდენ ე რ ბ ო ს (ა); ჩ უ მ ა არს ერბო, არა მაწონთაგან, არამედ სძისაგან გამოღებული ერბო; ქ ო ნ ი არს (+ ცხიმი B) ცხო(ვ)ელთა კვამთანი სიმსუქნე გარდადნობილი; ხოლო ც მ ე ლ ი — იგივე ქონი გარდუმდნარი (გარდაუდნობელი B); დ უ მ ა ჲ არს ცხოვართა, თაჴვთა და ეგევითართა კუდთაგანისა ცხიმი, გინა აქლემთა ზურგის ქონი; ჭ ე ნ ჭ ი არს ცხიმი მწვადთა მწვეთარ(ე)ობისაგან და მისთანი (მისთანანი B), ზ ი პ ა არს ცხიმი თევზთა, რამეთუ ქონსა თევზთასა (ქონთა თევზისათა B) არა ეწოდებიან (ეწოდება B) ქონი, არამედ ზიპა; ხოლო ზ ე თ ი არს ცხიმი, ზეთი(ს)-ხილთა, ნუშთა, ნიგოზთა და მისთანათა (რაიც მისთანანი არიან B), გინა ბალახთა თესლებისაგან გამოიწურვიან; ხოლო (+ და B) ს უ თ ი არს ძუძვის ქონი ZAB.

ცხიმი ზოგადი სახელი არს ყოველთა ცხიმიანთა, ხოლო ცხიმიან(ნ)ი განიყოფებიან ცხრად: კარაქად, ერბოდ, ჩუმად, ქონად, ცმელად, დუმად, ჭენჭად, ზიპად და ზეთად: კ ა რ ა ქ ი არს ცხიმი ახალი, ერბო დაუმარილებელი და ოდეს კარაქი დაიმარილოს (დაიმარილების Cb), არღარა ეწოდების კარაქი, არამედ ე რ ბ ო ჲ; ჩ უ მ ა ჲ არს ცხიმი არა მაწვნისაგან(ი), არამედ სძისა მიერ გამოღებული ერბო; ქ ო ნ ი არს ცხიმი ცხოველთა გვამთაგან სიმსუქნე გარდადნობილი; ც მ ე ლ ი არს ცხიმი იგივე სიმსუქნე (სიმსუქნის CqD) ქონი გარდ(ა)უმდნარი; დ უ მ ა ჲ არს ცხიმი ცხოვართა (+ და Cab) თაჴვთა კუდი და ეგევითართაგანისა (— და ეგევითართა კუდთაგანისა CqD), გინა აქლემთა ზურგის ქონი; ჭ ე ნ ჭ ი არს ცხიმი მწვადთა და ყოველთა და მისთანათა(ს) მწვეთულობითი; ზ ი პ ა (ჲ) არს ცხიმი ქონი ყოველთა თევზთა; რამეთუ ქონსა თევზთასა არა ეწოდების ქონი, გინა სხვა(ჲ) რამე, არამედ ზიპა. ხოლო ზ ე თ ი არს ცხიმი მცენარეთა მიერ: ზეთის-ხეთა (ზეთის-ხილთა D)

ნუშთა, ნიგოზთა და გულიანთა ხილთა(ნი) და ბალახთა თესლთა(ნი) და ეგევითართა(ა); (+ ს უ თ ი არს გავის ქონი C) CD.

[**ცხინ** ნ. მცხინვარე, მცხინვარება, საცხინველი].

ცხობა ცეცხლით გამოქმობა ZAB.

ცეცხლით გამოშრობა C. განუმარტავია D.

ნ. აცხობს, დააცხო, ცხობილი; შდრ. თრთობა, ცხელება, ცხელი, ცხინ, ცხუნება.

ცხობილი (46, 7 ეზეკ.) პური ნამცხვარი ZA.

ნამცხვარი პური (46, 7 ეზეკ.) BCb.

ნ. ორცხობილი (პაქსიმატ'თან), ქმელცხობილი (პაქსიმატ'თანაც).

ცხოელ (ცხოველ AB) არს უფალი და ცხო(ვ)ელ არს სული შენი, (4, მეფ. 4, 30); ესე არს არა თუ კერპთა უსულოთა ვხადი, არამედ ცხო(ვ)ელსა ჩვენსა უფალსა და ცხო(ვ)ელსა სულსა შენსა არა დაგიტეობ ZAB.

ცხოელი (ცხოველი ABCD) (+ 2, 19 დაბად. ZAB) ცოცხალი ZABCD.

ცხოელ-ნერგი (ცხოველ-ნერგი AB) სადაფ(ნ)ი და პინასი და ოსტრია და მისთანანი ცხოელნერგად აღუწერიათ, ამისთვის რამეთუ კლდეთა ანუ უყეთა ზღვისათა შეწებულ არიან და ვერა ვლენან (ვლელან A) ვითარცა ნერგნი; ხოლო მგრძნობელობითი ძალი აქვსთ, უკეთუ მაიძულებელი რამე მიეახლოს (მიიახლოს A), პირთა შეიკრებენ და უკეთუ მარტოებენ ქსნილ არიან ZA.

განუმარტავია B[1].

ცხოელობა (ცხოველობა AB) სიცოცხლე ZAB.

ცხოელს-მყოფელი (ცხოველს-მყოფელი AB) გამაცოცხლებელი ZAB.

[**ცხოვ** ნ. მაცხოვარება, მაცხოვარი, ნათესავი, ორცხოელი, სამაცხოვარებო, საცხოვარი, ცხოელი, ცხოვარი, ცხონდა, ცხონება, ცხორება].

ცხოვარი (ცხოვარი, ცხვარი CD) (26, 14 დაბად.) ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვ ე რ ძ ი და დედალსა — ნ ე რ ბ ი; ხოლო შვილთა მათთა — კ რ ა ვ ი; დიდსა კრავსა და უბიწოსა — ტ ა რ ი გ ი; ჩჩვილსა კრავსა — ბ ა ტ კ ა ნ ი; წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა — ბ უ წ ი; წელიწადს უკან — შ ი შ ა გ ი; ორის წლისასა — ა ზ მ ა ნ ი; გამოყვერილსა — ჭ ე დ ი ლ ი; კეთილ ურუხიანსა — ს ა დ გ ა მ ი; დამწერბავსა — ე რ კ ე მ ა ლ ი; ცხოვ.-რი თუ თხა, რომელი უკრაოდ იწველის, — უ გ ი; უჟამოდ დამაკებულსა კრავსა და თიკანთა ქ ა რ ა ბ ი ჭ ა დ სახელ-სდებენ (+ და A) მჭლესა და ცუდსა ცხოვარსა — ბ ა ლ ღ ი, რომელ არს ყ ო ყ ა რ ა კ ი (ყოყორაკი) ZA.

(26, 14 დაბად.) ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვ ე რ ძ ი და დედალსა —

[1] B-ში ამ სიტყვასთან შენიშვნაა: „ოსტრიდთან რაც სწერია, აქ დაწერე“.

ერბი; ხოლო შვილთა მათთა — კრავი და დიდს კრავსა და უბიწოსა — ტარიგი; ჩჩვილს კრავს — ბატკანი; წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა — ბუწი; წელიწადს უკან — შიშაგი; ორის წლისასა — ოზმანი; გამოყვერილსა — ჰედილი; კეთილის ურუხისასა — სადგამი; დამწერბავსა — ერკემალი; ცხოვარნი თუ თხანი, რომელნი უქაოდ იწველებიან — უგი, უქამოდ დამაკებულსა კრავთა და თიკანთა ქარაბიჭად სახელ-სდებენ და მჭლესა და ცუდსა ცხოვარსა — ბალღი, რომელ არს პატრუჭაკი B. (ოთხთ.) ცხოვარნიცა განიყოფებიან ესრეთ: რამეთუ სამამლესა ეწოდების ვერძი; (+ ხოლო CqD) სადედლესა — ნერბი; ხოლო (და CqD) შვილთა მათთა — კრავი; ჩჩვილსა (+ კრავსა Cab) — ბატკანი (ბატკანსა უწოდენ CqD); წლის კრავსა (წლისასა CqD) და მცირედ ნაკლებსა — ტარიგი; ორის წლისასა — ოზმანი; გამოყვერილსა — ჰედილი (ორის წლისასა ჰედილი და ოზმანი D) და კეთილ(სა) ურუხისასა — სადგამი; ხოლო დამწერბულსა ცხოვარსა — ერკემალი (ერკემელი CbD); ცხოვარნიცა და თხანი, რომელნი უკრაოდ იწველებოდიან (იწველებოდისნ D), — უგი და უქამოდ დამაკებულსა კრავსა ქარაბიჭად სახელსდებენ და მჭლესა ცხოვარსა — ბალღი CD.

ნ. არნი.

ცხოველ ნ. ცხოელ.

ცხოველი ნ. ცხოელი.

ცხოველ-ნერგი ნ. ცხოელ-ნერგი.

ცხოველობა ნ. ცხოელობა.

ცხოველს-მყოფელი ნ. ცხოელს-მყოფელი.

ცხოვნება ნ. ცხონება.

ცხოვნებული ნ. ცხონებული.

ცხოვრება ნ. ცხორება.

[**ცხონ** ნ. ცხოვ].

ცხონდა დღეგ(რ)ძელდა (+ დაბად. ZA) ZAB.

ცხონება (ცხოვნება ABCD) დღეგრძელობა ZABCD.

ნ. აცხოვნა.

ცხონებული (ცხოოვნებული Aa, ცხოვნებული AbB) დღეგ(რ)ძელებული ZAB.

ცხორება (ცხოვრება CD) (+ 30, 5 იერემ. ZAa) ცოცხლობა ZABC.

სიცოცხლესაეთ D.

ცხორებული ცოცხლებული ZA.

ცოცხლობილი B.

ცხრა სამჯერ სამი ZABCD

ნ. მეცხრე ცაი.

ცხრამუცელა (ფრინ.) ZAB.

ცხრატყავა (ხე) ZA.

ცხრაფეჳა (თევზ.) მგრგვალი კიბორჩხალი ZAB.

ნ. ცხრაფეჳა (კარკინო'სთან). ფუკინი.

ცხრილი ხვარბლის გასაცხრილავი ZA.

გასაცხრილავი BCD.

ცხრილი კინკლოსი ZABCD.

[**ცხრილ-ცხავი** ნ. კინკლოსი].

ცხრო (2 მჯულ. 28, 22) ციების სენი. ყო(ვ)ელ დღე ცხროებას ეწოდების ენამეროს და აფიკაროს; მეორის დღის ცხროებას, რომელ შუა ერთი დღე დარჩეს, ეწოდება ლევაია; რა ორი დღე გამოუშვას და მესამეს დღეს გააცხროს, ეწოდების ეტრატეოს ZA.

(2 მჯულ. 28, 22) ციების სენი

ყოველდღე ცხროებას ეწოდების ენამეროს და აფიკაროს; ხოლო ლეკეთია — მეორ-მეოტრეს დღის ცხროებასა; და ეტრიატეოს — მესამის დღის ცხროებასა B. ციებების სენი C. ციება, სენი D.

ცხრომა გავსებულის მთოვარის მოკლება ZA.

მთოვარის გავსებაზე მოკლება და სხვათაცა B. მოკლება CD.

ნ. მცხრალი.

[**ცხრომა** ნ. განცხრომა, დასცხრა, დაუცხრო, დაუცხრომელი, დაცხრომა, მომცხრებოდა, მომცხრებოდეს].

ცხუმური ვეცხლია ერთის ქამისა ZA.

ვეცხლი რამე არს ერთის ჟამისა BCb. სისხლის გაჭაჩენი: „ესოდენი ცხუმური მისცესო" Caq.[1]

ცხუნება ცეცხლზე(დ) მიშვერა ZABCD.

შდრ. ცხობა.

⌈**ცხჳრგლარჯა**[2] ბურნიუთი, რომელ არს დანაყილი გლარჯა ცხვირში შესაყარი⌉ Aa

ცხჳრი (ცხვირი BCD) (2, 22 ესაია) საყნოსელთ ორღანო ZAB.

საყნოს(ე)ლის ორღანო Caს. განუმარტავია CqD.

ნ. გობის-ცხჳრა, ეცხჳრება, ნაცხჳრი, ნირბცხჳრი.

ცხჳრი (ცხეირი B) (15, 2 ისო) სერ-სერი ჩამოზეული ZAB.

ცხჳრ-სარეხელა (ცხვირ-სატეხელა BCD) (ბალ.) ZABCD.

ცხჳრსაჴოცი (ცხვირსაჴოცი B) ZAB.

ცხჳრს-ცემა (ცხვირს-ცემა B) დაკიცხვება(!) Z.

დაცხიყვება AB.

ძ

[**ძ**, ნ. აც, აცს, მიც, მიცს, მოუცმიძეს, უც, ძეს].

[**ძ** ნ. განძება (გაგდება'სთანაც)]

[**ძ** ნ. ძავ].

ძაბა (ძაბვა CD) მცირედ გაჭიმ(ვ)ა ZABCD.

ნ. გაძაბვა, ნაძაბი; შდრ. მძაფრი.

ძაბრი ZABCD.

ძაბუნი სიმყარისაგან (სიმყრალისაგან Z) მოშლილი ZA.

სიმყარისაგან მოშლა B.

ნ. დაძაბუნება, ვეძაბუნები, ვიძაბუნე, ნაძაბუნები, საძაბუნო.

ძაბუნობა ძაბუნად შექმნა ZAB

სიმყარიდამ მოშლა CD.

[**ძაგარი** ნ. თმა, საძაგრავი].

ძაგება ბოროტად ჴსენება ZAB.

(+ კეთილი Caq) ბოროტად აჴსენოს C. განუმარტავია D.

ნ. გაძაგ, იძაგა, მაძაგა, მოგიძაგეთ, მოძაგე, მაძაგებელი, მძაგს, საძაგელი, საძაგული.

ძაგებული ბოროტად ჴსენებული ZAB.

ძაგენი Cb

[**ძაგუნი** ნ. ვიძაგუნე, იძაგუნებს]

ძაგძაგი სიცივით ძლიერ კანკალი Z.

სიცივით კანკალი ABCD

ნ. ძრწოლა.

---

[1] CB-ში წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია [2] ნუსხაში. „ცხვირგლარჯა".

[ძავ ნ. განმეძვებულ, ესიძვა, ისიძვა, მეძავი, სიძვა].

ძალა ძლიერების ნაწილი ZAB.

სიძლიერის ნაწილი Cab. განუმარტავია CqD.

ნ. აძალდა, გააძალიანა, გეძლო, ემძლავრა, მძლავრი, ნაძალადევი, საძალო, უძლური, ღუაწლისამძლე, შეუძლია, ძალად, ძალნი, ძალოვანი, ძლება, ძლევა, ძლეული, ძლიერება, ძლიერი, ძლივ, ძლით.

ძალად ძლიერებით ZAB.

ძალაყინი ძელი რამეა კართა საძგერებელი, გინა მძიმეთა ქვათა ასაზიდი ZA.

ესე ძელი რამეა კართ საძგერებელი, ანუ მძიმეთა ასაწევი B. ესე (ძალაყინი D) არს, რა ძელის თავით(ა) ცემა დაუწყონ (დაუწყო D) რას(ა)მე ძგერებით C.

ძალი წელის ალყა ZABCD.

ნ. ათძალი, მეათძლე, საორძლე.

ძალი (2, 3 ლევიტ.) ძალითი ZAB.

[ძალიანი ნ. გააძალიანა, უძალიანე].

ძალითი (ძალითი, ძალით და ძალი CD) (+ 1 ნემეს.[1] ZA) (+ ძ ა ლ ი თ ი ABCD) არს, რომლისა ქმნა შეგვეძლოს, განალა (განალათუ CD) არა ვქმნეთ; ხოლო მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი, რომელსაცა ვიქმოდით (ვიქმოდეთ CD). ვითარცა კვერცხი (მ)ფრინველი არს ძალითი და არა მოქმედებითი, რამეთუ შემდგომად მცირეთისა იქმ(ნ)ს კვერცხი (მ)ფრინველობისა (ფრინველისა D) მოქმედებასა (მოქმედობასა B) (+ და ZA) ყრმანი ქვეყ(ა)ნის-მზომელ არიან ძალითი და არა მოქმედებითი; აღიზარდონ (აღიზარდოს CD) რა, იწყებ(ე)ნ (იწყებ. BCD) ქვეყ(ა)ნის(ა)-მზომელობისა მოქმედებად (მოქმედობად Cb) და ეგევითარნი ZABCD

ძალნი (+ 24, 29 მათე ZA) ანგელოზთ დასნი ZACD.

ანგელოზთ დასნი მეხუთე (24. 29 მათე) B.

ძალოვანი (ძალოანი Cq) ძლიერების მქონებელი (მქონი Cq) ZACq.

ძლიერების მოქმედი BCab.

[ძან დ ა რ ე ჯ ა ნ.: „თქვენ ზედან ...ძან გრ...თ"[1] D.

ძანძახი წყალთ სმით რა სიცივე ექვეთოს (+ კაცსა ZA) ZAB

ძანძახი არს ზამთარ (ზამთრის D) რა წყალთა სმითა სიცივე ეკვეთოს CD

[ძარ ნ. ძრვა].

ძარი ქორის საჯდომი გოდორ ZABCq.

ქორო საჯდომელი გოდორი Cab ...ქორე გოდორი D.

ნ. ქელძარი.

ძარღვი ნ. ძარღჳ.

ძარღოვანი (ძარღვოანი B) ძარღვნარევი ZAB.

ძარღჳ (ძარღვი AbBCD) 32. 2.. დაბალ. ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. არკატირია, არტირია, დაძარღუა, დაძარღული, თაგუნიინო, ისქიო, კათოლიკე ძარღჳ მყესნი, ნევროა, შემაძარღვ.

---

[1] შდრ. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, თვ. 7, I.

[ძარც ნ. გამოსაძრცველობა, გამოძრცვა, გამძრცველი, განძრცვა, მოუძარცვე, მძარცველი, მძრცველი, ნაძარცვი, ძრცვა].

ძარძაყი უნაგრის საშუალი ZAB CD.

[ძაფ ნ. მძაფრო, შდრ. ძაბა].

ძაფი არს წვრილად დასთული აბრეშუმი, ყაჭი, სელი და მისთანანი; ხოლო მ ქ ე დ ი — მისთანა(თა)ვე ხოშორად დასთული; შ ი თ ი წვრილი მატყლის ძაფი და ლ ა ზ ლ ა—სხვილი; ა შ კ ი—რკინისა და სპილენძის ძაფი და ო ქ რ ო ს თ მ ა — ოქროსა და ვეცხლის ძაფი ZA.

ძ ა ფ ი ეწოდება წვრილად დასთულსა აბრეშუმსა და ყაჭსა, სელსა და მისთანათა; ხოლო მ ქ ე დ ი — ხოშორად დასთულსა მისთანათასავე; შ ი თ ი — წვრილს მატყლის ძაფსა და ლ ა ზ ლ ა — სხვილსა; ა შ კ ი — რკინისა და სპილენძის ძაფსა და ო ქ ო ს თ მ ა — ოქროსა და ვეცხლის ომასა B. წვლილი ნასთი C. წმიდა ხასთი წვლილი D.

ნ. ბაწკი.

ძალარა ბეწვის გარ შემონაკერები ZAB.

ბეწვის მონაკერები კიდური Cab. ბეწვის საკიდური მონაკერები Cq. ბეწვის კიდური D.

ძაღლაპურა კონჩოლი ZAB.

ძაღლთა (+ 15, 26 მათე ZA) ძაღლებისა ZAB.

ძაღლთევზი (თევზ.) სელაპი ZAB. (თევზ.) CD.

ძაღლი (ოთხფ.) (+ 56, 10 ესაია ZAa). ძაღლთა და მქეცთა მამალსა ხ ვ ა დ ი და დედალსა ძ უ და შვილთა მათთა ლ ე კ ვ ი ეწოდებიან (ეწოდების B); ასაკმცირესა ძაღლსა — ც ი ბ ა. ვიეთნი გ ო მ ი შ ა ს უქმობენ; მის უდიდეს(ს)ა და ცუდსა — ც ი ბ ა კ ი, ვიეთნი ფ ი ნ ი ა ს უქმობენ; დიდსა ძაღლსა, მიდამოს მცველსა — თ ა რ თ ი; მეკვლესა — მ ე ძ ე ბ ა რ ი; სწრაფსა და გვარიანსა — მ წ ე ვ ა რ ი; მწევრისა და თართისაგან შობილსა— ნ ა გ ა ზ ი; მეძებრისა და თართისაგან შობილსა (თართისაგანსა B) — ყ ა ზ ი ლ ა. თუმცა ნაგაზი მგლისა მიერ (მგლისაგან B) იშობა, იგი უმჯობესია (უმჯობესი არს B). ძაღლი სამთა ნათესავთა ეწოდების: ქმელი-ასა, ზღვისაა და ვარსკვლავისა-(ცა) ერთსა ZAB.

(ოთხფ.) ძაღლსა ასაკითა მცირეთ (~ მცირე ასაკთასა CqD) ეწოდებიან ც ი ბ ა (ციბა ეწოდების CqD). რომელსა ვიეთნი გ ო მ ი შ ა დ სახელ-სდებენ; უდიდესსა მისსა (+ და Cab) უგვაროსა (+ და CaqD) ცუდსა ც ი ბ ა კ ი ეწოდების, ვიეთნი ფ ი ნ ა დ (ფინიას CqD) სახელ-სდებენ; მეკვლესა ძაღლსა—მ ე ძ ე ბ ა რ ი და სწრაფსა (+ ძაღლსა C) — მ წ ე ვ ა რ ი; ძაღლსა დიდსა და მცველსა მიდამოსასა — თ ა რ თ ი; (+ და Cab) მწევართა და თართთა (+ აღრეულთაგან — ნ ა გ ა ზ ი; მეძებართა და თართთა C) აღრეულთაგან (აღრეულთაგანსა CqD) — ყ ა ზ ი ლ ა. (+ და Cab) თუ(მ)ცა ნაგაზი შინ გაზ(რ)დილის(ა) მგ(ე)ლისა და თართთა (თართისაგან Cq) (+ ანუ მწევართა მიერ Cab) იქმნა, იგი (ისი Cq) უმჯობეს არს (სჯობს CqD); ხოლო ძაღლთა

და მჭეცთა ყოველთავე (ყოველსავე D) მამალსა ხვადი ეწოდების და დედალსა — ძუ და შვილთა (შვილსა D) მათთა (მათსა D) — ლეკვი. ბოლო ძაღლი სამთა ნათესავთა ეწოდების: ქმელისასა, ზღვისასა და ვარსკვლავსაცა ერთსა CD.

ნ. ნათესავი, ზღვს-ძაღლი.

ძაღლი ვარსკულავი (ძაღლი ვარსკვლავი Cq) ZABC.

ძაღლის-ენა (ბალ.) უკადრისა ZABCD.

ძაღლის მწერი (მწერ.) 8, 21 გამოსლ. ZAB.

ძაღლის-ნიორა (ბალ.) ZAB.

(ბალ.) ცხენის-კბილა CD.

ძაღლის-ყურძენა (ბალ.) ZABCD.

ძაძა (+ 3 მეფ. 21, 27 ZAB) ლაზლის შალი ZABCD.

ძაძა წვლილი ლობიო Cb.

[**ძახ** ნ. დაძახება, ეძახა, საძახელი, შეუძახა; შდრ. ზახება].

ძახა[1] (+ 39, 8 გამოსლ. ZAB) მეორე (მეორის BCab) ძაფის შესთვა ZABCab.

მეორის შესთვა CqD.

ძაჭუელი[2] (ხე) ZABCD.

ძგერა გულის ფეთქა ZABCD.

ნ. უძგერს.

ძგერება ძლიერად ორთ შექლა ZA.

ორთა შექლა ძლიერად B. ორთ(ა) შექლა CD.

ნ. აძგერა, ეეძგერები, ვიძგერენით, იძგერების, მეძგერების, ნაძგერები, სძგერებია, შეძგერება.

ძგიდე (+ 43, 13 ეზეკ. ZAa) (+ ესე არს Ab) შუა გასატიხრავი მუცლისა თუ ბელლისა, კიდობნისა თუ (და Ab) მისთანათასა ZA.

ძგიდე არს შუა გასაბმელი რამე მუცლისა, თუ ბეღლისა, თუ კიდობნისა თუ რისაცა B. ძგიდე არს შუა გასაბმელი რამე ქორცთაგან იყოს, ვითარცა-იგი საძგიდი მუცლისა და გულთა შორის, გინა ფიცართაგან, ვითარცა სართული რამე; ძგიდედ კუთხ(ე)ნიც(ა) უთქვამსთ უგვაროდ (სამძგიდედ, ოთხძგიდედ D) CD.

ნ. ყურე.

ძგიფი მცირედ შეყინებული ZA.

მცირე შეყინება B.

ნ. გაძგიფვა (ყინულ'თანაც).

ძე (+ 1, 35 ლუკა ZA). ვაჟიშვილი ZABC.

განუმარტავია D.

ნ. კაცი, ძეებ.

ძება გდება B.

ძებნა (+ 1 მეფ. 10, 14 ZAB) მონახვა ZABC.

განუმარტავია D.

ნ. ეძება, ეძებნა, ვძებნი, იძებნა, მეძებარი (ძაღლ'თანაც), მძებნელი, ნაძებარი, ნაძებნი, საძებნელი; შდრ. ძევნა, ძიება.

ძეგვა (+ მსაჯ. ZA) მცირედ დანაყ(ვ)ა ZABCD.

ნ. გამოსძეგვდა, საძეგველი.

ძეგლი (31, 13 დაბად.) სამძლვარივით წერით და ძეგლი ორონად ითქმის ZAa.

სამძლვარივით (31, 13 დაბად.; + 20 გამოსლ. B) AbB. სამძლვარსავით Cb. სამძლვარივით Caq. განუმარტავია D.

[1] წყაროშია: „ძახილისა“. [2] ნუსხებშია: „„ძაჭველი“.

ძეებ ვაჟები ZAB.
ძევნა მოძიება ZAB
 ნ. ეძევა, ეძია; შდრ. ძებნა. ძიება.
[**ძელ** ნ. ძლება].
ძელი (+ 1 კორინთ. 3, 12 ZA) ხე მოკვეთილი ZABC.
 განუმარტავია D.
ძელი ულმოლეელი ურთხლი (+ 36 B) ZAB.
ძელური Cb.
ძელქვა (ხე) (30, 37 დაბად.) ZAB.
 პალატანა ძელქვას ქერქისა სივრცისაგან ეწოდების, რამეთუ პალატია ჰქვიან სივრცესა C.
ძელყორე ქვითა და ძელით მოზღუდვილი ZAB.
 ნ. ზღუდე.
[**ძენ** ნ. ძინ 1].
[**ძენძი** ნ. ნაძენძი].
ძერა (ფრინ.) (34, 11 ესაია) ZAa.
 (ფრინ.) AbBCD.
ძერი (ფრინ.) (11, 15 ლევიტ.) ძერა ZAB.
 (ფრინ.) C. (ფრინ.) (2 სჯულ.) D.
ძერქორი (11, 15 ლევიტ.) თეთრი ძერა ZA.
 (ფრინ.) (11, 15 ლევიტ.) B.
ძერძერუკი (ფრინ.) (11, 17 ლევიტ.[1]) ყაჯირი ZAB.
 (ფრინ.) (+ 2 სჯულ. 14 CabD) CD.
 ნ. ყაჯირი.
[**ძერწ** ნ. შეძერწვა].
ძეს მდებარე არის Z.
 მდებარეა AB. მდებარესაგით, განა შეილა Cab
ძესა ვაჟამ Cb.

[**ძეძ** ნ. ძლომა].
[**ძეძუ** ნ. ძლოლა].
ძეძვი ნ. ძეძვ.
ძეძკვი ნ. ძეწკვ.
ძეძგ[2] (ხე) (9, 14 მსაჯ.) ZAB
 (ხე) CD
[**ძეწკა** ნ. იძეწკების, მუუძეწკე].
ძეწკვ (ძეძკვი ZAa, ძეწკვი AbBC) წვრილი ჯაჭვი ZAB.
 წვლილი ჯაჭვი CD
 ნ. ჯაჭვ.
ძეწნი (23, 40 ლევიტ.) ტირიფთან ნახე ZA.
 (ხე) ნერგი ტირიფი, განა ვერხვი (23, 40 ლევიტ.) B. (ხე) ნერგი ტირიფი (+ განა ვერხვი Cab) CD
[**ძეხ** ნ. ძლომა].
ძვალი ნ. ძუალი.
ძველი ნ. ძუელი.
[**ძვერ** ნ. ძრობა].
ძვილ ძლივსავით ZABCD.
ძვინად ნ. ძჳნად
ძვინვა ნ. ძჳნვა.
ძვინთა ნ. ძჳნთა.
ძვირი ნ. ძჳრი.
ძვირის-ზრახვა, ძვირი-ზრახვა ნ. ძჳრის-ზრახვა.
ძვირის-მეტყველება, ძვირის-მეტყუელება ნ. ძჳრის-მეტყუელება.
ძვირის-მოქმედი ნ. ძჳრის-მოქმედი.
ძვირის-შეჩვენება, ძვირის-შეჩუენება, ძვირის-შეჩუჳნება ნ. ძჳრის-შეჩუენება.
ძვირის-ჴსენება ნ. ძჳრის-ჴსენება.
ძვირობა ნ. ძჳრობა.

[1] შდრ. A — 51 („ძენძერუკი") [2] ნუსხებშია „ძეძვი".

ძვირფასი ნ. ძვრფასი.

ძვირხილული ნ. ძვრხილული.

ძვრა ნ. ძრვა.

ძი (5, 14 მარკ.) რასავით ZAa.

ნ. ვინძი.

ძია ბიძა. მამიდა-დედიდათაგან ძმისწულ(ი)-დისწული ძ ი ა დ იწოდებიან ZAB.

ბიძა, ძმა და თვისი CD.

ძიება (+ ძიება და გამოძიება განიყოფებიან CD; + ძ ი ე ბ ა ABCD) არს გარეწარ(ად) ძებნა და უკეთუ ვერ პოვა, არა ზრუნვა, ხოლო გ ა მ ო ძ ი ე ბ ა მას უწოდიან, ძნიად საპოვარი გამოიძიოს და გულსავსებით დაჯერებულად გამოაჩინოს ZABCD.

ნ. გამოძიება, ვეძიებ, მეძიებელი, საძიებელი, ღონისძიება (ვერაგობა'სთან), უღონისძიებო; შდრ. ძებნა, ძევნა.

ძივთი სხვათა ენაა, ფ ი ს ს (ა) ჰქვიან ZAB.

ფისი C. კუპრი D.

ძილი (31, 40 დაბად.) ძილი არს ალორთქლებაჲ სტომაქისაჲ, რა ალევალს ტვინად, შევალს ძარღვთა საგრძნობელთასა და დაჴშავს ორღანოთა თვალთა, ყურთა და ენათასა, ხოლო სხეული თვინიერ ამათსა უქმ იქმნებიან (იქმნების B) და მდებარე ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. უძილარი; შდრ. ძინ 2.

ძილის-შინა (23, 25 იერემ.) სიზმარი ZAB.

ნ. ვიძილისშინე, ვიძილისშინეთ, მეძილისშინათა.

ძილის-შორისნი (2 28 იოელ) სიზმარი ZAB.

სიზმარი თუ ჩვენება (+ იოველ 2, 28 Cb) Cab.

ნ. ვიძილისშორისე, იძილისშორისა.

ძიმწარე (ბალ.) ZABCD.

შდრ. თეთრი რაკა.

[**ძინ** ნ. შესაძინელ, შესძინა, შეძინება].

[**ძინ** ნ. გძინავს, დაიძინა, დაძინება, ეძინა, ვიძინეთ, მეძინა, მეძინების, მეძინებოდა, მიიძინა, მძინარე, ნაძინები, სძინავს; შდრ. ძილი].

ძირაკი (ბალ.) (+ 23, 23 მათე ZAB) ზირა ZABCD.

ძირი (+ 40, 24 ესაია ZAa) ფსკერთან ნახე ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. განიძირეს, ფსკერი, ძიმწარე, ქარის-ძირა.

ძირის-მჭამელი (მძრომ.) ZABC.

ძირკვალი ნ. ძირკუალი.

[ძირკუ ნ. საძირკუელი, საძირკვ].

ძირკუალი (ძირკვალი ZA) ყელის კორძი ZAB.

ძირნაოტი (ბალ.) საგალი ZAB.

ძირტკბილა (ბალ.) ZABCD.

ძირწითელა (ბალ.) ZABCD.

ძირხუჴნა (ძირხვენა ZABCbqD) (ბალ.) ესე არს ყო(ვ)ელთა მხალთა დ̂ა მოლთა ძირები, რომელიც კაცთაგან იჭმების ZA.

(ბალ.) ესე არს ყოველივე ძირები მხალთა და მოლთა, რაიც იჭმება კაცთაგან B. (ბალ.) CD.

ნ. ბულღო.

ძიძა სძის მაწოვნებელი ZABCD.

ძიძგინი დიაცთ ყაყანი ZABC.

განუმარტავია D.

ნ. ღალადება.

ძლება შეძლება, გაძლება ZA.

შეძლება თუ გაძლება BC. განუმარტავია D.

ნ. გამძლე, გაძლება, გეძლო, დაგაუძლება, თემის შესაძლო, საძლები, შესაძლებელი, შეუძლებელი, შეძლება.

ძლევა (+ 3 ეზრა 3, 9 ZA) მორევნა ZABC.

განუმარტავია D.

ნ. ვიძლიე, იძლევის, მძლე, მძლეველი, ნაძლევი, ძლეული; ქეთილმძლეობა.

ძლევა მიძლევა, აძლევს ZAB.

ნ. აძლევდა, აძლევს, ვაძლევინე, ვაძლივე, მაძლევდა, მაძლევინა, მაძლია, მეძლევის, მიძლევა, მიძლევიეს, მომაძლია, მძლევარი, შეეძლივა, შეუძლევია, შეძლევა.

ძლეული მორეული ZA.

მორევნილი B.

ძლიერება ძალდიდობა ZA.

განუმარტავია B.

ძლიერი (+ 102, 20 ფსალმ. ZA) ძალ-დიდი ZAB.

ძალოვანი C. განუმარტავია D.

ნ. განძლიერება (განფიცხება'სთან) უძლიერესი.

ძლივ ძალმორევით ZAB.

ძლით, ძალმორევით C. განუმარტავია D.

ნ. ძვილ, ძლით.

ძლით (+ 1, 3 იოველ ZA) ძალმორევით ZABC.

განუმარტავია D.

ძლისპირი გალობის წიგნი Cb. [ძლოცკი ნ. მყურელი].

ძმა (24, 29 დაბად.) დედის ნაშობი ვაჟი ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. აძმო, ეძმო, იძმო, მოძმე, სძმობს, ძმადი, ძმის-წული, ძმობა, ძმობილი.

ძმადი (+ 14, 20 მსაჯ. ZAB) მაყარი ZABCD.

ძმაითი აზმაითი ZB.

თოვლთაგან თვალთ ვნება Aa.

ნ. აზმაითი.

ძმარვა მჟავის წარწყევა ZAB.

ნ. დაძმარვა.

ძმარი (6, 3 რიცხვ.) ღვინო მყვირტლე ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. მოძმარებული (ჴანგ'თან), მჟავე.

ძმაცუა[1] (37, 18 დაბად.) ესე არს მტერთათვის გამორჩევა ბოროტის ღონისძიებისა, გინა ძვირის-ზრახვა ZA.

(37, 18 დაბად.) ესე არს მტერთათვის გამორჩევა ღონისძიებისა ბოროტისა B. ძმაცვა არს ბოროტის რჩევა, რომლითა საქმითა მიიღონ (მოიღონ, [ი]სძეონ Cb) მტერთა ხელი (მტერზედი D; + გინა ძვირის-ზრახვა C) CD.

ნ. ეძმაცუა, იძმაცუა, მძმაცუავი.

ძმის-წული (1, 15 ქება) ძმის ვაჟი ZAB.

ძმის შვილი Cb

ძმობა ძმა-ყოფა ZAB.

ნ. ნაძმობი.

---

[1] წყაროშია: „მოიძმაჲცვეს", ნუსხებშია: „ძმაცვა".

ძმობილი ძმად შექმნილი ZAB.

ძმად შეთქმული CD.

[**ძნ** ნ. ძნელი].

ძნა (ბალ.) (+ 17, 5 ესაია ZAB) ყანის კონა ZABCD.

ნ. საძნე.

ძნელბედი ავბედი ZABCD.

ძნელი (+ 49, 8 იერემ. ZAa) გარჯით საქნელი ZAB.

ადვილის წინააღმდეგი C. განუმარტავია D.

ნ. აძნელებს, გაძნელება, საძნაური, საძნელო, სიძნელე, სიძნოვით, უძნელე, შეუძნდა, ძნელოვანი, ძნელსუნობა, ძნიადი.

ძნელოვანი (+ 19, 6 იობ ZA) საძნელო ZAB.

ძნელსუნობა სიმყრალე ZAB.

ძნეული 13, 30 მათე ZAa.

ნ. ღეო.

ძნიადი (5, 7 ჰრომ.) ძნელი Z.

ძნელი (2, 5 ესაია) Aa.

ძნობა (+ 150, 4 ფსალ. ZA) შეწყობილი ჭმა(ჲ) ZABC.

შეწყობილი ჭმანი D.

ნ. მძნობელი.

ძნობით (ძნობითა B)[1] (+ 3 მეფ. 1, 40 ZAa) შეწყობილის ჭვით(ა) ZAB.

ძნონი თიქისა და ქვიშის საშუალი(ა) (+ გრიგოლ ნოსელში Cab) ZABC.

გრიგოლ ნოსელში, კაცის შესაქმისაში: „შთავლიან განქმელნი იგი და სიღრმედ რა მიიწიან და თიქისა მსგავს(ს)ა ძნონსა შთავიდის (შთაქდის D) და კვალად უმეტეს რა თხარიან თიქნარი იგი ძნონი, ქვეყანასა ცრემლი რამე უნდონი იხილიან" CqD.[2]

ძოვა (30, 23 ესაია) მოლის მოჭმა ZAa.

ძოვდენ (1, 14 იობ) მოლს მოსჭამდენ ZA.

განუმარტავია B.

ძოვნა მოლის მოჭმა ZAB.

პირუტყვთაგან მოლის მოჭმა C. განუმარტავია D.

ნ. აძოვა, აძოვებს, ეძოვნა, მოუძოვე, მძოარა, მძოვარი, ხაძოვარი, ნაძოვნი, საძოვარი, უძოვნია, ძოვდენ.

ძოლო მცირე ორხო(ვ)ა ZABD.

მცირე ორხავა C.

ნ. ტერი, ხალიჩა.

ძონძი (+ ესაია A) (+ ძონძი A) არს ყო(ვ)ელივე სამოსელთაგან ძველი და ნაგლეჯი; ბებკი — ძველზედ ძველი (+ და Z) დაკერებული; ფარატინი — ბებკის ნაგლეჯი რამე; ჯინჯოთი — ჩოქის ნაგლეჯი; ბრანძი — ძონძი ფარატინისა ZA.

ძონძი არს ყოველივე ძველი, დაგლეჯილი სამოსელი; ბებკი — ძველზედძველი დაკერებული; ფარატინი — ბებკის ნაგლეჯი რამე; ჯინჯოთი — ნაგლეჯი ჩოქისა და ბრანძი — ძონძი ფარატინისა B. ნაგლეჯი სამოსელი. ძონძი ეწოდების ყოველთა ძველთა სამოსელთა, ხოლო ბებკი — ძველთა და ძველთა ზედა-ზედ დაკერებულთა; ფარატინი — ნაგლეჯთა ბებკისათა და

[1] წყაროში: „ძნობდეს".

[2] Cq-ში წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია.

ჯინჯოთი — ნაგლეჯთა ჩოქისათა და ბრანძი — ძონძის ფარატინისა Cab. ნაგლეჯი სამოსელი (სამოსლისა D) CqD.

ნ. ბანდი 2.

ძოლან[1] (31, 2 დაბად.) ესე არს სამ-ოთხ დღეს უწინდელი და შარშანს აქეთი ZA.

(31, 2 დაბად.) ძოლანი არს ოთხს დღეს უწინარესი და შარშანდელს აქეთი B. ძოლანად ითქმის ოთხთა დღეთა უწინარეს და შარშანდელსა შემდგომად C. ძოლანად ითქმის ოთხისა დღისა უწინარესი და შარშანდლის შემდგომი D.

ძოწეული (1, 18 ესაია) ძოწის ფერი ZAB.

ბროწეულის ყვავილის ფერი (+ ესაია 1, 18 Cb) CD.

ძოწი (+ ძოწი B) არს მსგავსი რამე მდელოსი ჯენუას ზღვასა (ზღვათა B) შინა, ვითარცა შვლისა რქანი (რქანი შვლისანი B), ბროწეულის ყვავილის ფერი, არამედ შავი და თეთრიც(ა) იპოების. რა სიღრმით ამოიღების, უმაგრეს იქმნების ყოველთა ქვათასა, კრიალესნად დასთლიან და სხვარიგადაც (სხვარიგათცა B) მრავლად საჭმარ არს ZAB.

ძოწი არს მსგავსი მდელოსი შორის ზღვისა, ვითარცა რქანი შვლისანი (ქურციკისანი D) ფერად ბროწეულის ყვავილის ფერი, ოდეს მოჰკვეთონ (მოჰკვეთენ Cq) და აღმოიღონ სიღრმისაგან ზღვისათა, უმაგრეს იქმნების ყოველთა ქვათაგან (ქვათასა D), სამკურნალოდაც (სამკურნალოდცა Cq) იქმევენ და უფრორე კ(ი)რიალესონად განსთლიან CD.

ნ. ალრალების ქვა, კოროლიონ.

[ძრ ნ. ძრობა].

ძრახვა ზრახვა ZA.

განუმარტავია B.

ნ. ნაძრახი, სძრახავს.

ძრვა არს მიდრეკა რამე საჩინო ZA.

გაძრვა, ჩუჩუნი დიდი B. მიდრეკა CD.

ნ. აღიძრნეს, აღძრვა, იძრა, იძრვის, იძრვისი, იძრნეს, მოუძარ, მოძრავი, მოძრაობა, მყარის დაძრვა, მძრველი, ნაძრავი, საძრაობა, უძრავი, შეუძრავს.

ძრვა (ძვრა CD) მიწის რყევა (45, 3 ფსალმ.). ძრვა (+ მიწის რყევა A) ამის გამო იქმნებიან, რამეთუ ქვეყანათა შორის არიან ღრუნი და სორონი, და ყო(ვ)ელივე სიღრუვე სავსე არს ქარითა. და ვინადგან (ვინათგან Ab) ვერღარა დაიტევს, გასთქდების (განთსქდების A) მიწა, გამოვალს (+ ქარი Z) და ქართა სიძლიერისაგან შეირყევიან ადგილი გარემონი. ვიეთთა ფსალმუნი უმოწმებიათ: „რომელი მოხედავ ქვეყანასა და ჰყოფ მას შეძრწუნებულ“, და იცილებიან ამის გამო. ესე არა თუ რყევისათვის თქმულა, არამედ მეორედ მოსლვისათვის იესო ქრისტესსა. რამეთუ მაშინ შეძრწუნდენ ყო(ვ)ელი პირი ქვეყა-

[1] წყაროშია: „ძოლანდელსა“.

ნისა. არა თუ ამა ერთისა თემისა შეძრვის(ა) აგრძნობს ქვეყანა ZA.

მიწის რყევა. ძრვა არს მიღრეკა რამე საჩინო. ხოლო ძრვა მიწისა, რომელ არს რყევა, ამის გამო იქმნების, რამეთუ ქვეყანათა შორის არიან ღრუნი და სორონი და ყოველივე სიღრუე სავსე არს ქარითა. ვინათგან ვერღარა დაიტევს, განსთქდების მიწა და გამოსლვასა ქართა სიძლიერისაგან შეირყევიან ადგილნი გარემო მისნი. ვიეთთა ფსალმუნი უმოწმებიეს: „რომელი მოხედავ ქვეყანასა და ჰყოფ მას შეძრწუნებულ" და იცილებიან ამის გამო. ესე არა თუ რყევისათვის თქმულა, არამედ მეორედ მოსვლისათვის იესო ქრისტესსა, რამეთუ მაშინ შეძრწუნდენ ყოველი პირი ქვეყანისა, არა თუ ამა ერთისა თემისა შეძრვასა აგრძნობს ქვეყანა B. (+ მიწის რყევა C), ძვრა (ძრვა Ca) რომელ არს მიწის რყევა, ამის გამო იქმნების, რამეთუ ქვეყანათა შორის არიან ღრუნი და სორონი, არამედ სიღრუ(ვ)ე სადაცა არს, ყოველივე სავსე არს ქარისა მიერ, განალა არა იძვრის სისავსისა მიერ, ვინათგან ვერღარა დაიტევს, განსთქდების მიწა და გამოსვლასა ქართა სიძლიერისაგან (სიძრიალისაგან Cb, სიძლიერისა მისისაგან CqD) შეირყევიან ადგილი გარემოსნი. ვიეთნი(მე) ფსალმუნთა (ფსალმუნსა CqD) მოწმად (მოწამედ CqD) მოიყვანებენ (მოიყვანენ CqD): „რომელი მოხედავ ქვეყანასა და ჰყოფ მას შეძრწუნებულ" და იცილებიან ამის გამო, ესე არა ამისთვის არს თქმული, არამედ მეორედ მოსვლისათვის ქრისტესა, რამეთუ მაშინ შეძრწუნდენ ყოველ(ნ)ი ქვეყანანი, არა ამის ყურისა ერთისა შერყევისა (შერყევა CqD) აგრძნობს (აგრძნას CqD) ქვეყანა (ქვეყანამან CqD) CD.

[ძროზა ნ. აძრევ, შეძრობა].

ძროშა მძრომთ(ა) სლვა ZABC.

განუმარტავია D.

ნ. დასძურა, დასძრომლვა, მძრომი, სიარული, სლვა, ქვეწარმძრომელი.

ძრცვა (ძრცუა ZAB) გა(ნ)შიშვლებასავით ZABCD.

ნ. ძარც.

ძრწოდა[1] (+ 15, 8 იერემ. ZAa) თრთოდა ZAB.

ძრწოლა (54, 6 ფსალმ.) ძ რ წ ო ლ ა არს ყო(ვ)ელთა შეძრწუნებულთა მიერ თრთოლაჲ; ხოლო თ რ თ ო ლ ა — ანუ სენისა ანუ სიბერითა ძრწოდეს; კ ა ნ კ ა ლ ი არს მშიშარისა მიერ ძრწოლა; ძ ა გ ძ ა გ ი — სიცივისაგან ძრწოლაჲ; კ რ კ ო ლ ა — მოგონებული და ცუდი ძრწოლა; თ ა ხ თ ა ხ ი — ხის კიდისა და ცუდის სართულის ქანება; ხოლო რ ყ ე ვ ა — მიწის ძრვა; ხოლო ქ ა ნ ე ბ ა — ხის რტოთა და დაკიდებულთა რამეთა მიდ-მოდენა ZA.

ძ რ ძ ო ლ ა არს ყოველთა შეძრწუნებულთა მიერ თრთოლაჲ; არამედ თ რ თ ო ლ ა ჲ არს ანუ სიბერით, ანუ სენისა მიერ ძრწოდეს; კ ა ნ კ ა ლ ი არს მშიშრეულისა მიერ ძრწოლა; ძ ა გ ძ ა გ ი — სიცივისა მიერი ძრწოლა; კ რ კ ო ლ ა — მოგონებული და ცუდი ძრწოლა; თ ა ხ თ ა ხ ი — ხის კიდთა და ცუდთა სართულთა ქანება; ხოლო რ ყ ე ვ ა —

[1] წყაროში: „ძრწოლაჲ".

მიწათა ძრვა B. შიშით კანკალი CD.

ნ. აძრწოლებდა, აძრწოლებს, ვიძრწოლე, ვძრწი, იძრწოლა, მძრწოლარე; შდრ. ძრწუნვა.

ძრწუნვა თრთოლა B.

ნ. ვიძრწუნე, ვიძრწუნებთ, ვძრწი, შეუძრწუნებია, შეძრწუნება, ძრწოდა.

ძუ[1] (4, 10 იობ) ძაღლთან ნახე; ძ უ ვ ი ZA.

(ოთხფ.) დედალი ძაღლი (+ და BC) მკეც(ნ)ი BCD.

შდრ. მძუვნობა, მძუვნობს, ძუვნობა (ქურაობა'სთან).

ძუა ცხენის კუდის თმა ZA.

ცხენთ კუდთ თმა B. ცხენთ კუდი თმიანი CD.

ნ. თმა, კუდი, საძუე.

[ძუა ნ. გუელაძუა].

ძუალი (ძვალი CD) 2, 23 დაბად. ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. ზურგის-ძუალი.

ძუელი (ძუწლი A, ძველი CD) (13, 52 მათე) ძველად ითქმის საქმენი და ჰამბავნი პირველნი, გინა მოსეს შჯულის წიგნი, გინა საჭურველი პირველ ნაქმარი, გინა სამოსელი ნაცვეთი და სხვა რამე ხნიერ(ნ)ი ZA.

ძველად ითქმის საქმენი და ჰამბავნი პირველი, გინა მოსეს შჯული, გინა წიგნი, გინა საჭურველი და რაიცა სამოსელი ნაცვეთი ანუ სხვა რამე ხნიერი B. ძველად ითქმის სამოსელი ნაცვეთი, გინა საქმე პირვანდელი, გინა ჰამბავი და წიგნი უწინდელი, ეგრეთვე საჭურველი და რაიც რამ Cab. განუმარტავია CqD.

[ძუერ ნ. ძრობა].

[ძუვნობა ნ. მძუვნობა (ქურაობა'სთან)].

ძუწლი ნ. ძუელი.

[ძულ ნ. გძულვარ, გძულობ, ვძულვარ, მოძულე, მძულან, მძულვებელი, მძულს, საძულველი, სიმძულვარე, სიძულილი, სძულს, სძულხარ]

ძულვება საძაგლად მიიჩნდეს ZAB.

კაცი სძაგდეს C. განუმარტავია D.

ნ. ვეძულვები, მეძულვების.

ძუმელა (ბალ.) წითელა ZACD.

(ბალ.) სომხურია, წ ი თ ე ლ ა ს ჰქვიან B.

ძუნძული სლვაში ნახე ZAB.

ძუნძული არს, არც რბოდეს, არც წყნარა(დ) (ნელიად D) ვიდოდეს, არამედ საშუალ CD.

ნ. საშუალო, სიარული, სლვა.

ძუნწი აქვნდეს და წარგება მართებდეს და არ(ა) გაიმეტოს ZA.

ესე (ძუნწი CD) არს, აქვნდეს და წარგება მართებდეს და არ(ა) იხარჯოდეს BCD.

ნ. სიძუნწე, უძუნწესი, უძუნწო; შდრ. ძუწკი.

ძურწა (ბალ.) ZABCD.

ძუძუ (4, 5 ქება) რძის სადინარი ZAB.

სძის (რძის Cb) სადგომი Cab. განუმარტავია CqD.

ნ. კატის-ძუძუ; შდრ. მძუძებანი, მამამძუძე, დედამძუძე.

ძუძუს-მტე (ძუძუს-მტი Ab) (+) 13, 2 საქმე A) სძის მოზიარე ZA.

[1] წყაროშია: „ძუვისაჲ“.

(13, 2 საქმე) B.

ძუწკი სრულიად უჭმარი ZA.

მეტად უჭმარი B. მეტად ძუნწი Cb. განუმარტავია CaqD.

ნ. ძუნწი.

ძჳნად[1] (7, 13 ოსე) მისთვის სარისხველად ZAB.

(+ ოსე 7, 13 Cb) მისთვის C.

ძჳნვა[2] ძლიერი ჯავრი ZA.

ძლიერი ჯავრი მჴეცური B. ჯავრი CD.

ნ. განძჳნება, მძჳნვარე, მძჳნვარება, ძჳნად; შდრ. მიზჳნება.

ძჳნთა შანთსა[3] (2, 153 მამათ ცხ.) ZAaB.

ძჳრი[4] (22, 7 ეზეკ.) ბოროტივით ZAB.

ძვირი ითქმის ვითარცა ბოროტი რამე, ვითარმედ ვიტყვით:

ძ ვ ი რ ი ს-მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ა დ (ძვირის-მზრახველსა D) — ბოროტის-მზრახველსა, გინა ძ ვ ი რ ი ს-მ ო ჴ ს ე ნ ე დ (ძვირის-მოჴსენესა CqD) — ბოროტის-მოჴსენესა, ძ ვ ი რ ი ს-შ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა დ (ძვირის - შეჩვენებასა CqD) — ბოროტის-ყოფასა (ბოროტის-შეჩვენებასა CqD) (+ კაცთა ზედა, გინა Cab) ს ა ს ყ ი დ ე ლ ი ძ ვ ი რ ი ა რ ს ო (ძვირიაო CqD)—ფასი ბოროტი აქვსო; პ უ რ ა დ-ძ ვ ი რ ი — პურად-ავი. ძვირი არარა სხვა არს, თვინიერ პავისა CD.

ნ. დააძჳრა, სიძჳრე, უძჳრესი, ძჳრობა, ძჳრფასი, ძჳრხილული.

ძჳრის - ზრახვა (ძვირის - ზრახვა ZABC, ძვირი-ზრახვა D) (+ 12, 2 ესთერ ZAa) ბოროტის-ზრახვა ZABC.

ბოროტი ლაპარაკი D.

ძჳრის-მეტყუელება (ძვირის-მეტყველება ZABCq, ძვირის-მეტყუელება Cab) განკითხვასთან ნახე ZAB.

ბოროტის-მეტყველება. C.

ნ. განკითხვა.

ძჳრის-მოქმედი[5] ბოროტის-მოქმედი ZAB.

ძჳრის-შეჩუენება (ძვირის-შეჩვენება ZBCq, ძვირის-შეჩუწნება ACb, ძვირის-შეჩუენება Ca) ბოროტის ყოფა ZA.

ბოროტი უყოს B. ავად მიპყრობა C.

ძჳრის-ჴსენება[6] ავნაქმრის მოგონება ZABC.

ბოროტის მოგონება D.

ნ. ეძჳრისმოჴსენა.

ძჳრობა[7] სასყიდლის ძვირფასობა ZA.

სასყიდლის დიდფასობა B. სასყიდელი მრავალ (ბევრ Cq) ფასად იყოს C. განუმარტავია D.

ძჳრფასი[8] დიდსასყიდლოვანი ZA.

დიდსასასყიდლო B. მრავალ სასყიდლისა C.

ძჳრხილული[9] ავის მნახავი (მნახველი AbB) ZAB.

ძლარბი (ოთხფ.) გძლარბი ZAB.

(ოთხფ.) გძლარბი, ბუძგი CD.

ნ. გძლარბი.

ძლვამლი ნ. ძლუამლი.

ძლვანვა ნ. ძლუანვა.

ძლვენი ნ. ძლუენი.

---

[1] ნუსხებშია: „ძვინად“ [2] ნუსხებშია: „ძვინვა“. [3] ნუსხებშია: „ძვინთა შანთასა“. [4] ნუსხებშია: „ძვირი“. [5] ნუსხებშია: „ძვირის-მოქმედი“. [6] ნუსხებშია: „ძვირის-ჴსენება“. [7] ნუსხებშია: „ძვირობა“. [8] ნუსხებშია: „ძვირფასი“. [9] ნუსხებშია: „ძვირხილული“.

ძლოლა გაძღოლა, მოძღოლა ZABC.

განუმარტავია D.

ნ. გაძღოლა, მიძღოლა, მოძღოლა, უძღოდიან; მოძღუარი (მამა'სთანაც), ეზოს-მოძღუარი, მოძღუართ-მოძღუარი, მეპურეთ-მოძღუარი, მღდელთ-მოძღუარი, მჭედართ-მოძღუარი; იმოძღურა, ნამოძღურალი, სამოძღრო; წინამძღუარი.

ძლომა გაძღომა ZAB.

გაძღომა, გააძღოს C. განუმარტავია D.

ნ. გააძღო, განძღომა, გაძღომა, ვძღები, მაძღარი, მძღომი, სიმაძღრე, უძღებება, უძღები.

ძლუამლი (ძლვამლი CD) (ხე) კრიკინა ZABCD.

ძლუანვა (ძლვანვა CD) მიძღვანა, გაძღვანება, მოძღვანება ZAB.

მიიძღვანოს (მიმძღვანოს Cb), გაიძღვანოს, მიუძღვანოს C. განუმარტავია D.

ნ. გაძღუანება, მიძღუანა, მოძღუანება, მძღუანველი.

ძლუენი (ძლუჱნი ZA, ძღვენი CD) (2, 1 ლევიტ.) გასაგზანი, გინა მისართმეველი ZA.

გასაგზანი თუ მისართმევი (2, 1 ლევიტ.) B. გასაგზა(ვ)ნი, გინა მისართმევი C. განუმარტავია D.

ნ. ეძღუნა, ვძღნობ, მიძღუნა, ნაძღუნევი, საძღნო, ჩუქება, ძღუნად, ძღუნობა; შდრ. არმაღანი, ზღუენი.

ძლუნად (66, 20 ესაია) შეძღნობად ZAa.

ძლუნობა ძღვენთ დახშირება ZA.



[წ ნ. დააწო, დავაწო, დაწება, საწებელი (წოწოკა'სთანაც)].

წა ესე წ ა არს თავი რამე ართრონვილთა (ართრონვილი B) სიტყვათა წარზიდულთანი, რამეთუ წარზიდვით ვიტყვით: წავიდა, წაიარა, წაიტანა, წაიღო, წაირბინა, წამიტანა, წამივიდა, წამართვა (წამართო B), წამომეპიდა (—B); (+ და B) ესრეთ მოვალს უმრავლესთა (ყოველთა B) სიტყვათა ზედა ZAB.

ნ. წარ.

წ~ა ქარაგმით წ მ ი დ ა ZA.

წ მ ი დ ა ს ა ქარაგმით B.

წა წარვედის ნაკვეთი ZAB.

წა(რ)ვედ C. განუმარტავია D.

წააბრუნვა გაბრუნ(ვ)ებასავით ZAB.

წაავო წაგება უყო ZAB.

წაადევნა მიდევნება უყო ZAB.

წაარება წარონინება ZAB.

წაართვა მიუღო ZAB.

წააქცია მოშალა ZA.

წაბიჯება ბიჯის გარდადგმა ZA.

ბიჯის წადგმა B.

წაბლი (ხე) ZABCD.

ნ. ცხენის-წაბლა.

წაბრიყუება[1] Cb.

წაგდება გაიძღვანოს ძალად Cb.

წაგება დაკარგვასავით ZABCaq

დაკარგულსავით Cb. განუმარტავია D.

[1] ნუსხაშია: „წაბრიყვება“.

წაგება Cb.
წაგურა (წაგვრა BCD) წართმა, გინა მიყვანა ZABC.
განუმარტავია D.
[წად ნ. ეწადა, იწადა, მოწადინე, ნაწადი, საწადელი, წადიერება, წადიერი, წადილი].
წადი გვალე ZAB.
წა, გვალე CD.
ნ. ქიში; შდრ. წარე.
[წადიერება ნ. ნება, ნებსითი].
წადიერი (+ 1 თესალ. 2, 17 Z) მოწადინებით მდომ(ელ)ი ZABC.
მოწადინებით D.
წადილი ნდომის ქნა. წადილი განიყოფების სამად: გულის-თქმად, გულის-წყრომად და განზრახვად ZAB.
(+ ნდომა C). წადილი განიყოფების (განიყოფებიან Cb) სამად: გულის-თქმად, გულის-წყრომად და განზრახვად CD.
წადინი წადილი B.
წავარნა (+ ვეფხის-ტყ.[1] ZA) კლდის ბილიკი ZAB.
ნადირთ ბილიკი კლდისა CD.
ნ. გზა.
[წავი ნ. მწავი].
წავიდა აქადამ გავლო ZAB.
სხვაგან აქადამ (აქედამ Cb) გლო C. განუმარტავია D.
ნ. მანა.
[წავიდაი ნ. მანა].
წავლა მცირედ წასვლა ZA.
წარსვლა მცირე B.
წათი (+ 26, 47 მათე ZAa) აფთ-შუბა ZAB.
დიდი აფთი C. აფთი დიდი D.
წათხი (+ 2 ნემეს.[2] ZA) მლაშე ბალღამი ZABCD.
ნ. საწათხე (დუგუნ'თანაც).
წაიტანა თან მიიღევნა ZAB.
წაკიდება გარდაკიდება ZAB.
გარდაკიდება, გინა გარდა(ჰ)ქდა (+ გინა წინარე წაზიდული Cb) C. განუმარტავია D.
წაკიდებული გარდაკიდებული ZA.
წაკიდებული წინ წარზიდული ZAB.
წაკულაკე Ca.
ნ. ბოყვ, კაწახი.
წალა შარავთან ნახე ZAB.
თხელი ბაყლი წყლებრ(ი) CD.
შდრ. ზალა.
წალაები (+ 36, 11 გამოსლ ZAB) კარვის თოკები ZABCab.
კარვის თოკნი Cq. გამოსლ: „მღვარით კერძო წალაემი იგი ეზოსა ზეზისაგანასთ"; „და აღმართე ეზო იგი წალაებითა მით" D.
ნ. საბელი.
წალამი ვაზის ნასხლევი ZABCD.
წალდი ფიჩხის (ფიჩხთ B) საკაფი ZABC.
განუმარტავია D.
წალეკვა (წალეკება, წალეკვა Cab) მდინარისაგან გარდავლა Z.
მდინარისაგან ზედ გარდავლა AB. წალეკვა არს გადიდებულის მდინარისაგან მოცვით გარდავლა C. წალეკვა არს გადიდებულისაგან მოცვით გარდავლა მდინარეთაგან D.
წალი (ოთხფ.) (28, 15 რიცხვ.) ჩეფიჩი ZA.
(ოთხფ.) წლამდი თიკანი (28, 15

[1] შდრ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 700, 2.
[2] შდრ. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვს კაცისა, გვ. 58, 9.

რიცხვ.) B. (ოთხვ.) წლის თიკანი CD.

ნ. თხა, ჩეჲიჩი.

წალიკა (ბალ.) ZABCD.

წალიკი წკრივი B.

ნ. დაწალიკება.

წალკატი ორ-წვეროსანი წერაქვი Z.

ორ-წვეტოსანი წერაქვი AB. წილკატი არს ორგნითვე რომ წვერი ჰქონდეს წერაქვსა C. წალკატი, ორგნით რომ წვერი ჰქონდეს წერაქვსა, მას ჰქვიან D.

ნ. წერაქვი.

წალკოტი ხილის ადგილი, ბაღი ZA.

ხილთ ადგილი B. განუმარტავია CD.

წალო საგებლის დასაწყობი ZACqD.

საგებლის დასაწყობი; ბ უ რ ე- ჯ ი — ჰურჰელთ დასაწყობი B. საგებლის დასაწყობი ადგილი Cab.

ნ. სარკმელი.

[წამ ნ. აწამა, აწამებდა, დაწამება, ეწამა, ეწამებოდა, ვიწამე, ვსწამებ, ვწამე, ვწამებ, იწამა, ნაწამები, საწამებელი, სწამობს, შეუწამებია, შეწამება, ცილის შეწამება, ცილის წამება, წამება 1. 2, წამებული; მოწამა, მოწამე (მანა'სთანაც, მარტჳლ თანაც), მოწმობა; ამოწმა, ემოწმა, იმოწმა, სამოწმო, შემოწმება, ცრუმოწამე; შდრ. რწმენა].

წამა (1, 15 იოანე) იმოწმა ZA.

[წამაც ნ. უწამაგო].

წამალი (+ 16 სიბრძნე ZAa) ნივთი საკურნებელი ZAB.

ნივთი სამკურნალო C. განუმარტავია D.

ნ. ეწამლა, ვწამლობ, თოფისწამალი, იწამლებს, მეწამლების, მოუწამლე, მწამლავი, მწამლელი, ნაწამლები, ნაწამლი, საწამლავი, სწამლობს, უწამლე, წამლვა, წამლობა.

წამართ (+ 2, 19 ანგია Z) დღეის იქით, გინა მეტი ZAa.

დღეის იქით AbB. დღეის უკან C.

წამართ (39, 22 ეზეკ.) ამას იქით ZAa.

წამარსითამი[1] (7, 24 იერემ.) წაღმართისაკენ ZAa.

წამახული წვერმახვილი ZA.

წვეტმახვილი B.

წამგრგუალება მოგრძედ დამგრგვალება ZAB.

წამგრგუალებული მოგრძედ შექ(მ)ნილი ZA.

წამება (+ მოწამეობა B). ეს(ე) არს ნაქმართა ზედ(ა) ღირსებითსა კურთხევისა მიერ ანუ წყევისა შემწყნარებელთა სჯულისათა (შჯულისათა B) ნაცვლისგება ZAB.

მოწმობა CD.

წამება მარტვილობა ZAB.

წამებული მარტვილი ZA.

მარტვირი BCD.

წამი აქვს ჟ ა მ ს ა ერთსა წ ა მ ი სამოცი; ხოლო ერთსა წამსა — წ უ თ ი სამოცი; წუთსა ერთსა — კ ე ს ი 60; ერთსა კესსა — მ ა ს ი 60; ერთსა მასსა — ა რ დ ი

[1] = წამართისამი(?)

60; ერთსა არდსა — მ ე ყ ი 60; ერთსა მეყსა — წ ე ნ ი 60;. ერთსა წენსა — ვ ა წ ე 60; ერთსა ვაწესა — ბ ლ ი ს ი 60; ერთსა ბლის(ს)ა — ნ ვ ი ნ ი (ნივნი Z) 60. ესე არს ცის-მზომელობათა რიცხვი ხარისხთანი ZA.

აქვს ჟ ა მ ს ა ერთსა წ ა მ ი სამეოცი და წამსა ერთსა — წ უ თ ი სამეოცი B. აქვს ჟ ა მ ს ა ერთსა წ ე ნ ტ ი ლ ი ა ოთხი; ხოლო ერთსა წენტილიას(ა) — წ ა მ ი ათხუთმეტი, რომელ ერთისა ჟამისა წამნი სამეოცნი იქ(მ)ნებიან, არამედ პირველად ვისმე ჟამთასა ერთი ჟამი ხუთ წენტილიად ყოფილა და ერთი წენტილია ათორმეტ წამად (+ და C) შემდგომად ესრეთ ჯერ-უჩენიათ CD.
ნ. დღე.

წამი თვალი(ს) ქუთუთოთ ნიშნება ZA.

თვალით ნიშნება, ქუთუთო B. ნიშნება თვალით(ა) თუ სხვით რითმე Cab. თვალის ნიშნება (+ გინა სხვა ნიშნება Cq) CqD.

წამი სასწორისა (11, [23] სიბრძნე) ZAa.
ნ. პოიტი.

წამის-ყოფა (3, 16 ესაია) თვალის ქნა ZAB.
ნ. წამ-უყო.

წამლვა მოგობა და გრძნება ZAB.

წამლობა წამლის ქნა ZAB.
განუმარტავია Cb.

წამოდღარძვა (წამოდღარძუა ACb, წამოდღარძუვა Ca) ბრიყული წოლა ZAB.

ბრიყულად (ბრიყვად CaqD) წოლა CD.

წამომჭმიდა შემოჭიდება მჰყო ZA.
განუმარტავია B.

წამომჭეხება კაცთ გაწითლება ZAB.
გაწითლება კაცთა (კაცის D) CD.

წამრეცი დალმართთან ნახე ZAB.
მცირედ(ი) მოგვერდება CD.

წამ-უყო (+ 1, 22 ლუკა ZA) ანიშნა ZAB.

წ ა მ-უ ყ ო არს თვალით ნიშნება, გინა სხვარიგად (სხვარიგი Cq) ნიშნება; ხოლო თ ა ვ-უ ყ ო — თავით ანიშნოს (რამე Cab) C. წ ა მ-უ ყ ო არს თვალით ნიშნება, ხოლო თ ა ვ-უ ყ ო — თავით ნიშნება D.
ნ. წამის-ყოფა.

წამწამი (+ 30, 13 იგავ. ZA) ქუთუთოს ბეწვი ZABCD.
ნ. თმა.

წამწე კიდის ყურზე(დ) ძელნი ჯირგვლად წარზიდული კიდის სიმაგრისათვის ZAB.

კიდის კედლებზე(დ) ხენი ჯირგვლად წაზიდული კიდის სიმაგრისათვის C.

[წან ნ. დაწანება, მაწანებელთამი].
[წან ნ. ნაწნავი, წნული].

წანდილი მგბარი ხვარბალი ZABCD.

წანწალა კიდთან ნახე ZAB.

კიპორჭი. წანწალა არს ერთი ლატანი რა კიდსავით გასდევს გასაქ(ა)ლად CD.

წანწარი წკრიალით დინება B.

წანწკარი წყლის წვრილად დინება ZA.

წარ მცირედ რამ წარზიდულ(ი) ZAB.

წარ ითქმის წინარე მჭირესავით, ვითარცა ვიტყვით: წართქმა, წა(რ)-ყვანა, წა(რ)ზიდვა, წარსლვა და მის-თანანი C. განუმარტავია D.

ნ. ქუეწარ, წა.

წარ Ab.

[წარამარა ნ. წარამურა].

წარამურა ცუდმოუბარი ZABCD.

წარაფი წვრილი მოგრძე ტყე ZAB.

წარაფი არს ორთა ველთა (ველსა CqD) შუა წვლილად და გრძლად ტყე ფიჩხოვანი CD.

წარბი 14, 9 ლევიტ. ZAB.

თვალ ზეითი ბეწვ(ნ)ი Cab. განუ-მარტავია CqD.

ნ. თმა.

წარგება დახარჯვა ZABC.

წარდგომა[1] (1, 6 იობ) ZA.

წარე[2] (+ 40, 4 იერემ. Aa) წა-დი ZAB.

შდრ. წადი.

წარევა (დიოლოღ.[3]) სიტყვის როტვა ZAa.

წარემართა (29, 1 დაბად.) წა(რ)-ვიდა, გინა ქელი მოემართა ZAB.

წარვედ (+ 4, 16 იოანე ZA) წა-დი ZAB.

შდრ. წარე.

წართვა ერთმანე(რ)თზე(დ) მობმა ZABC.

განუმარტავია D.

წართვით ერთმანე(რ)თზე(დ) მობ-მით ZAB.

დღე-დღეზე მობმით სმა CD.

წართმა საქონლის მიღება (მოღე-ბა Cq) ZABCq.

საქონელი მიუღოს Cab. განუმარტა-ვია D.

წართქმა (წართქუმა Cb) უქუ-თქმასთან ნახე ZAB.

სათანადო არს ცნობად, ვითარმედ წართქმაჲცა და უქუთქმაჲ უკან-თქმად იწოდებიან. წ ა რ თ ქ მ ა ჲ ვიდრემე არს დამნიშვნელი ამისა, თუ ვითარია იგი ვინმე, ვითარ-იგი ვი-თარმედ: სოკრატი ბრძენ არს, სოკრატი იარების; ხოლო უ ქ უ-თ ქ მ ა ჲ — ცხადმყოფელი ამისა, თუ რაჲ არა არს იგი ვინმე, ვითარმედ სოკრატი არა ბრძენ არს, სოკრატი არა იარების. ესრეთვე ყოველივე რაიცა, რამეთუ ვინათგან ყოველივე წართქმი წინა-აღუდგების უქუ-თქმასა და ყოველივე უქუთქმა — წართქმასა Cab. სათანადო არს ცნო-ბად, ვითარმედ წართქმაჲცა და უქუთქმაჲ უკანა-თქმად იწოდებიან. წ ა რ თ ქ მ ა ჲ ვიდრემე არს დამნიშ-ვნელი ამისა, თუ რაჲ არს ვისიმე, ესე იგი არს, თუ რაჲ არს იგი ვინ-მე, ვითარ-იგი ვითარმედ: სოკრატი ბრძენ არს, სოკრატი იარების; ხო-ლო უ ქ უ თ ქ მ ა ჲ ცხადმყოფელი ამისა, თუ რაჲ არა არს ვისიმე, ესე იგი არს თუ რაჲ არა არს იგი ვინმე, ვითარმედ: ესე ვინმე არა ბრძენ არს, ესე ვინმე არა იარების. ხოლო ვი-ნაჲდგან ყოველსა წართქმასა წინა-აღუდგების უქუთქმაჲ და ყოველსა უქუთქმასა — წართქმაჲ. უქუთქმაჲ წინაალმდგომი წართქმისაჲ და წარ-თქმა წინაალმდგომ უქუთქმისაჲ, წი-ნა-განსიტყვად სახელ-იდების, ხო-ლო ჟერ-არს ცნობაჲ, ვითარმედ სა-ჭირო არს, რათა ერთი ტყუოდის და

[1] ნუსხებშია: „წარდგობა“. [2] წყაროშია: „წარედ“. [3] შდრ. A — 1103: 83b 23 („წარპრევს“).

ერთი ქეშმარიტებდეს[1] CqD.

ნ. უკუთქუმა.

წართხელი წირთხლი ZAB.

წყირთლი C. 3 მეფ. 7, 50: „წართხელები და სამსჭველები, პინაგები და სეგლელები ოქროსა“ D.

ნ. წირთხლი.

წარიტრა[2] (46, 1 დაბად.) აიყარა და წა(რ)ვიდა ZA.

(46, 1 დაბად.) B.

წარკაფვა მცირედ გარდაკაფვა ZAB.

წარკუეთა (წარკუეთა ZA) სრულიად გარდაჭრა ZAB.

წარმავალი (1, 20 დაბად.) გამელელი ZAB.

ნ. ქუეწარმავალი.

წარმართება კეთილად მოსლვა (მოსვლა BCD) ZABCD.

წარმართი (28, 19 მათე) უშჯულოებით მავალნი ZA.

წარმართი ეწოდება ყოველთა უშჯულოებით მავალთა B. წარმართი ეწოდების ყოველთა უშჯულოვებით (უსჯულოებით CqD) მავალსა CD.

წარმატება (+ 1 კორინ. 12, 28 Z) საქმით და სწავლით მატება სხვაზე ZA.

საქმით და სწავლით მატება B. წარმატებაა საქმითა და სწავლით ემატებოდეს CD.

წარმდებება წარმდების მქნელი ZA.

წარმდები (2 ტიმოთ. 3, 4) თ ა ნ ა მ დ ე ბ ი არს, რომლისა საქმისა ქ(მ)ნა მართებდეს საქნელად და მას ზედ(ა)-ედვას, ვითარცა მოვალესა (მოვალე B); ხოლო წ ა რ მ დ ე ბ ი ყოვლადვე მისგან უქნელი და უგზო და არა (+ იყოს ZA) მისი საქმე, მისი მოქმედი ZAB.

თ ა ნ ა მ დ ე ბ ი არს, რომელი საქმე მას ვალად ედვას და მისი საქმნელი იყოს; ხოლო წ ა რ მ დ ე ბ ი — ყოვლადვე მისგან უქმნელი და უგზო, არა-საქმნელის მოქმედი Cb. შეუპოვარი CaqD.

ნ. ეწარმდება; შდრ. მეტიჩარა.

წარმდინარე[3] (+ 30, 25 ესაია ZAa) მდინარე მავალი ZAB.

ვითარცა მდინარე წარმდინარე (წარმდინარენი D), ეგრეთვე ითქმიან სამოსელნი გრძელნი CD.

წარმდინარე სამოსელი გრძლად მეთრევი ZAB.

წარმდროებული (11, 20 დანიელ) დროს მეძიებელი ZAa.

წარმეტყუელი (წარმეტყუელი ZA, წარმეტყველი B) პირველ მთქმელი ZAB.

წარმმართებელი (2, 6 მალაქ.) წარემართოის მქნელი ZAa.

წარმო ZAa.

ნ. იწარმოებს, მიზეზოვანი, წარმოდ.

წარმოდგება ZAa.

წარმონა (+ კავშირ. ZA)[4] წარმოდგომილი. მიზეზოანი და წარმოდ სამ სახედ განიცდების: პირველად თვისსა მიზეზსა შორის, რამეთუ პირველ წამოყენებისა

---

[1] აღებულია იოანე დამასკელის კათიღორიიდან (S — 1463, 53 r).

[2] წყაროშია: „წარმოიტროდ“. [3] წყაროშია: „წარმდგინარიდ“. [4] აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (წიგნი II, გვ. 79, 34 – 80, 4).

მიზეზსა შორის ეგოს მიზეზოანი, (+ რომელსა ელლენებრ ეწოდების ZA) კატეტიან, რომელ არს მებრ მიზეზებით; ქვალად კათვიპარ(ა)ქსინ, რომელ არს მებრ მყოფობით; ქვალად კატამეთექსინ, რომელ არს მებრ თანამექონებით ZAB.

ესე იგი არს წარმოდგომილი CD.

წარმონა ZAa.

წარმონაქსვ[1] (+ კავშ.[2] ZA) წარმოქსოვილი ZAB.

წარმოა (+ კავშ.[3] ZA) წარმოსადგომი ZAB.

ნ. წარმო.

[წარმძრომელი ნ. ქუეწარმძრომელი].

წარნაქი (22, 14 იერემ.) (+ ესე ZA) წითელი სახატავია, კაპადუკიას გამოვა: ერთი უწითლესი(ა), მეორე უმქრქალესი, მესამე ცუდი(ა) ZAB.

წარნაქი (იერემიას 22, 14 სწერია) წითელი სახატავია, სამ-რიგია, კაპადუკიას გამოვა: ერთი რიგი დიად წითელია, მეორე უმქრქალესია და მესამე უცუდესი; სახლის სართულებს მოხატვენ C.

ნ. წერნაქი.

წარპარვა მოპარვა Cb.

წარსაგებელი დასახარჯავი ZABCD.

წარსმენა სმენის (ნასმენის B) უგულებელს-ყოფა ZAB.

წარტყუენვა (წარტყუჩნვა ZABCab, წარტყვენვა CqD) (+ 14, 2 ზაქარ. ZAa) სრულიად დატყვევება ZA.

სრულ დატყვევება B. წარტაცება ყოვლისავე CD.

ნ. აყრა, წდოლა.

წარუსწრო (11, 3 ტობია) გაუსწრო ZAa.

წარქცევა წინ წაყრა ZAB.

წარჩინებული ჩინებულთან ნახე ZAB.

თავნაჩენი კაცი C. თავნაჩენი D.

წარცემა გაგზავნა ძლევენთა ZAB.

გაუგზანოს C.

წარწერა (+ კათილორ.[4] ZA) რამეთუ განსაზღვრება(ჲ) არსებისაგან აჩვენებს საქმესა, ხოლო წარწერა — შემთხვევითისაგან, წარწერად ითქმის ვითარცა აჩრდილ(ი)სა წერად მყოფი, რამეთუ ვითარ მწერალთა მიერ(ი) აჩრდილის(ა) წერაჲ ცხად-ჰყოფს სადმე მსგავსებასა ხატისასა, გარნა არა დაჯოშებულსა, ეგრეთვე წარწერაჲცა აჩრდილ(ი)სა რას(ა)მე საქმისასა წარმომიდგენს ჩვენ; ხოლო განსაზღვრება(ჲ) თვით მას საქმესა ცხად წინა(დ) დასდებს, ვითარცა სრული (სრულად CD) დაწერა, რამეთუ რომელთა საქმეთა ზედა ვერ ძალ-გვედვას განსაზღვრებათა განჩენაჲ, ქვეწარწერისა მიერ გვიყვარს დანიშვნა(ჲ) მათი (+ წარწერა იგი არს მწერალი აჩრდილისა მაგა-

[1] ნუსხებში: „წარმონაქსვი". [2] იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანები (წიგნი II, გვ. 151, 24). [3] იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება (წიგნი II, გვ. 79, 34). [4] შდრ. A — 250: 88 r, 13.

ლითთა CD) ZABCD.

წარწყრთით საზღვარი შეზავებულია არსებითთა და არსების ზედადთაგან, ვითარ-იგი კაცი არს ცხოველი სიტყვიერი, აღმართებით მავალი, ბრჭ. ლპტყელი B.

წარწყმედა (+ 11, 9 ესაია ZAB) დაკარგვა ZABCD.

წარხმა ციხე-ქალაქთ აღება ZAB.

წარჭდა (16, 4 ესაია) გაიარა ZAB.

ნ. თანა-წარჭდა.

წარჭდომა გავლა ZABD.

გავლა, გინა გაშვება (გაუშვა Cq) C.

წარჭოცა (7, 38 ლუკა) მოხოცა ZAa.

ნ. წმიდა.

წახდის Cb.

წასორსალება გრძლად წამგრგვალება ZABCD.

წარსქდა წახეთქა Cb.

წასწრება სასწრაფოს საქმეზედ წადგომა ZAB.

წახხმა ცხოველთა წაყვანა, გინა პირით სისხლი ანუ ნათხევი წაყაროს და მისთანანი ZA.

ცხოველთ წაყვანა, გინა პირით სისხლთა ანუ ნათხევთა წაყრა, მისთანანი B. ცხოველთ წაყვანა Cb.

წატანა თან წაღება უსულოთა; ხოლო წაყვანა სულიერთათვის ითქმის ZA.

თან წაღება. წატანა არს უსულოთ წაღება, ხოლო წაყვანა — სულიერთა B.

წატანება თან მიდევნება ZAB.

წატანება მიფრენა, წალამუნება Z.

მიფრენას წალამუნება A. მივარდნას დალამუნება B.

[წაფ ნ. დაწაფება, მწაფელი, მოწაფე, შდრ. სწავლა].

წაქა განაწურთ წვენი მაწვნისა და მისთანათა, რაიც გაიწურების ZA.

განაწურთ წვენი. მაწონი თუ მისთანა, რაიც გასწურო B. მაწვნისა და დოა განაწური წვენი C. ძველის ყველის წვენი D.

ნ. წუენი.

წაქანება მახვილის მიქანება ZAB.

წადა ჩუსტ-ქალმანი ZABCD.

წაღება სხვაგან გატანა Cb.

წაღმა სისწორ ZABCD.

ნ. უკუღმა.

წაღმართი უკუღმართის წინააღმდეგი (წინააღმდგომი Cab) ZABC.

განუმარტავია D.

წაღრძობა ჩუმად დარჩობა ZAB.

ნ. დაღრძობა, ღრძობა.

წაყვანა წატანასთან ნახე ZAB

წაყრა ცხენის ლაგმის პირიდამ შეხსნა, გინა ცხოველნი წინ წაირეკოს და მისდევდეს, გინა ქელით კამათელი და მისთანა გააბნიოს, გინა მოქლონთა და ურდულთა წარზიდოს, გინა ქელის წაყრა — საქმის ქნით გაადვილება ZA.

წაყრა არს ცხენთ ლაგმის პირიდამ შეხსნა, გინა ცხოველნი წინ წაირეკო და მისდევდე, გინა ქელით კამათელი და მისთანა განაბნიო, გინა მოქლონთა და ურდულთ წარზიდვა, გინა ქელის წაყრა — საქმის გაადვილება B. წაყრა არს: რა მოსაქმე ჭშირად საქმესა იქმოდეს და გაიადვილოს, ქელის წაყრად ვიტყვით; გინა ქელთა მარცვალნი რამე ეპყრას (ეპირნეს Cq) და წინარე წა(პ)ყარნეს; წაყრად ითქმის მოქლონთა და ურდულთა განყრა C.

ნ. ქელის წაყრა.
წაშენა Cb.
წაშვერილი ნ. წაშუერილი.
წაშლა ნაწერთ მოშლა ZAB.
განუმარტავია Cb.
წაშლილი ნაწერი მოშლილი ZA.
წაშუერილი (წაშვერილი ZABCq) წინ წარზიდული ZAB.
წინ წაზეული C. განუმარტავია D.
წაჭრა მცირე კიდურთ მოკვეთა ZAB.
წაჭრილი მცირე მოკვეთილი Z.
მოკვეთილი მცირე A.
წახედა წაუყურა Cb.
წახნაგი (5, 12 ქება[1]) გათლილი თვალი ZA.
თვალი გათლილი (5, 12 ქება) B. გათლილი C. წათლილი D.
ნ. გამოწახნაგებული.
წახრა წადრკა Cb
წახურვა დაფარება Cb.
წაქცა გაავდა Cb.
წაქცება გაავდება Cb.
წაქცენა Cb.
წაჴირება Cb.
წბა (7, 5 მსაჯ.) თქლეფა ZAB.
ათქლეფა C.
ნ. აღწბა, მოწბობა, მწბარი, ნაწბობი, წბოლა.
წბა წბილი, უკუწბილება D.
წბილ ნ. წბილი.
წბილად უკუწბილებულად ZA.
უკუწბილებულად. წბილება არს, რაი უნდოდენ საქნელად დავერა ქნას და შერცხვენდეს, და ესეგვარი რამე სარცხვინელი B.
წბილება არს, რაჲ უნდოდეს საქნელად და ვერა ქნას და შერცხვენდეს, და ესეგვარი რამე სარცხვინელი ZA.
ნ. გააწბილა, გაწბილება, უკუწბილება, შესწბა.
წბილი (წბილ Cab) უკუწბილების ბჭე ZA.
უკუწბილებული, რცხვენილი B. უკუწბილებული (+ წბილად Cb) C.
წბოლა თქლეფა ZAB.
ამოთქლეფა CabD. ამოთქლეფავება Cq.
ნ. წბა.
წდევა (+ 5, 22 ესაია ZAa) ღვინის დასხმა ZABC.
დასხმა ღვინისა D.
ნ. ეწდივა, იწდივა, მწდე. მწდეანი, მწდეველი, საწდე;
შდრ. წედა.
[**წდივ** ნ. წდევა].
წდომა (+ 2, 10 ნაომ ZAa) ა ყ რ ა არს, რა კაცი თვისისა ნებით(ა) დედა-წულით აიყაროს და სხვაგან დასახლდეს; წ ა რ ტ ყ ვ ე ნ ვ ა ჲ არს, რა მოძალემა(ნ) მძლავრებით აჰყაროს და სხვაგან განაბნიოს და ქონებაც მიუღოს სრულობით; წ დ ო ლ ა არს მძლავრთაგან აყრა და სხვაგან დასახლება და არა აფორიაქება, არამედ პატივით და ნებიერად წარყვანა; ჟ რ უ ნ ვ ა არს სრულიად შიშველთ გამოსხმა და სადა უნდა, წარყვანა ZA.
ა ყ რ ა არს, რა კაცი თვისის ნებით დედა-წულით აიყაროს და სხვაგან დასახლდეს; წ ა რ ტ ყ ვ ე ნ ვ ა არს, რა მოძალემან მძლავრებით აჰყაროს და სხვაგან დაფანტოს და ქო-

[1] შდრ. A — 51 („წახნაგებულ“ 5, 14; „წახნაგებული“ 7, 2).

ნებაც რაჲ მიუღოს სრულობით; წ დ ო ლ ა არს მძლავრთაგან აყრა და სხვაგან დასახლება, არამედ არა აფორიაქება და პატივით და ნებიერ წარყვანა; ჟ რ უ ნ ვ ა არს სრულობით შიშველთ გამოსხმა და სადა უნდა, წარყვანა B. [1] აყრა, გინა განსხმა, გინა განდევნა C.

წდომა მოწდომა, მიწდომა ZABC.
განუმარტავია D.

ნ. მიუწდომელი, მიწდომა, მიწდომილება, მოწდომა, მწდომი, შეწდომა, ჩაწდომა; შდრ. ამაწადი, მოწუდილი.

წ˜ე ქარაგმით წ ი ნ ა შ ე ZA.
წ ი ნ ა შ ე ქარაგმით B.

[**წებ** ნ. წ [1]].

წებო მისაწებებელი ZA.
განუმარტავია BCD.

ნ. დაწებვა, მოუწებე, შემოწება, შეწება.

წედა (3 მეფ. 7, 26) ესე (წედა B) არს ყო(ვ)ელივე ღვინის შესასმელი ჭურჭელი ZAB.
(+ მეფ. 7, 26 Cb) წედა არს ფ ი ა ლ ა, თ ა ს ი, ჭ ი ქ ა, ს ი რ ჩ ა (+ ჩ ა რ ა CqD), ბ ი დ ა ხ ი, ყ ა ნ წ ი, ჯ ა მ ი და ყოველივე ღვინოთა სასმისები(ა) ერთბამად (+ დიდი თუ მცირე C) CD.

ნ. დევატაფა, საწდე, ჭურჭელი; შდრ. წდევა.

[**წევ** (წივ, წევნ) ნ. ააწივე, ავაწივე, აწევა, ეწინეთ, ზედმიწევნული, თავის-წევა, მაწიერი, მეწიე, მიიწია, მიწევა, მოიწია, მოსაწევარი, მოწევა, მოწევნა, მეუწიე, მწევარი (ძაღლ'თანაც), ნაწევი, სწევს, შეწევა, წევნული].

[**წევ** (**წივ**, **წევნ**) ნ. მეწიე, მო-წიე, მწე, საწევნელი, შემწე, შეწევნა].

წევა მოწევა, მიწევა, გაწევა, მოწევნა ZA.
მოწევა, მოზევა, მოწ... B. წ ე ვ ა არს მორთხმა ... სა, გინა მოზევე რტოთა ხ... თა რტოთა Cb), გინა გაწევა გ... მავად, ანუ წარსაყვანელად, ანე გ... სათრეველად Cab. მოწევა ... გინა გაწევა Cq. განუმარტავია D.

[**წევნ** ნ. **წევ**].

წევნული (3, 12 ფილიპ.) Z.

[**წევრი** შდრ. ნაწევარი].

წელ (+ 89 10 ფსალმ. ZAa) წელიწად ZA.

ნ. წელი.

წელიწადი [2] (64. 12 ფსალმ.) წელიწადი დღდალი ZAa.
წელიწადი (ფსალმ. [64, 12]) Ab

წელი (+ 89, 5 ფსალმ. ZAa) წელიწადი ZABCqD.

ნ. ჭბალწლი'ა (თთუე'ათანაც, და სეკდემბერ'თანაც). მერმწლივ, წელაწადი, წელიწადი, წელ, წლევანდელი, წლეულ.

წელი (13, 2 იერემ.) სიბა ZAa
სიბა (+ 5, 27 [?] AbB) AbBCqD

წელი ნაწლევი ZAB.
წელი ეწოდებიან ნაწლევსა კაცთასა, რომელ არს უ რ ჩ ხ ი, კვალად წელი ეწოდებიან ს ი ბ ა ს ა კაცთასა და სხვათა ცხოველთასა, კვალად წელი ეწოდებიან წ ე ლ ი წ ა დ ს ა C, ნაწლევი ურჩხი CqD.

ნ. ყიტაწელი.

წელიწადი (1, 14 დაბად.) ქქო-

---

[1] ZAB ნუსხებში განმარტების ბოლოს ავტორის შენიშვნაა: „აყრასთან ლაწერე"
[2] წყაროშია: „წელიწადისა".

ნან წელიწადსა ერთსა თთვენი 12, შვიდეულნი 52, დღენი 365 და ჟამნი 6, ყო(ვ)ელნი ჟამნი დღეთა და ღამეთანი (ღამისანი B) 4380 (რვაათას შვიდას სამეოცდაექვსნი B), მათი წენტილია(ნი) ორი ბევრი და ათასასი. ზედეთ რომ ექვსი ჟამ(ნ)ი სწერია, მას ათექვსმეტი წამი აკლია და სხვანი ერთის დღისა და ღამის წამნი არიან 1440 ZAB.

ჰქონან წელიწადსა ერთსა თვენი ათორმეტნი, შვიდეულნი ორმოცდა ათორმეტნი, დღენი სამას სამოცდა ხუთნი და ჟამნი ექვსნი; ყოველნი ჟამნი დღისა და ღამისანი ოთხი ათას სამას ოთხმეოცი, წენტილიანი მათნი ორ ბევრ და ათას ასი ზედეთ წელიწადთა სამას სამოცდა ხუთს დღესთან რომე ექვსი (+ ჟამი Ca) ვაჭიენენ, მას ათექვსმეტი წამი აკლია, სხვა ერთის დღისა და ღამისა წამი ათას ოთხას ორმეოცი იქნება Cab. ჰქონან წელიწადსა ერთსა თვენი ათორმეტნი, შვიდეულნი ორმეოცდაათორმეტ(ნ)ი, დღინი სამას სამეოცდა ხუთნი და ჟამნი ექვსნი; ჟამნი დ[illegible] და ღამისანი ოთხი ათას სამ[illegible] მეოცი, წენტილიანი ორ ბევრ ([illegible] C) ათას ასი. ზედეთ(ს) წლ[illegible] ექვს ჟამს(ა) ათექვსმეტი წამი [illegible]ლია, [illegible]თის დღისა და ღამის წამი ათას ოთხას ორმოცი იქნება CqD.

ნ. ხრონო, ჯგუფი; შდრ. წელიწადი.

წელკავი სიზის (სიზას B) შეკმობა ZAB.

წელს ამ წელიწადს ZAB.

[წენ ნ. კი].

წენგო (+ იგავ. 10 Z) ნივზის ლეჯა ახალი ZAB.

ნივზი გულჩაუდებელი CD.

[წენი ნ. წამი].

[წენტილი ნ. დლე, სტომი, წვრტილი].

წენტილია ჟამის ნათხალი ZABC.

ჟამის მეოთხედი D.

ნ. წამი.

წენწურა (ოთხფ.) ავი გოჭი ZAB.

(ოთხფ.) ავი გოჭი და სნეული Cab. (ოთხფ.) გოჭი ავი და სნეული CqD.

წერა (10, 1 ესაია) კალმის მოსმა ZA.

მოკალმა B. განუმარტავია CD.

ნ. აღწერა, აღწერილი, აწერა, გარეშემოუწერელი, გარეშემოწერილი, დაწერა, ეწერა, ეწერ, იწერების, მოუწერე, ნაწერი, საწერული, საწერი, სწერია, შემოუწერელი, (შემოწერა'სთანაც), შემოწერა, შეუწერია, შთაწერილი, წარწერა, წერილი, ჭელის-წერილი; მწერალი, მოთხრობათა-მწერალი, სახის-მწერალი, სიმიათა-მწერალი.

წერა დახატვა ZAB.

წერაქვი (23, 29 იერემ. ZAa) ესე არს ცალვნით სათხროლი აქვნდეს კლდეთ დასარღვევად (დასარღვეველად A); წ ა ლ კ ა ტ ი არს ორგნითვე საკვეთი აქვნდეს ქვათა სათლელად; ხოლო ჩ უ გ ლ უ გ ი — წერაქვი ქელთ საპყრობი საომრად ZA.

წ ე რ ა ქ ვ ი არს ცალგნით სათხროლი კლდეთ სარღვეველი; წ ა ლ კ ა ტ ი ორგნითვე საკვეთელი ჰქონდეს ქვათ სათლელად; ხოლო ჩ უ გ ლ უ გ ი — მომცრო ჭელით საპყრობი, საომრად B. წერაქვი ეწოდების

დიდსა და დამარღვეველსა კლდოვანთა; ხოლო რომელთა ორგნითვე სათლელი აქვს და ქვათა განსთლიან, გინა კლდეთა გამო(ჰ)კვეთენ, წალკატი ეწოდების; ხოლო მცირეთა და კეთილად ქმნილთა, რომელთა ვაჟნი ქალთ იქონებენ საომრად, ჩუჯლუჯი ეწოდებიან C. განუმარტავია D.

წერეული (3, 7 რუთ) ყანის ნაკრეფი შეკონვილი ZAB.

(ბალ.) თავთავი ყანისა C. რუთი 3, 7: „დაწვა ზვინსა მას თანა წერეულისა მისიათა“ D.

წერი საწირავი, ამოწერილის სალებავი ZAB.

საყერავი CD.

წერილი (+ 26, 54 მათე ZAa) წერილი ეწოდების ყო(ვ)ელსა კალამთაგან აღწერილსა. გინა ბეჭდის(ა) ტვიფართა. ხოლო სამღრთო წერილი არს ძველის შჯულის მატიანე და ახალი აღთქმა; ხოლო წმიდათ წერილი არს მათი თარგმანი და ღ~თისმეტყველებანი და წმიდათა ჰამბავნი; გარეშე წერილ(ნ)ი არიან მსოფლიონი ჰამბავნი, ლექსნი და იგავნი (იგავიანი Ab) რამენი და მისთანანი; ხოლო ზღაპრობანი — საწარმართონი, საცრუო მოგონებულნი და ტყუ(ვ)ილნი შემჰევრებულნი; წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა, ვისიც(ა) იყოს; ხოლო მინაწერსა მოკითხვათა და სასაქმოთა — უსტარი; უდარესისაგან უაღრესის მინაწერსა — იერლაყი (პიტაკი Ab); (+ მეფისაგან ქველქვეშეთა მინაწერსა — იერლაყი Ah) მეფეთაგან მეფესთან მინაწერთა — პატრუცაგი; მეფეთაგან მინიჭებისა წერილსა — სიგელი; აგურაკთა და სოფლებისა დამტკიცებისა წერილსა — გუჯარი; მეფეთაგან ბრძანება-შეუცვალებელსა წერილსა — რუარტაგი (როარტაგი A); ვალის აღების ქელით-წერილსა და მისთანათა — მუჰარაკი (მოჰარაკი Z); მცირესა ნაწერსა — ავთრათი, ვითნი ბარათსა უქმობენ; სამეფოთა მოსაჴსენებელსა — მატიანე; წარსაგებელთა აღწერილთა — დივანი; გრძლად გარდაბმულთა წერილთა — ტომარი; განსაგებელთა წერილთა — (+ კომონიტორი და ZAa) განაჩენი; განყრისა და განშორებისა წერილთა — განსაშორებელი; სამოწმო წერილსა — სვისტატიკოსი, რომელსა თურქნი გუამანსარს (გუამაზარს Z) უწოდენ; ხოლო რუარტაგთა (როარტაგთა A) და სხვათა უსტართა სახესა გარდანაწერთა — პაჭენისი (პატენისი AB), რომელსა სპარსნი სავადსა უქმობენ; ღ~თისა, გინა მეფეთა ბრძანებასა — ენდალმა ეწოდების და წიგნაკი — ცუდსა წიგნსა [+ ლიველლიოსი; სიმტკიცის(ა)

ქარტასა — კათილორია (კატისიოსი Aa) ZAa] ZA.

წერილი ეწოდების ყოველსა კალამითაგან აღწერილსა, ხოლო საღმრთო წერილი არს ძველის შჯულის მატიანე და ახალი ახთქმა; ხოლო წმიდათ წერილი არს მათი თარგმანი და ღმრთისმეტყველთა თქმულნი და წმიდათა ჰამბავნი; ხოლო გარეშე წერილი არიან მსოფლიო ჰამბავნი, ლექსნი და იგავნი რამენი და მისთანანი; ხოლო ზღაპრობანი — საწარმართო, საცრუო მოგონებულნი ტყუილით შემკევრებულნი; წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა, ვისიცა იყოს; ხოლო მინაწერთა მოკითხვათა და საასაქმოთა — უსტარი. უდარესისაგან უაღრესისა მინაწერსა — პიტაკი; მეფისაგან ჰელქვეშეთა მინაწერთა — იერლაყი; მეფეთაგან მეფესთან მინაწერსა — პატრუცაგი; მეფეთაგან მინიჭების წერილსა — სიგელი; აგარაკთა და სოფელთა დამტკიცების წერილსა — [illegible]არი; მეფეთაგან ბრძანება-შეუცვლელსა წერილს — პროსტაგი; ქილით-წერილსა ვალისა [illegible] — მუჰარაკი; [illegible] ნაწერსა — აეთრათი, ვი[illegible] ბირათს უქმობენ; სამეფოთა მოსაჯსენებელთა — მატიანე; [illegible]გებელთა აღწერილთა — დივანი; გრძლად გარდაბმულთა წერილთა — ტომარი; განსაგებელთა წერილსა — განაჩენი; განყრისა და განშორებისა წერილს — განსაშორებელი; სამოწმო წერილსა — სვისტატიკოსი, რომელსა თურქნი გუამანსარს უწოდენ; ხოლო წიგნაკი — ცუდთა წიგნთა ვისამე; ხოლო ჰროარტაგთა და სხვათა უსტართა სახესა გარდანაწერთა პაპენისნი ეწოდების; ხოლო ენდალმა — წერილსა ბრძანებასა ღმრთისა, გინა მეფეთასა B. წერილნი (წერილი Cq) ეწოდებიან ყოველთა დაწერილთა კალამთა მიერ, რაიცა რავე იყოს, რომელთა განჰყოფენ ბრძენნი და იტყვიან: წერილნი საღმრთონი, წერილნი წმიდათანი და წერილნი გარეშენი; ხოლო საღმრთო წერილი ეწოდების ძველისა და ახლის სჯულის (შჯულის Cq) წერილთა; ხოლო წმიდათ წერილნი — თარგმანთა მათთა და წმიდათა მღდელ(თ)მოძღვართა და ღმრთისმეტყველთაგან თქმულთა და ცხო(ვ)რებასა და შესხმას(ა) წმიდათასა და საგალობელთა; ხოლო გარეშე წერილნი — მსოფლიოთა ჰამბავთა (+ და Cab) ლექსთა და ზღაპართა (ზღაპრობათა Cq) რათამე. ხოლო წიგნი ეწოდების ერთსა წიგნსა წერილთაგანსა, ვისიც(ა) ნათქვამი ანუ აღწერილი იყოს. ხოლო უკეთუ სხვასა (-თანა Cq) მიუწერო რაიც(ა) რამე საქმე, გინა მოკითხვა, მას უსტარი ეწოდების (ეწოდებიან Ca): და მეფესა და მთავართა თანა მინაწერსა(ა) — პიტაკი; მეფეთა მიერ შეწყალების(ა) წიგნსა — იერლაყი; (+ მეფეთაგან მეფესთან მინაწერსა — პატრუცი Cb): ხოლო მეფეთა მიერ მამულის დამტკიცების წიგნსა (დამტკიცებისასა Cq) — სიგელი; ეკლესიათა შეწირულობის(ა) სიგელსა — გუჯარი; მეფეთა ბრძანებათა (+ და Cab) შეუცვალებელისა და მოუშლელსა მინაწერთა (მინაწერსა Cq) — პროსტაგი; მეფეთა საბოძვრისა წიგნსა ფარმანად(აც) უქმობენ (სახელ-სდებენ Cb). არამედ სხვათა ენათაგან არს (+ და Cab) მინშური(ც)ა ეგრეთვე (ეგრეთვითარივე Cq) არს; ანდერძისა წიგნსა — დიათიკე და ვიეთნი ანდერძნამაგს უწოდენ. ხოლო ქილით-წერილთა (ქილით-წერილსა Cq) მიცემულსა (მიცემულ-

თა Cb) მუჰ(ა)რაკი ეწოდების; მცირესა მინაწერსა (მინაწერთა Cq)— ავთრათი; ვიეთნი ბარათსა სახელ-სდებენ; სამეფოთა მოსაჴსენებელთა სახლთა შინა ყოველთა აღწერილთა — მატიანე; ხოლო წარგებულთა ხარჯთა აღწერილთა — დივანი; და გრძლად გარდაბმულთა ქარტათა აღწერილთა — ტომარი [+ და განსაგებელსა წიგნსა მოჩივართასა — განაჩენი; ხოლო განყრისა და გა(ნ)ყოფისათვის დაწერილსა ქილით-წერილსა — განსაშორებელი (+ სამოწმო წერილსა — სგისტატიკოსი, რომელსა თურქნი გუამანსარს უწოდენ; ხოლო წიგნაკი — ცუდთა წიგნთა ვისასმე; პროარტაგთა და სხვათა უსტართა სახესა გარდანაწერთა პაპინისნი ეწოდების Cb) Cab] C. განუმარტავია D.

ნ. ეპისტოლე.

წერნაქი წარნაქი ZABD.

წითელი სახატავი C.

ნ. დიში.

წერო (ფრინ.) მწერო ZABCD.

ნ. მწერო.

წეროს-წჳვა (წეროს-წვივა ZA BCqD, წეროს-წვია Cab) სოკოა ერთი ZAB.

სოკოა CD.

წერტა ჩხვლეტა ZABCD.

ნ. მწერტელი, საწერტელი.

წერტილი (წერტილი, წენტილი D) (კათილორია) წერტილი არს კალმით დას(ხ)მული მცირე წინწალი, გინა ნემსით ნაჩხვლეტი, რომელი არა განიზომების და არცა აღირიცხვის, ვიეთთა წენტილად აღუწერიათ გაუსინჯავად ZA.

წერტილი არს მცირე კალამთ წინწალი, გინა ნემსის ნაჩხვლეტი, რომელი არა განიზომების, არცა აღირაცხვის. ვიეთთა წენტილად აღუწერიათ გაუსინჯაობითა B. წერტილი არს მცირე წინწკალი კალმისაგან, გინა ნემსისა მიერ ნაჩხვლეტი, რომელი არა განიკვეთების; ვიეთთა წენტილად (წერტილად Cb) აღუწერიათ, ავად უქნიათ (უქნიან Cb) C. წერტილი არს მცირედი წინწალი კალმისა, გინა ნემსთა და ეგევითართა მიერი ნაჩხვლეტი D.

ნ. რაოდენობა, სხეული.

წერწეტი ტანად წვრილი ZA.

ტანწვრილი B. მეტად ტანწვრილი (ტანწვლილი Cq) კაცი C. მეტად წვლილი ტანად D.

[**წეს** ნ. მიწესს, უწესს].

წესი (+ 16, 21 გამოსლ. ZAB) წესი უწოდიან ჩვეულებასა, განმტკიცებულსა და მდგომარესა. ვინაჲცა ჩვეულება არა ოდენ მისი სახელი არს, რომელ(სა) (მრავალ CqD) ჟამ ქმნითა ჩვეულებად შეჰქონდეს, არამედ ოდესმე მისიცა, რომელი ბუნებით ოდეს (ოდესმე BCD) რამე იყოს წეს(ი) განმტკიცებული, ვინა(ჲ)ცა უსულოთა და უძრავთა აქვს ესრეთ დაბადება, რამეთუ წეს ეწოდების მსგავსებითსა და შემსგავსებულსა საქმესა ZABCD.

ნ. განწესება, იწესა, მეწესე, მოწესე, საწესო, უწესო, წესიერი, წესნიერი.

წესიერი წესის მოქმედი ZAB.

წესიანი CD.

[**წესიერი სარგებელი** ნ. სარგებელი]. .

წესნიერი მოწესე ZABCb.

წეფხი მჴლე და ცუდი მიწა ZA.
მჴლე მიწა B.

წელან აწის უწინ (უწინარეს CqD) ZABCD.

წეწა ქელით ყაჴის გაჩეჩა ZA.
ყაჴის გაჩეჩა (+ ქელით BC) BCD.
ნ. კაკბის-საწეწელა.

წეწება ულონო(დ) სლვა ZABCD.

წეწონი ნიგოზი დამარილული ZAB.
დანაყილი ნიგოზი (+ მარილიანი C) CD.

წვა (+ 6, 18 ბარუქ ZAa) ცეცხლით დაწვა ZAB.
დაწვა ცეცხლითა, გინა წოლა C დაწვა D.
ნ. ღმერთი, წუა 1.

წვა იწვა, მწოლარე იყო ZA.
იწვა, წოლით იყო B. განუმარტავეია CqD
ნ. წოლა.

[**წვად** ნ. წუად].

წვალება (+ 24, 14 საქმე ZA) წ ვ ა ლ ე ბ ა დ უწოდთ ყოვლად ყოვლითურთ განჴრითა (განჴრილთა BCb) და თვით მის (მით Cb) სარწმუნოებისაგან უცხო-ქმნილთა, ხოლო გ ა (ს) ს ე თ ქ ი ლ ე ბ ა დ — კურნებად შესაძლებელთა, რათამე მიზეზ(ი)თა დაგებათათვის (დაძიებათათვის Cb) საეკლესი(ა)ოთა ურთიერთს(ა) (ურთიერთას Cb) გა(ნ)ყოფილთა. ქვალად შ ე ს ა კ რ ე ბ ე ლ ა დ — შემდგომად დაუმორჩილებელთა ხუცესთა ანუ ეპისკოპოზთა (ეპისკოპოსთა B) უსწავლელთა ერისა მიერ ქმნულსა რასამე კრებათა ZABCb.
განყოფა, გინა განშორება, გინა განკვეთა Ca. განყოფასაეით (+ გინა განშორვებულეით Cq) CqD.
ნ. განწვალება, მწვალებელი.

წვდილი ნ. წუდილი.

[**წვევა** ნ. წუევა].

წვეთი ნ. წუეთი.

წველა ნ. წუელა.

წველი ნ. წუელი.

[**წვენ** (წვინ) ნ. წოლა]

წვენი ნ. წუენი.

წვერი ნ. წუერი 1, 2.

[**წვეულობა** ნ. მაემანი].

[**წვივ** ნ. წუევა].

წვივი ნ. წჳვი.

[**წვივსაკრავი** ნ. ლეკუერთხი, საკართული]

წვივსაცმელი ნ. წჳვსაცმელი.

წვიმა ნ. წჳმა.

[**წვიმის ღმერთი** ნ. ნილა].

[**წვინ** ნ. წოლა].

წვინტლი ნ. წჳნტლი.

წვლილი და **წვრილი**; **წვლილი**, **წვრილი**; **წვლილი**, **წურილი** ნ წულილი და წურილი.

წვლილმოგონება ნ. წულილმოგონება.

წვრთა ნ. წურთა.

წვრთილი ნ. წურთილი.

წვრილი ნ. წურილი.

წთოდა (+ 66, 9 ფსალმ. ZAB) წვეთდა ZABCD.
ნ. წუეთ.

[**წთოლა** ნ. წუეთ].

[**წი** (**წივ**) ნ. წევ].

წიალა (მწერ.) მცირე ქინქლა ZAB.

წიალთა ჰქუა (წიალთა ჰქვა ZB)

ახლო ჩუმად (ჩუმათ A) უთხრა ZAB.

წიაღი (4, 6 გამოსლ.) კალთა და უბე, გინა ადგილი (ამმონიოსის კათილორ.) Z.

კალთა და უბე (+ 4, 6 გამოსლ. A) ACD. კალთა და უბე (4, 6 გამოსლ.) დაბადების თარგმანში წიაღი სხვარიგ უთარგმანებიათ. ჩვენში არად საკმარ არს B.

ნ. მწიალებელი, უბე.

წიაღი შეისწავე, სადა-ესე ქართულად წ ი ა ღ ი დაგვიწერია, მუნ ბერძულად პ ე რ ა ტ ი სწერია, ვითარმედ: უთხრათ აბრა(ჰა)მს პერატსა — ესე იგი არს წიაღსა, ანუ თუ (+ წიაღ Cq) მოსულსა, წიაღელსა, ანუ წიაღ კერძო მყოფსა. ხოლო პერატი ენითა ასურესტანელთათა ებრაელთა (ებრაელსა Cq) უწოდიან, ვითარცა თარგმანთა ყოვლად ბრძნისა განმმარტებელობისაგან გვესმის, წ ი ა ღ ა დ იწოდების აბრა(ჰა)მ, ვინათგან ქვეყანისაგან ქალდეველთასა, წიაღ მომდინარისა, კერძოთა მომართ ქანანისათა მოიწია. ხოლო ითარგმანების პ ე რ ა ტ ი, რომელ არს წიაღი C.

წიაღკერძო ახლო ნაპირად ZA.

ახლო კერძო B.

წიაღმოსლვა (წიაღმოსვლა AB) აქათ კერძო მოსლვა (მოსვლა AB) ZAB.

წიაღმოსული აქათ მოწევნილი ZAB.

წიბო ერთი გვერდის ძვალი ZAB.

ერთი გვერდისაგანი CD.

ნ. ნაწიბური.

წიგნაკი წიგნცუდა ZABCD

ნ. წერილი.

წიგნარა ნაკეციანი ფაშვი ZAB.

განუმარტავია CD.

[წიგნების მ ნ ე ნ. ხარტოფილაქსი].

წიგნი (36, 21 იერემ.) წერილთაგან ერთი ZAB.

წერილთაგანი C. განუმარტავია D.

ნ. დასტურის წიგნი (ფარმანთან), მწიგნველი, საწიგნე, უწიგნო, წერილი, მწიგნობარი, ვმწიგნობრობ, სამწიგნობრო.

წიგნი მოგებისა (32, 11 იერემ.) მონასყიდობისა ZAB.

ნასყიდობის წიგნი(ა) (იერემ. 32, 11) Cab.

წიგნის-საცავი (წიგნისაცავი Cab) სახლი საწიგნე ZABCab.

წიგნის-ტყავები (2 ტიმოთე 4, 13) ეტრატი ZAB.

ნ. ეტრატი; შდრ. ავთრათი.

წიდა რკინისა და ილეკრის ნადნობი ZA.

რკინის ნადნობი B. რკინისა და მისთანას (მისთანათ Cq) ნადნობი (ნადნობის Cq) ხენჯი, ნაცართაგანი (ნაცართაცა Cq) იქმნება და მისთანა(თა) C. განუმარტავია D.

წიდა სიბილწე და ფინთი რამე ZA.

სიბილწე რამე, გინა ფინთი B.

წიდნა (17, 6 ეზეკ.) ვენაკის გარდაფლვა Z.

ვაზის გარდაფლვა (17, 6 ეზეკიელ) Aa.

წიდოვანი[1] (15, 19 ლევიტ.) დიაცი დაშტანი ZA.

ღედაკაცი დაშტანი (15, 19 ლევიტ.) B.

წიდოვნება (წიდოვანი D) წ ი დ ა

[1] წყაროშია: „წიდოვნება"

ფინთ-ფუნთად ითქმის. კაცისა იყოს (+ გინა D) თუ რკინისა ანუ ნივთთა (ნივთისა CqD) რომელთამე (რასამე CqD), ამისთვი(ს)ცა დედათ წესი(ცა), (+ რომელ არს დაშტანი Cab) წ ი-დ ო ვ ნ ე ბ ა დ უთქვამსთ უთქვამსთ და კაცთა ბილწებაც(ა) რამე CD.

[წივ ნ. წევ].

წივა ქმელი ნეხვი ZABCD.

ნ. სკორე.

წივილი წვლილი (წვრილი B) რამ ქმა(ჲ) ZABCah.

წვლილი რამ ქმაა Cq. განუმარტავია D

წივწივა (ფრინ.) ZABCD.

წითელა სენია ZAB.

სენია ყვავილსაეით (ყვავილივით Cq) C. სნეულებაა D.

წითელა (ბალ.) ძუმელა ZABCD.

ნ. ძუმელა.

წითელი (+ 19. 2 რიცხვ. B) ცეცხლის ფერი ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. გააწითლა, მოწითლო, მწითური. მწითური ნავლელი (ზაფრა'სთან), სიწითლე, სოკოწითელი, ძირწითელა, წითს.

წითს (+ 16. 2 მათე ZAB) წითლობს ZABCD.

წილ (1 მეფ. 24. 18) ნაცვლად ZAB.

[წილ ნ. მოწილვა].

[წილ ნ. მეორწილე].

წილი კერძივით ZAB.

კერძი CD.

ნ. ბედნაწილი. მოწილე, ნაწილი. სანაწილე.

წილი (+ 1, 7 იონა ZAB) წილის გდება ZACD.

წილის გდება, ყრა (1, 7 იონა) B

წილია (მძრომ.) ტილის კვერცხი ZABCD.

წილკავი სამჰედურთან ნახე ZAB.

გრილად დასხმული ნემსკავი (კავი Cq) სათევზე(დ) C.

წინ (5, 2 ესაია) პირის-კერძო ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. გუშინასწინ, თავის-წინა. უწინ, უწინარეს, უწინდელი, შარშანსწინ.

წინა (30, 38 დაბად.) დასაბამი. გინა პირველი; გინა გუნდთ პირველ-მთავარი (პირველმავალი AhB), გინა ნავ-ს-თავი და მისთანანი რაჲცა (რაიც B) ZAB.

განუმარტავია Cb.

ნ. დაწინაურება, მეწინავე, საწინარო.

წინააღმდგომი (+ 41, 11 ესაია ZAa) მჴდომი, მბრძოლი ZA.

მჴდომი, გინა მბრძოლი B. განუმარტავია Cab.

წინა-აღრჩევა (35 დამასკელისა. 32 ნემესიოსში ვრცელად იძიე) უწინ გამორჩევა ZA.

უწინ გამორჩევა (35 იოანე, 32 ნემეს. ვრცელად) B. წინააღრჩევისათვის [35 იოანე დამასკელის წიგნში იძიე(თ) (+ და ნემესიოსის 32 Cb)] CD

ნ. ნება, ნებსითი.

წინაბუგა (ბალ.) თეთრი სატაცური (+ ჭალისა B) ZAB.

წინადადება (წინდადება Cb) იგავი, გინა სხვა(ს) წინ რამ დაუდვას ZA.

იგავი, გინა წინ რამ დაუდვა B. იგავი, გინა წინ რამე დაუდვას Cab.,

წინადაცუეთა (წინადაცვეთა ZB Cq, წინადაცუჵთა A) (17, 11 დაბად.) მეტკვეთილება ZAB.

მეტკვეთილობა Cab. განუმარტავია CqD.

[**წინა დღე** ნ. ნაწინადღევი].

წინათ პირის-კერძო ZAB.

წინამბრძოლი პირველ შემბმელი ZAB.

იგი არს, რომელი შემოგვებმოდის (შემოგვებმოდეს Cb) Cab.

წინამდებარე (+ 2 ნემეს.[1] ZAa) წინ ხილულად რაც ედვას ZA.

თვალით ხილულივით B.

წინამეტყუელი (წინამეტყუჵლი ZAa, წინამეტყველი B) წინასწარმეტყველი ZAB.

წინამეწყუე[2] წინა გამწყოდ მდეგი ZAa.

წინამო (4 მეფ. 4, 39) ესე არს თმა ლაწვთ მაშვენებელი, რომელ არს ლ უ ლ ა მ ბ ა რ ი ZA.

თმა ლაწვთ მაშვენებელი, (4 მეფ. 4, 39) ლულამბარი B. წინამო არიან თმანი შუბლთა და ლაწვთ(ა) მაშვენებელნი CD.

ნ. ზილფი, თმა.

წინამორბედი წინ(ა)მორბენალი ZAB.

წინამოსაჯუული (+ 5, 25 მათე ZAa) მოდავე ZABCD.

წინამსრბოლი შიქრიკი ZAB.

წინამცველი (წინამცუჵლი ZA) მკმილავი ZABCab.

ნ. წინასაცავი.

წინამცურვალი[3] (წინამცურვალი, წინამსრბოლი CD) (4 მეფ. 10, 25) შიქრიკთან ნახე ZAB.

წინამცურვალი და წინამსრბოლი არიან შიკრიკნი, ფეიკნი, გინა სხვანი ქვეითნი უძღოდენ მახვილოს(ა)ნები განმზადებით მეპატრონეთა აღმქედრებულთა Cab. წინამცურვალნი არიან შიქრიკნი და ფეიკნი, გინა სხვანი ქვეითნი მახვილებითა განმზადებული უძღოდენ მეპატრონეთა აღმქედრებულთა CqD.

ნ. დრომიკოსი.

წინამძღუარი (წინამძღვარი CqD) (49, 26 დაბად.) წინამძღვარი ეწოდების კრებულის უფროსსა, გინა მგზავრთა ეტიკსა, გინა ბრმის(ა) წინამყვანებელსა (წარმყვანებელსა A). ხოლო სამღრდელო მონასტერთა წინამძღვართა განყოფილებანი ესრე(თ) არიან: ერთის(ა) მონასტრის(ა) კრებულის უფროსსა ეწოდების წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი; ხოლო შვიდთა და რვათა მონასტრის წინამძღვართა ზედამდეგსა, რათა იგი განაგებდეს — მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი; ხოლო მრავალთა მამასახლისთა ზედამდეგსა — მ ო ძ ღ ვ ა რ თ-მ ო ძ ღ ვ ა რ ი და მრავალთა მოძღვართ-მოძღვართ(ა) ზედამდგესა მ ო ძ ღ ვ ა რ თ ა პ ე ტ ი ეწოდება (ეწოდების B) ZAB.[4]

[1] იგულისხმება ნემესიოსის წიგნი „ბუნებისათჳს კაცისა“ (გვ 34, 22—23) [2] ნუსხებშია: „წინამეწყვე“. [3] წყაროშია: „წინამცორვალთა“. [4] B-ში კიდეზე ჩამოწერილია: „მამასახლისი, წინამძღვარი, მოძღუარი, მოძღვართ-მოძღვარი, მოძღვარპეტი“.

განუმარტავია CD.

წინაპარი (+ 2, 4 ანგია ZCa) პირველად(ი) ZC.

პირველადი (+ 3, 4 მალაქ. Aa) AB.

წინაპარი (3, 4 მალაქ) წინაპირველი Z.

წინაპირველი (2, 4 ანგია) ABCb.

წინასაცავი (წინასაცავნი C) (+ 2, 5 ნაომ ZAa) წინ(ა) საქმილავი ZAB.

საქმილავი, წინამცველი, მქმილავი C.

შდრ. წინამცველი.

წინასწარი (32, 20 დაბად.) პირველი ZAB.

წინასწარმეტყუელა (წინასწარმეტყუჱლა ZAa, წინასწარმეტყველა B) (4, 4 მსაჯ.) ქალი წინასწარმეტყველი ZA.

ქალი (4, 4 მსაჯ.) B.

ნ. მანა, სიბილა, წინასწარმეტყუელი.

წინასწარმეტყუელება (წინასწარმეტყუჱლება ZAa, წინასწარმეტყველება AbB) წინასწარმეტყველთ(ა) თქმული ZA.

განუმარტავია B. უწინვე თქმული Cb.

წინასწარმეტყუელი (წინასწარმეტყუჱლი ZAa, წინასწარმეტყველი B) (1, 21 იოანე) ვაჟი წინასწარ მთქმელი ZA.

განუმარტავია B. მხილველი, წინათ შემტყობი C.

ნ. მანა, საწინასწარმეტყველო, წინასწარმეტყუელა.

[**წინასწარმოსწავება** ნ. ხრიზმო].

წინაუკმო და უკანაწარ წინა — უკუღმა და უკუღმა — წინა ZA.

განუმარტავია B.

[**წინაქარი** ნ. წინწანაქარი].

წინაშე (+ 27, 20 დაბად. ZAB) წინა, ახლოს ZABCD.

ნ. საწინაშო, წ~ე.

წინდა მოქსო(ვ)ილი ფერჴის საცმელი ZA.

მოქსოვილი ფერჴთსაცვამი B. განუმარტავია CD.

ნ. ფერჴსამოსი.

წინდადება ნ. წინადადება.

წინდი (38, 13 დაბად.) ვალისათვის მძევალი ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. გირაო.

წინმოსაფენი ესე არს მოსარტყმელი სამუშაკო სამოსლის დასაფარავად (დასაცვავად A), რომელსა გ ო ქ ნ ო ც ს ა ეწოდენ ZA.

ესე არს მოსარტყმელ სამუშაკოდ სამოსლის საცავი B.

წინწალი წერილთ მიჯნა ZAB.

განუმარტავია CD.

წინწანაქარი პირველ გამონადენი ტყბილი ZAB.

პირველი ტყბილი (ტკბილი CqD) CD.

წინწიბური ბალანთ საგლეჯი მშვილდაკი (მშვილდი B) ZABC.

(უქმ.) D.

წინწილა (წინწილანი D) (+ 150. [5] ფსალმ. ZA) ლინი ZAB.

ლინი, პარი CD.

წინწილი ტკბილი საკრავია ZAB.

ამო საკრავია C. განუმარტავია D.

წინწკალი ნაბერწყალთ ნაწილი ZAB.

ნაბერწყალი CD.

ნ. ცეცხლი.

[**წინწკიტელა** ნ. ისარი].

წიპწიპა ზონარი საჩეხიანი ZAa.

წირვა ღ̃თის შეძლვნა ZA.

ღ̃თის შეძღნობა B. უფლის ძღნობა C. განუმარტავია D.

ნ. განწირვა, გაწირვა, გაწირული, ეწირა, ვწირავ, მოწირავი, მწირველი, ნაწირავი, საწირავი, სწირავ, შესაწირავი, შეუწირავს, შეწირვა.

წირთხლი (წირთხლი, წყირთლი CD) (12, 7 გამოსლ.) კარის ანყოლი ZABD.

კარის ანყოლები C.

ნ. წყირთლი; შდრ. წართხელი.

წირი (+ ევთია B; + წირი AB) არს ვაკოვანთა შინა არარაჲ მყოფსავით რამე ჩენა მხედვარეობასა შინა, ანუ დახატული, რომელი მსგავს ცხო(ვ)ჳლისა ჩნდეს და მისთანანი (+ 7 ნემეს[1]. ZA) ZAB.

ევთია. წირად ჰგავს თუ სახულსა რას(ა)მე, უწეს სახულსა, რომელიიგი უეჲკოდ რამე აღუჩნდების მხედველობასა, დახატული (დახატულსა Cq); წირი ეწოდების ვაკეთა შინა ამართულად ეჩვენოს რამე და არა იყოს (+ რა Cq) C. ევთია. წირად ჰგავს, თუ სახულსა რასამე უწეს სახულსა, რომელი-იგი უეჲკოდ რამე აღუჩნდების მხედველობასა დახატულსა. ნემესიოსში ყოველგან თან ასე ეწერა სხოლიონად D.

წირიხტა კვერცხით მოზელილი, ერბოში მოხრაკული პური ZA.

განუმარტავია B.

წირპლი თვალის ბაყლი რბილი ZA.

თვალის ბაყლი BCD.

ნ. იწირპლების, მეწირპლება, წრიმლი.

წისქვილი დიდი საფქველი ZAB.

საფქველი დიდი C. განუმარტავია D.

ნ. ბუჲულა, ნაწისქვლევი.

წიტი (წიტვა D) სენია. განსაელით (განსვლით B) ზიდება ZAB.

სენია განსავლით CD.

წიფება შეძლება ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. ქელეწიფების, ქელეწიფებოდა, ქელმწიფე, ქელმწიფებანი.

წიფელი (ხე) ZABCD.

წიფვა მოსწრება ZACD.

სწრება B.

ნ. მოწიფვა, მოწიფული, მწიფე.

წიფხი (ხე) წვრილი (წვლილი BC) და გრძელი ყლორტი ZAB.

(ხე) წვლილი გძელი ყლორტი Cq. წელილი ყლორტი D.

წიქარა (ოთხფ.) წითელი ზროხა ZA.

(ოთხფ.) წითელი B.

წიწაკა (ბალ.) ბალახის პილპილა ZAB.

(ბალ.) გლეხური პილპილი CD.

წიწაკი ფრინველის (ფრინველთ B) სენია ZAB.

ქათმის სენია C. ნაკრტენის ძირი D.

წიწანი ცუდი ბაკი ZA.

ბაკუუდი B. (უკმ.) ბაკი Cab. ბაკანი Cq.

წიწვა მოწიწებასთან ნახე (+ კრძალვა B) ZAB.

მორიდება მოკრძალვით Cab. მოკრძალვით რიდებდეს Cq.

---

[1] იგულისხმება ნემესიოსის წიგნი „ბუნებისათვს კაცისა“ (გვ. 80, 18—19).

ნ. იწიწვი, იწიწვის, მეწიწვის.
წიწიბო (ხე) წიფლის ხილი ZABCD.
წიწილი (ფრინ.) ქათმის მართვი (მართვე B) ZABC.
ქათმის შვილი D.
ნ. მართუ, ქათამი.
წიწილკურა (ბალ.) ZABCD.
წიწინი ალყის ქმა ZABC.
განუმარტავია D.
წიწკანა (ფრინ.) ZB.
[**წიწკიტელა** ნ. ისარი].
წიწლაკიანი ყრმა სწრაფად მოშუღარი ZA.
სწრაფად მოშუღარი B.
წიწმატა (ბალ.) ZABCab.
წიწმატი (ბალ.) ZABCD.
წიწნეული[1] (2 შჯულ. 8, 9) მოწიწებით მყოფი ZA.
მოწიწებით (2 შჯულ. 8, 9) B.
ნ. წიწვა.
წიხლი (+ 9, 4 იერემ. ZAB) ფე(რ)ჴის კრვა ZABC.
განუმარტავია D.
ნ. ტლინკი.
წიხნა (+ 9, 5 საქმე ZA) წიხლვა ZACD.
წიხლვა, ტლინკთან ნახე B.
წკავილი ლეკვის ქმიანობა ZABCD.
წკაპი-წკუპი წვლილად ცემის ქმა ZACqD.
წვრილი ცემით ქმა B. წვლილად ცემა Cab.
წკაპნი წვეთის ქმა ZABCD.
ნ. უწკაპუნებს.
წკარნი ილეკროს (ილეკროთ B) ქმა ZAB.
რკინის ქმა C. რკინათა ქმა D.
ნ. უწკარუნებენ.
წკენტა მუწუკის გამოქმობა ZA.
მუწუკის გამოკვნესა BCD.
წკენტი რძე ძვირად მდენი ZAB.
რძე წვეტით მდენი CD.
წკეპა კელით ცემა ZAB.
მცირედ ცემა CD.
ნ. მოუწკაპე, უწკეპს.
წკეპლი წვრილი (წვლილი C) ჯოხი მედრეკი ZABC.
განუმარტავია D.
ნ. ჯოხი.
წკიპარტი თითის (თითით Cb) კრვა ZABC.
განუმარტავია D.
წკიპურტანა მცირე მშვილდაკი ZAB.
მცირე მშვილდ-ისარი CD.
წკირი წვრილი (წვლილი CD) ჩხირი ZABCD.
წკმუილი ძაღლის ტირილი ZABC.
ნ. ტირილი.
წკრიალი რვალის (რვალთ D) ქმა ZABCD.
წკრივად გრძლად წყობით თითო ZA.
წყობით გრძლად თითო B.
[**წკუმპლ** ნ. ნაწკუმპლი].
[**წკუნპლვა** ნ. სწკუნპლავს].
წლაკვა D.
წლაკი D.
წლიპუნი (წლაპნი Cb) პირის (მ)ტკბანურების (მტკბანურობის B)-ქმა ZAB.

[1] Aa-ში ეს სიტყვა „წიწიბოს“ შემდეგაც ყოფილა წარმოდგენილი· („მოწიწებულე: 1, 9 აბდია“) და განმარტებითურთ გადაუხაზავთ.

ენით Cb.

წლევა კორცთ პატივი და მოსვენება ZAB.

კორცთ პატივი თუ წყალობა CD.

წლევანდელი ამ წლისა ZABCb.

წლეულ ამ წელიწადს ZAB.

ამ წელს C. განუმარტავია D.

წმახნა მეტად შეგრეხა ZA.

მეტად შეგრეხილი B. მეტად შესთვა (+ თუ შეგრეხა Cab) CabD. მეტად შეგრეხა თუ შესთვა Cq.

ნ. მწმასნელი, სწმასნი, შეწმასნა; შდრ. ტმასნვა.

წმასნილი მეტად შეგრეხილი ZA.

წმახი უძრმო მწნილი ZABCD.

ნ. კოწამახი, წმახე (მჟავე'სთან).

წმედა მოჴოცა ZAB.

ნ. განსაწმედელი (საპონ'თანაც), განწმედა, დაწმედა, დაწმედილი (წმიდა'სთანაც), მოსაწმედელი, წმიდა.

წმიდა (+ 2, 23 ლუკა ZAa) წმიდა მოასწავებს: დიდებულ იყავ, ქებულ იყავ და ამაღლებულ იყავ; წმიდა ითქმის მხოლოსა ღ҃თსა ზედა და რომელნი ღ҃თნ წმიდა-ყვნა მსახურნი და სათნო-მყოფელნი მისნი; და მღდელნი რა მიიღებენ ღ҃თისა მიერ კურთხევასა წმიდა-ჰყოფენ პურსა, ღვინოსა, წყალსა, ზეთსა, კურთხევითა მით; ზეშთა წმიდა ითქმის წმიდისა სამებისა და ღ҃თაებისათვის და წმიდისა ჴორცისა და სისხლისათვის ქრისტესისა და მარიამ ღ҃თისმშობ(ე)ლისათვის, უფროსად წმიდა — ანგელოზთა და თავთა მოციქულთა; და (+ ხოლო Ab) წმიდა — ყო(ვ)ელთა წმიდათათვის და კურთხევით განწმედილთათვის, ოდესმე კაცთათჳსცა და გულთათვის კაცთასა; ხოლო შეუმრღვეველთა ღვინოსა, წყალსა, ზეთსა და ეგევითართა არა ვიტყვით წმიდად, არამედ დაწმედილად და კამკამად და მორავაყუნად; ხოლო კაცთა მბანებელთა და სამოსელ-განრცხილთა და ჭურჭელთაცა განრცხილთა ვიტყვით სუფთად; გზათა და მიდამოთა განწმედასა (+ და A) დაფალშას ვიტყვით; ოქროთა და ილექროთა ოფაზად, (ოფაზთა ZAa), ურიოშოდ, გამოცდილად ვიტყვით; ფქვილსა — ჴლარჩად; ხვარბალსა — რქმეულად და სხვათა. ღნიოშთა — წარქოცად ZA.

წმიდა მოასწავებს: დიდებულ იყავ, ქებულ იყავ, ამაღლებულ იყავ; წმიდა არარას ზედა ითქმის, გარნა მხოლოსა ღ҃თსა ზედა და რომელნი ღ҃თნ წმიდა-ყვნა მსახურნი მისნი და სათნო-მყოფელნი მისნი; გინა მღდელნი რა მიიღებენ ღ҃თისა მიერ კურთხევასა, წმიდა-ჰყოფენ პურსა და ღვინოსა, გინა წყალსა, გინა ზეთსა მღვდელთაგან კურთხევა-მიღებულსა; ზეშთა წმიდა ითქმის ღ҃თისათვის და ყოვლად წმიდა — ღ҃თაებისათვისცა და წმიდისა ჴორცისა და სისხლისა ქრისტესისათვის, მარიამ ღმ҃თისმშობლისათვის; უფროსად წმიდა — წმიდათა ანგელოზთა, წმიდა მოციქულთა; წმიდა — ყოველთა წმიდათა და კურთხევით განწმედილთათვის; ხო-

ლო შეუმრღვეველთა ღვინოთა და წყალთა, ზეთთა და ეგევითართა არა ვიტყვით წმიდად, არამედ კამკამად და მორავაყუნად; ხოლო კაცთა მბანებელთა და მრეცხელთა და ჭურჭელთა განრეცხილთაცა, სახლთაცა ვიტყვით სუფთად და გზათა და მიდამოთა დაწმედისა დაფალვად ვიტყვით; ოქროთა და ილეკროთა სადმე ოფაზიდ, გინა ურიოშოდ და გამოცდილად ვიტყვით; ფქვილთა — ჴალარჩად; ხვარბალთა — რკვეულად და სხვათა ღნიოშთა — წარქოციად B. წმიდა მოასწავებს: ღიდებულ იყავ, ქებულ იყავ (+ და Caq) ამაღლებულ იყავ; წმიდა არა რასა ზედა ითქმის, გარნა მხოლოსა ღ̃თსა ზედა (+ და CqD) რომელნი სთნო ეყვნეს (ეყვნნეს D) ღ̃თსა და ადიდნა მან და წმიდა ყო წმიდანი თჳისნი, გინა რომელთა მღ(ვ)დელ(ნ)ი მიიღებენ (მიიღებს CqD) ღ̃თისა მიერ კურთხევასა და წმიდა ჰყოფს მას, რაჲც რა იყოს: პური, ღვინო, წყალი, ზეთი და ყოველივე კურთხეული (+ და Caq) მღ(ვ)დელისა მიერ (+ განწმედილი C); ხოლო სხვას(ა) შეუმრღვეველსა ღვინოსა (+ და Ca) ზეთსა, წყალსა და ეგევითარსა არა ვიტყვით წმიდად, არამედ კამკამეულად (კამკამად D); ხოლო (და CqD) კაცთა, რომელ(ნ)ი იბანებდეს (იბანდეს CbqD) ტანთა, ზედასა-ზედა თავთა (+ და D) ჴელთა და ფერჴთა ანუ უმწიკლოთა (უმწიკლოსა CqD) და განრეცხილთა (განრეცხილს Cq) სამოსელთა (სამოსელსა Cq) იცვემდეს (+ და D) ეგრეთვე ჭურჭელთა განრეცხილთა ჰქმარობდეს და ყოველსავე საჭმელთა და სასმელთა, გინა რასაცა ნივთთაგანისა განწმედილად (განწმედილთა D) ენებოს ქმევა არცა მას ვიტყვით წმიდად, არამედ სუფთად; (+ და D) ჭურჭელთა და სახლთაცა სუფთად ვიტყვით, ხოლო გზათა (+ და C) მიდამოთა და ადგილთა არა ვიტყვით დაწმედად, არამედ დაფალვად; ხოლო ოქროთა და ვეცხლთა გა(ნ)ურყვნელთა ოფაზად ვიტყვით (+ გინა გამოცდილად Cab); ფქვილთა და ყოველთა წვლილთა — გერმაკად (ჯერმასად Cb); ხოლო (და Cq) ხვარბალთა და მისთანათა — რკვეულად; ხოლო (და Cq) სხვათა ღნიოშთა წარქოციად ვიტყვით CD.

ნ. არა-წმიდა, პირწმიდა, სიწმიდე, სულიწმიდა, უწმიდესი, წმიდანი, წმინდა, წ̃ა, წ̃ნ, წ̃ჲ.

წმიდა არს (წმიდარს Ab) 6, 3 ესაია ZAB.

წმიდა ზეთი (+ 30, 25 გამოსლ. ZA) ნაკურთხი ზეთი ZAB.

[**წმიდათ წერილი** ნ. წერილი].

[**წმიდამან** ნ. წ̃ნ].

წმიდანი ღ̃თის მსახურნი ZAB.

[**წმიდაჲ** ნ. წ̃ჲ].

[**წმიდაო** ნ. წ̃ო].

წმიდა პური სეფის-კვერი ZAB.

წმიდა სული (1, 5 სიბრძნე) ZA.

წმიდა-წმიდათა (40, 11 გამოსლ.) საკურთხეველი ZAB.

წმიდა წყალი აიაზმა ZAB.

ნ. აიაზმა.

წმული ნაცრისა და მისთანათა წვენი ZA.

ნაცრის წვენი და მისთანისა B. ნაცრის წვენი CD.

წ̃ნ ქარაგმით წმიდამან ZA.

წმიდამან ქარაგმით B.

წნელი ღვლერჭი მოუგრეხელი ZAB.

ღვლერჭი მოგრეხილად მოუგრეხელი C. ღვლერჭი D.

წნეხა ფერქით ყურძნის დაწურვა ZA.

ყურძნის დაწურვა (წურვა CD) ფერქით(ა) BCD.

ნ. დაწნეხა, ეწნიხა, მწნეხელი, ნაწნეხი, საწნეხელი, სწნეხს, უწნიხე.

წნოანი წვენიანი ZA.

წნორი (ხე) ველური ტირიფი ZAB.

(ხე) გარეული ტირიფი CD.

ნ. ტირიფი.

წნული დაწნული ZAB.

წ~ა ქარაგმით წ მ ი დ ა ა ZA.

წ მ ი დ ა ქარაგმით B.

წ~ო ქარაგმით წ მ ი დ ა ო ZA.

წ მ ი დ ა ო ქარაგმით B.

[**წო** ნ. წუა (წოწოქა'სთანაც)].

[**წოდ** ნ. მომაწოდა; შდრ. წუად].

წოდგილი ცელია სხვარიგი ZAB.

ცელი CD.

წოდება დაძახილი ZA.,

ძახება B. დაძახებასავით CD.

ნ. ეწოდა, მიუწოდა, მოწოდება, მწოდებელი, უწოდა, წოდებული.

წოდებული (23, 7 ლევიტ.) დაძახებული ZAB.

წოვანა სოკოა ერთი ZAB.

სოკოა CD.

წოვარი ZABC.

წოვნა ძუძუს ჭამა ZABCD.

ნ. მაწოვარი, მაწოვნებელი. მწოარი, მწოვარე, ნაწოვნი, პირმიმწოე, სწოვს.

წოლა დებით ყოფ(ნ)ა ZABC.

განუმარტავია D.

ნ. დააწვინა, დაწვა 2, დაწოლა, დება, თანამწოლი, იწვა, მესაწოლე, მიიწვინა, მიწოლა, მოუწვევ, მოუწვევ, საწოლი, საწოლის მწიგნობარი, სწვები, ჩაწოლა, წვა 2.

წოლილი წოლაყოფილი ZAB.

[**წონ** ნ. მოწონება].

[**წონ** ნ. განწონება].

წონა სასწორის შესწორებული ZA.

სასწორის შესწორება B. სასწორით შესწორება (გასწორება Cb) C. განუმარტავია D.

ნ. აწონა, აწონილი, მიუწონა, მწონელი, საწონი, სწონს.

წონება კეთილ მიჩნევა B.

წონწილი წაქცევას ლამოდეს ZABCD.

ნ. წოწინება.

წოპი ZAbBCD.

რომელ არს დედაკაცის ძსოსა შიგან ენა Aa.

წორო (ხე) ZABCb.

წოტი (ფრინ.) პატარა ბუა ZAB.

ნ. ბუკნაწოტი, წოწოლა.

წოქო თოხლო კვერცხი ZA.

თოხლო BCD.

წოწინება წონწილი ZABCD.

წოწოლა (ფრინ.) მოდიდო წოტი ZA.

(ფრინ.) დიდი წოტი B.

წოწოქა ჴმელის მჟავის (ჴმელს მჟავეს B) გამონაწურს წ ო წ ო ქ ა ჰქვიან და ნედლის მჟავისას(ა) — წ უ ა, ვიეთნი ს ა წ ე ბ ე ლ ო ს უქმობენ ZAB.

წ ო წ ო ქ ა არს ჴმელის მჟავის ნაწური, ხოლო წ უ ა — ახლის მჟავისა ნედლისა, (+ ვიეთნი ს ა წ ე ბ ე ლ ს უჴმობენ Cab) C. ჴმელი მჟავის წუა D.

წრაპაკანი (ფრინ.) ყო(ვ)ელთ(ა) სირთ(ა) უმცირესი(ა) ZAB.
(ფრინ.) მცირე სირია CD.
[**წრახნა** ნ. სწრახნი].
წრახნილი მეტად შეგრეხილი ZAB.
მეტად დამახილი სთვითა CD.
წრე მ(გ)რგვლად (მგრგვლივ D) ხაზი მოვლებული ZABCabD.
მგრგვლად ხა'ზის მოვლება Cq.
[**წრედა** ნ. დაწრედა, ნაწრედი; შდრ. წრეტა].
წრეტა სრულიად (სრულობით C) წარმოცლა ZABC.
სრულობით დაცარიელება D.
ნ. ნაწრეტი; შდრ. წრედა.
წრიალა (ფრინ.) ZABCD.
წრიალი მახვილის ქელზე წასმის ქმა ZABCD.
წრიაპი (ფრინ.) სადედლე ვარია ZAB.
(ფრინ.) მოდიდო წიწილი CqD.
ნ. ქათამი.
წრიაპი ესე არს რკინა შემზადებული კბილებიანი ტერფთა ამოსაკრავად, რათა ფრიალოთა მავალსა კაცსა ფერჴი არა მოუცურდეს ZA.
ესე არს რკინა შემზადებული, კბილედი, ტერფთ ამოსაკრავი, რათა ფერჴი არა მოუცორდესთ ფრიალოთა ადგილთა B. წრიაპი ეწოდების ფერჴთა კაცთათვის შემზადებულსა რკინასა რასმე, რათა ძნელოვანთა ადგილთა სლვასა არა მოუსხლტეს ფერჴი; წ რ ი ა პ ი ეწოდების კვალად მოდიდოს წიწილასა Cab. ფეჴრქის საკრავი რკინა მოუსხლეტელობისათვის Cq. ფერჴზე საკრავი რკინა სავალად D.
წრიმლი წირპლი ZABCD.
წრიპინი შეშინებულთ (შეშინებულის A) ბაზთ ქმიანობა ZAB.
ქორთა, მიმინოთა და ეგევითართა შეშინებულის(ა) ქმიანობა CD.
წრტიალი ტკივილთ ნამეტნაობა ZAB.
ფრიად მტკივნეული C. მტკივნული ფრიად D.
წრუწუნი (+ ესე არს B) ბაგეებით ქორთ მოწოდება, გინა ცხენთ ქმის ცემა ZAB.
ბაგით ქორის ხადილი, გინა ცხენის ქმის ცემა C. განუმარტავია D.
წრფელი (+ 3, 3 მათე ZA) წრფელი არს უზაკველი საქმე; წრფელი არს ყო(ვ)ელივე საქმე მართალი; და ს წ ო რ ე — სადა არა იყოს ბორცვები, ქვენები და ღრიღოვანი (ღირღოვანები B, არამედ ყოვლად სწორ(ე) იყოს ZAB.
რომელი საქმესა უზაკველსა იქმოდის,‑ ეწოდების მას წ რ ფ ე ლ და მ ა რ თ ა ლ. წ რ ფ ე ლ ეწოდების ყოველსა საქმესა მართალსა, რომელსა შინა არა იყოს ბორცვეზი, ქვენები და ღრიღოვანი (ღირღოვანი CqD), არამედ იყოს ყოვლად ვაკე და მართლ სავალ(ი) CD.
ნ. ეწრფელა, სიწრფოება, შესწრფა.
წუა დაწვა ZAB.
განუმარტავია Cab.
ნ. დააწუევიწე, დაწვა 1, დაწუა, იწუების, იწჳს, მოწუა, მრგულიად დასაწუელი, მწუადი, მწუავე (მწარე'სთანაც), მწუარი, მწუელი; წვა (ღმერთ'თან), ყოვლად დასაწუელი, შეეწუა, შემწუელი, შეწუა.

წუა ნედლი მჟავე გამოჴდილი CqD.
ნ. წოწოქა.

წუაა დაწვა(ა) ZABCb.
განუმარტავია CaqD.

[**წუად** ნ. გაწუდა, მოწუდილი, წუდილი; შდრ. წოდ.].

[**წუართ** ნ. ეწუართა, იწუართა, მოწვრთა (წურთა'სთან), მწურთელი, ნაწუართი, საწურთელი, უწვართი (უმწყს'თან), წურთა, წურთილი].

წუდილი[1] (21, 28 ეზეკ.) მახვილ-მოწვდილი ZA.
მოწვდილი მახვილი (21, 28 ეზეკ.) B.

წუევა (12, 33 გამოსლ.) მიწოდება ZAB.
ნ. დაწუევა, მაწუეველი, წვეულობა (მაცმან'თან).

წუეთი[2] (+ 5, 7 მიქია ZAa) ცვარი ჩამოვარდნილი ZABCD.
ნ. დაწთობა, მწთოლვარე, ნაწუეთი, წთოდა, წუეთი.

წუელა (წველა C) მოწველა ZAB.
მოწველა რძისა (+ გინა მაწონი C) CD.

წუელი (წველი CD) (ბალ.) (7, 4 მათე) წველი არს ყანის ძირი ვიდრე ქუვილამდე, ხოლო ქ უ ვ ი ლ ი იგი — თავწარსხმული ოდენ ZAB.
(ბალ.) წველი არს ძირითგან ვიდრე ქუ(ვ)ილა(დ)მდე, ხოლო ქ უ (ვ) ი ლ ი (+ თავთავი CqD) არს იგი თავწარსხმული (წარსხმული D) CD.
ნ. ნაწუელარი.

წუენი[3] (6, 19 მსაჯ.) წ ვ ე ნ ი არს საჭსნილოდ თუ სამარხო ნადუღარი. ხოლო ახლისა ყველისა განაწურსა ჰქვიან შ რ ა ტ ი და ძველთა ყოველთასა—ნ ა ჰ ყ ვ ე ბ ი; და სხვად, რაძცა გაიწურვიან, მას განადენსა (განადენსა-მას B) — წ ა ქ ა და სხვათა ღნიოშთა — წ უ ნ წ უ ხ ი ZAB.
წ ვ ე ნ ი ეწოდების ყოველსა ნადუღარსა საჭმელსა წნოისა (წნოვენისა Cq), წვენთა (წვენსა Cq) საჭსნილოთა, გინა სამარხოთასა; ხოლო შ რ ა ტ ი — ახლისა ყველის(ა) წვენსა; ხოლო ნ ა ჰ ყ ვ ე ბ ი — ძველისა ყველისა წვენსა, გინა სადღვებ(ე)ლის ნარცხთა; ხოლო (და Cq) წ ა ქ ა — მაწვნისა და ღოს განაწურთა წვენთა (განაწურსა წვენსა Cq); წ უ ნ წ უ ხ ი სხვათა ღნიოშთა წვნებთა (სხვა ღნიოში წვენები Cq) (+ რასამე Cab) C. განუმარტავია D.
ნ. ნაწუნევი, პურის-წუეხი, წნოანი, წმული.

[**წუერვა** ნ. დაწუერვა].

წუერი (წვერი C) (2 მეფ. 9, 4) თმა ნიკაპთა; წ ვ ე რ ს უწოდენ თავსა მთათა და ბორცვთასა, გინა წვერთა ლახვრისა და მახვილისათა, გინა კუნწუხთა ხეთასა, გინა ჯგვერთა ქვერთხისათა (6, 21 მსაჯ.), გინა საბელთა (+ და A) მკედისა დასასრულთა ZA.
წ ვ ე რ ი არს თმანი ნიკაპთანი; წ ვ ე რ ს ა უწოდენ თხემთა მთათა და ბორცვთასა, გინა წვეტთა ლახვართა და მახვილთასა, გინა კუნწუხთა ხეთასა, გინა ჯგვერთა ქვერთხისათა

---

[1] ნუსხებშია: „წვდილი“, წყაროში კი: „აღმოწუდილო“. [2] ნუსხებშია: „წვეთი“.
[3] ნუსხებშია: „წვენი“.

(6, 21 მსაჯ.), გინა საბელთა და მკედისა დასასრულთა B. მახვილისა და ლახვრისა წინა კერძი (+ წ ვ ე რ ი ეწოდებიან ყოველსა დასარულსა ზედათსა ხეთასა, გინა მთათა და გორათასა, გინა მისთანათა რასამე Cab) C.

ნ. ბობოწვერა. ვაცისწვერა, თმა, მეწვერვის, მწვერვალი (გრჯლა'სთანაც), მწვერვალო, წვერა.

წვერი[1] ნიკ(ა)პის ბალანი CD.

[**წვეტი** ნ. მწვეტი].

წუთი (1 მეფ. 14, 9) წამთან ნახე ZA.

ერთი წამი სამეოცი წუთია (+ 1 მეფ. 14, 9 B) BC. ერთი წამი სამეოც წუთად განიყოფვეებიან D.

ნ. დღე, საწუთო, საწუთრო.

[**წუთის-სოფელი** ნ. სოფელი].

წუთხი (+ 7, 5 იობ ZA) შარავთან ნახე ZAB.

ბაყლნარევი სისხლ-წალა CD.

წული (+ 34, 24 დაბად. ZA) ვაჟი ZACD.

ვაჟი (34, 24 დაბად.); რომელ არს აიმკნე და ახოვნება გონებისა (დიონისი[2] 8, 108) B.

ნ. დედაწული, დისწული, კაცი, საუფლისწულო, საწულო, სახლის-წული, ძმის-წული.

წული თოფის ტყვივის (ტყვიის BCa) ქმა ZABCD.

წულილი[3] D.

წულილი და **წურილი** (წვლილი და წვრილი ZAB; წვლილი, წურილი Cab; წვლილი, წვრილი Cq) განიყოფ(ებ)იან. წ ვ ლ ი ლ ი არს სხეულობისაგან მოკლებული და სახე ბროლისა, ვითარცა სული და აერი და მისთანანი და წვლილმოგონება (20, 10 იერემ.); ხოლო წ ვ რ ი ლ ი — მცირე, ვითარცა ქვიშა და მკედი და უდიდეს (უდიდესის A) უდარესი ZA.

განიყოფებიან: წვლილი სხეულიანობისაგან მოკლებული და სახე ბროლისა B. განუმარტავია C.

ნ. მიმოწულილვა, მოუწურილე, მოწლო, მწულილი (ლიტრა'სთანაც), ნიავ-წულილი, სიწულილე, წურილი.

წულილ-მოგონება[4] (20, 10 იერემ.) ფიქრი ZAa.

(20, 10 იერემ.) B.

ნ. წვლილმოგონება (ფიქრ'-თან).

წუმბე მყრალი ლაფი ფინთი ZA.

მყრალი ფინთი ლაფი B.

ნ. მწუბება, წუმპე.

წუმპე იგივე ლაფი ZA.

იგივე B.

ნ. წუმბე.

წუმწუხა[5] (19, 23 დაბად.) ზეცით ცეცხლი არს, რომელი აწვიმა სოდომს (+ გოგირდითა ZAa) ZA.

ზეშთა ცეცხლი არს, რომელი შთამოიჭრა სოდომს B. ზეშთა ცეცხლი არს, რომელი შთამოიჭრების და იქმნა სოდომს Cb.

ნ. გოგირდი, წუმწუმა, წუნწუბა.

---

[1] ნუსხებში: „წვერი". [2] შდრ. A — 163: 280 კიდეზე („წულობ'ა"). [3] ნუსხაში: „წვლილი". [4] ნუსხებში: „წვლილმოგონება". [5] წყაროში: წუნწუბაჲ".

წუმწუმა გოგირდის კერასი ZAB CD.

ნ. წუმწუბა, წურწუმა.

წუნება თვალსა და გულში არ მოეწონოს Z.

თვალში არ მოეწონოს (მოწონება B) და გულში AB. განუმარტავია Cb.

ნ. გწუნობ, დამიწუნა, დაწუნება, მაწუნებელი, საწუნარი, საწუნელი, სწუნობ, სწუნობა, წუნი.

წუნი წუნების ნაწილი ZAB.

დასაწუნი (საწუნო CqD) რამე CD.

[**წუნკალა** ნ. წუნკელა].

წუნკელა უპატიური, წუნკალი ZA.

უპატიურივით B. უპატიური CD.

[**წუნპე** ნ. იწუნპების].

[**წუნწ.** ნ. მაწუნწალი].

წუნწკლი წვეთთ ნაწვეთი (ნაწვეთარი CD) ZABCD.

წუნწუბა გოგირდი. (+ არამედ B) იოსიპოსი საგონებლობით ა ს ფ ა ლ ტ ო ს წუნწუბად იტყვის ZAB.

წუნწუბა არს გოგირდი, არამედ იოსიპოს საგონებლობით ა ს ფ ლ ა ტ ო ს ს წუმწუბად იტყვის Cab. წუნწუბა(ს) საგონებლობით (საგონებლად D) იოსიპოსი ა ს ფ ა ლ ტ ო ს იტყვის CqD.

ნ. წუმწუბა, წუმწუმა, წურწუმა.

წუნწუხი წვენთან ნახე ZAB.

განაწური ღნიოში რამე წვენი C. ქარადულის განაწური წვენი D.

წურბელი (მძრომ.) (+ 30, 15 იგავ. ZA) ZABCD.

წურვა [1] (+ 6, 6 ამოს, ZAa) გაწურვა, დაწურვა ZAB.

რისაც ღვრეულთ გაწურვა, გინა გამოჰყლეტილის გამოწურვა Cab. რისაც გამოჰყლეტილის გამოწურვა, გინა ალრეულთ გაწურვა Cq. რასც გამოწურვა D.

ნ. აწურა, აწურვა, გამოწურვა, დაწურვა, მიწურვა, მოუწურე, მწურავი. ნაწური, საწურავი, საწური.

წურთა [2] (+ წვრთა A) არს, რა კაცი კაცსა ტკბილითა სიტყვითა ასწავლიდეს კეთილსა და, უკეთუ სიტკბოთ არა შეისმინა, ტუქსვითაც კამს; პირუტყვთ უმწყსთაცა მ ო წ ვ რ თ ა დ ითქმის, რომელი კაცთა ნებისად მოსწვართონ ZA.

წვრთა არს, რა კაცი კაცსა ტკბილითა სიტყვითა ასწავლიდეს კეთილსა და, უკეთუ სიტკბოთ არა შეისმინა, ტუქსვითაცა; პირუტყვთ უმწყსთა მ ო წ ვ რ თ ა ც ა ითქმის, კაცთა ნებისად მოსწვართონ რომელიმე B. წ ვ რ თ ა არს, რა კაცი კაცს სიტყვით(ა) ასწავლიდეს ტკბილად და, უკეთუ სიტკბო არ(ა) შეისმინოს, ტუქსვითაც(ა) სწვრთიდეს საქციელითა და ზნითა; წ ვ რ თ ა დ ითქმის უმწყსი ცხენი(ცა) (+ და Cq) გინა პირუტყვი კეთილად განსწვართოს, ვითარ` ენებოს კაცსა, ეგრე(თ) ქცეოს C. განუმარტავია D.

ნ. მცნება, წუართ.

წურთილი [3] წვრთაქმნილი ZAB.

წურილი [4] (41, 6 დაბად.) წვლილთან ნახე ZA.

[1] წყაროშია: „წურეილსა“. [2] ნუსხებშია: „წვრთა“. [3] ნუსხებშია: „წვრთილი“. [4] ნუსხებშია: „წვრილი“, წყაროში კი: წულილნი“.

წვიტოანი (41, ნ დაბად.) B. განუმარტავია CD.

წურწუკი უდუმო ცხოვარი კუდიანი ZAa.

წურწუმა კუმკუმა ZAB.

აბრაკი, კუმკუმა CD.[1]

ნ. საპფორი.

წუღა სამოგვის ფე(რ)ქსაცმელი ZAB.

ფე(რ)ქსაცმელი(ა) სამოგვისა C. განუმარტავია D.

ნ. ფერქსამოსი, ფერქსაცმელი.

[**წუწ** ნ. მეწუწება].

წუწა ფრთედაუღერებელი ZAB CD.

წუწი ქმელი წირპლი ZABCD.

[**წუწკი** ნ. იწუწკების].

წუწქნა ბაგით ამოწოვნა ZAB.

წუწუკუნი ლეკვის ტირილი ZAB.

მცირე ლეკვის ტირილი CD.

ნ. იწუწკუნა, ტირილი.

წუწუნი უნდომი ცუდი ტირილი ZA

უნდომი ტირილი BCD.

ნ. მოუწუწუნა, ტირილი.

წუხვა (3. 44 გოდებ.) შეწუხება თუ დაწუხვა ZAa.

ნ. ა) ვწუხ, იწუხა, მწუხარე, მწუხარება, საწუხარი, სწუხხარ, შემაწუხებელი, შეუწუხებია, შეწუხება, შეწუხებული, წუხილი; ბ) დაიწუხნეს, დაწუხვა; შდრ. ჰუხ, ხუჰი.

წუხილი (+ ესე არს B) თუ ვინმე სენთაგან ანუ საზრუნავთაგან დიდად შეჭირვებულ(ი) იყოს ZAB.

წუხილი არს სნეული მეტად შეჭირვებულ იყოს, გინა კაცი საზრუნავსა რას(ა)მე, ზედა შეიჭირვებდეს დიდად C განუმარტავია D.

წვვი[2] (19, 31 იოანე) კაცის კანჭი ZA.

კანჭი კაცისა (19, 31 იოანე) B. კანჭი CD.

ნ. საწვევე, სწორწვეედი (გუერდ'თანაც), წეროს-წვვა.

წვვსაცმელი[3] (წვივსაცმელი A) ეწოდების ყო(ვ)ელთა სხვილბარკალთა სამოსელსა. ნ ი ფ ხ ა ვ ი, არს ტილოსა ანუ ნარმისაგან შეკერული ცალკეცი; რ ო პ ა ნ ა გ ი არს ორკეცი, საპირე რაც(ა) იყოს და სარჩული სხვაჲ: პ ე რ ი კ მ ე ბ ი არს ნაქსო(ვ)ისა ანუ ხავედისა საპირე იყოს და სარჩული სხვაჲ; ხოლო ს ა წ მ ა რ თ უ ლ ო გარეგან საცმელი, რომელსა შალვარს უკმობენ ZA.

წვივსაცმელი ეწოდების ყოველთა სხვილბარკალთ სამოსელსა. ნ ი ფ ხ ა ვ ი არს ტილოსი ანუ ნარმისაგან შეკერილი ცალკეცი; რ ო პ ა ნ ა გ ი არს ორკეცი საპირე რაიც იყოს და სარჩული სხვაჲ; პერიკმი არს საპირე ნაქსოვი ანუ ხავედი სარჩულ-ქი; ხოლო ს ა წ მ ა რ თ უ ლ ო — გარეგან საცვამი, რომელსა შალვარს უკმობენ B.

წვმა[4] (5, 6 ესაია) მზის(ა) შარავანდედი მიწათა და წყალთაგან

---

[1] აქ ეტორი შენიშვნას ურთავს: „ქართულსა ენასა დიდი გამოწვლილვა უნდა, ამისთვის რომე ერთი ასო სიტყვათა (სიტყვას D) განჰყოფს, რამეთუ წ უ რ წ უ მ ა სხვა არს (სხვაჲ D) და წ უ მ წ უ მ ა — სხვა და წ უ ნ წ უ ბ ა — სხვა CD. [2] ნუსხებშია: „წვივი". [3] ნუსხებშია: „წვივსაცმელი". [4] ნუსხებშია: „წვიმა".

ალილებს ცვართა და შერთავს ღრუბელთა და (+ რა Ab) ღრუბელი ველარ დაიტევს, ჩამოადენს წვიმათა. წვიმათა სახელნიცა განიყოფ(ებ)იან: ცვარი არს სინოტივისაგან ჰაერისა უღრუბლოდ მოსული ლამით და დილეულ ფურცელზედ მდგარი; ნიჟი არს ცვარის(ა) უმცირესი ნაწილი და ღვაფი ცვარისა უდიდესი; თქორი არს წვმა წვლილი და კაცთაგან ძნიად სახილავი; თქეში — უსხოსი თქორისა, ვითარცა ალნაცარი რამე; ფრუტი არს თქეში ნისლოვანი; ჟღმურტლი (+ არს Z) ფრუტისა უდიდესი და უფროსად ნისლოვანი; დელგმა არს წვიმა დიდი და გვიან მომდარებელი; ისხარი — წვიმა სწრაფი და ადრე მომდარებელი; ღლოფო — წვიმა დიდი და დამაბნელებელი და ღვაროვანი; ქარიშხალი არს ქარნარევი ძლიერი წვიმა; შხაპი არს ანაზდი და ჩქარი წვიმა; ხოლო ხეთა ფურცელნი რა წვიმას იტვირთავს და შემდგომად წვეთას დაიწყებს, ლეშხსა და ჟვავს(ა) უწოდენ ZA.

(5, 6 ესაია) მზისა შარავანდედი წყალთა და მიწათაგან ალილებს ცვართა და შერთავს ღრუბელთა და, რა ღრუბელი ველარ იტვირთავს, ჩამოადენს წვიმათა. წვიმათა სახელნიცა ესრეთ განიყოფიან: ცვარი არს სინოტივისაგან ჰაერისა უღრუბლოდ მოსული ლამით და დილეულ ფურცელთა•ტვირთული; ნიჟი არს ცვარისა უმცირესი ნაწილი და ღვაფი — ცვარისა უდიდესი; თქორი არს წვიმა წვრილი და კაცთაგან ძნიად სახილავი; თქეში — უსხო თქორისა, ვითარცა ალნაცარი რამე; ფრუტი არს თქეში ნისლოვანი; ჟღმურტლი — ფრუტის უდიდესი და უნისლოვანესი; დელგმა არს წვიმა დიდი და გვიან მომდარებელი; ისხარი — წვიმა სწრაფი და ადრე მომდარებელი; ღლოფო — წვიმა დიდი და დამაბნელებელი და ღვაროვანი; ქარიშხალი არს ქარ-ნარევი ძლიერი წვიმა; წხაპი არს ანაზდი და ჩქარი წვიმა; ხოლო ხეთა ფურცელნი რა წვიმასა იტვირთვენ და შემდგომად წვეთას დაიწყებს, ლეშხსა და ჟვავს უწოდენ B. ჰაერი მქუხვალე არს და, რა მისი ორთქლი მიიწევის ვიდრე ღრუბლა(დ)მდე, ღრუბლისა მიერ ორთქლი იგი მიიზიდავს (მოიზიდავს CqD) წყალთა, რამეთუ ღრუბელი ნოტიო არს ზღვისა მიერ და, რა სიცხე მზისა ეკვეთების ჰაერსა, დადნების და წყალი ჩამოედინების; მეორედ ესრეთ მზისა შარავანდედი რა თაოგ(რ)ების წყალთა და მიწათა, მათ მიერ ალილებს ცვართა და შე(ჰ)რთავს ღრუბელთა (ღრუბელსა CqD), რა მზისა სიმქუხვალე დაალხუნებს (დადგების D), ღრუბელი ველარ (ვერღარა CqD) თავს-იდებს ტვირთვად და ჩამოადინებს წყალთა. (+ და Cab) თუმცა უმეტესი სიმქუხვალე დაადგრა, უდიდესი წვიმა ჩამოედინების. წვიმანიცა განიყოფებიან ათად (ცხრად CqD): ცვარად, (+ ღვაფად Cab), ნიჟად, თქორად, თქეშად, ფრუტად, ჟღმურტლად, ღლოფად, ისხარად (+ და Cab) დელგმად: ცვარი არს ჰაერისა მიერ უღრუბლოდ მოსული ლამით და დილეულ ფურცელზე(დ) (ფურცელსა ზედა CqD) ხილული; (+ ღვაფი არს ცვარისა უდიდესი;

ხოლო Cab) ნ ი ჟ ი (+ არს CqD) ცვ(ა)რისა უმცირეს(ი) ნაწილი; თ ქ ო რ ი არს წვიმა წვლილი და კაცთა მიერ ძნიად სახილავი; თ ქ ე შ ი არს წვიმა უსხოსი თქორისა, ვითარცა ალნაცარი ზეცით მომავალი; ფ რ უ ტ ი არს წვიმა ნისლოვანი და თქეშ-ნარევი; ჟ ღ მ უ რ ტ ლ ი არს უდიდეს(ი) ფრუტისა (+ და CqD) კმირ-ნისლოვანი; (+ ფ ო შ ფ ო შ ი არს თხელი ნისლი Cb); ღ ლ ო ფ ო არს წვიმა დიდი (მცხეედი D) და ღვარო-(ვ)ანი; ი ს ხ ა რ ი არს წვიმა მსთვა-დი, ძლიერი და ჩქარი, რომელ-სა დარ(ნ)იცა სწრაფით მოჰქონდეს, უკმო-რა-სწყდეს (უკმო-რე-სწყდეს CqD); დ ე ლ გ მ ა არს წვიმა დიდი და დამაბნელებელი ჰაერისა, ქარნა-რევი, ვითნი ქ ა რ ი შ ხ ა ლ ა დ სა-ხელ-სდებენ მას; ხოლო ღვარსა სე-ტყვისასა (სეტყვიანსა CqD) ღ ლ ო-ფ ა დ უწოდენ; ხოლო ტევრნი და ხენი რა წვიმათა (+ ცვართა C) იტვირთვენ და (+ იგი CaqD) შემ-დგომად წვიმათასა დაიწყებენ წვეთა-სა, ლ ე შ ხ ს ა და ჟ ვ ა გ ს ა უწოდთ, ვითარცა სხვათა რომელთა-სა წვეთსა CD.

ნ. ეწვმა, მწვმარე, ნაწვმარი, ნისლი, ჟინჟლი, საწვმარი, ცისი-ერი.

წვნტლი ც ი ნ გ ლ ი არს ცხვი-რით მონადენი, ვითარცა წყალი; ხოლო წ ვ ი ნ ტ ლ ი — უსქესი მისი და ბ ო ტ ო ტ ი — დიდი და სქელი და ჟ ღ ვ ი ნ ტ ი — ბოტო-ტის უმცირესი ZA.

ცინგლი არს ცხვირთ მონადენი ვი-თარცა წყალი და წ ვ ი ნ ტ ლ ი უს-ქეში და ბ ო ტ ო ტ ი — დიდი და სქელი და ჟ ღ ვ ი ნ ტ ი — ბოტო-ტის უმცირე B. წ ვ ი ნ ტ ლ ი არს ცხვირთ მონაჭოცი; (+ ხოლო Cq) ც ი ნ გ ლ ი — იგივე მონაჭოცი და თხელი, წყალთა მსგავსად ჩამონა-წვეთი და ბ ო ტ ო ტ ი — წვინტლი დიდი და ზრქელი C. განუმარტავია D

[წყ (წყ-ებ) ნ. იწყებს; შდრ. სამ-წყელი].

[წყ-ავ ნ. წყე].

[წყავი ნ. მწყავი].

[წყალ ნ. ეწყალოდა, ვწყალობ. იუწყალოვა, მეწყალის, მიწყა-ლე, მოწყალე, მწყალობელი, სა-წყალი, საწყალობელი, სწყალობ. უფალო შეგვიწყალენ (კირიეე-ლეისონ'თან), უწყალო, შ˜ე, შე-წყალება, წყალობა].

წყალი (1, 2 დაბად.). წ ყ ა ლ ი არს ერთი ოთხთა კავშირთაგანი კეთილად დაბადებული ღ˜თისა-გან პირველსა დღესა. წ ყ ა ლ ი არს ნივთი ნოტიო, გრილი, მძი-მე და ქვე დამზიდველი და ადვი-ლად დასათხეველი[2]. ქ ვ ე ყ ა ნ ა უმძიმეს არს წყალთა და ჰ ა ე რ ი უსუბუქეს წყალთა და ც ე ც ხ-ლ ი — უსუბუქეს (ჰ)აერთა. წყა-ლი ეწოდების ზღვასა, ტბასა მდინარესა, წყაროსა, ფშასა. ჯურღმულთა, წვიმათა და თოვ-ლისა ნაღნობთა და ამათ მიერ იქმნებიან (იქმნების A) ნათ-ლის-ღება, ხოლო ვარდის-წყალ-თა (ვარდის-წყლითა A) და სხვა-თა მიერ ნოტიოთა (ნოტიოთა მიერ A) არა იქმნებიან ZA.

(1, 2 დაბად.) წყალი ერთი არს ოთხთა კავშირთაგანი, კეთილი დაბა-

[1] ნუსხებშია: „წვინტლი". [2] განმარტება აქამდე ყველა რედაქციაში აღებულია იოანე დამასკელის გარდამოცემიდან (S — 1463, 67 r).

დებული ღ"თისაგან პირველსა დღესა. წ ყ ა ლ ი არს ნივთი ნოტიო, გრილი, მძიმე და ქვე დამზიდველი, ადვილად დასათხეველი. წყალთ უმძიმესი არს ქ ვ ე ყ ა ნ ა და წყალთ უსუბუქესი — ჰ ა ე რ ი და ჰაერის უსუბუქესი — ც ე ც ხ ლ ი. წყალი ეწოდების ზღვათა, ტბათა, წყაროთა, მდინარეთა, ჯურღმულთა, წვიმათა და თოვლთა ნადნობთა; ამათ მიერ იქმნება ნათლის-ცემა, ხოლო თვინიერ ამათსა ვარდისწყლითა, მისთანათა ნოტიოებითა არა იქმნების, იცოდეთ B. წყალი ერთი არს ოთხთა ნივთთაგანი, კეთილი დაბადებული (+ პირველსა დღესა Cb) ღ"თისაგან. წ ყ ა ლ ი არს ნივთი ნოტიო და გრილი (+ და CqD) მძიმე და ქვედამზიდველი (+ და CqD) ადვილად (ადვილი Cb) დასათხეველი[1]. წყალთა უმძიმესი არს ქ ვ ე ყ ა ნ ა და ქვეყანისა უსუბუქესი არს წყალი და წყალთა უსუბუქესი არს ჰაერი, ხოლო ჰაერისა უსუბუქესი არს ცეცხლი. (+ წ ყ ა ლ ი ეწოდების ზღვათა და წყაროთა, მდინარეთა, გინა ჯურღმულის წყალთა, გინა წვიმისა და თოვლისა, ხოლო ნათლის-ცემა არა იქმნების თვინიერ ამათთასა, სხვისა მიერ წვენთასა, ვარდისა იყოს თუ მისთანათა Cab) CD.

ნ. ასო, ვარდის-წყალი, ვეცხლის-წყალი, კაეშირი, ლაქვა, მეფე წყალთა (ლევიანთან'თან), ნივთი, პირის-წყალი, სავარდიმწყლე, სარწყული (ჭურჭელ'თანაც), სტუქო, ქაშქის წყალი, წმიდა წყალი (აიაზმა'სთანაც), წყლიანი, წყლიერნი, ჭავლი წყლისა; შდრ. რწყვა.

წყალი მიტევებისა (47, 3 ეზეკ.) ნათლის-ღება ZAa.

წყალი მოცვისა (3, 14 ნაომ) წყალი გარმოვლებული სიმაგრეც ZAa.

წყალობა (+ 50, 2 ZA) (+ წყალობა ABCD) არს მწუხარება სხვისა ბოროტსა (ბოროტთა BCq) ზედა ZABCD.

ნ. მწუხარება.

წყალი ცხოველი (წყალი ცხოველი A) (19, 17 რიცხვ.) წყაროს წყალი ZAa.

19, 17 რიცხვ. AbB.

წყალმანკი წყლით მანკიერი ZA.

წყალწყალა (ფრინ.) ZABCD.

წყარო (2, 6 დაბად.) ზღვათა და მდინარეთაგან განვლიან სოროთა ქვეყანისათა და ზღვისა სიმწარესა ქვეყანა დასწურავს და შესვამს და ვითართა ადგილთა განვლიან წყარონი, კეთილთა ანუ ცუდთა, ეგევითარნი იდინებიან გემოთა და, უკეთუ გოგირდისა ლითონთა განვლო, ტფილ(ნ)ი იქ(მ)ნებიან წყარონი ვითარცა მდუღარე; უკეთუ მდინარისა მახლობელად, მისგანვე გამოდიან წყარონი, არა უწოდთ წყაროდ, არამედ ფ შ ა დ; ვიეთთა ჯ უ რ ღ მ უ ლ ი ც ა წყაროდ აღუწერიათ. (+ და ZAa) რა წყარონი შეკრბებიან და ჩავლიან, ჭ ე ვ ი ეწოდების; და ქვევჲთ რა შეერთდებიან, მ დ ი ნ ა რ ე შეიქმნების; უკეთუ წყალი მაღალთა კლდეთა ჩა(ს)დის — დ ა ნ ჩ ქ ე რ ი; და დაბალთა კლდეთა

---

[1] განმარტება აქამდე ყველა რედაქციაში აღებულია იოანე დამასკელის გარდამოცემიდან (S — 1463, 67 r).

ჩამდენსა — ჩანჩქერი; ხოლო ლოდნართა მჩქერვალოსა — გოჩგოჩანი; სადა ღრმად და მდოვრედ მიდის — ლუბრმაჲ; და სადა წყნარად და არა ლუბრმად დიან — მონიოჲ; სადა მჩქერვალო დაწყნარდების და ერთსა ადგილსა დაღრმავდების — მორევი; დანჩქერი ღრმად ჩაიჰრების და აღმოდუღილივით ზე აღმოიჰრების — ზვირთი; სადა მონიო წყალი ჩაიღვლარჰნება — ჰევლი; სადა მდინარეთა გასავალია — ფონი; სადა მდინარენი დასრულდებიან, წყალთა მათ შესაკრებელსა უწოდენ ზღვასა; სადა ზღვა დავიწროვდება — სრუტსა; სადა გარე შემოევლების, უწოდენ ტბასა; ცუდსა მცირესა ტბათაგანსა — ტბორე(სა) ZA.

(2, 6 დაბად.) ზღვათაგან და მდინარეთაგან განვლიან სოროთა ქვეყანისათა და სიმწარესა ქვეყანა დასწურავს და შესვამს და ვითართა ადგილთა განვალს წყაროდ, კეთილთა ანუ ცუდთა, ეგევითარნი იდინებიან. უკეთუ გოგირდისა ლითონთა განელო, ცხელი იქმნების წყარონი; უკეთუ მდინარისა მახლობელად დიან წყარონი, მისვე მდინარისაგან გამონაწოვნი, არა უწოდთ წყაროდ, არამედ ფშად; ეიეთთა ჯურღმულიცა წყაროდ აღუწერიათ; რა წყარონი შეკრბებიან და ჩავლიან, ქევი ეწოდების; და ქევები რა შეერთდებიან, მდინარე შეიქმნების; უკეთუ წყალი მაღალთა კლდეთა ჩასდის — დანჩქერსა; და დაბალთა კლდეთა ჩამდენსა — ჩანჩქერს უწოდენ; ხოლო ლოდნართა ზედა მჩქერვალოსა — გოჩგოჩანსა, სადა ღრმად და მდოვრედ მიდის — ლუბრმათა და სადა წყნარა დიან და არა ლუბრმად — მონიოსა; სადა მჩქერვალო დაწყნარდების და ერთს ადგილს დაღრმავდების — მორევსა; სადა ჩანჩქერი ღრმად ჩაიჰრება და აღმოდუღილივით აღმოიჰრება — ზვირთსა; სადა მონიო წყალი ჰაილვლარჰნება — ჰევლსა; სადა მდინარეთა გასავალია — ფონსა; სადა მდინარე დასრულდება, წყალთა შესაკრებელსა, უწოდენ ზღვასა; სადა ზღვა დავიწროვდება — სრუტსა, სადა გარშემოევლება, უწოდენ ტბასა; ცუდსა მცირესა ტბათაგანსა — ტბორესა. B. სოლომონ იტყვის წყაროთათვის: ზღვათა მიერ წყალნი განვლიან სოროთა ქვეყანისათა და რაოდენი სიმლაშე და სიმწარე აქვან წყალსა ზღვიასა, ქვეყანა დასწურავს და შესვამს და წყალსა განავლენს ადგილსა საქღომელსა, ვითარ(ი) შეჰგვანდეს, ადგილი კეთილი, გინა ცუდი, ადგილი ბოროტი, გინა ბიციანი. მსგავსს: (მსგავსთა D) მათთა ადენენ; უკეთუ სოროანთა სადამე დაემთხვა ლითონ(ნ)ი გოგირდისა(ნი) (გოგირდთანი Cq), წყარონი ცხელნი გამოვლენ მუნ(ით) მისგან. [+ ხოლო წყარონი მას ეწოდებიან, სადა კლდეთა და ქვეყანათა შორის გამოეცენებიან; ხოლო მდინარეთა კიდეთა ახლოს უკეთუ მისვე (მასვე Cq) მდინარეთა მიერ გამოწოვნილნი გამოეიდოდენ, არა ეწოდების წყარო, არამედ ფშა; რა წყარონი შეკრბებიან და წყალნი მომდინარე შეიქმნებიან (შეიკრიბიან Cq) და შეერთდებიან, ეწოდების (ეწოდებიან Cq) მდინარე; ხოლო მდინარე სადა კლდეთა მაღალთა გარდმო(ს)დის, ეწოდების დანჩქერი; და დაბალთა კლდოვანთა (კლდეთა Cq) ზედა ჩანადენთა — ჩანჩქე-

რ ი; ხოლო ლოდებთა ზედა(ნ) ჩქარა მდინარეთა (მინადენთა Cq) მ ჩ ქ ე რ ვ ა ლ ო; სადა ვაკეთა წყნარად დიან (+ და Caq) ღრმად და უყიანად ლ უ ბ რ მ ა (+ ეწოდების Cab); სადა წყნარ(ა) დიან და არა ლუბრმად — მ ო ნ ი ო; ხოლო სადა მჩქერვალო დაწყნარდეს და ღრმა იქმნეს — მ ო რ ე ვ ი; სადა ჩანჩქერი ღრმად ჩაიპრებოდეს და აღმოდუღილივით აღმოიპრებოდეს — ზ ვ ი რ ო ი; სადა მონიო ჩაიცემცემებდეს და ჩაილვლარპნებოდეს — პ ე ვ ლ ი; და დასასრულ, სადა წყალთა შესაკრებელი არს, ზ ღ ვ ა დ სახელ-ვსდებთ; ხოლო სადა ზღვათაებრ უდინრად (უძრავთა Cq) და გარ თვალით შემოსაწერთა და უმცირესთა(ცა) უწოდთ ტ ბ ა ს ა; და ცუდსა (ცუდთა Cq) და მცირეთა ტბათაგანსა — ტ ბ ო რ ე თ ა; (+ ხოლო დიდთა მდინარეთა, სადა კაცთა მიერ განვლად შესაძლებელ არს, უწოდთ ფ ო ნ ს ა Cab) C] CD.

წყე საწყეო ZABD.

საწყეო, ასაწყველი C.

ნ. აწყვა, აწყული, მმწყელი, საწყავი, (პურპელ'თანაც), საწყეო, წყევი.

[**წყებ** ნ. წყ].

[**წყებ** ნ. გულწყება, გულწყებული].

წყევა საწყეოთ წყვა ZA.

წყვა B. აწყვა CD.

ნ. წყე.

წყევა (+ 27, 12 დაბად. ZAB) წყევლა ZABCD.

ნ. გწყევ, გწყევლი, ეწყევა, იწყევა, მწყევარი, საწყევარი, წყეული, წყევლა.

წყევი (28, 25 იობ) აწყვა ZAa.

ნ. წყე.

წყევლა დარისხება ZAB.

წ ყ ე მ ა და წ ყ ე ვ ლ ა არს ... ქოცა, გინა მოკლება, გინა ძურთხ... ვისაგან განშორება C.

ნ. ეწყევლა, სწყევლი, სწყევლის, წყევა.

წყენა ZAa.

ნ. გიწყინა, [ეწყინა,] იწყენს. მეწყინა, მეწყინების, მიწყინა, მოწყე, მოწყენა, მოწყინება, ნაწყენი, საწყინარი, სწყინობ, [უწყინარი].

წყელი (+ 2 მჯულ. 27, 15 ZA). დაწყეელილი. ესე არს კურთხევისაგან განშორებული და მოკლებული ZAB.

წყვლევა ნ. წყუდევა.

წყვდიადი ნ. წყუდიადი.

წყვედა ნ. წყუედა.

წყვეტა ნ. წყუეტა.

წყვილი ლუწივით ZAB.

ორი (+ გინა ლუწი C) CD.

ნ. სწორწყვილედი (გუერდთან); შდრ. პუღელი.

წყვილი (24, 2 დაბად.) ორნი ზარკალნი ანუ ყვერნი და მისთანანი ZA.

(24, 2 დაბად.) ესე არს ორნი ზარკალნი ანუ ყვერნი, გინა ეგევითარნი B. ორნი ზარკალნი, გინა ყვერნი, გინა ეგეთივე C. ზარკალი D.

[**წყინ** ნ. წყენა].

წყირთლი (წყირთხლი B, [წყრთილი] Cb) (12, 7 გამოსლ.) წირთხლი ZA.

12, 7 გამოსლ B. [კარის გარდასაბჯენელი] Cb.

ნ. კარსე, წირთხლი.

წყლვა (+ წყლვა AB) არს მახვილით დაკოდა, გინა შიში დიდისა საოც(რ)ისაგან, რა ეცეს, იწყლვის, (იწყლვიან B) ვითარცა განკვრემილ(ნ)ი ZAB.

წყლვა არს (+ ჭორცთა D) დაკოდა მახვილითა (მახვილთა მიერ D), წყლვად ითქმის შიში (+ დიდი C) უჩინოსა საოცრისაგან CD.

ნ. გწყლავ, ეწყლა, იარა 2, იწყლა, მწყლველი, შიში, წყლული.

წყლიანი მოქდომილ-შვენიერი ZAB.

ჯავარიანი (+ თუ მოქდომილი C) CD.

წყლიერნი წყალში მყოფნი ZABCb.

წყლით მანკიერი (+ 14, 2 ლუკა ZAa) ესე არს სრულიად განსიევებული და კურნებაშეუძლებელი ZAB.

ესე არს გასივებული და მკურნალთაგან კურნება-შეუძლებელი C. წყლით მანკიერობა არს, რა კაცი განსივნეს და არღარა ეკურნოს მკურნალთა მიერ D.

წყლი-საქანელი ნ. წყლის-საქანელი

[**წყლის-პირი** ნ. საწყლისპირო].

წყლის-საქანელი (წყლი-საქანელი CD) ესე არს სიღრმიდამ წყლის (წყალთ B) ამოსაღებელი, გინა ზოდიაქო მეათერთმეტე, იანვარს 20 რა მზე შევალს ZAB.

წყლი(ს)-საქანელი ეწოდების სიღრმით აღმოსაღებელთა (აღმოსაღებსა D) მათარასა წყალთასა; ვარსკვლავსა(ცა), რომელსა (რომელ არს CqD) ზოდია მე(ა)თერთმეტე, მზე იანვრის(ა) თვესა რა შევალს (შევა D) მ.საც (მასაცა CqD) უწოდენ CD.

ნ. მერწყული (ზოდიაქოსთან). საწყული.

წყლტუ უმქისო ZAB.

უმქისო. წყლტუდ ითქმის უმქისოცა (+ და C) უბალნო და გლუვი(ცა) CD.

წყლტუ (27, 11 დაბად.) უბალნო ZAB.

წყლტუკლდეობა (26, 14 ეზეკ.) სალი კლდე უვალი ZAB.

ეზეკ. 26, 14 Cb.

[**წყლტუობა** ნ. ლირლვლოვანი].

[**წყლულება** ნ. თუკრთა].

წყლული (+ 1, 6 ესაია ZAa) დაკოდილი ZABCD.

ნ. იარა 2, წყლვა.

წყმდების წარწყმდების ZABCb.

[**წყმედ** ნ. წარწყმედა, წყმდების. წყმედული].

წყმედული (+ 50, 6 იერემ. Z) წარწყმედული ZA.

წარწყმედილი B.

[**წყნარ** ნ. სიწყნარე, შეწყნარება].

წყობა (+ 14, 3 ზაქარ. ZAa) წყობა(ა)-ლაშქრობის რაზმი, გინა რიგიან რაც დასდვა, გინა დაზავება და მისთანა ZA.

წყობა-ლაშქრობა, გინა რაზმთ რიგი, გინა რიგით რაც დასდვა, გინა დაზავება B. ლაშქრობა C. ლაშქარი D

ნ. დაწყობა, ნაწყობი, საწყობი, ჩაწყობილა, ჩაწყობილი, წინამეწყუე; შდრ. მწყობრი.

წყობა დაწყობა CD.

წყობით გაწყობით Cb.

წყრთა (3, 47 დანიელ) წყრთა არს

იდაყვითგან თითის წვერამდე, ხოლო ხონოლროფში[1] წყრთა მ ქ რ ა დ დაუწერიათ. მრუდედ და სომეხნიცა ეგრე იტყვიან ZA.

(3, 47 დანიელ) წყრთა არს იდაყვით თითის წვერამდე: ხოლო ხონოლროფში[1] წყრთა მ ქ ა რ ა დ დაუწერიათ, სომხურიდამ მოუღიათ B. ნახევარადლი, გინა იდაყვით თითამდე. წყრთისათვის ხონოლროფში მ ქ (ა) რ ა დ ეწერა, ზოგან სომხურშიაც მქარი ეწერა Cab. ნახევარადლი, გინა იდაყვით თითამდე. წყრთისათვის ხონოლროფში[1] მ ქ რ ა დ ეწერა, მ ქ ა რ ი არ არის Cq. ნახევარადლი. წყრთისათვის ხონოლროფის სხოლიონზე მქრად ეწერა D.

[**წყრთილი**] ნ. წყრთილი.

წყრომა მცირე რისხვა Z.

რისხვა მცირე AB. რისხვას უმცირეს(ი) C. განუმარტავია D.

ნ. გაწყრომა, გულის-წყრომა (წადილ'თანაც), იგულისწყრომა, იწყრომა, მწყრალი, მწყრომი, საწყრომი.

[**წყუ** ნ. წყობა].

წყუდევა[2] (+ 1, 14 აბდია ZAa) დაპყრობა სახლში ZAB.

დაპყრობა სახლსა (სახლთა Cq) შინა C. დაპყრობა სახლში D.

ნ. დაწყუდევა, საწყუდევი; შდრ. შესაწყდობილი.

წყუდიადი (წყვდიადი CqD) (+ 10, 22 გამოსლ. ZAB) ძნელი ბნელი ZABCD.

ნ. ღამე.

წყუედა (წყუჩდა ZA, წყვედა BCq) მოსრვა ZAD.

მოსრვასავით BC. ქოცა B.

ნ. აწყუედა, აწყუედილი, გარდაწყუედა. გაწყუედა, გწყუედ, დაწყუედა,' მოწყუედა, მწყდარი; შდრ. წყუეტ.

წყუეტა[3] კრეფა B.

ნ. ვაწყუეტა, თავსაწყუეტელა, იმედის-გარდაწყუეტა, მოწყუეტა, სადმამწყვტე, საწყუეტი, უწყუეტელი, უწყუეტი; შდრ. წყუედა.

წყუჩდა ნ. წყუედა.

წყურვეული მოწყურ(ვ)ებული ZAB.

წყურვილი (5, 13 ესაია) წყლის სმის ნდომა ZAB.

წყლის ნდომა C. განუმარტავია D.

წყურიელი (+ 25, 5 ესაია ZAa) მოწყურ(ვ)ებული ZA.

წყურტი სნეულობა არს, რომელი მრავალს წყალსა ასმევს კაცსა და განაკჳმობს სიმჴლით ZA.

სნეულებაა, რომელი მრავალს წყალს ასმევს B. სნეულება არს, რომელი მრავალსა (მრავალთა CqD) წყალსა (წყალთა CqD) ასმევს (ასმევდეს Cq) CD.

ჭა ჯურღმული წყალთა (წყლისა CqD) ZABCD.

ნ. ჭაჲ (მთხრებლ'თან).

ჭაბუკა (+ 2, 5 რუთ ZAB) ახალგაზ(რ)და ქალი ZABC.

ნ. კაცი.

ჭაბუკი (+ 25, 27 დაბად. ZAB)

---

[1] შდრ. გიორგი ამარტოლი, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 18, r. [2] ნუსხებშია „წყვდევა", წყაროში კი „მოწყუჩდად". [3] ნუსხაშია: „წყვეტა".

ახალგაზ(რ)და ვაჟი ZABC.

ახალგაზრდა D.

ნ. კაცი, საჭაბუკო, სიჭაბუკე, უჭაბუკე, ჭაბუკა, ჭაბუკიდი.

ჭაბუკიდი ჭაბუკა ZAa.

ჭადარი ხე ჯავარიანი Z.

ჯავარდარი Aa.

ნ. ჯავარი 2; შდრ. ჭანდარი.

ჭადრაკი სამორინოა (+ გრიგოლის ცხ. ZAa) ZAB.

სამღერელია C. განუმარტავია D.

ჭაელი სხვილი ნაწნავი თმა ZAB.

სხვილი ნაწნავი C. სხვილი ნათხაზი D

ჭაელი წყლისა (17 სიბრძ.) ZAa.

ნ. მჭაელი.

[**ჭავჭავი** ნ. ბელურა, ჭივჭავი].

ჭაკი (ოთხფ.) კრდალი ცხენი და ვირი ZABC.

(ოთხფ.) კრდალი D.

ნ. მოჭაკე, ცხენი.

ჭაკუნტელი (ბალ.) (+ 51, 20 ესაია Z) ტკბილი ჭარხალი ZAB.

(ბალ.) ჭარხალი(ა) C. სხვა რიგი ჭახრაკია D.

ჭალა წყლის პირი ნაყოფიერი ZAB

წყლის პირი ტყიანი C. განუმარტავია D.

ჭალაკი (23, 2 ესაია) კუნძული, გინა ჭალა ZAB.

კუნძული C.

ჭალი ურმის მანა ZABCD.

ჭალიკონი ქარია ერთი სასტიკი ZA.

ქარია ერთი B. ქარი არს ესე. (და ესე ქარი არს D) ზღვათა აღმაშფოთებელი და სასტიკი CD.

ნ. ქარი.

ჭამა (+ 2, 17 დაბად. ZAB) გაძღომის ნაწილი(ა) ZABC.

განუმარტავია D.

ნ. აჭამა, ეჭამა, ვაჭამე, ვჭამ. იჭმება, მეჭმება, მიიჭამა, მიჭამე. მოუჭამე, მოჭმული, მჭამელი, საჭამადი, საჭამადი, საჭამარ, საჭმელი. სჭამ. სჭამე, სჭამს, უჭმევია, ფერიმჭამელა, შეუჭამია, შეჭამა, შეჭამადი, შეჭმა, შეჭმით. ძირას-მჭამელი, ჭამადი, ჭამებული. ჭმული.

ჭამადი (+ 5, 43 მარკ. ZA) საჭმელი ZAB.

ჭამბარი მწყემსთ კარავი ZAB

(ოთხფ.) მცირე ჯოგი თხათა CD

ჭამებული (+ 15, 23 ლუკა ZA) ნასუქარი ZAB.

ჭანარი (თევზ.) ZABCD.

ჭანგა (ბალ.) ZABCD.

ჭანგი ფ რ ჩ ხ ი ლ ი არს კაცთა თითთა რქანი; ჩ ლ ი ქ ი და ჭ ლ ა კ ი არს ზროხათა და რაიც ფერჴ-განპებული არს, მათი ფრჩხილი; ქ ა ჩ ა ჩ ი არს ცხენთა და მისთანათა ფერჴის მრთელი ფრჩხილი; ჭ ა ნ გ ი არს მჴეცთა ფერჴის ფრჩხილი; კ ლ ა ნ ჭ ი არს ბაზთა და ფრინველთ(ა) ფრჩხილი ZA.[1]

ფ რ ჩ ხ ი ლ ი არს თითთა კაცთა რქანი; ჩ ლ ი ქ ი არს ზროხათა და მისთანათა განპებული ფერჴის ფრჩხილი; ქ ა ჩ ა ჩ ი არს ცხენთა, ვირთა და მისთანათა მრთელი ფერჴის ფრჩხილი; ჭ ა ნ გ ი არს მჴეცთა ფერჴის ფრჩხილი; კ ლ ა ნ ჭ ი — ბაზთა და ფრინველთა ფრჩხილი B.[1]

[1] ZAB-ში ავტორის შენიშვნაა: „ფრჩხილთან დაწერე“.

ფრინველთა (ფრინვლისა CqD) და მქეცთა ფრჩხილსა (ფრჩხილთა Cbq) ეწოდების (ეწოდებიან D) CD.

ნ. საჭანგე, ფრჩხილი 1, ყუავის-ჭანგა, ჭანგა.

ჭანგი (ჭანგი; კანჭი CD) უმეცართ ნი ღვინოსა მოძმარებულსა რომელნიმე ჭ ა ნ გ ს (ა) უწოდენ (+ და ZA) რომელ(ნ)იმე კ ა ნ ჭ ს ა. არც(ა) ერთია (ერთი არს B) მათი სახელი (ა სახელი მათი B), ანუ მ ო ძ მ ა რ ე ბ უ ლ ი, ანუ ჭ მ ა ხ ი (+ არს ZA) ZAB.

ღვინოსა მოჭმახებულსა ვიეთნი ჭ ა ნ გ ს უქმობენ (+ და Cq) ვიეთნი კ ა ნ ჭ ს ა CD.

ჭანდარი (ხე) (+ 24 ზირაქ ZAa) ZABCD.

შდრ. ჭადარი.

ჭანჭალი ყუერთ ძარღვნი კაკალთ (კაცთა ZAa) მიდამონი ZA.

ყუერთ ძარღვნი მიდამო B. კაკის ძარღვნი მიდამო(ნი) CD.

ჭანჭიკი ჩხირთაგან ფარეში ZAB.

ხის ფარეში CD.

შდრ. ჭილიბი.

ჭანჭრობი კორდი წყლიანი ნოტიო ZAB.

ჭანჭყალი ნაკლული ჭურჭლის ჴმა ZAa.

[ჭაჲ ნ. ჭა].

ჭაობი სათიბი (+ და B) ნოტიო ადგილი ZAB.

მეტად ნოტიო ადგილი C. ნოტიო ადგილი მეტად D.

ჭაპანი საურმე თოკი ZABCD.

ნ. საბელი, საჭაპნავი.

ჭაპი ბანდულთა და წაღათ შესაკრავი ZAB.

ბანდულის შესაკრავი CD.

ჭარბატელა (ბალ.) ZABCD.

ჭარბი ნამეტნავი ZABCab.

დამეტებული CqD

ნ. საჭარბე (აბრა'სთანაც).

ჭარდალი ნ. ჭარტალი.

ჭარი (ფრინ.) (+ 11, 15 ლევიტ ZAB) ჭარო ZABC.

შდრ. ჭარო.

ჭარიკი ნახევარკოკა ZAB.

ნახევარკოკა ჩავიდეს (ჩავა CqD) CD.

ნ. კოკა, საწყაული.

ჭარკუანი (ჭარკვანი ZAB, ჭარკვანა Cab) იკანქელი ZABCab.

ნ. იკანქელი.

ჭარმაგი (ოთხფ.) თეთრზე შავი(თ) დაწინწკ(ლ)ული (დაწიწკული B) ZABCD.

ჭარმალი ჭაღარა ZAB.

მქცოვანი CD.

ნ. კაცი, ჭაღარა.

ჭარო (ფრინ.) ქორს(ა) ჰგავს, ხეზე ჯდების, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს ZA.

(ფრინ.) ქორს ჰგავს, ხეზე ჯდება, თევზს ამოიღებს სიღრმით B. (ფრინ.) თევზს ამოიღებს წყლით, ქორს ჰგავს Cab. (ფრინ.) ჭარი Cq. (ფრინ.) D.

ნ. ფოცხვ, ჭარი.

ჭარტალი (ჭარდალი Ab) სომხური, მ რ ა ვ ა ლ მ ე ტ ყ ვ ე ლ ს კაცს(ა) ჰქვიან ZA.

ცხადად მრავალმეტყველი B. (+ ჭაოტალი Cb) არს რიტორი, გინა ცხად-მოუბარი, გინა საჩინოდ მოლაპარაკე, გინა სწორედ მთქმელი, გინა მრავალ-მოუბარი Cab. ცუდ-მოლაპარაკე Cq. ცუდი ლაპარაკი D.

ნ. სიჭარტლე.

ჭარხალი (ბალ.) ZABCD.

ჭარხლის მკლავი (ბალ.) CD.
ჭაჟკა (ბალ.) ძურწას ჰგავს. ფეტ-ვი(ა) წამქდარი ZA.
(ბალ.) ძურწას ჰგავს BC.
შდრ. ჭიუკა.
ჭაფალა (ჭაფულა Cb) (თევზ.) ნა-ფოტას ჰგავს ZABCD.
ჭაქნი ჭიქის გატეხის ქმა ZABCD.
ჭალარა წვერჭრელი ZAB.
(უქმ.) ჭალარა სომხურია, ქართუ-ლად მჭცო და ჭარმაღი ეწო-დების (ეწოდება CaD) CD.
ჭალვ[1] სათიბელი ZABC.
ჭაშა შუბლს ზეით(ი) (ზედეთი B) თავის ძვალი ZABD.
შუბლ(ს) ზედეთ თავის ძვალი C.
ჭაშაკები (+ 52, 19 იერემ. ZAB) სასმისი ჭურჭლები ZABC.
ჭურჭლები D
ჭაშმაგი ბერი მჭნე(დ) შემძლებე-ლი (შემძლები B) ZAB.
[ჭაჭ ნ. იჭაჭება].
ჭაჭა ყურძნის ქერქი ZABC.
განუმარტავია D.
ნ. ქერქი.
ჭაჭანება გლეხურად ჩამი-ჩუმი ZA.
ჩამი-ჩუმი გლეხურად B. ჩამი-ჩუმი CD
ჭაჭყ[2] პეშვი ZABCD.
[ჭაჭყ ნ. იჭაჭყება].
ჭახაკაური (ბალ.) Cb.
ჭახრაკი სასთავით საბრუნავი ZAB.
სასთავი საბრუნავი CD.
ჭდე ხე დაჭდეული ZABC.
განუმარტავია D.
ნ. გარდაჭდომა, საჭდომი.
ჭდეული დაჭდომილი ZAB.

[ჭედ ნ. გაჭედა 2].
ჭედა (41, 7 ესაია ZAa) ცხენის ფერჯის მორკინვა, გინა ილექ-როს მუშაკობა ZA.
ცხენთ (ცხენის Cq) ფერჯის მორ-კინვა BC. განუმარტავია D.
ნ. გაჭედა 1, მჭედელი, ოქრო-მჭედელი, საჭედარი, სჭედ, უჭე-დი; შეუჭედია.
ჭედილი[3] (ოთხფ.) გამოყვერ(ე)ი-ლი (გამოყვერული Ab) ცხოვარი ZABC
(ოთხფ.) D.
ნ. ცხოვარი.
[ჭედილი ვეცხლი ნ. ლიტრა].
ჭევლი მდინარის ჩაციმციმება ZA
მდინარის ციმციმი CD.
ნ. მჭავლი, წყარო, ჭავლი.
ჭელტვა ესე არს კაცი რა საქმე, ხალისიან და ზედაზედ იქმოდეს. გინა ესრეთვე ალერსით შეაყვა-როს თავი თვისი უალრესთა და ზედა-ზედ იახლოს ZA.
მიჭელტვა არს, რა კაცი საქმესა ხა-ლისითა წამ და წუთ იქმოდეს, გინა კაცი კაცთან სიყვარულით ზედასა-ზედა მივიდოდეს, გინა უყვარულს კაცსა ეგოდენ ჴშირად ეახლ(ო)ს, თა-ვი შეაყვაროს C. ჭელტვად ვიტყვი ვაჭართა დაჩინჩებასა, ამგვარად კაც-თა შოვნასა D.
ნ. მიჭელტვა.
ჭენება გაქცევა ZA.
რბოლა (+ გინა გაქანება C) CD.
ნ. აჭენა, გააჭენა, დაჭენებუ-ლი, მჭენებელი, სიარული, სლვა.
[ჭენტ ნ. მოჭენტა].
ჭენჭი ცხიმთან ნახე ZA.

---

[1] ნუსხებშია: „ჭალვი". [2] ნუსხებშია: „ჭაჭვი". [3] აქედან B ხელნაწერს აკლია.

მწვალის (მწვალთ D) წვეთი CD.
ჭერ კლდის ნაწყობი ZA.
ჭერდ-ჭერდ ნაწყობ-ნაწყობად ZA.
კლდე ნაწყობ-ნაწყობი Cab. ნაწყობ-ნაწყობი Cq.
ჭერხი ბწკალი, ესურვაზით შეყრილი კავი თევზთა Cb.
[**ჭერ** ნ. ჭრა].
[**ჭერ** (ჭირ) ნ. გარდაჭირება, დაჭირება, ეჭირა, თუალის-დაჭერა, მიიჭირა, მჭირავი, ნაჭერალი].
ჭერამი (ხე) ZABCD.
ნ. დარანდო.
ჭერი სართული ZACD.
ჭექა აბჯრის (აბრის D) ცემის ჴმა ZACD.
ჭეშა ნ. ჭეხა.
[**ჭეშმ** ნ. საჭეშმო].
ჭეშმარიტი[1] (2 კორინთ. 6, 7) სწორედ მართალი Z.
სწორად მართალი A. ნანდვილევე C. ნამდვილევე D.
ნ. ვჭეშმარიტობ, უჭეშმარიტე.
[**ჭეხ** ნ. წამოჭეხება].
ჭეხა (ჭეშა Ab) დიდი ქუხილი ZACD.
ჭვავი ნ. ჭუავი.
ჭვარტლი ნ. ჭუარტლი.
[**ჭველთი** ნ. ჭჳლთი].
ჭვილთი ნ. ჭჳლთი.
ჭვინტა ნ. ჭჳნტა.
ჭვინტი ნ. ჭჳნტი.
[**ჭვირ** ნ. ჭჳრ].
ჭვირი ნ. ჭჳრი.
ჭვირობა ნ. ჭჳრობა.
ჭვირს ნ. ჭჳრს.

[**ჭვრეთა** ნ. ჭრეთა].
ჭვრეტა ნ. ჭურეტა.
[**ჭვრინ** ნ. ჭურინ].
[**ჭთოლა** ნ. მჭთოლარე].
ჭია (მძრომ.) ესე არს აბრეშუმისა და ყაჭის მატლი; ხოლო ჭ უ ა — სხვანი წვრილნი მძრომნი; და ბ ო ბ ო ლ ი — მათი უდიდესი მძრომნი ZA.
(მძრომ) CD.
ნ. მიანის ჭია (3 მალაქ'თან). უჭიო, ჭიაფუნდურა, ჭიაყელა, ჭია-ჭუა.
ჭიაკოკონა ჩალის ცეც(ხ)ლი დიდი Cb
ჭიანური ZACD.
ნ. კითარი.
ჭიაფუნდურა (მწერ.) ნესვის მზიდავი ჭუა ZA.
(მწერ.) CD.
ჭიაყელა (მძრომ.) წითელი გრძელი ჭია ZAa.
(მძრომ.) CD.
ჭია-ჭუა (მძრომ.) ჭია და ჭუანი ZA.
ბევრიგი ჭია Cb.
ჭიგო დიდი სარი ZACD.
ჭიდება არს მჴეცი და კაცი რა შეიჭიდნენ, გინა მჴეცი და მჴეცი ანუ პირუტყვი და პირუტყვი, ხოლო კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს, რ კ ე ნ ა ეწოდების ZA.
ესე ჭიდება და რკენა განიყოფებიან: ჭ ი დ ე ბ ა არს უკვე მჴეცი რა შემოეჭიდოს კაცთა, (+ გინა მჴეცი მჴეცსა Cab) ანუ წრტიალი რამე სატკივარი ეუფლოს, მსოფლიონი შ ე მ ო ჭ ი დ ე ბ ა დ იტყვიან; ხოლო რ კ ე ნ ა — რა ორნი კაცნი შეიჭიდნენ.

[1] წყაროშია: „ჭეშმარიტებისათა".

ფ

ს.-ს ორბელიანის ავტოგრაფი H 1653 ხელნაწერიდან

არა ითქმის ჭიდებად, არამედ რკინად CD.

ნ. ეჭიდა, იჭიდება, მეჭიდება, მოჭიდარი, მჭიდებელი, საჭიდარი, სჭიდაობ, წამომეჭიდა.

ჭივილი ქმიანობა რამე(ა) ZACD.

ჭივჭავი (ცივჭავი, ჭივჭივი, ჭავჭავი C; ჭივჭავი, ჭივჭივი D) (ფრინ.) ჭავჭავი ZA.

(ფრინ.) ბეღურა CD.

ჭივჭივი (ფრინ.) ჭავჭავივე ZA.

ნ. ჭივჭავი.

ჭიკარტი (ბალ.) ZACD.

ჭიკჭიკი ფრინველთ სიმღერა ZA.

ესე არს ყრმათა მიერ (+ კეთილად CbqD) უბნობა, ანუ ფრინველთაგან (+ რაიმე CbqD) კეთილ(ად) ქმიანობა (ქმობა D) CD.

ჭილი (ბალ.) (19, 6 ესაია) ჭილიცა სამ-ოთხ გვარი არს: შ ო ლ დ ო არს დაბალი და ღერომგრგვალი ჭილი; ვ ი ვ ი ლ ო ს ი არს მაღალი და მგრგვალი ჭილი; ჩ ა ლ ა მ გ ე ლ ა — ფოთელბრტყელი ჭილი; და სხვა გვარიც (გვარნიცა A) არიან ZA.

(ბალ.) CD.

ჭილიბი ურმის თვ(ა)ლის ჭანჭიკი (ცანჭიკინი Ca) ZACD.

ჭილო ნიორთა და მისთანათა ერთი შენაძრობი ძირთაგან(ი) ZA.

ჭილობი ჭილთაგან წნული. ჭილობიცა სამ-ოთხ რიგია: ნ ე ჭ ა—კეთილი და სუფთა; კ ე ლ მ ე ნ ი — სხვილი და ცუდი; და სხვა-სხვა რიგნი ZA.

ჭილის საფენელი C. ჭილის საჯებელი D.

ნ. ფასათი, ფსათი.

ჭილყუავი[1] (ფრინ.) შავი ყვავი ZAC.

(ფრინ.) D.

ჭიმა (ჭიმვა CD) გაჭიმა, აჭიმა ZA.

გაჭიმვა C. განუმარტავია D.

ნ. აჭიმვა, აჭიმული, გაჭიმა, სჭიმავ.

[ჭიმა-ჭიმი ნ. ცა].

ჭიმვა ნ. ჭიმა.

ჭიმი კანაფის ავშარა ZACD.

ჭიმითა (31, 9 ფსალმ.) გაჭიმითა ZA.

ჭიმკა მაცთურად იტყვიან გლეხნი ZA.

ნერადინი მაცთური(ა) CD.

ნ. ნერადინი, ქაჯი, ჰაერის მცველი:

ჭიმონი გუდა-სტვირა ZACD.

ნ. ნესტვ.

ჭიმური ესე არს პური დაფხვნილი, გინა ბრინჯი, ანუ სხვა მარცვალნი მგზარი, ერბოსა ანუ ზეთში მოხრაკო, რომელსა სპარსნი ფ ლ ა ვ ს ა უწოდენ ZA.

ჭიმური ეწოდების ბრინჯთა, გინა ბულღურთა, გინა პურთა დაფშვნეტილთა (დაფშვნილთა Cq) ერბოთა და ზეთით მოხრაკულთა, რომელ(სა) სპარსნი ფ ლ ა ვ ს (ა) (ფლავად Cq) უჭმობენ C. განუმარტავია D.

ჭიმჭიმელი ესე არს არიას ცა მეხუთე ZA.

განრღვეულის მეტაფრ.:[2]

---

[1] ნუსხებშია: „ჭილყვავი“. [2] შდრ. ძვ. ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, ა. ყუბანეიშვილისა, ტ. I, გვ. 26, 27.

„მომეც თვალი ჭიმჭიმელი და კიმკიმელი" CD.

ნ. არეა, ცა, კიმკიმელი.

ჭიმჭიმი წვრილად (წვლილად C) ჭრელი ZAC.

[**ჭინკა** ნ. ჭიმკა].

ჭინო (ფრინ.) პატარა კაკაჩა ZA.

(ფრინ.) CD.

ჭინტვა განსავ(ა)ლით გა(ნ)სლვაზე(დ) გარჯა ZAC.

განუმარტავია D.

ნ. აჭინტვა, აჭინტული, უჭინტარი.

ჭინჭარი ჯინჭარი Cb.

[**ჭინჭილა** ნ. ჭიჭლა].

ჭინჭილაკი ურმის თვალის ჭილიბი ZA.

ურმის ღერძის ჩასაყარი C. განუმარტავია D.

ჭინჭრაქა (ფრინ.) ZACD.

[**ჭინჭყლი** ნ. იჭინჭყლებს, მიჭინჭყლე].

ჭიპი უპე, მუცლის შუა ჩუბუტო ZA.

უმეთ ჩანაქვრეტი C: განუმარტავია D.

ჭიპჭიბი Cb.

[**ჭირ** ნ. ჭერ].

[**ჭირ** ნ. გჭირს, დაჭირება, ეჭირა, ვაჭირვე, ვიჭირვი, იჭირვი, იჭირვის, მაჭირვებელი, მეჭირება, მიჭირება, მიჭირვება, მოჭირვა, მოჭირვება (მოთმინება'სთანაც), მჭირნე, მჭირსიედ, ნაჭირვები, საჭირო, სჭირს, უჭირს, შეუჭირვებია, ჭირვა, ჭირვება, ჭირვეული, ჭირი, ჭირნახული].

ჭირანო მთოვარის ცა უქვემოესი ZA.

ნ. მთოვარე, ცა.

ჭირვა დაჭირვა, მოჭირვა ZA.

დაჭირვა CD.

ნ. ჭერ (ჭირ).

ჭირვება[1] რაც სჭირდეს კაცს, კაი თუ ავი Z.

რაც სჭირდეს, კაი თუ ავი AB. კარგი რამ სჭირდეს თუ ავი C. განუმარტავია D.

ჭირვეული (1, 4 იონა) ჭირის პატრონი ZA.

1, 4 იონა B.

ჭირი (+ 42, 21 დაბად. ZAB) ბოროტი და ავი (პავი Cab) ედვას ZABCab.

განუმარტავია CqD.

[**ჭირნახული** ნ. ნაჭირნახულევი].

ჭირხლი თოვლთან ნახე ZA.

ესე არს ორთქლი სინოტივეთა ზედ შეყინებული სიცივისაგან ხეთა ზედა ანუ ქვათა, გინა ცხოველთა თმათა ზედა და ეგევითართა B. ყინვა ხეზე(დ) შეყინებული C. განუმარტავია D.

ჭიტი ქელტარზე ნასთი ნახევი ZA.

ქელტარზე ნასთის დანახევი B. ჭახრაკის ტარზედ რაც ნასთი დაეტევა (დაეტევა ნასთი Cq) დახევით (დახევად Cq), ნახევსა ჰქვიან C. ჭახრაკის ტარზედ რაც ნასთი დაეხვევის, ნახევსა ჰქვიან D.

ჭიუკა (ბალ.) ჭაუკა ZAB.

ნ. ჭაუკა.

ჭიქა კაეთ(ა) მიერ გამოღნობილი პურჭელი ZA.

ჭიქა არს კაეთა მიერ გამონადნობ-

---

[1] აქედან გრძელდება B ხელნაწერი.

თა ჭურჭელი B. ჭიქა არს კაცისა მიერ გამონაღნობი (გამოღნობილი Cb) ჴელოვანთაგან და მისგან შთაბერვისა მიერ შეიქმენ ჭურჭელთა მსგავსთა ბროლისათა, საწდეთა და ჯამებთა და სირჩათა და ყოველთა ჭურჭელთა, რომელიმე შეღებენ ფერად-ფერადად, გინა ჭურჭელთა მათ, გინა სარკმელთათვის კანკელთა სასინათლოთათვის, რომელიმე თვალთა პატიოსანთა ამსგავსებენ, რომელნიმე მინასა შე(ჰ)მზადებენ, რომელთა შთასხმენ ოქროთა შიგან ვითარცა მხატვრისაგან ჴელოვანთასა დახატულსაებრ, რომელიმე თმათა მსგავსთა იქმენ და სხვანი მრავალთა უცხოებსა სხვარიგსა (სხვარიგთა Ca) Cab. განუმარტავია CqD.

ნ. საჭიქე, წედა.

[ჭიქის კრიალოსანი ნ. ქარასტა].

[ჭიქის სალვინე ნ. კარაბა].

ჭილყი ნ. ჭილყ.

ჭილრიკა მაჩხ-თეთრმორეული ZAa.

ჭილყ[1] ფრინველის წინა მკარი ZAB.

ფრინველის საფრინავის წინა წვერი (ძვალი Cq) C. განუმარტავია D.

ჭიჭინა (მწერ.) ZABCD.

ჭიჭინი ჭიჭინას ჴმიანობა (+ სირთ ჴმიანობადაც ითქმის Cb) ZA BCD.

ჭიჭლა მცირე სალვინე ZACD.

მცირე სალვინე ქეცისა B.

ჭიჭმატა მეტად წვრილი მძივ(ნ)ი ZAB.

მეტად წვლილ(ი)-წვლილი (წვლილ-წვრილი Cb) CD.

ჭიჭნაური[2] (+ 16, 13 ეზეკ. ZAa) აბრეშუმი ZABC.

ჭიჭნაური მაშას ეფრემს(!) აბრეშუმად მოუპოვნებია D.

ჭიჭრიკუელა (ჭიჭრიკველა ZB CbqD, ჭიჭრიკელა Ca) ცუდ(ი) ჭრელები ZA.

ცუდჭრელა B. ჭრელ-ჭრელა CII.

ჭიჭყინა (თევზ.) წვრილი თევზ-(ნ)ი ZAB.

(თევზ.) CD.

ჭიჭყინი გოჭთ(ა) ჴმიანობა ZA BCD.

[ჭიჭყნა ნ. აჭიჭყნილი, შეჭიჭყნილი].

ჭიხვინი ცხენთ მრისხანების ჴმა ZA.

ცხენთ (ცხენის CD) წყრომის ჴმა BCD.

ნ. ქვქვინი.

ჭიხი ნ. ჭიქი.

ჭიხმაკური კაცი ყოვლის გზით გაუწყობელი (გაუწყობარი B) ZABCab.

კაცი გაუწყობელი ყოვლის გზით Cq. კაცი გაუწყობელი D.

ჭიქი (ჭიხი Z) (მძრომ.) სხვათა ტილი რა სხვას შეაჯდეს ZA.

(მძრომ.) სხვითა ტილი B. (მძრომ.) ტილი (ჭილი Cb) CD.

[ჭკ ნ. დაეჭკო, შეიჭკო].

ჭკა (ფრინ.) პატარა ჭილყვავი ZABCD.

ჭკანტნი თითის (თითთ BCq) გარდაწევის ჴმა ZABC.

მცირე ჴმა რისამე D.

ჭკანჭკანტა (ჭკანჭანტა ZCb) (ხე) ZABCD.

---

[1] ნუსხებშია: „ჭილვი“. [2] წყაროშია: „ჭიჭნაუხტითა“.

ჭკვიანი (ჭკუიანი ABCb) ჭკუ(ვ)ის მქონებელი ZAB.
ჭკუის მქონე Cb.
ნ. სიჭკვიანე.

ჭკნობა დაჭკნობა, შეჭკნობა ZAB.
დაჭკნობა C. განუმარტავია D.
ნ. დაჭკნობა, მჭკნარი, შეჭკნობა; შდრ. ჭნ.

ჭკუა სიბრძნის გზები ZABC.
განუმარტავია D.
ნ. უჭკუო, ჭკვიანი.

ჭკუიანი ნ. ჭკვიანი.

[**ჭკურ** ნ. მჭკურველობა].

ჭკუტა (ხე) წვრილი სხალი გვარად ZA.
(ხე) წვრილი სხალი B.

ჭლაკი (10, 26 გამოსლ.) ჩლიქი ZA.
ჩლიქი, გინა ფრჩხილი (10, 26 გამოსლ.) B. ჩლიქი, გინა ფრჩხილი, გინა მცირე რამე CD.
ნ. ფრჩხილი, ჭანგი, ჭლიკი.

ჭლაპი-ჭლუპი Cb.

ჭლექი სიმჭლის სენი ZABCD.

ჭლიკი (+ 4, 13 მიქია ZAa) ჭლაკი ZA.
ჭლაკივე B. წვივი CD.
ნ. ფრჩხილი, ჭლაკი.

ჭმაჭნა (ჭმაჭვნა ACqD) უგვანი გრეხა ZABCD.

ჭმახე მოძმარებული ZABCD.
ნ. ჭანგი.

ჭმული შეჭმული, მოჭმული ZA.
მოჭმული B.

ჭმუნვა მწუხარებასთან ნახე ZAB.
დაღრეჯა. ჭმუნვა არს წუხილი უჭმო(ო)ბისა მოქმედი (მქნელი D), რომელი ითქმის შ თ ო ბ ი ლ CD.
ნ. დააჭმუნვა, ვჭმუნავ, იჭმუნა, მჭმუნვარე, მჭმუნვარება, საჭმუნავი, სჭმუნავ, ჭმუნვილი; შდრ. ჭოვ.

ჭმუნვილი მჭმუნავი, ჭმუნვის მოქმედი ZA.
ჭმუნვის მოქმედი B.

ჭმუხვა ურვეული ანუ ტკივნეული (ტკინვეული Z), არა კვნესოდეს, არამედ წარბისა ხრითა შეეტყობოდეს ZA.
ესე არს ურვეული ანუ ტკივნეული, არა კვნესოდეს, არამედ წარბით და წამთა ძრვითა შეეტყობოდეს B. ჭმუხვა არს, რომელსა ელმოდეს ანუ ეურვებოდეს და არა ჭმა-ჰყოფდეს, არცა კვნესოდეს, არამედ წარბითა (წარბთა D) და წამითა (წამთა D) (+ მიერ Cq) ძრვითა (ძვრათა Cq) შეეტყვებოდეს (შეეტყობოდეს CqD) CD.
ნ. მჭმუხველობა, შეჭმუხვა, შეჭმუხვილი; შდრ. ჭუხ.

[**ჭნ** ნ. დაჭნობა, უჭნო; შდრ. ჭკნობა].

ჭობოსანი ძვალთ საფხეკი ქლიბივით ZA.
ძვალთ საფხეკი B. განუმარტავია CD.

ჭოგი მოწლო ლატანი D.

ჭოგრი შორ(ს)სათვალე ZAB.
Γ დურბინდი 1 Cb.
ნ. დურბინი.

ჭოგრი მსოფლიონი (მსოფლიერნი B) წვრილს ლატანს უქმობენ ZAB.
მომცრო (მოწლო Cq) ლატანი C.

ჭოვილო (ფრინ.) ჭანჭრობში (ჰ)ზის, მწყერს(ა) ჰგავს, ნიკარტი გრძელი აქვს და ანაზდად აფრინდება ZA.

(ფრინ.) ჰანჭრობში ნიკარტ-გრძელი B.[1] (ფრინ.) CD.

ჭოლაური ქრმალია ერთრიგი ZAB.

ქრმალია ერთი CD.

ჭოლოყი ალმა სასროლი ჯოხი ZAB.

ნივოზთ სასროლი ჯოხი Cab. ნიგვზის სასროლელი (სასროლი D) ჯოხი CqD.

ნ. ჯოხი.

ჭონი ბეწვის მკერავი ZA.

ბეწვისა და ქუდის მკერავი B. ტყავის მკერვალი C. განუმარტავია D.

ჭოპნი ნ. ჭყაპნი.

ჭორი ტყუ(ვ)ილთან (ტყვილთან Aa) ნახე ZAB.

ჭორად სახელ-ვსდებთ დაუჯერებელსა (დაუჯერებელთა Cb) ჰამბავთა, გინა საცილობელთა და არასწორთა დავარდნათა, რომელიმე მართალცა იქმნებოდეს Cab. ჭორად სახელ-ვსდებთ დაუჯერებელისა ჰამბავისა, გინა საცილობელისა და არასწორისა დავარდნისა, რომელიმე მართალცა იქმნების Cq. დაუჯერებელის ჰამბვის დავარდნა საცილობელისა და არასწორისა, ვითა კიდეც გამართლდება D.

ნ. მოუჭორე, მჭორავი, სჭორავ. სჭორავს, ტყუვილი, უჭორავს.

ჭოროყანი სვეტის წვერი შემოჭდობილი (შემოჭდეული C) ZA BC.

სვეტის წვერი D.

ჭოროხი მდინარისაგან ქვიშა შეყრილი ZAa.

ჭორტანა (ბალ.) ZABCD.

ჭორტი (7, 26 ისო) ქვაკაცა აგებული ZAB.

ჭორტი არს ქვა აგებული უკაროდ კაცთ(ა) უმაღლესად ნიშნად რათამე დასანიშნველად (დასანიშნელად CbqD) CD.

ნ. აჭორტვე.

ჭორტიყი (ფრინ.) კოკბის ვარია ZABCD.

ჭორფლი წვრილად შავი აჩნდეს ZA.

წვრილი შავი რამ აჩნდეს B. მარზე(დ) შავის წვლილის (ა)ჩენა C. განუმარტავია D.

ჭოტი ლობიოთა და ცერცვთ გრძელი ქერქი ZA.

(ბალ.) ლობიოს და ცერცვის ქერქი B. (ბალ.) დიდი ლობიო CD.

ნ. ქერქი.

ჭოტი ფრინველი. ფ რ ი ლ ე ნ ი ს წ ი გ ნშ ი: „ჭოტიცა გაიგონებს მისსა ქმათა კაცთა“[3] D.

ჭოღვა მხილთ ჭრა B.

ნ. მოჭოლვა.

ჭოჟი ადგილი წყლიანი ZABCD.

ჭოჟინა ჩჩვილთ სატარებელი ZAB.

განუმარტავია C.

ჭოჭოქი მოუთმენელი თვლემა ZABCb.

ა ნ დ რ ი ა ს ა ლ ო ს: „შერისხა ეშმაკთა, რომელ(ნ)ი მოართმენ რულთა (რულსა D) და ჭოჭოქთა (ჭოჭოქსა D) განუმრავლებენ (განუმრავლებთ D)“ CD.[2]

[**ჭოჭყი** ნ. ქვი].

ჭრა (+ 9, 3 ეზეკ. ZAa) კვეთა ZABCD.

ნ. ალჭრა, აჭრა, გამოჭრა, გა-

---

[1] განმარტების გაგრძელება B-ში ჩამოხეულია. [2] Cb-ში წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია.

ჭრა, გჭრი, დაჭრა, მიიჭრა, მიჭრა, მოჭრა, მჭრელი, ნაჭერი (ფარჩა'-სთანაც), საჭერი, სჭრის, შეჭრა, ჩაჭრა, წაჭრა, წაჭრილი.

ჭრეთა ტყავთ მოჭ(ვ)რეთა ZA.

მოჭვრეტი ტყავთი B. მოჭვრეტისავით CD.

ნ. საჭრეთელი.

ჭრელებული ჭრელად ქმნილი ZAB.

ჭრელი (30, 39 დაბად.) სხვადასხვა ფერი ZA.

(30, 35 დაბად.) სხვადასხვა ფერი B. სხვადასხვა ფერი ერთში C. განუმარტავია D.

ნ. ნაჭრელები, სიჭრელე, ყაყაჩოჭრელა, ჭრელებული, ხეჭრელა.

ჭრიალი[1] კართა და ურემთ ქმიანობა (ქმა B) ZAB.

ურმისა და კარის ქმა CD.

ნ. იჭრიალებს, მეჭრიალება, უჭრიალებს.

ხჳედრი ZAB (ხვედრი ZABC) ესე არს წილად ხვედრებული, გინა ვითარებათაგან ხდომილი ZAB

სახდომელი ZAB.

რაც მოხვდეს (+ ხვედრი ეწოდების ხვედრებულსა წილად, გინა სხვარიგად C) CD.

[ხჳევ ნ. გარდახჳევა, გარდახჳეკვ..., ვეხჳევი, მხჳეველი, ხჳევნა, ხჳეული].

ხჳევნა[7] მიკონება თუ გარდაჭდომა ZAB.

გარდაჭდობა (+ გინა მიკონება C) CD

[ხჳეპა ნ. სახჳეპელი].

ხჳერეფი[8] ფშვიერი მიწა ZAB.

ხჳესტო[9] ლალივით ZABC.

დ ა ბ ა დ., ი ვ დ ი თ: „კალნიერებასა და სიხვესტესა შეძრწუნდა ყოველი ბანაკი ასურთა“ CqD[10].

ნ. სიხჳესტე.

ხჳეტა[11] (+ 7, 5 იობ ZA) აფხუკასავით ZABC.

განუმარტავია D.

ნ. იხჳეტა, მოხჳეტა.

ხჳეული[12] ხენი მოგრეხით (მოხვევით B) ზრდილი, გინა ფოფხი და მისთანანი ZAB.

მოხვეული CD.

[ხჳეწ ნ. ხჳეწნა].

[ხჳეწ ნ. გარდახჳეწა].

ხჳეწა[13] მოთლა, გინა ძაფის დაფხეკა ZAB.

მოთლა CD.

ნ. გამოხჳეწა, მხჳეწელი, ხჳეწი, ხჳეწილი.

ხჳეწი[14] მოკაკული სათლელი ZABCD.

ხჳეწილი[15] (5, 11 ამოს) გათლილი ZAa.

ხჳეწნა[16] ვედრება ZA.

ვედრებასავით BCD.

ნ. ახჳეწა, ეხჳეწა, ვახჳეწებ, ვეხჳეწე, ვეხჳეწები, იხჳეწა იხჳ-

---

[1] ნუსხებში: „ხვართქლა“. [2] ნუსხებში: „ხვასრო“. [3] ნუსხებში: „ხვასტაგი“. [4] ნუსხებში: „ხვატი“. [5] ნუსხებში: „ხვაშიადი“. [6] ნუსხებში: „ხვედრება“. [7] ნუსხებში: „ხვევნა“. [8] ნუსხებში: „ხვერეფი“ [9] ნუსხებში: „ხვესტო“. [10] წყაროების დასახელებანი და მოწმობა Cq-ში გადახაზულია. [11] ნუსხებში: „ხვეტა“. [12] ნუსხებში: „ხვეული“ [13] ნუსხებში: „ხვეწა“. [14] ნუსხებში: „ხვეწი“. [15] ნუსხებში: „ხვეწილი“. [16] ნუსხებში: „ხვეწნა“.

ეწება, იხუეწებოდა, სახუეწარი, სახუეწი, სახუეწნარი, შემოხუეწნა, შეხუეწება.

ხუეჭა[1] უსამართლოდ შეკრება ZAB.

უსამართლოდ წართმა CD.

ნ. მოხუეჭა, მონახუეჭი სარგებელი (სარგებელ'თან), მჩუეპელი, ნახუეჭი.

ხუვილი წყალთა და ქართ(ა) ქმა ZABCD.

ხუთ ხუთის ნაკვეთი ZAB.

ხუთგული (ხე) ზმარტლი ZAB.

ნ. ზმარტლი.

ხუთეული (41, 34 დაბად.) ხუთისაგანი ZA.

(41, 34 დაბად.) ხუთისაგან ერთი B.

ნ. ერთეული.

ხუთვა დაჭერასავით ZABCD.

ნ. შეხუთვა, სულთა-მხუთავი.

ხუთი (+ 25, 15 მათე ZA) სამი და ორი ZAB.

... ნახევარი CD.

ნ. მეხუთე, ხუთეული, ხუთშაბათი.

ხუთნი ქმანი კათიღორიაში პპოო ZAB.

ხუთნი ქმანი, რომელ არიან ფი... ...ფოსობის(ა) გზანი და სწავლის კლიტენი: ა) არსება, ბ) ნათესავი, გ) ვითარება, დ) რომელობა, ე) შემთხვევითი. ამათთვის კათიღორია იცითხე .+ და Cab) განწავლის (ვასწავებს CqD). სხვა ხუთნი ქმანი, რომელთა იტყვიან ფილასოფოსნი: ნათესავი, სახე და ამათ საშუალ(ი) გა(ნ)ყოფილება, განთვისებული და შემთხვევითი. იმცენ განმარტება ხუთთა ქმათანი[2], ვითარმედ, ნ ა თ ე ს ა ვ ი სადამე არს დანიშვნითი ქმაჲ მრავალთა და სახითა განყოფილთად რაარსობისა შორის შესმენილი; ხოლო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ჲ დანიშნვითი (დანიშვნითი Cab) ქმაჲ მრავლად და განყოფილთა სახითა, რომელ(ი) რაჲარსოაის(ა) შორის(ი) შესმენილი; ხოლო ს ა ხ ე დანიშნვითი (დანიშვნითი Cab) ქმაჲ მრავალთა და რიცხვით(ა) გა(ნ)ყოფილთად რაჲარსობისა შორის შესმენილი; ხოლო გ ა ნ თ ვ ი ს ე ბ უ ლ ი არს დანიშვნითი ქმაჲ არსებითი ერთი სახისად შესმენილი; ხოლო შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი არს ქმაჲ დანიშვნითი მრავალთა და სახითა განყოფილთად, ვითარ ყოფისა შესმენილი CD[3]

ხუთი ქვა გესლით მკურნალი ZAB.

ქვა არს (ქვაა Chq) გესლისა მარგებელი C. განუმარტავია D.

ხუთშაბათი აფროდიტისა ZA.

განუმარტავია B.

ნ. აფროდიტისა, კვრა, შაბათი.

ხუი (უქმ.) სხვათა ენაა, ქართუ-

---

[1] ნუსხებშია „ხვეჭა". [2] შდრ. A — 250, 95 r. 15; 129 v. [3] ჩამოთვლილი ხუთი ც... ...ვის კიდეზეა ჩამოწერილი: ა", ბ", გ", დ", ე". ხოლო განმარტების ბოლოს Cab-ში გამოყოფილად ავტორს დაურთავს შემდეგი შენიშვნა: „აწ ამისა შემდგომად რომელნიცა ქართველნი სწავლისა საზომსა მიიწევიან, ვიცი, ჩემთვის იწყებენ გმობასა, რასათვის ესრეთ უწერიათ. აქა მრავ ლი ...ლევაწ...რე, რომელი ლექსიკონისა რიგი არა იყო, მ გრამ მაშინ ნეტამც თქვენ კოფილიყავით, მეც ვერიებდი ზედმიწევ... ...ი, არამედ ვერაადა ვპო(ვ)ე და უცებისა და უსწავლელისაგან ეოდენ იქმნ... ...ვინც ...ართებულს ალაწერთ, ქართულია (ქართლს Ch) ის უჯობა".

ლად ა ვ ი ზ ნ ე ჰქვიან ZA.

(უქმ.) სხვათა ენაა, ქართულად — ა ვ ი ზ ნ ე, გინა ფ ხ ი კ ი ა ნ ო ბ ა B.

ხულა სახლი სავაჭროს სადები ZAB

სახლი სავაჭრო C. განუმარტავია D.

ხული ნაჭუჭ-მაგარი ხილი: ნუში, ნიგოზი, თხილი, წაბლი, ბუსტუ- ლი და მისთანანი ZA.

ქმელი ხილი. ხიჩატელთან ნახე B.

ნ. ხიჩატელი.

ხულგო (ხულუგო B) ასაკ-მოკლე ვაყი ZA.

ასაკ-მოსული ვაყი B.

ხულივი (ხვლივი ZAB; ხყლივი, ხვლიკი, მსვლიკი CD) (მძრომ.) ხვლიკი ZAB.

(მძრომ.) CD.

ხულიკი[1] (მძრომ.) მხვლივი ZA.

(მძრომ.) მსვლიკი B.

ნ. ხულივი.

ხულუნგო (ბალ.) უფხო ყანა ZAB.

ხუმარი მასხარა ZAa.

მასხარა, სპარსულად ნ ა დ ვ ო ნ ე ვ ი B.

ნ. ხუმრობა.

ხუმლა (ხე) შავი ხურმა B.

ხუმრობა წყლიანობა ZAa.

განუმარტავია AbBCqD. ესე არს სიტყვა კეთილი და გამაცინებელი კაცთა Cab.

ნ. ეხუმრა, ვხუმრობ, იხუმრა, მასხარა, სახუმარი, ხუმარი.

ხუნა[2] ალება B. მიიხვნა, მიილოსავით Ca მიიხვნა D.

ნ. ხუ 1.

ხუნაგი სასის გასივება ZAB.

სასის ჩამოსლვა (ჩამოსვლა CaqD) CD.

ხუნტრუცი თამაშობაში ნახე ZAB.

(+ ესე Cab) არს ჭაბუკათა ქალთა მიერ როკვა, ფუნდრუკი, რბოლა ძალისაებრ მათისა C. ხუნტრუცი არს თამაშობა ქალთა მიერ ჭაბუკთა, გინა როკვა, გინა ფუნდრუკობა და რბოლა ძალისაებრ მათისა D.

ნ. სათამაშო.

ხუნწი (ხე) ერთი ხილია ZA.

(ხე) ხილია BCb.

ხუნწკალი ყურძნისა და მისთანათ გურკა ZA.

ყურძნის გურკა და მისთანისა B

[**ხურ** ნ. კურვება].

ხურეტა[3] ცხელის წვენთ წვეთ-წვეთით შესმა ZA.

ცხელთ წვენთ შესმასავით B.

ნ. სახურეტელი.

ხურვა ესე არს სახლის სართულის დაფარება და კაცთ ქუდის დაბურვა და მისთანანი ZA.

ესე არს სახლთ სართულის დაფარება, გინა კაცთ ქუდის დაბურვა B. ხურვად ითქმის სახლის სართულთა დადგმა, გინა თავსა კაცისა(სა) დაბურვა C. დახურვა. ხ უ რ ვ ა დ ითქმის სახლის სართულთა დადგმა; ხოლო თავსაბურავთა და ეგევითართა ბ უ რ ვ ა დ ითქმის D.

ნ. დახურვა, ნახურავი, სახურავი (ჩულ'თანაც), წახურვა.

ხურინვა[4] (+ 1, 6 იონა ZAB)

[1] ნუსხებში: „ხვლიკი“. [2] ნუსხებში: „ხვნა“. [3] ნუსხებში: „ხვრეტა“. [4] ნუსხებში: „ხვოინვა“.

ძილში ხრუტუნი ZABCD.
ნ. ფშვნვა.

ხურიო განათლებასავით ZAB.

ხურისჯოხისახი არს ვითამ მომწონებელი შენის გაგონებისა Ca.

ხურმა (ხე) არაბთ(ა) ენაა, ქართულად დ ა ნ ა კ ი ს-კ უ დ ი ჰქვიან ZAB.
ნ. ფინიკი 2, ხუმლა.

ხურო (8, 6 ოსე) მთლელი ZAB.
ქელოსანი, გინა ხის მთლელი (+ ოსე 8, 6 Cb) C. განუმარტავია D.
ნ. ახუროვნა.

[**ხურხლი** ნ. თოვლი].

ხურჯინი თურქთ(ა) ენაა, ქართულად მ ა ხ ა ლ ი ჰქვიან, (+ და ZA) ამგას—მ ა ხ ა ლ ა კ ი ZAB.

ხუტილი მოხვევასავით ZABC.
განუმარტავია D.

ხუფთანი ჯაჭვს ზეიდამ საცმელია ZA.
ჯავშანზე საცმელი B. ჯაჭვზედ (ჯაჭვსზე Cb) საცმელია Cab. რ ო ს-ტ ო მ ი ა ნ ი[1]: „ჯაჭვ-ხუფთანი წაუქდინა" CqD.

ხუჩხუჩი ტირილთან ნახე ZAB.
ჩუმი გულის-ამოსკვნა CD.
შდრ. ჩუხჩუხი.

[**ხუც** ნ. ბაქაულთ-უხუცესი, კაცი უხუცესი (მამა'სთან), მანდატურთ-უხუცესი, მოხუცებულა (კაც'თან), მოხუცებული (კაც'თანაკ), ნახუცარი, უხუცესი (უმცროს'თანაც), ხუცესი].

ხუცესი (15, 2 მათე) მოხუცებული ZA.
პატივით მოხუცებული (20, 17 საქმ.) B. განუმარტავია CD.

ხუჭი თვალის დახუჭვა ZAB.
დახუჭვა CD.
ნ. დახუჭვა, მხუჭავი; შდრ. ჭუხვა.

ხუჭუჭი არს კრავის ტყავი, სპარსნი რომ ყ ა ლ ა მ ა ს უქმობენ; ხოლო ბ უ ყ უ შ ი — ცხვრის ტყავი დახუჭუჭებული, რომელსა (რომ A) ს ა ჩ ე ხ ს უქმობენ ZA.
ბუყუში ეწოდების ცხვრის ტყავსა, სპარსთაგან ს ა ჩ ე ხ ა დ სახელ-დებულსა; ხოლო ხ უ ჭ უ ჭ ი — კრავის ტყავსა ყ ა ლ ა მ ა დ სახელ-დებულსა B. განუმარტავია CD.

ხუხულა არს ყრმათა მიერ ზედითი ნამუშაკარი (ნამუშაკევი B), რეცა სახლაკი ZAB.
ხუხულა არს ყრმათა მიერ(ი) ზედითი ნამუშაკევი, რეცა სახლი CD.

ხუხუნი გატყორცის ქმა ZABC
განატყორცის ქმა D.

ხვდოდი[2] (28, 15 დაბად.) B.

ხვთქი[3] (მძრომ.) (+ 11, 30 ლევიტ. ZAB) კორკოდილო ZABCD.
ნ. კორკოდილო, ნიანგი, სალამანდრა.

ხვთქი[3] საპნის პერ(ე)ული ZA BCqD.
საპოვნის პერ(ე)ული Cab.

ხვნტიარშე[4] მებარგული, გინა ნართევი ZAB.
მებარგული, გინა ნართაული (ნართიევი Cb) C. ბარგი და მებარგული D.

ხვნჭა[5] წყალთ კენჭი ZAB.

---

[1] შდრ. შაჰნამეს ქართ. ვერსიები, წიგნი II, სტროფი 4186 გ. [2] ნუსხაშია: „ხვიღოლი". [3] ნუსხებშია. „ხვითქი". [4] ნუსხებშია. „ხვინტიარშე". [5] ნუსხებშია: „ხვინჭა".

წყლის ქვიშა CD.

ნ. ღვნჭა, ქვა.

ხჳჟირი[1] ნამტვრევ-ნალეწი ZAB CD.

ხჳრი (ხვირი ZABCb; ხვირი და ხოირი Ca; ხვირი, ხორი CqD) (+ 52, 18 იერემ. Z) სამღ(რ)დელო თავსახურავი ZABC.

ესე არს სამღდელო თავსაბურავი D.

ნ. ხოირი.

ხჳტი[2] (ბალ.) თავ-კვრივი კომბოსტო ZA.

(ბალ.) თავ-სხვილი კომბოსტო B. (ბალ.) კომბოსტოს (კონბოსტოს Cb) ძირის კერძო C. (ბალ.) კომბოსტოს ძირი D.

ნ. კომბოსტო.

ხშირი მრავალი ზედიზედ ZABC.

განუმარტავია D.

ნ. ქშირი.

ჴ

[ჴ ნ. იჴნა].

ჴ̄ა ქარაგმით ჴ მ ა ZA.

ჴ მ ა ქარაგმით B.

[ჴად ნ. აჴდა, აჴდილი, გამოჴდა, განჴდა, გარდაჴდა გარდაჴდევინება, გაჴდა, გჴდი, იჴადა, იჴდება, იჴდიდეს, მადლის გარდაჴდა, მიჰჴადა, მოუჴადე, მოჴდა. მოჰჴადე, ნაჴადი, საჴადელი, უჴადე, ფერმიჴდილი, შეჴდა, შეჰჴადა, ჴდა, ჴდევა, ჴდილი, ჰჴდის].

ჴავილი მელისა და შვლის ჴმიანობა ZABC.

მელისა, შვლისა ჴმიანობა D.

[ჴალ ნ. დაჴლა, იჴალება, შეჴლა, ჩააჴალე, ჴლა].

ჴალარჩი სამინდალი, წმი(ნ)და ფქვილი C.[3]

ნ. წმიდა, ქლარჩი.

ჴალვა მარცვალთ შეწვა ZAB.

ჴალვა არს განჴურვებულს ჴურჰელზე(დ) მარცვლის შეწვა (მარცვალი შეწვას D) CD.

ნ. მოჴალვა, ჴალი.

ჴალი (1 მეფ. 25, 18) მოჴალული მარცვალ(ნ)ი ZAB.

მარცვალი მოჴალული CD.

[ჴამ ნ. გიჴმს, მიჴმ, მოჴამსე, საჴამსო, უჴამსი, უჴმდა, ჴამდა, ჴამს, ჴმდა].

ჴამდა ჯერ-იყო, თუ მართებდა ZAB.

ჴამლი ბაზთ პაიჭი ZAB.

ქორის პაიჭი CD.

ჴამლი (3, 5 გამოსლ.) ფერჴ(თ)-საცმელი ZAB.

ფერჴ(ს)-საცმელი (+ გინა მოგვი C) CD.

ნ. მეჴამლე, საჴამლე, საჴამრობელი, უჴამლო.

ჴამს ჯერ-არს თუ მართებს ZA.

ჯერ-არს თუ მართებულია B. მართებულია CD.

ნ. მოჴამსე, საჴამსო, უჴამსი, ჴამ.

[ჴან ნ. დაჴნული, მოჴნვა, მჴნველი, ნაჴნავი, საჴნველი, საჴნისი, ჴნვა, ჴნული].

ჴარაბუა (მწერ.) ZABCD.

ჴარაჴსი (ჴარახსი ZAB) რქის სასმისი ZABCD.

---

[1] ნუსხებშია: „ხვიჟირი“. [2] ნუსხებშია: „ხვიტი“. [3] B-ში ეს სიტყვა გადახაზულია განმარტებითურთ: „საუკეთესო ფქვილი სამინდო“.

შდრ. ქარაქსი.

ქარი (ოთხფ.) (1, 3 ლევიტ.) მამალი ზროხა ZAB.

(ოთხფ.) CD.

ნ. ზროხა, კამბეში, მექრე, ურემ-ქარნი, ჯიქვ-

ქარის-შუბლა (ბალ.) ZABCD.

ქარის-ჩლიქა (ბალ.) ZABCD.

ქარის-ძირა (ბალ.) ZABCD.

ქარქანჩო (ვეფხის-ტყ.[1] ZAa) სადაფს შიგნითი ZA.

სადაფთ შიგნითი B. სადაფის შიგნითი პირი Cab. ვეფხის-ტყ.: „ჰგავს თუ ტყუბი მარგალიტი სხენან ბროლის ქარქანჩოსა“ Cq.[2] ვეფხის-ტყ. D.

ქაფი (+ ვეფხისტყ.[3] ZAa) მაღალი, ბოხი, საშინელი ქმა ZAB.

ქაფი არს მაღალი, ბოხი და საშინელი ქმა(ჲ) CD.

ქაფქაფი დუღილის ქმა ZAB.

დიდი(ს) დუღილის ქმა CD.

[ქაშ ნ. ქშვა].

ქაჩნი გახეთქის ქმა ZABCD.

შდრ ქეჩა.

[ქაქ ნ იქაქდი იქაქდეს, მექაქება, ნაქაქი, ქაქება, ქაქილები].

ქაქა საყლაპავი ZACD.

საყლაპავი, გინა ხოკა B.

ქაქება ხოკება B.

ქაქვა ოქრომკედის დაკრწნა B.

ნ ღ ქაქვა, დაქაქული.

ქაქილები (+ 2 შჯულ. 14, 1 ZAa) ნახოკარი ZABCq.

ნახოკალი Cab. ნახოკები D.

ქბო (ოთხფ.) (1, 3 ლევიტ. ZAB) ზროხის შვილი ZABC.

(ოთხფ.) D.

ნ. ზროხა, მექბორე.

ქბოშერი ქბო რჩეული, გინა ხის ახალი ყლორტი ZA.

ქბო რჩეული, გინა ხეთ ახალნი ყლორტნი B. (ეზეკ. 2) Cab. (ეზეკ. 20) Cq.

ქბოშობია კვერცხი ცეცხლში გამოდენილი Z.

[ქდ ნ. ქედ].

ქდა დახურვილის მოქდა ZABC.

დახურვის მოქდა D.

ნ. ქად.

ქდა სნებათ (სნების CD) მორჩენა ZABCD.

ქდა (1 მეფ. 10, 2) ავიდა ZA.

წავიდა (1 მეფ. 10, 2): ქდა განვიდა რასამე, გინა განძრო B.

ნ. ქედ.

ქდალი ნ. ჭრდალი.

ქდევა ზღვევა B.

ნ. ქად.

ქდენა მოქდენა, წაქდენა ZABCD.

ნ. ქედ.

ქდილი ნაქადი ZAB.

ქდილი (21, 28 ეზეკ.) მახვილ(ი) მოწვდილი ZAB.

ქდომა (+ 4 მეფ. 3, 22 ZAB) მიქდომა, გინა წინა-აღდგომა ZABC.

მიქდომა D.

ნ. ქად.

ქდომილი წინ-აღდგომილი ZAB.

[ქებ ნ. ჰქებდით].

---

[1] შდრ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 1589, 4 („ხარხაჩოსა“). [2] წყაროს დასახელება და მოწმობა Ca-ში გადახაზულია. [3] შდრ. ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 1315, 3 („ხაფი“).

[ჴედ (ჴდ, ჴდენ, ჴდომ) ნ. აჴდენა, აჴდომა, აჰჴდა, განჴდა, გარდაჴდომა, დაჴდა, დაჴდომა, ვმჴედრობ, ზარ-ჰჴდა, თავჴედი, თანაწარჴდა, მიჴდება, მიჴდომა, მიჰჴდა, მოუჴდინე, მოჴდა, მოჴდენა, მოჴდომა, მოჴდომილი, მოუჴდება, მუუჴე, მჴდომი, მჴედარი, მჴედრ, ნამჴედრალი, საჴედარი (ცხენ'თანაც), უჴდებოდა, უჴედი, შეჰჴდა, შთაჴდა, ჩამოჴდომა, წააჴდინა, წაჴდა, წაჴდება, წაჴდენა, წარჴდა, წარჴდომა, ჴდა 3, ჴდენა, ჴდომა, ჴდომილი].

ჴედნა ცხენთ მოწვრთა ZAB.
ნ. იჴედნება.

ჴევი (+ 26, 17 დაბად. ZAB) ღელეთ უდიდესი ZABCab.
განუმარტავია CqD.
ნ. ღელე, წყარო, ჴეობა.

ჴევის-ბერი ერთის ჴეობის უხუცესი კაცი ZA.
ერთის ჴეობის უფროსი კაცი B. ერთის ჴეობის (ჴევის Cb) უხუცესი C. განუმარტავია D.

ჴევნები (7, 19 ესაია) ჴევი და ჴევი ZA.
ღელეები (7, 19 ესაია) B.

[ჴელ ნ. გჴელავ, გეჴელყვის, ეჴელყვის, იჴელთა, მეჴელნი, მეჴელყვის, მოჴელე, საჴელი, საჴელო, ქრისტესჴელა, ჴელად, ჴელადა, ჴელბორკილი, ჴელეჩო, ჴელეწიფების, ჴელეწიფებოდა, ჴელთ, ჴელთ-მოქმედება, ჴელთ-უფალი, ჴელი, ჴელით-ქმნული, ჴელ-იპოტვოდედ, ჴელის-აპყრობა, ჴელისაპყრობი, ჴელის-დადება. ჴელის-დასხმა, ჴელის-პყრობა, ჴელის-წაყრა, ჴელის-წერილი,. ჴელკუბო, ჴელმანდილი, ჴელმარჯუე, ჴელმეხაკი, ჴელმეხი, ჴელმწიფე, ჴელმწიფებანი, ჴელნავი, ჴელობა, ჴელოვანი, ჴელოვნება, ჴელოსანი, ჴელსაბამი, ჴელსაფქავი, ჴელსაყრელი, ჴელსაქოცი, ჴელუყრელი, ჴელშუბა, ჴელცემული, ჴელცუდად, ჴელძარი].

ჴელად ჴელთშინასავით ZAB.

ჴელადა ჴელსატაცი ჰურჯელი ZAB.
ჰურჯელი(ა) სარწყული, მომცრო C. განუმარტავია D.

ჴელბორკილი (3, 10 ნაომ) ZAa.

ჴელეჩო მობრტყე სათლელი რკინა ZA.
მობრტყე სათლელი B. განუმარტავია CD.
ნ. ეჩო.

ჴელეწიფების (+ 1 კორინთ. 3, 11 Z) შეძლება აქვს ZA.

ჴელეწიფებოდა შეძლება ჰქონდა ZACb.
შეძლება ჰქონდასავით B.

ჴელთ ჴელში ZA.
ჴელშისავით B.
ნ. იჴელთა.

ჴელთ-მოქმედება ყრმანი მკურნალთანი ჴელთ-მოქმედებად უწოდენ, მკურნალნი რაჲ ჴელსა შეახებდენ სნეულთა ZA.
ყრმანი მკურნალთანი ჴელთ-მოქმედებად უწოდენ, ჴელსა რა შეახებდენ მკურნალნი სნეულთა B. ჴელთ-მოქმედებად უწოდენ ყრმანი მკურნალთანი, ჴელთა რა შეახებ(დ)ენ მკურნალნი სნეულთა CD.

ქელთ-უფალი კეთილი კერვა, ანუ ქსოვა და ეგევითარნი იცოდეს ქმნად ZA.

კეთილი კერვა, ანუ ქსოვა, ანუ ეგევითარი რამ იცოდეს ქმნად B.

ნ. იქელთუფალა.

ქელი (21, 24 გამოსლ.) მაჯას წინათი ZAB.

განუმარტავია CD.

ნ. ქელ.

ქელით-ქმნული (2, 18 ესაია) კერპი ZA.

(2, 18 ესაია) კერპი, ნატეირნი B. (ესაია 2, 18) ქელით გაკეთებული Cb.

ნ. ალალმა.

ქელ-იპოტვოდედ ქელ-იყოფოდედ ZAB.

ქელის-აპყრობა (2 ეზრა 8, 6) ესე არს ზეცად მიმართ ქელის განმარტვა სავედრებელად; ქელის-აპყრობად ითქმის ულონოთა და დავრდომილთ(ა) შეწევნა ZA.

ესე არს ზეცად მიმართ ქელთ აღპყრობა სავედრებლად; ქელისაპყრობად ითქმის ულონოთა და დავრდომილთ შეწევნა და აღდგინება B.

ქელისაპყრობი (ქელისაბყრობი B, ქელის-საპყრობი Cab) (21, 3 ეზეკ.) ქრმალი(ა) ZABCab.

ქელის-დადება ესე არს მკურნალმა(ნ) რა სნეულს წამლობა დაუწყოს, გინა დიდებულმან (+ ვინმე ZA) ვინ გინდა მიიბაროს და თვის(ი) საფარველს ქვეშ დაიფაროს, გინა ღირსმან ლოცვის მიღებად თავზე(და) ქელი დასდვას ვისმე ZAB.

ქელის-დასხმა (ქელის-დასხუმა Cb) (+ 8, 17 საქმე ZAa) ესე არს მღდელთმთავარმა რა სამღდელო დასთაგანი აკურთხოს, გინა კაცი რა შეიპყრან საპატიმროდ (+ 4, 3 საქმე ZAa) ZA.

ესე არს ეპისკოპოსმა რა სამღდელოთაგანი აკურთხოს, გინა კაცი რა შეიპყრან საპატიმროდ B. განუმარტავია Cab.

ქელის-პყრობა ქელის დაჭერა ZA.

ქელის-წაყრა საქმის (საქმე ZAB) ქნით გაადვილება ZABC

ნ. წაყრა.

ქელის-წერილი[1] (1, 17 ტობია) ZA.

ქელკუბო ქელით სატარებელი კუბო ZA.

განუმარტავია B.

ქელმანდილი ქელსაჭოცი ZAB.

ქელმარჯუე (ქელმარჯვე ZAB Cbq, ქელმარჯუჱ Ca) მოუცდენელივით ZABC.

განუმარტავია D.

⸢ქელმიბაკი დაბანჩა⸣ Aa.

⸢ქელმიხი თოფი⸣ Aa. ქელთოფი Ca.

ქელმწიფე (+ 4 მეფ. 10, 1 ZAB) შემძლებელი ZABCb.

ქელმწიფებანი მეექვსე დასი ანგელოზთა ZAB.

---

[1] წყაროშია: „ქელით-წერილი“.

ქელნავი საომარი სამკლავე ZA BC.

საძკლავე D.

ქელნები მარჯილის გასაწევი (+ ლატნები ZA) ZAB.

მარჯილის გასაწევი და ურმისა Cb. ურმისა და მარჯილის გასაწევი Ca. საყევარი ქართანი Cq. საყევარი D.

ქელობა მოსაქმეობა რამ(ე) ZAB.

ქელოვანი (10, 5 იერემ.) საქმის(ა) კეთილად მოქმედი ZAB.

მოქმედი კეთილ(ი) სამუშაკოთა C. განუმარტავია D.

ქელოვნება (14 სიბრძნე) ZAa.

ქელოსანი ხურო, გალატოზი, ხარაზი, მკერვალი და ყო(ვ)ელი ეგევითარი ZA.

ესე არს ხურო, გალატოზი, ხარაზი, მკერვალი და რაიცა მისთანანი B. ხურო, გალატოზი, ხარაზი და მისთანანი C. განუმარტავია D.

ნ. ვქელოსნობ.

ქელსაზამი მელევანდი ZABC.

განუმარტავია D

ქელსაფქავი (ქელსაფქუავი Cab) ქელის წისქვილი ZABC.

განუმარტავია D

ქელსაყრელი საქმრად გამოსადეგი ZAB.

ქელსაქოცი ZAB.

ქელმანდილი C. განუმარტავია D.

ნ. ენქერი

ქელუყრელი არად საქმარი ZAB.

ურგებივით (ურგებელივით Cq) არსაქმარი C.

[ქელფოცხი ნ. ფუცხვ].

ქელშუბა მოკლე შუბი ZAB.

ნ. ლახუარი, სათხედი.

ქელცემული (+ 4 მეფ. 15, 19 ZAB) ქელის მომ(მ)ართავი ZAB CD.

ქელცუდად (2 შჯულ. 15 (?)) ქელცარიელი ZAa.

ქელძარი ქელის ჯინი საზიდარი ZA.

ქელჯინი საზიდარი BC. განუმარტავია D.

ქეობა ერთ(ს) წყალზე(დ) მრავალ(ი) მოსახლე (მოსახლეობა Cq) ZABC.

[ქერ ნ. განქერული; შდრ. ქირ].

ქერი (37, 17 გამოსლ.) სასანთლეთ რტოები ZA.

(37, 17 გამოსლ.) სასანთლეთ ღერო B. სასანთლეთა რტოებთა და მისთანათასა იტყვიან: „შვიდ-ქერიო" ანუ „ხუთ-ქერი" და „სამ-ქერი"; ხოლო განქერულთა — გაფიცრული რამე გაღობილივით Cab. ქერად ითქმის გაფიცრულივით რამე; განღობილი — განქერულად; გინა სასანთლისა და მისთანათა რტოთა სამ-ქერთა და ხუთ-ქერთა, გინა შვიდ-ქერთა ვიტყვით Cq. ქერად ითქმის გაფიცრულივით რამე. ვიტყვით განქერულსა და სასანთლისა რტოთა სამ-ქერათა, გინა ხუთ-ქერთა და შვიდ-ქერათა D.

ნ. შვდ-ქერი.

ქერქი საქმის მცოდნელობა ZAB.

მცოდნელობა საქმეთა C. მცოდინარეობა საქმეთა D.

ნ. ვერაგობა, ფალანგი.

ქეტი (+ 30 ზირაქ ZAa) შეუგნებელი ZABCab.

შეუგნებელივით CqD.

ქეჩა ძლიერად განპება (გაპობა CD) ZABCD.

ნ. გაქეჩა, ნაქეჩი; შდრ. ქაჩნი.

[**ქიქ** ნ. ექექების].

[**ქვ** ნ. ქუ].

ქვებული ნ. ქუებული.

ქვედა ნ. ქუედა.

ქვედნა ნ. ქუედნა.

ქვეზა ნ. ქუეზა.

ქველა ნ. ქუელა.

ქვერქვეტო ნ. ქუერქუეტო.

ქვივილი ნ. ქვვილი.

ქვიმირი ნ. ქმირი 1, 2.

ქვიობა ნ. ქვობა.

ქვირი ნ. ქვრი.

ქვიფლი ნ. ქუფლი.

ქვიფლოვანი ნ. ქუფლოვანი.

ქვიქვინი ნ. ქუქუნი.

ქვნეშა ნ. ქუნეშა.

ქვრელი ნ. ქურელი.

ქვრეტა ნ. ქურეტა.

ქიდი (37, 25 ესაია ZAa) მდინარეზედ გადებულს დიდსა და ვრცელსა ქიდი ჰქვიან; მომცრო, — ბოგირი; და ერთს ხეს გადებულსა — წანწალა; ხოლო უსურვაზით დაწნულს გაწნულსა — ბონდი ZA.

მდ ნარეზე გადებული. ქიდი დიდსა და ვრცელს ჰქვიან; მომცრო, — ბოგირი; ხოლო ერთსა ხესა გადებულსა — წანწალა B. მდინარეზე(დ) გადგმული სავალად (სავალი Cq) C.

ნ. მექიდება, უქიდო.

ქივდი ნაცრისფერივით B.

ნ. დაქივდებოდა, დაქივება.

ქივილი ყვავთ ქმიანობა ZABC.

ქინქილი ავი სლვა ZA.

ავი სიარული B.

[**ქირ** ნ. აქირება, აქირებული, ჩაქირება, წაქირება [შდრ. ჭერ].

ქირქალი ზღუდესთან ნახე ZAB.

ძულთაგან შემოზღუდვილი სივრძეზე, ზე-ქვეობით ასრე C.

ქიფი ძაფის შული ZAB.

ძაფი დაქსელილი მოკლედ C.

ქლა დაქლა, მიქლა, მოქლა ZA.

დაქლა, დახეთქება B. დახეთქება, გინა შეხეთქება C.

ნ. ქალ.

ქლარჩი ქეთილი ფქვილი სამინდო ZA.

სამინდო B.

ნ. სამინდო, სამინდალი, წმიდა; შდრ. ქალარჩი.

ქლაჩნი ხის ქელით გაქლეჩის (გაქეჩის B) ქმა ZAB.

ხისა ანუ რასამე ქელით განქეჩის ქმა C.

შდრ. ქლეჩა.

[**ქლეს** ნ. ნაქლესი].

ქლეჩა გაქლეჩა, დაქლეჩა, მოქლეჩა ZA.

დაქლეჩა, გაქლეჩა B.

ნ. ააქლიჩე, გაქლეჩა, გქლეჩ, დაქლეჩა, იქლიჩე, უქლიჩა, ჩაქლიჩე; შდრ. ქლაჩნი.

[**ქლიჩ** ნ. ქლეჩა].

[**ქმ.** ნ. ქამ].

[**ქმ** ნ. ქმელი, ქმობა].

ქმა (+ 27, 22 დაბად. ZAB) წა(რ)მოჩენილი სასმენელი ZABCab.

განუმარტავია Cq.

ნ. გულის-ხმა, თანამექმეობა,

უქმო 2, შეერთქმავდენ, ხუთნი ქმანი, ქ˜ა, ქმიანი, ქმიანობა, ქმოანება, ქმობა.

ქმარება რისაცა შეწევნა B.

ნ. ასაქმრებს, ექმარა, ექმარებოდა, იქმარა, იქმარებ, მექმარება, მომქმარო, მოქმარება, საქმარი, უქმარი (შალავათ'თანაც), შეუქმარებია.

ქმდა ქამს-იყო ZA.

ქამდა, ქამს-იყო B. ქამდა C.

ქმევა ქმარება ZABC.

ნ. ვიქმევ, იქმია.

ქმელეთი ქვეყანა ზღვას გარდაის (გარდა B) ZAB.

ქვეყანა თვინიერ ზღვისა Cb. განუმარტავია Caq.

ნ. ქმელი 2.

ქმელი (+ 1, 9 დაბად. B) უნოტიო ZABC.

ნ. სიქმელე, ქმელეთი, ქმელიერობა, ქმელცხობილი, ქმიადი, ქმობა 2.

ქმელი (1, 9 დაბად.) ქმელეთი ZA.

ქმელიერობა ქშირი სიქმელე ZAB.

[ქმელი ყურძენი ნ. ჩამიჩი].

ქმელცხობილი პაქსიმატი ZAa.

ნ. პაქსიმატი.

ქმიადი უფო(ვ)ელი ZABC.

ქმიანობა ქმა-ყოფა. ქმიანობის გა(ნ)ყოფილებითა (განყოფილებათა Ab) შემოკრებულად დაწერა აქ მენება. დია მრავალია, სიგრძისათვის არ დავსწერე ZA.

ქმა-ყოფა. ქმიანობათა განყოფილებათა შემოკრებულად დაწერა აქ მენება. დია მრავალია, გრძლად მოვიდოდა, მის-მის ადგილს ნახე B. ქმიანობათა განყოფილებათა აღწერა აქა შემოკრებულად მენება. მრავალი იყო, სიგრძისათვის ვერ აღვსწერე C

ნ. ქმოანება.

ქმილვა (1 ეზრა 8, 29) ღამის-თევა ZAa.

ნ. ქუმილი.

ქმოანება სხვასა და სხვას (სხვადასხვას A) ქმის თქმა ZA. ქმიანობა სხვადასხვა რიგად B. ქმიანება Cb.

ნ. მუსიკა, ქმიანობა.

ქმობა ქმის-ყოფა ZAB.

ნ. ექმო, ვქმობ, იქმო, მქმობი. უქმო 1, ქუეყნით-მქაობელი, ქუეყნის-მქმობელი, ქმა, ჰქებდით.

ქმობა გაქმობა, შექმობა ZA.

გა(ნ)ქმობა BC.

ნ. გაქმობა, ქმელი.

ქნარცვ[1] (+ 7, 16 ფსალმ. ZAa) მთხრებლთან ნახე ZAB.

მთხრებლი მიწისა კაცთათვის C.

ქნაშა-ქნუში (ქნაშა-ჰნუში Ab) ომში ქვნეშა ZAB.

ომში ჩუმი ქმა C.

ნ. ქუნეშა.

ქნდური (ბალ.) (+ 2 მეფ. 17, 18 ZAB) (მ)სხეილი ცერცვი ZABC.

ნ., ბაკილა, ლორის ქნდური (კალვიქს'თან).

ქნვა (ქუნა B) (28, 24 ესაია) მოქნვა (მოქვნა Aa) ZAa.

[1] ნუსხებშია: „ქნარცვი“.

ერქვნით თხრილობა B.

ნ. ჭან.

ჭნული (+ 2 მეფ. 23, 11 ZAB) ერქვნით გარდათხრილი ZABC.

ჭომი (+ 4 მეფ. 23, 5 ZA) ჭომლი ZAB.

ჭლიადი, მრავალვარსკვლავი C.

ნ. ჭომლი.

ჭომლი მრავალვარსკვლავი ZA.

მრავალი ვარსკვლავთა (4 მეფ. 23, 5) B.

ნ. ჭომი.

ჭომლი ქორაკანდელი ZAB.

ქორაკანდელი, მრავალსასანთლე C.

ჭორცი 2, 23 დაბად. ZAB.

ცხოელთ სხეული Cb. განუმარტავია Caq.

ნ. მეჭორცე, ჭორციელი.

ჭორციელი (+ 2, 4 ივდით ZA) ჭორცმოსილი ZAB.

[ჭორციელი სარგებელი ნ. სარგებელი].

ჭორჭი (5, 16 ქება) მკერდის კერძი ნაწილი ყელისა (+ არს, კორჭი B), სადა ამოდის ჭმანი სამ[illegible]ყოფნი ZAB.

მკერდის კერძო ნაწილი ყელისა; კორკი არს, რომელსა შიგა(ნ) აღმო-ვალ[illegible] ჭმანი სახიობთანი (სახიობისანი C.) C

ნ მგლის-ჭორჭა.

ჭოფა (ხე) ხილია ერთი ZA.

(ხე) ხილია BCb.

ჭოცა მოჭოცა, წა(რ)ჭოცა ZA.

მოჭოცა B. აღმოჭოცა Cb. აღჭოცა Caq

ნ. აღსაჭოცელი, აღჭოცა, აჭოცა, აჰჭოცა, გაჭოცა, მოჰჭოცა, ჰირსაჭოცი, შეჭოცა, შეჰჭოცა, ცხვრსაჭოცი, წარჭოცა, (წმიდა'სთანაც), ჭელსაჭოცი; შდრ. ჭოცა 2.

ჭოცა მოსრვა, დაჭოცა ZA.

მოსრვა BC.

ნ. დააჭოცინა, დაჭოცა, მჭოცელი, ნაჭოცი, ჭოცილი; შდრ. ჭოცა 1.

ჭოცილი დანაჭოცი, მონაჭოცი ZAa.

დანაჭოცი B.

ჭოჭგა მკე ოდით სლვა Cb.

ჭოჭობი (ფრინ.) ZABC.

ჭრდალი[1] (1, ვიობ) ჭაკი ცხენი და ვირი ZA.

(ოთხფ.) ჭაკი ცხენი B. (ოთხფ.) ჭაკი C

ნ. ცხენი.

ჭრმალი[2] (ჭრმალი, კმალი BC) (1 მეფ. 17, 39) ესე ჭრმალიცა მრავალგვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომელიც(ა) ჭრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი (+ და A) მკვეთელი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ლაროსანი, გორდა თუ კალდიმი, — ამას ქართველნი (ჰ)ყვარობენ. ფრანგნიცა ესეთსა და სხვარიგთაცა ახალსა არა (ჰ)რიდებენ; არაბნი სხვარიგსა, სპარსნი სხვასა, თემითი-თემად, რომელიმე დრეკილსა, რომელიმე შვეტთა, სხვანი ბასრთა, სხვანი რბილთა; არამედ ბრძენნი და გამოცდილნი, ღვაწლისა მძლენი მჭედარნი საქებურად ამას დასდე-

[1] წყაროშია: „ჭდალი". [2] წყაროშია: „ხმალი".

ბენ, რომელი გვარიანიცა იყოს, ძველი და არა ღვლარჭნილი, არცა სადა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არც მაღალ-დაბლობა აჩნდეს ცახეთაცა ოდენ(ი), ლიბრი იყოს, და არა თეთრ, ზომიერ სიგრძით და სიბრტყითა, წინა კერძო მცირედ განხრილ(ი) და არა საშუალ, ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ, ადრე არ(ა) დამბლაგველ, უტალ-უნაფრცხენო, ყუა-ზრქელ, გნდე-სწორე, შაშარ-მოკლე. თუცა ესრე სრული ვერა ჰპოო, ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, — სრული გვიან საპოვნარია ZA.

ესე ქრმალნიცა მრავალგვარნი არიან სხვათა და სხვა თემთა ქმნილებათაებრ. რომელიც ქრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი და მკვეთელი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღაროსანი, გორდა თუ კალდიმი, — ამას ქართველნი ჰყვარობენ. და ფრანგნი სხვარიგსა სიახლესა არა რიდებენ, უკეთუ შეიმუსრა, არარა ჰგლიან, ადრე შეიქმენ. არაბნი სხვასა და სპარსნი სხვასა და ყოველნი თემნი სხვადასხვა რიგსა დაწესების გამო: რომელიმე დრეკილთა, რომელიმე შვეტთა, რომელიმე ბასრთა, სხვანი რბილთა, თემთა და წესთა გამო. არამედ ბრძენთა და გამოცდილთა ღვაწლისა მძლეთა მჭედართაგან საქებურად დადებული ესე არს, რომელის გვარისაც იყოს, ძველი იყოს და არა ღვლარჭნილი, არცა სადა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არცა მაღალ-დაბლობა აჩნდეს ადმე ცახეთაცა ოდენი, ლიბრი იყოს და არა თეთრ, ზომიერი სიგრძით და სიბრტყითა, წინა კერძო მცირედ განხრილ და არა საშუალ, ძვალთა და რკინათა მკვეთიდ, თვით უვნებელ, არა ადრე დამბლაგველ, უტალ-უნაფრცხენო, ყუა-ზრქელ, გნდე-სწორე, შაშარ-მოკლე. თუმცა ესრედ სრული ვერ ჰპოო, ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებ, — სრული გვიან საპოვნარია B. ქრმალიცა მრავალრიგი არს სხვათა და სხვათა თემთა მიერ ქმნილი ნებისაებრ მათისა. რომელი ქრმალი ძველი და განხრილი, მზეველი და მკვეთელი და სრული არს, გლუვი გინა ფერდილი იყოს, გინა (+ თუ Caq) ღაროვანი, ძველად ქმნილი ფრანგთაგან (ფრანგთა მიერ Cq; ფრანგულთაგან Ca) გორდა ანუ კალდიმი, — ესრეთსა ქართველნი ჰყვარობენ; არიან სხვაცა ახალნი და მზეველნი, რომელიმე გლუვე, რომელიმე ფერდილნი და უფრო-რე წვლილი და გნდ(ნ)ოვანი ვითარცა ხიშტი, ესევითართა ფრანგნი ჰყვარობენ და არა ეზრუნვებიან შემუსრვასა ზედა, რამეთუ მალიად შეიქმონენ-ყე (შეიქმენ Cq), აგრევე სპარსნი სხვარიგთა და არაბნი სხვარიგთა ჰყვარობენ, ყოველნი თემნი ნებისაებრ მათისა. არამედ ქრმლისა სიკეთე და გვარიანობა ესე არს: რომელ(ი) ძველი იყოს და არა ღვლარჭნილ, არცა სადა მცირე სიმრუდე ჰქონდეს, არცა მაღალ-(მ)დაბლობა სადამე აჩნდეს ცახეთა(ცა) ოდენი, ლიბრი იყოს და არა თეთრ, ზომიერ სიგრძობითა და სიბრტყით(ა), წინა კერძო მცირედ განხრილ(ი) და არა საშუალ, ძვალთა და რკინათა მკვეთ და თვით უვნებელ, არა ადრე დამბლაგველ, უტალდა უნაფრცხენო, ყუ(ე)ა-ზრქელ, გნდე-სწორე, შაშარ-მოკლე. რაოდენრიგნი არიან ქრმალნი, სახელ(ნ)იცა ეგრე მრავალ არიან, ქვეყანათა მიერ სახელასდებენ ანუ მოქმედთასა, თემნი და გულნი კაცთანი (კაცისანი Cq) რომელიმე ზემო წერილსა ჰყვარო-

ბენ, რომელიმე არა, სხვანი — შვეტსა (+ და Ca) სხვანი — დრეკილსა, სხვანი — ლბილსა, სხვანი — ბასრსა, (ბასრთა Cq) ნებისაებრ მათისა. არამედ ბრძენთა და გამოცდილთა ლეაწლისა მძლეთა მჭედართა ·ზემო წერილნი საქებ(ე)ლად დაუცთ, თუმცა მისებრი(ვ) სრული ვერ(ა) ჰპოოს ვინმე, ერთისა და ორისა კლებისათვის ნუ საწუნელ უჩნს, სრული ძნელია C.

ნ. ასაქრმლებს, თური 2, ლვქური, მექრმლე, ყუავის-ქრმალი; შდრ. ქელისაპყრობი.

[ქს ნ. ქსნა].

[ქხას ნ. დაჰქსასოს, ჰქსასვა].

[ქსენ ნ. საქსნე].

[ქსენ ნ. ქსნა].

ქსენება სხვის მოგონება ZAB.

სხვის(ა) მოგონება სიტყვით(ა) C.

ნ. ალქსენება, ეძვრისმოქაენა, ეხსენა, ექაენა, ვექსენები, ვიქსენებ, იქსენა, მექსენება, მიმოქსენება, მოქსენება (თქმა'სთანაც), [illegible], მქსენებელი, საქსენებელი (იადგარ'თან), ძვრის ქსენება; შდრ. ქსოვნა.

ქსენი[1] პირველ ნაწოვნი სძე ZA.

პირველი მონაწველი სძე (რძე CbqD) BCD.

ქსნა (+ 27, 49 მათე ZAa) ბოროტისაგან განრინება ZABC.

ნ. ასაქსნელი, აქსნა, გამოქსნა, განქსნიდა, დაქსნა, დაქსნილი, დაჰქსნდეს, ვიქსნი, თავქსნიერი, იქსნა, მექსნება, მქსნელი, საქსარი, საქსნილო, უქსარი, ქსნილი.

ქსნილი ბოროტისაგან განრინებული ZAB.

განთავისუფლებული, გინა გახსნილი Cb.

ქსნილი გა(ნ)ქსნილი ZAB.

ქსოვნა ხსოვნა ZAB.

ხსოვნა, დაუვიწყებ(ე)ლობა C.

ნ. აქსოვნდა, აქსოვს, გახსოვს, ვიმაქსოვრე, მაქსოვარი, მაქსოვს, ნაქსოვნი, საქსოვარი, ქსოვნიერი, ქსოვნება; შდრ. ქსენება.

ქსოვნება ხსოვნება ZAB.

ქსოვნიერი[2] მახსოვარი ZAB.

[ქუ ნ. გამოაქუა, განექუა, დაექუნიან, ქუებული].

ქუარდნა გლეჯა B.

ნ. აღმოქუარდნა, აღქუარდულებით.

ქუება[3] კლება B.

ქუებული (ქვებული ZAaBCD, ქუჵბული Z) (24, 11 გამოსლ.) დაკლებული ZA.

(24, 11 გამოსლ.) დაკლებულივით AaB. დაკლებული, გინა დაცალიერებული C. დაცარიელებული D.

ქუედა[4] (+ 4, 21 მსაჯ. ZAB) ხის ურო ZABCD.

შდრ. ქუერქუეტო.

ქუედნა[5] (+ 2, 8 სოფონ. ZAa) დაჩაგვრა ZAB.

დაჩაგვრა, გინა გალიქვა CD.

---

[1] ნუსხებშია: „ხსენი". [2] ნუსხებშია: „ხსოვნიერი". [3] ეს სიტყვა ამავე განმარტებით ლექსიკოგრაფს გატანილი აქვს „ქვება"-ზედაც. [4] ნუსხებშია: „ქვედა". [5] ნუსხებშია: „ქვედნა".

ნ. გქუედნი, დაჰქუედნის, მქუედნელი.

ქუეზა (ქუწზა Ż, ჴვეზა BCD) (+ 1 მეფ. 25, 18 ZA) მგრგვალი პური ZACD.

(1 მეფ. 25, 18) მგრგვალი ქმიადი თუ პური B.

ქუელა[1] ZABCD.

ნ. იქუელა, მქუელარე.

[**ქუერთნ** ნ. დაჰქურთნიდეს, ჰქუერთნა, ჰქუერთნიდეს].

ქუერქუეტო[2] პატარა ქვედა ZA.

მომცრო ქვედა BCD.

ქუწბული ნ. ქუებული.

ქუწზა ნ. ქუეზა.

ქუვილი (ბალ.) (+ 12, 1 მათე ZAB) ყანის თავთავი ZABC.

(2, 3 რუთ) ყანის თავთავი B.

ნ. წუელი.

[**ქუთ** ნ. ნაქუთევი].

[**ქულეფა** ნ. შექულგფა].

ქუმალდი (27, 30 საქმე) მომცრო ნავი ZAB.

მომცრო ხომალდი Cb.

ნ. ნავი.

ქუმილი[3] (126, 1 ფსალმ.) დარაჯასთან ნახე ZAB.

ესე არს, რომელიცა მეპატრონისა კართა ღამე დარაჯობდეს, გინა პირეტყვთა უდარაჯებდეს C.

ნ. გქმილავ, დარაჯა 1, მქმილავი, მქუმილნი, საქმილავი, ქმილვა.

ქუნა ნ. ქნვა.

ქუნდი (16, 25 საქმე) მახესთან ნახე, ზალვანა ZA.

(16, 25 საქმე) მახესთან ნახე B. ფერქის შესაპყრობ(ე)ლად შემზადებული რამე C.

შდრ. საქუნდარი.

ქუნდი კაცისა, რომელ არს ზალვანა B.

ქუნდი მართვესთან ნახე ZA.

მართვთან ნახე B. (ფრინ.) ქუნდი ეწოდების მართვესა ტრედისათა და მართვესა მწეროსათა (მწეროთასა Cq) C.

ქუნეშა[4] გვამში კვნესის მსგავსი ZAB.

ნ. ამოქუნეშა (სულის-კუეთა'სთან); შდრ. ქნაშა-ქნუში.

ქურაობა ეწოდების ცხენთა, ჯორთა, აქლემთა, პილოთა და ვირთა მამალ-დედლობისა აღრევათა; ზროხათა, კამბეშთა და ყურდგელთასა — მაკინტლობა; ცხოვართასა — ნერბვა; ნადირთასა — ქერშილობა; ძაღლთა და მჴეცთასა — მძუვნობა; ფრინველთასა — პეპლვა; თევზთასა — ტულაობა; ფრინველთა ვიდრე დაპეპლვამდე განქურევებასა ამრეზა ეწოდება (ეწოდების A) ZA.

ცხენთა, ჯორთა, ვირთა, აქლემთა, პილოთა მამალ-დედლობის აღრევასა ეწოდების ქურაობა; ზროხათა, კამბეშთა და ყურდგელთასა — მაკინტლობა; ცხოვართასა — ნერბვა; ნადირთასა — ქერშილობა; ძაღლთა და მჴეცთასა — მძუვნობა; ფრინველთასა — პეპლვა; ფრინველთა ვიდრე პეპლვამდე განქურევებასა — ამრეზა. თევზთასა ტულაობა ეწოდება B. ესე (ქურაობა Cq) სახელი არს

[1] ნუსხებშია: ქველა". [2] ნუსხებშია: „ქვერქვეტო". [3] წყაროშია: „მქუმილნი". [4] ნუსხებშია: „ქენეშა".

ცხოველთა მამალ-დედალთა დადედლების ჟამთა თანა აღრევისა: რამეთუ ცხენთა, ვირთა (+ და Cab) ჯორთა და აქლემთა და მისთანათასა ეწოდების (ეწოდებიან Cq) ქ უ რ ა ო ბ ა- ვ ე; ზროხათა, კამბეშთა და ყურდველთასა ეწოდებიან (ეწოდების Cq) მ ა კ ი ნ ტ ლ ო ბ ა (მ ა კ ი ნ რ ო- ბ ა Cb); ცხოვართასა — ნ ე რ ბ ვ ა; ნადირთასა — კ ე რ შ ი ლ ო ბ ა; მჴეცთა და ძაღლთასა — მ ძ უ ვ ნ ო- ბ ა; ფრინველთასა — პ ე პ ლ ვ ა; ხოლო ქორთა და შავარდენთა და მისთანათა ვიდრე პეპლვა(დ)მდე განქურვებათა — ა მ რ ე ზ ო ბ ა და შემდგომად — პ ე პ ლ ვ ა ვ ე; თევზთასა ეწოდების ტ უ ლ ა ო ბ ა C.

ქურელი[1] (11, 8 ესაია) გველისა და მისთანათ(ა) სორო ZAB.

ქურეტა[2] (21, 18 ფსალმ.) გაქვრეტა, შექვრეტა ZA.

გაქვრეტა BC.

ნ. განქურეტა, გაქურეტა, ჩაქურეტილი, ჩაქურიტე, ქურეტა. [ქურ(ვ) ნ. ქურაობა, ქურვება].

ქურვება (+ 4, 9 ამოს ZAa) სნეულის დღითი-დღე სიცხის მომატება. ქ უ რ ვ ე ბ ა დ ითქმის სიძვ[...] გულის-თქმა; გინა ილეკროს ცეცხლში გაცხელება; გინა თორ[...] [...]და ლუმელი ცხელდებოდე[...] ZA

[...] არს სნეულის დღითი-დღე სიცხის მიცემა; ქ უ რ ვ ე ბ ა დ ითქ[...] ს სიძვის გულის-თქმა; გინა ილეკრო ცეცხლში გამოაქურვეთ; გინა თორნე და ლუმელი ცხელდებოდეს B. ქ უ რ- ვ ე ბ ა დ არს სნეულებად დღითი-დღე ცხელებისა; ქ უ რ ვ ე ბ ა დ ითქმის სალ˜თო სურვილი, გინა გულის-თქმა სიძვისა; ქ უ რ ვ ე ბ ა დ ითქმის ოქრო, ვეცხლი, რკინა და მისთანანი ცეცხლით რა გამოაქურვო, გინა თორნე და მისთანანი Cab. ქ უ რ ვ ე ბ ა არს სნეულება დღითი-დღე ცხელებისა; ქ უ რ ვ ე ბ ა დ ითქმის ოქრო, ვეცხლი, რკინა და მისთანანი ცეცხლით რა გამოაქურვო და ეგევითარნი: ქ უ რ ვ ე ბ ა დ ითქმის სალთო სურვილი, გინა გულის-თქმა სიძვისა Cq. ცხელება D.

ნ. გამოქურვება, განქურვება, ზემქურვალი, მქურვალე, მქურვალება, მქურვალი, უქურვებს, ქუემქურვალი, ქურაობა.

ქურთი (26, 67 მათე) ქურთი არს მჯილი შეკონვილი, რომელ არს ქ უ რ ჯ ვ ა; ქ უ რ თ ი არს წკეპლები და ეკალნი შეკონვილი. ორითავე სცემდენ (სცემდეს Ab) მაცხოვარსა ZA.

(26, 67 მათე) ქურთი არს მჯილი შეკონვილი, რომელ არს ქ უ რ ჯ ვ ა; ქ უ რ თ ი არს წკეპლები შეკონვილი, ორითვე სცემდეს მაცხოვარსა B ქურთით ცემა გრიგოლი ღ˜თისმეტყველის სხოლიო(ნ)სა შინა ეწერა. ქურთით ცემა არს მჯილი მიმოქცევითა თითთათა ძლიერად ტკივნებად შემძლებელი, რომელსა მსოფლიონი (+ ქ უ რ ჯ ვ ა დ უწოდენო, ხოლო ქურჯვასა მას აწ მსოფლიონი Caq) ბ ლ ი კ ვ ს ა უწოდენ. და მეტაფრასში (ნეტაფრასში Caq) ეწერა: „მოაქენდა დედაკაცსა ქურთი შეშისაო“,— ესე შეკონვილი შეშა თქვა. მჯილიცა, უკეთუ თითნი არა შეიკონა, არა არს მჯილი; მჯილითაც(ა) სცემდენ მაცხოვარსა, ეკლისა და ფიჩხის (შეშის Cq) კონითაცა, (+ ესე Cab) არა წინა-

[1] ნუსხებშია· „ქვრელი“. [2] ნუსხებშია: „ჰვრეტა“.

ალუდგების ერთმანერთსა (ესე Cq) C. ხურთით ცემა გრიგოლი ღ˜თის-მეტყველის სხოლიონში ეწერა. ქურ-თით ცემა არს მჯილი მიმოქცევითა თითთათა ძლიერად ტკივნებად შემძ-ლებელი, რომელსა მსოფლიონი ქ უ რ ჯ ვ ა დ უწოდენ. ნეტაფრას-ში ეწერა: „მოაქენდა დედაკაცსა ქურთი შემისაო“, შეკონვილი შეშა თქვა; მჯილიც უკეთუ არა შეიკონა, არა არს მჯილი. ორითავე სცემდეს მაცხოვარსა და ერთმანერთს არა წი-ნა-ალუდგების D.

[**ქურთნ** ნ. დაჰკურთნიდეს, ჰკუერ-თნიდეს].

ქუფქუფი ყელ-ვიწრო ჰურჰლის ვსების ჴმა ZAB.

ყელ-ვიწრო, პირ-ფართო ჰურჰლის ვსების ჴმიანობა (ჴმა CqD) CD.

ქჳვილი[1] (8, 16 იერემ.) ქვიქვინ-თან ნახე ZAB.

ცხენის (ცხენთ D) საალერსო ჴმია-ნობა (ჴმა Cq) CD.

ნ. იჴვლა, ქვობა.

ქჳმირი[2] (1 მეფ. 25, 18) დასაფა-რებელი ZAB.

[illegible], გინა წისქვილის ხვარ-[illegible] C [illegible] წისქვილის აახ-[illegible] და ავერაკვი Cq განუ-[illegible] D

ქჳმირი[3] წისქვილის სახვარბლე ZA

წისქვილის ხვარბლის ჩასაყარი B.

[**ქჳნჩ** ნ. ამოჴვნჩვა].

ქჳობა[4] (+ 48, 39 იერემ. ZAB) კივილი, გინა ვალალება (ვალალა B) ZABC.

კივილი D.

ნ. ქჳვილი.

ქჳრი[5] ჯინი ZABCD.

ქჳფლი[6] ესე არს ქვათა, კლდეთა და მისთანათა ზედა ნოტიოდ მომწვანო(დ) ანუ მოწითლო(დ) რამე აღმოაჩნდეს (აღმოჩნდეს B) ZAB.

ნ. ქჳფლოვანი.

ქჳფლოვანი[7] (14, 37 ლევიტ) ქვიფლ-ნაჩენი ZAB.

ქვიფლოვ(ა)ნებაჲ არს ქვათა ზედა ანუ კლდეთა (+ და კედელთა Cbq) ზედა აღმოაჩნდეს ნოტიოდ რამე მომ-წვანო (მომწვანე Cq) ანუ მოწითლოდ (მოწითლედ Cq), გრძ(ე)ლად ანუ მომგრგვალებით (შემომგრგვლით Cq) C. ქვიფლოვნება არს ქვათა ზედა ანუ კლდეთა და კედელთა ზედა აღმოაჩნ-დეს ნოტიოდ რამე მომწვანე ანუ მო-წითლედ გრძლად D.

ქჳქჳნი[8] (+ 8, 6 იერემ. ZAb) ესე არს ცხენისაგან ოგურის ცხენი-ს(ა) მიმართ, გინა დედისაგან კიც-ვის მოწოდება; ქ ვ ი ვ ი ლ ი არს სავედრებელი ჴმა-ყოფა, რაჲ სა-ზრდელისა ჟამი მოუ(ვ)იდეს, ქვივის პატრონისა მიმართ; ხოლო ჭ ი ხ ვ ი ნ ი ჴმა მრისხანებისა ცხენისა ZA.

ქ ვ ი ქ ვ ი ნ ი არს ცხენისაგან ცხენთა ოგურისა მიმართ, გინა დედი-საგან კიცვის მოწოდება; ქ ვ ი ვ ი ლ ი არს სავედრებელი ჴმა-ყოფა, რაჲ სა-ზრდელისა ჟამი მოვალს, ქვივის პატ-რონისა მიმართ; ხოლო ჭ ი ხ ვ ი ნ ი არს ჴმა მრისხანებისა ცხენისა B. ესე

[1] ნუსხებშია: „ქვივილი“. [2] ნუსხებშია: „ქვიმირი“. [3] ნუსხებშია: „ქვიმირი“. [4] ნუსხებშია, „ქვიობა“. [5] ნუსხებშია: „ქვირი“. [6] ნუსხებშია: „ქვიფლი“. [7] ნუსხებ-შია: „ქვიფლოვანი“. [8] წყაროშია: „ქვივილსა“, ნუსხებშია: ჭვიქვინი“.

ქვიქვინი, ქვივილი და პიხვინი ქმიანობაჲა ცხენთანი. ჰ ვ ი ვ ი ლ ი არს ცხენთა სავედრებელი ქმა-ყოფა (ქმა Cb), რა მოუვიდეს ჟამი საზრდელისა, ქვივის პატრონისა მიმართ; ქ ვ ი ქ ვ ი ნ ი არს ხადილი დედისაგან კიცვისა, გინა ოგურისა მიმართ; და პ ი ხ ვ ი ნ ი არს ქმა მრისხანე ცხენთა C.
[ქშ ნ. ქშირი].
ქშვა დაქშვა ZACD.
დაქშვა, კარის დაჯრა B.
ნ. დაქშვა, საქშველი, ქშული.
ქშირად ხშირად ZAB.
ქშირი ხშირი ZABCD.
ნ. გააქშირა, ვაქშირებ, მოუქშირე, სიქშო, უქშირებს, ხშირი.
ქშული დაქშული ZAB.
[ჰცე ნ. მქცოანი (კაც'თანაც)].

ჯ

ჯ͞ა ქარაგმით ჯ ვ ა რ ს ა ZA.
ჯ ვ ა ^ ა ქარაგმით B.
ჯაბალა ჯავშანია ერთი ZA.
ჯავშანი ნახე B. იბჯარია ერთი CD
ნ. [illegible]
ჯაბანი 7, 13 ოსე) ომში მოშიშარი ZAB
(+ ოსე 7, 13 Cb) ჩუკენი, ომში მოში[illegible] C. ჩუკენი, მოშიში D.
ნ. [illegible], ვჯაბნი, იჯაბნა, მეჯაბნე, მიჯაბნა, მჯაბნელი, მჯაბნი, ჯაბნე (მშვდ'თანაც), სჯაბნი, უჯაბნავს, ჯაბნობა.
ჯაბნობა ომში მოშიშ(რ)ობა ZAB.

ჯაგანი წქეპლ(ნ)ი თევზთა და ხილთ(ა) ასასხმელი ZA.
წქეპლი თევზთ ასასხმელი B. თევზის ასასხმელი წქეპლი C. თევზის ააასხამი წნელი D.
ჯაგარი ღორის ფაფარი ZABCD.
ნ. თმა.
[ჯაგუ ნ. საჯაგუავი].
ჯაგვა გამოქედნა ZAB.
გამოქნა თუ ჰედნა CD.
ჯაგი (ხე) წვრილი ჩირგვი ZAB.
(ხე) წვრილი (წვლილი CqD) ტყე CD.
ჯაგლაგი (ოთხფ.) ცხენცუდა ZAB.
(ოთხფ.) ცუდი ცხენი CD.
[ჯაგჯაგი ნ. სიარული, სლვა].
ჯადაგო (სულის წმიდის მეტაფრასი) ჯლანი და მისთანა (გინა B) შეურაცხი რამე ცუდი ZAB.
ს უ ლ ი ს წ მ ი დ ი ს მ ე ტ ა ფ რ.: „არცა ყოველნი იტყვიან კეთილთა, არამედ ჯადაგო ხოლო კეთილად" CD[1].
ნ. მეჯადაგე.
ჯადეგი (ვისრამიანში) გრძნეულობის მოქმედი ZA.
გრძნების მოქმედი B. გრძნების მქნელი CD.
ჯადვარი (ბალ.) ZABCD.
[ჯადო შდრ. ჯადეგი].
ჯავარი წყალფერი, გინა მოქდომილობა ZAB.
წყალფერიანივით, გინა მოქდომილი C. განუმარტავია D.
ჯავარი (ხე) სხვათა ენაა, ქართულად ჭ ა დ ა რ ი ჰქვიან ZAa.
ჯავზი (ხე) ხეხო ZAB.

---

[1] B-ში წყაროს დასახელება და მოწმობა გადახაზულია.

ჯავთაგი (+ ანდრია სალოსი ZAa) კონდაკი ZAB.

განუმარტავია D. ა ნ დ რ ი ა ს ა ლ ო ს ი: „ეპყრა ერთსა ჴელსა სახარება და მეორესა ჯავთაგი" C.[1]

ნ. კონდაკი.

ჯავრი (უჭმ.) სხვათა ენაა AbB რისხვა, გინა წყენა C. განუმარტავია D.

ნ. გაჯავრდი, ვჯავრობ, მეჯავრება, მიჯავრა, მოუჯავრდი, მჯავრობ, ნაჯავრები, საჯავრო, სჯავრობ, უჯავრებია.

ჯავშანი (+ ჯავშანი B) არს აბჯარი რკინის(ა), ტანსსაცვამი ჯაჭვი (ოჯაჭვი ტანსსაცვამი B). ხოლო ამა ჯავშანთა გვარ(ნ)ი არიან ხუთ: სამანქანი, ზეიდალი, ხოსროანი, ქირაფქა და ჯაბალა. ს ა მ ა ნ ქ ა ნ ი არს ჯაჭვისთვალი მგრგვალი, სამ-ფარეშოსანი, შიგნით ნიკარტოვანი, რბილი (+ და ZA) გარდაგრეხით ძნიად გასატეხელი; ზ ე ი დ ა ლ ი არს მსგავსი სამანქ(ა)ნისა (+ და ZA) თ(ვ)ითო რიგი ჯაჭვის-თვალი მთელი, უფარეშო (+ და B) თითო (+ თვალი ZA) ფარეშოსანი; ხ ო ს რ ო (ვ) ა ნ ი [illegible] ზეიდლისა და ქვედა პირი ღარღაროვანი; ქ ი რ ა ფ ქ ა არს მობრტყე ჯაჭვის-თვალი [illegible]ოვან. რბილ-ბასრი და უფ[illegible]ურე ბასრი, გარდაგრეხით ადვილად გასატეხელი; ჯ ა ბ ა ლ ა არს მსგავსი ქირაფქისა, ჯაჭვისთვალ-მ(გ)რგვალი, რომლისამე ფარეში მგრგვალი (+ და ZA) რომლისამე ქქლებრივი. ესე ხუთ(ნ)ი აბჯარნიცა სხვადასხვა გვარნი იქმნებიან, რომელიმე თვალ-გრძელ(ი), რომელიმე თვალ-ფართო, რომლისამე (რომელიმე B) ფარეში(თ) სხვადასხვაობა და ჯვარედი, არამედ ამავე ხუთთაგან(ნ)ი არიან. არამედ ჯავშანთა სისრულე და სიკეთე ესე არს, რომლისაგანცა(ა) იყოს: გრძელი და ფართო იყოს, (+ და ZA) ჯაჭვის-თვალი რაზმად დაწყობილი იყოს ფარეშ-შვენიერი და ძნელად გასაკსნელი, ნოტიობაში გვიან დაგესლდეს, ყრილი არა ჰქონდეს, კალთიდამ შედევნებით უსხო (+ და უსხოსი ZA) იყოს, მკერდთა (+ და A) ბეჭთა და ღლიათა უზრქელესი და მიყრილი (+ იყოს ZA). ქირაფქის თვალი კრმალსავით იზევდეს და სამანქნისა მრავალ-საგრეხი იყოს, რომელსაც ნიკარტი ჰქონდეს გვარიან(ი) და რომელსაც ღარი — მოჭდომილად. ერთისა და ორის კლებისათვის ნუ აძაგებ(თ), სრული ძნელია. ხოლო თ ო რ ნ ი არს მთელი რკინა (რკინის B) პოლიტიკი, ტან(ს) ჩასაცმელი ZAB).

ტანსაცმელი (ტანსაცვამი Cq) ჯაჭვი C. ტანსაცვამი ჯაჭვი D.

ნ. ბეგთარი, ჯაჭვ.

ჯაზვალი სპარსთა ენაა, ქართულად ო ყ ო რ ა ჰქვია(ნ) ZAa.

ჯალაბი დედა-წულ(ნ)ი ZABC.

დედა-წული D.

[1] წყაროს დასახელება და მოწმობა B-ში გადახაზულია.

ნ. მოჯალაბე.

ჯალაბობა დედა-წულიანობა ZA.

დედა-წულიანთ B.

ჯალაგარი ქვის საზიდავი ლასტი ოთხის კაცის ასაწევი Ca.

[**ჯალათი** ნ. ჭონდაქარი].

ჯალამბარი დიდი ქვის მაღლა ასატანი ZA.

მაღლა დიდის ქვის ასატანი B. ჭელძარივით, დიდის ქვის ასატანი მჯართ სატვირთავი Cb. ორნი ლატანნი გარდაბმულნი ბოძურად დიდის ძელის ასაწეველად X ასე Ca. ორნი ლატანი გარდაბმული დიდის ძელია ასაწეველად X Cq. ორნი ლატანნი გარდაბმულნი ძელის საზიდრად D.

ჯალაღანი ცუდი თივა ნათიბი ZAa.

ჯალდა სასაქმო ქარგა ZA.

სასაქმო ხეთავან B. ცხენის იარაღის საკერავი, შეშის იარაღი რომ დაიჭერს Cb.

ნ. ქარგა.

ჯალდანი საბზეე ტომარა ZABCD.

ჯამა (ოთხფ.) კრდალი აქლემი ZA.

(ოთხფ.) აქლემი კრდალი BCD

ნ. აქლემი.

ჯამა

ჯამაგირი წლითი-წლად გაჩენილი ZA

წლითი-წლად სარჩო B.

ნ. მოჯამაგირე.

ჯამბარა ერქვნის დასაკრავი ZAB.

ერქვნის ღვედია მოკლე Cab განუმარტავია CqD.

შდრ. იმანტა.

ჯამი ჭურჭელთან ნახე ZAB.

ჯამნი არიან ჭურჭელნი წნო(ვ)ანთა შეჭამადთანი: ბადია, ლოდი, ლოდაკი, უსკურა, პინაგი და ფილჯამი. (+ ხოლო Cq) ბ ა დ ი ა არს ჯამი ყოველთა უდიდეს(ი) (+ ფრიად Ca), ვინათგან ნადიმთა შინა მით მოიღებენ წნოვანსა მენადიმეთათვის მისაღებელად და მუნით გან(ჰ)ყოფენ; ლ ო დ ა არს უმცირეს მისსა და უდიდეს სხვათა ჯამთა(სა); ლ ო დ ა კ ი არს ჯამი ერთისა კაცისა ჯერისად მისართმეველი; უ ს კ უ რ ა არს სამი-ოთხი, გინა მეტი ჯამნი ქმნილნი (ჰქმნან Cq) ერთსა თეფშსა (თეფშთა Cq) ზედა ლეროიანად ნაქმ(ა)რად სხვადასხვა საჭმელებთათვის; პ ი ნ ა გ ი არს ჯამი ლოდაკისა უდიდესი ორთა კაცისა (კაცთა Cq) მისართმად; ხოლო ფ ი ლ ჯ ა მ ი — უმცირეს ყოველთასა მჟავეთათვის და მაწონთა (+ და მისთანათათვის Cab) მისართმეველად (მისართმელად Cq) C. ჯამნი არიან ჭურჭელნი წვნოვანთა საჭამადთა: ბადია და ლოდა, ლოდაკი, უსკურა, პინაგი და ფილჯამი D.

[**ჯამრუზი** ნ. ტრო].

[**ჯანიშინი** ნ. ეპიტროპი].

[**ჯანქალ** ნ. ნაჯანკალევი].

ჯანჯალი ცხენის ავი სლვა (სვლა B) ZABCqD.

ცხენის ავი სიარული Cab.

[**ჯარ** ნ. გაჯრა, მიჯრა, მოჯრა, შეჯრა, ჩაჯრა, ჯრა].

[**ჯარა** ნ. ჭახრაკი].

[[1]**ჯარა** ნ. დასტაქარი[1]].

[**ჯარაოტი** ნ. ქალბანა 2.].

ჯარბი (ჯარბნი D) (მძრომ.) მძვინვარე ასპიტი ZA.

(მძრომ.) მძვინვარე BCb. „ვითარცა ჯარბნი იქედნენი ისტვინვიდენ (ისტვინვიდეს Cq)“ Caq[1]. (მძრომ.) D.

---

[1] მოწმობა წყაროდან B-სა და Cb ნუსხებში გადახაზულია.

ჯარგუალი (ჯარგვალი BC) ZAa.

ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამ-ოთხ კუთხედ მაღალი, ვითარცა კიდობანად სახელ-სდებენ B. ესე არს ხე მოჭდობილი სამ-ოთხ კუთხად, ვითარცა კიდობანს (კიდობანად Cq) უჭმობენ (უწოდენ Cq) CD.

შდრ. ჯირგუალი.

ჯარი მრავალ(ი)-კაცნი ZACD.

მრავალ-კაცნი: მ ი ჯ რ ა — ჯარია შეტაკება B.

ნ. ბრბო, გუნდი, მეფის ჯარი (ურდო"სთან), საჯარო. საჯაროდ, ჯარნი, ჯაროსანი.

ჯარნი ჯარი და ჯარი ZAB.

ჯაროსანი კაც-მრავალი ZAB.

[**ჯაუკ** ნ. მეჯაუკე].

ჯალანა ნუშისა და მისთანათა გულსა და ჩირებთა ტყბილ(ი)ს-კვერში ამოავლებენ და გააჭმო-ბენ სანუკვარად ZA.

ესე არს ნუშთა და მისთანათა, გინა ჩირებთა, ტყბილის-კვერთა ამოავლე-ბენ და გააჭმობენ სანუკვარად B. ჯა-ლანა არს ნუშსა, ნიგოზსა, თხილსა და მისთანათა ძაფზედ ასხმულს ტყბილის (ტკბილის Ca) კვერში გაავლებენ შე-სანახავად, რათამცა დროიან ჭამდენ Cab. თხილი, ნუში, ტყბილის-კვერში ამოვლებული Cq. თხილი, ტკბილში ამოვლებული D.

ჯალინი (+ 2 ნემეს[1]. ZAa) პირ-მიმჯნილი და არ დამჯერებელი ZA.

პირ-მიმჯნილი და არდამჯერო B. პირ-გარდამჯნილი და არა დამჯერ Cb. მრისხანის უარესი (უდარესი Cq), გინა ყბედი Caq მრისხანის უდარესი D.

ჯამარატი ქიშპივით(ა) გლეხუ-რად ZAB.

ქიშპი CD.

ჯამკუტა (ნე) ღვედკეცი ZABCh

[**ჯამრატი** ნ. ჯამარატი].

ჯამუში სხვათა ენაა, ქართულად მ ა ტ ო ვ ა რ ი და ა ე შ ა გ ი ჰქვიან ZAB.

ჯაჭვი ნ. ჯაჭვ 1, 2.

[**ჯაჭვი შესაბორკილავი** ს. ჯაჭვ]

[**ჯაჭვი შესაბორკილებელი** ნ ჯა-ჭვ].

ჯაჭვ[2] (4 მეფ. 11, 11) ჯაჭვი ეწო-დების ყო(ვ)ელსა ილეკროსა ერთი-მეორეში გაყრილსა: ა ბ-ჯ ა რ თ ა, ჯ ა ვ შ ა ნ თ ა, გინა ჯ ა ჭ ვ თ ა შ ე ს ა ბ ო რ-კ ი ლ ე ბ ე ლ თ ა, გინა კ ა რ-ს ნ თ ა, გინა ც ა ნ დ თ ა ჯაღ-ლისა და მისთანათა დასაბმელთა, გინა წვრილთა ძ ე წ კ ვ თ ა ილეკროთასა, გინა შ ი ბ თ ა თვალ-მარგალიტითა ასხმულთა ქალთ ყელსაკიდ(არ)სა ZA.

(4 მეფ. 11, 11) ჯაჭვი ეწოდების ყოველსა რკინასა, გინა ილეკროსა ერთსა მეორეში გაყრილსა: ა ბ ჯ ა რ-თ ა, ჯ ა ვ შ ა ნ თ ა, გინა ჯ ა ჭ-ვ თ ა შ ე ს ა ბ ო რ კ ი ლ ა ვ თ ა, გინა კ ა რ ს ნ თ ა, გინა ც ა ნ დ თ ა, გინა ძაღლისა და რაისაც დასაბმთა ჯაჭვთა, გინა წვრილთა ძ ე წ კ ვ თ ა ილეკროთასა, გინა შ ი ბ თ ა თვალ-თა და მარგალიტითა ასხმულთა ყელ-საკიდართა; ქვაბის საკიდარს ჯაჭვს— ც ა ნ დ ი B. ჯაჭვი, რომელ არს ჯაჭ-ვედნი, განიყოფებიან ოთხად: აბჯ-

[1] შდრ. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვს კაცისა, გვ. 35 სქოლიო 23,1. [2] ნუს-ხებშია „ჯაჭვი".

რად, ჯაჭვად, კარსნად და ძეწკ(ვ)ად. აბჯარი არს (+ ჯაჭვი ტანს ჩაცვამი Cab), რომელი ზემო(თ) ვაქ-სენე; ხოლო ჯაჭვი ეწოდების კაცთა შესაკრავსა, ყელთა და ტანთა შესაბორკილებელთა; ხოლო კარსნი (+ არს Cab) რაიც რამე ერთი-მეორეში გავლებულ(ი) იყოს, რკინა-რკინათა, ანუ რვალი (+ რვალთა C), ანუ ოქრო და ვეცხლი და ეგვევითარ-ნი; ხოლო ძეწკ(ვ)ი წოდებულ არს წვლილთა ჯაჭვთათვის, რომელთა ნივთთაგანისაც(ა) იყოს, ოქრო გინა რაიც რავე წვრილი (წვლილი CqD) ყელ(თ) საკიდარი, ანუ მოაბმელი (მოსაბმელად Cb, მოსაბამი D) რასა-მე ზედა; (+ შიბი ეწოდების ყე-ლის ჯაჭვსა ჩამოსაკიდარსა ოქრო-თაგან, ხოლო ცანდი არს ქვაბთა საკიდარი ჯაჭვი ართა ზედა ცეცხლი-სათა Cb) CD.

ჯაჭვ[1] ჯაჭვი ეწოდების ყოველსა რკინა-სა რკინათა (+ შინა Caq) განყრილ-თა, გინა ოქროსა, ვეცხლსა და ეგვევი-თართა (ეგვევითართა Cq). ხოლო ჯაჭ-ვი, რომელ არს საჭურველი, რომელ-სა აბჯრად, ჯავშნად და თორად სახელ-ედების, ამა აბ-ჯართაგანნი არიან სხვადასხვა. ამის-თვის აღესწერე წიგნსა ამას შინა, რა-თა ყოველთა მოსწავლეთა მეცნიერე-ბაი აქვნდეს. არიან აბჯარნი: სამან-ქანი, ზეიდალი, ხოსროვანი, ქირიფქა და ჯაბალა: სამანქანი არს [illegible], თვალ-მგრგვალი და სამ-ფა-რეშოსანი (სამ-ფარეშში Cq) და შიგ-ნით ნიკარტოვანი, ლბილი და გარდა-გრეხით ძნიად გასატეხელი: ზეი-დალი არს მსგავსი სამანქნისა და თვითო ჯაჭვის-თვალი მრთელი და უფარეშო აქვს და თვითო რიგი ფა-რეშოვანი; ხოსრო(ვ)ანი არს მსგავსი ზეიდლისა და ქვეშე (ქვეშე-თი Cq) პირი ღარად-ღაროვანი; ქი-რაფქა (ქირაბქა Cb) არს მობრტყ-ჯაჭვის-თვალი ფარეშოვანი (ფარე-შოსანი Cq) ლბილ-ბასრს საშუალი და უფროროე ბასრი (+ და C) გარდა-გრეხით(ა) ადვილად გასატეხი; ჯაბალა არს მსგავსი ქირაფქისა ჯაჭ-ვისთვალ-მგრგვალ(ი), რომელიმე ფა-რეშ-მგრგვალი, რომელიმე ქალთა მაგავსი. ესე აბჯარნიცა (აბჯარებიცა Cq) სხვადასხვა იქმნებიან, არამედ ამავე მქოფობიანი, რომელიმე თვალ-გოძელ, რომელიმე ფარეშ-ჯვე-რედი. ხოლო აბჯართა სიკეთისა სის-რულე ესე არს, რომლისაგანც იყოს. გრძელი და ფართო იყოს და ჯაჭვის-თვალთა რაზმ(ნ)ი სირავერდად და-წყობილ იყოს, ფარეშნი შვენიერნი და ძნელად გასახსნელი იყოს, ნოტი-ობათა შინა გვიან(ად) დაგესლდეს. ყრილი არა აქვნდეს, კალთითგან (კალთისაგან Ca) უსხოობით (უსხოთ და უსხოობით Cq; უცხოობით Cb) შენადეენები იყოს, მკერდთა (+ და Cab) ბეჭთა და ღლიათა უზრქესი და მიყრილი იყოს, ქირაფქის თვალი ქრმალსაებრ მზეველი იყოს და სამან-ქნისა მრავალ-საგრეხ(ელ)ი, რომელ-საც(ა) ნიკარტი ჰქონდეს გვარიანად და რომელსაცა ღარნი მოჭდომილად. რომელსაცა ერთი-ორი აკლდეს სის-რულეზე(და), ნუ დაიწუნებ, სრული გვიან(ად) იპოების C. ჯაჭვი ეწოდე-ბის ყოველსა რკინასა რკინათა შინა განყრილთა, გინა ოქროთა და ვეცხლ-სა ეგვევითართა, ხოლო ჯაჭვი, რო-მელ არს საჭურველი, რომელსა აბჯ-რად, ჯავშნად და თორად სახელ-ედების. ესე აბჯარი განიყოფების სხვად და სხვად. ამისთვის აღვწერ წიგნსა ამას შინა, რათა ყოველთა მეცნიერება გაქვნდეს. არიან აბჯარ-ნი: სამანქანი, ზეიდალი, ხოსროვან .

[1] ნუსხებშია: „ჯაჭვი".

ქირაქფა და ჯაბალა: სამანქანი არს ჯაჭვი თვალ-მგრგვალი. ამფარეში და შიგნით ნიკარტოვანი, ლბილი და გარდაგრეხით ძნიად გასატეხელი; ზუიდალი არს მსგავსი სამანქნისა და თვითო ჯაჭვის-თვალი ძრთელი და უფარეშო აქვს და თვითო ფარეშოსანი; ხოსროვანი არს მსგავსი ზუ[illegible]ლისა და ქვეშეთი, პირი ლარალ-ლაოოვანი, ქირაფქა არს მობრტყე ჯაჭვის-თვალი ფარეშოსანი, რბილ-ბასრი საშუალი და უფროროე ბასრი, გარდაგრეხით ადვილად გასატეხი. ჯაბალა არს მსგავსი ქირაფქისა ჯაჭვისთვალ[illegible]ვანი, რომელიმე ფარეშ-მგრგვა[illegible] რომელიმე [ქალოთა მსგავსი]. [illegible] სხვადასხვა რიგნი იქმნ[illegible] [illegible] მყოფობიანი და ხვა [illegible] [..] [illegible] ესე არს რომ[illegible] [illegible] გრძელი და განი[illegible] და ოაზმნი ჯაჭვის-თვალ[illegible] სირავოვად დაწყობილ იყოს, [illegible] შე[illegible]ერსა და ძნელად გა[illegible] ხოლიობათა შინა [illegible] ყრილი არა აქვნ[illegible] [illegible] ხო და უსხოობი[illegible] შინ [illegible] იყოს და მქერდთა და [illegible] მიყრილი [illegible] ვალი კრმალსავერ [illegible] ჰანქსისა სიგრძ[illegible] [illegible] ჰქონდეს [illegible] როველსაცა ლარნი [illegible] რომელსაცა ერთი[illegible] [illegible] პისოლეზე [illegible] [illegible] ცვიან იბოიან D

ჯაქა-ჯუქი მრავალჯერ დიდი(ს) ტკ[illegible]ების ქმა ZAB.

მრავალჯერ დიდი ტაკების ქმა C. ესეც ქმა ბევრჯელ D.

შდრ. ჯაქნი

ჯაჭველი ნ. ჯაჭუელი.

ჯაქნი დიდი(ს) ტკეცების ქმა ZAB.

დიდი(ს) ტკეცბის ქმა CD

შდრ. ჯაქა-ჯუქი

ჯაჭუელი[1] (ხე) Z

განუმარტავია Cb

ჯაჯა დამნაშავე(ს) კაცის ტანჯვა ZABC.

განუმარტავია D.

ჯგვერება ნ. ჯგუერება

ჯგვერი ნ ჯგუერი.

ჯგლითი ჯრა ZABCb.

[**ჯგონ** ნ. განჯგონებულთა]

ჯგუერება[2] ჯგვერის ტკება ZAB.

ჯგვერით (ჯგვერის Cq) ჩხლეტა C ბლაგვით ჩხლეტ. D.

ჯგუერი[3] ხის სადგისი, გინა ჯოხის წვერი ZAB.

ხის სადგისი CD.

ნ. იჯგუერა, ჯგუერება.

ჯგულემა Cb.

ნ. გჯგულემ, მიჯგულიმა, ნაჯგულემი, საჯგულემელი, სჯგულემ, უჯგულემია

ჯგუფი ერთი წელიწადი ოთხი ჯგუფია, სამ-სამი თთვე. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი ZA.

ერთი წელიწადი ოთხი ჯგუფია, სამ-სამი თვე B.

ჯგუფი ერთად მდგარნი ZAB.

ერთგან მდგარნი CD

ჯდა იჯდა ZA.

ჯდების ესე იგი არს პირველ

---

[1] ნუსხაში [illegible] ჯაქველი. [2] ნუსხაში [illegible] „ჯგვერება". [3] ნუსხაშია. „ჯგვერი".

იჯდა, აწ ზის (ჯდების B) და მერმე(ც) დაჯდების ZAB.

ჯდომა (+ 4 მეფ. 19, 2, ZA) კერძოდგომა და კერძოდება შეიქმა ჯდომასა ZACab.

კერძოდგომა, კერძოდება შეიქმს ჯდომასა. მუქლ-მოკეცით განსვენება B. განუმარტავია CqD.

ნ. გამოჯდომილი. დაჯდა, დაჯდომა, დება, ვჯდები, ვჯედ, იჯდა, იჯდები, იჯდომა, მიუჯევ, მჯდომარე, მჯდომი. ნაჯდომი, სჯდები, ჯდა, ჯდების, ჯდომილი.

ჯდომილი მჯდარი ZAB.

ჯე ომის ნაშოვრის მოზიარე ZA.

ომის (ომში Cab) საშოვრის მოზიარე BCab. ომში მოზიარე საშოვრისა Cq. ომში მოზიარე D.

ჯებირი (+ 9 ზირაქ. ZAa) ლაშქართ საფარი ZAB.

ლაშქრობისათვის საფარი CD

[ჯედ ნ. ჯდომა].

[ჯედ ნ. შეუჯდება].

[ჯეირანი ნ. ჯერანი].

ჯეკმა (3, 16 ისო) ნივთი ნამეტნავი ZAB

ნამეტნავი CD.

ჯელთაობა ერთი ფუნდრუკია ZA.

ფუნდრუკია BCD.

ჯენჯი თავის ნაპარსი ZAB.

თავის თავის ნაპარსი C. კაცის ნაპარსი D

ნ. თმა.

ჯენჯო ცხელის პურჭლის გარდმოსადგმელი შალი ZA.

ქვაბთა გარდმოსადგმელი შალი რაჲ, ქალი არ დასწვას B. ქვაბის გარდმოსადგმელად ქილის მოსაკიდარია (გარდმოსადგმელად ქილის მოსაკიდებელი Cq) შალისა C.

ჯერ ჯერეთის ნაკვეთი ZAB.

ნ. ჯერეთ.

[**ჯერ** ნ, გჯერვარ, დააჯერა, დამჯერებელი, დაჯერება, ვჯერვარ, იჯერებს, საჯერო, უჯერო. ჯერა, ჯერება; შდრ. ჯერ 3].

[**ჯერ** ნ. გააჯერა, განსჯერვიდა. მოუჯერე. შეუჯერებელი, შეჯერება. ჯერ-არს, ჯერი. ჯერჩინება (ნებაითთანაც); შდრ. ჯერ 2].

[ჯერ ნ. ერთჯერ].

ჯერა დაუჯერებიეს ZAB.

ჯერეთ (+ გინა დაუჯერებიეს Cb) CD.

ჯერადა ძველი ლილის წვენი ZAB

ძველი ლილა CD.

ჯერაკუმია სვეტებთა ზედა კამარათა შე(ჰ)კვრენ და შუა ადგილსა დაუტეობენ და გარემოს სასახლეს აღაშენებენ, შუა ადგილი არს ჯერაკუმია ZA.

სვეტებთა ზედა კამარათა შე(ჰ)კვრენ, შუა ადგილსა დაუტეობენ და ზედან სასახლეთა აღაშენებენ. ესე არს ჯერაკუმია BCb. იერუსალიმის წარტყუენვაჲ:[1] ევპო(ვ)ე ჯერაკუმიასა პატრიაქისასა მას შინა მკვდარი 15; ეპო(ვ)ე ჯერაკუმიასა მეფისასა მკვდარი 80 კაცი CaqD[2].

ჯერანი სხვათა ენაა, ქართულად

---

[1] შდრ. Тексты и разыскания... т 9, стр. აგ 7, 11. [2] წყაროს დასახელება და მოწმობა Cb-ში გადახაზულია.

ქ უ რ ც ი კ ი და გ ა რ ე თ ხ ა ეწოდების (ჰქვიან B) ZAB.

